

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი

•
პროგრამა «ლოგოსი»

პუბლიკაციები და ღონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის,
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში

თინათინ ყაუხჩიშვილი

ბერძნული ეპიგრაფიკა



თბილისი
2002

ნამრომი წარმოადგენს იმ ლექსების მოკლე კურსს, რომელსაც ეკითხულობდი 1968-1995 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის განყოფილების სტუდენტებთან. ტექსტში შეტანილია მცირეოდენი კორექტივები.

ქვეთაეი B-ხაზოვანი დამწერლობა (გვ. 56-66) დაწერილია ლევან გორდეზიანის მიერ.

რედაქტორი: ლევან გორდეზიანი

რეცენზენტები: თინათინ დოლიძე

ნოდარ ლომოური

© პროგრამა „ლოგოსი“, 2002

ISBN 99928-65-85-7

პროგრამა „ლოგოსი“

ილია ჭავჭავაძის გამზირი 13,

თბილისი 380079

ტელ. 25-02-58

სარჩევი

§1. ტერმინი. საგანი.....	5
§2. თარიღი.....	10
§3. ბერძნული ეპიგრაფიკის შესწავლის ისტორია.....	11
§4. ბერძნული დამწერლობის წარმოშობა.....	43
B-ხაზოვანი დამწერლობა.....	56
§5. ბერძნული ანბანური დამწერლობის წარმოშობა.....	67
§6. ბერძნული არქაული ანბანური დამწერლობა.....	78
§7. ბერძნული რიცხვითი სისტემა.....	89
§8. საწერი მასალა, განკვეთის ნიშნები, შემოკლებები, ქარაგმები, ლიგატურები.....	90
§9. ბერძნულ წარწერათა შინაარსობრივი ჯგუფები.....	100
§10. ქრონოლოგია.....	136
საბიებელი.....	140

§1. ტერმინი. საბანი.

„ეპიგრაფიკა“ (ἐπιγραφή) ხელოვნური ტერმინია და იხმარება იმ მეცნიერების მიმართ, რომელიც სწავლობს წარწერებს. ის სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „წარწერათმცოდნეობას“.

როგორც ჩანს, ტერმინი „ეპიგრაფიკა“ შეიქმნა მაშინ, როდესაც მისი შესაბამისი მეცნიერება გაჩნდა და განვითარდა. ეს კი დაახლოებით ამ უკანასკნელი 170 წლის საქმეა. ძველ ბერძნებს „დაწერილისა“ თუ „წარწერილისათვის“ პქონდათ სიტყვები: ἐπιγραφή, ἐπιγράφειν, ἐπιγραμμα. ვერ ვიტყვით, რომ მაგ., ἐπιγράφειν მაინცაღამაინც იმას აღნიშნავს, რასაც მერე „ეპიგრაფიკა“ უწოდეს. ის ნიშნავდა ყველანაირ „დაწერას“ – პაპირუსზე, პერგამენტზე, ცვილის ღაფაზე, თიხაზე, ქვაზე, ლითონზე. დამოუკიდებლად იმისაგან ეს წარწერა მართლა დაწერილი იყო, ამოჭრილი, ამოკაწრული, პუნქტირით გაკეთებული, თუ რელიეფური. „ეპიგრაფიკა“ ამავე ძირისაგან შექმნილი ტერმინია და აღნიშნავს იმ დარგს, რომელიც უნდა სწავლობდეს ყოველივე იმას, რაც რომელიმე ენაზე (ჩვენს შემთხვევაში – ბერძნულად) არის „დაწერილი“, თუ „წარწერილი“.

ეპიგრაფიკის რაობა და მისი საგანი ყველა სპეციალისტის მიერ ერთნაირად არ არის გაგებული. მართალია, ეპიგრაფიკა როგორც მეცნიერება შედარებით ახალგაზრდაა, მაგრამ ე.წ. პრაქტიკული ეპიგრაფიკის საკითხები კარგად არის დამუშავებული, ხოლო ეპიგრაფიკის თეორიის ბევრი საკითხი ჯერაც დაუდგენელია. სპეციალისტები, რომლებიც ბრწყინვალედ შიფრავენ და ამეცყველებენ ცალკეულ წარწერებს, ვერ თანხმდებიან ისეთ საკითხებში, როგორცაა მაგ., არის ეპიგრაფიკა დამოუკიდებელი მეცნიერება, თუ ის რომელიმე სხვა დისციპლინის დარგია, ან კიდევ – რა არის მისი საგანი. რომ ეპიგრაფიკის საგანი წარწერებია, ეს უეჭველია, მაგრამ რა სახის წარწერებს უნდა სწავლობდეს ეპიგრაფიკა, ან რა მასალაზე შესრულებულს და შესრულების რა მეთოდით, ამის შესახებ ყველა ეპიგრაფისტი ერთი აზრის არ არის. მაგ., ა. ბეკის (Boeckh) განსაზღვრით (1828 წ.) ეპიგრაფიკა ლიტერატურის ისტორიის დარგია, იგი დამხმარე დისციპლინაა ფილოლოგიის სხვა დარგებთან ერთად. ი. ფრანცი (1840 წ.) იმავე აზრისაა ეპიგრაფიკის შესახებ და მის საგნად პალეოგრაფია და სტილი მიაჩნია (ე.ი. წარწერის შინაარსი და ინტერპრეტაცია ეპიგრაფიკის გარეშე რჩება).¹

ვ. შეფერი (Schöffner) (1891 წ.) არ იზიარებდა ბეკისა და ფრანცის თვალსაზრისს და ცდილობდა წარმოეჩინა ის განსხვავება, რაც ლიტე-

¹ F. Franzius, Elementa epigraphices graecae, Berlin, 1840.

რაგურულ ძეგლსა და წარწერას შორის არის, მაგრამ მეორე უკიდურესობაში ვარდებოდა – ყველა წარწერას ის განიხილავდა როგორც იურიდიულ დოკუმენტს, რაც უმეტეს შემთხვევაში ნაძალადევი და ხელოვნური გამოდიოდა.

ვ. ლარფელდი (1902, 1907, 1914 წ.წ.) განსაზღვრავდა ეპიგრაფიკას როგორც მეცნიერებას მონუმენტური ლიტერატურის შესახებ. საწერ მასალად ქვას, ლითონს, სხვა მათ მსგავსს მიიჩნევდა. საგანგებოდ მსჯელობდა მონეტების ლეგენდების, ვაზების, საბუჭდავების, დამლებისა და სხვათა წარწერების შესახებ, რაც ისევე მიაჩნდა ეპიგრაფიკის საგნად, როგორც მომიჯნავე დისციპლინებისა.²

ეპიგრაფიკის განსაზღვრისას არსებითად იგივე გაიმეორა ნ. ნოვოსადსკიმ (1915 წ.), რომელმაც ეპიგრაფიკას უწოდა მეცნიერება მონუმენტური დამწერლობის შესახებ. ორივე ამ შემთხვევაში „მონუმენტური“ უკავშირდება წარწერის ფორმას (მაგ., ქვას, ან სულაც კედელს, რომელზედაც წარწერაა გამოყვანილი) და არა მის შინაარსს. ნ. ნოვოსადსკის აზრით, ეპიგრაფისტი სწავლობს წარწერებს ქვაზე, მეტალზე, ხეზე, ტერაკოტაზე. იგი სწავლობს წარწერის გარეგნულ მხარეს – მასალას, ასოებს, ენას, სტილს, ასევე იკვლევს მის შინაარსსაც.³

გ. კლაფენბახის განსაზღვრით (1957, 1966 წ.წ.) ეპიგრაფიკა უპირველეს ყოვლისა სწავლობს ქვასა და ლითონზე შესრულებულ წარწერებს, მაგრამ ასევე მის სფეროში შემოდის წარწერები ვაზებზე, თიხის ნამგერევეებზე, გემებზე, საბუჭდავებზე, დამლებზე, ბუჭლებზე, საწონებზე, სანათურებზე და სხვა ინვენტარზე. ეპიგრაფიკასა და ზოგადად ფილოლოგიას ერთი და იგივე ამოცანები აქვთ. გ. კლაფენბახი ასევე ჩამოყალიბებულად არაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ რა მოცულობითა და სიღრმით უნდა შეისწავლოს ეპიგრაფისტი თავისი ობიექტი.⁴

ა. ვუდპედი მ. გოდთან ერთად (1959, 1981 წწ.) იმ აზრისაა, რომ ბერძნული ეპიგრაფიკა სწავლობს გამძლე საწერ მასალაზე (ქვასა და ლითონზე) ბერძნული ასოებით, ბერძნულ ენაზე შესრულებულ წარწერებს. მონეტების ლეგენდები ნუმისმატიკის სფეროა, მუმიათა იარაღიები და ოსტრაკაზე საღებავით შესრულებული წარწერები – პაპიროლოგიის საგანია, მოხატულ ვაზებზე მხატვრობასთან ერთად გამოყვანილი წარწერები უპირველეს ყოვლისა კერამიკოსების შესასწავლია. ხოლო სხვადასხვა ჭურჭელზე მისი გაკეთების მერე ამოკვეთილი ან დახატული წარწერები, ისევე, როგორც დამლები, ეპი-

² W. Larfeld, Griechische Epigraphik, III გამოც. München, 1914.

³ Н. Новосадский, Греческая эпиграфика (I გამოც. 1909 წ. II გამოც. 1915 წ.).

⁴ G. Klaffenbach, Griechische Epigraphik, Göttingen II გამოც. 1966. გვ. 7-8.

გრაფიკის საგანია. რაც შეეხება იმას, თუ რა ევალეზა ეპიგრაფისტს, წარწერის მხოლოდ გაშიფერა, თუ მისი გაანალიზება-კომენტირებაც, აქ ვუღკედი რაღაცა სამუჟალო პოზიციის მომხრეა, რაღგან, მისი აზრით, მკეღევეარმა არ შეიძლება ყველაფერი იცოდეს ბრიგანეთიდან პაკისგანამდე (გულისხმობს იმ ტერიტორიას, სადაც მოიპოვება ბერძნული წარწერები).⁵

ივ. ჯავახიშვილის (1926 წ.) აზრით „ეპიგრაფიკა ანუ წარწერათმცოდნეობა მაგარ, მკერიე მასალაზე, ქვა-ლითონზე აღბეკდილ ნაწერს იხდის თავის შესწავლის საგნად. წარწერათმცოდნეობა მხოლოდ წარწერის გარეგანს, ფორმალურ მხარეს, მარტო წარწერის მოხაზულობასა და წარწერებში მიღებულ ფორმულებს იკვლევს ხოლმე, მათი ენისა და შინაარსის მხრივ განხილვა-განმარტება კი ენათმეცნიერებისა და ფილოლოგიის, ან სხვა სათანადო დარგის საქმეა“.⁶

ბ. რიბაკოვი (1946 წ.) თავისი წარწერების კორპუსის წინასიგყვაობაში წერს: „Эпиграфику нередко рассматривают как один из разделов палеографии, но это едва ли верно. Отличие эпиграфики от палеографии состоит в том, что последняя исследует лишь форму начертаний, не вникая по существу в содержание написанного, тогда как первая имеет дело не только с характером надписей на разном материале, но и с содержанием их. Эпиграфика владеет самостоятельным разделом своеобразных исторических источников, исследуя их целиком – и палеографически и исторически“.⁷ ასევე, ეპიგრაფიკის საგნად ბ. რიბაკოვს მიაჩნია წარწერები შესრულებული ქვაზე, ლითონზე, ძეაღზე, ხეზე, თიხაზე, ბათქაშზე, ნაქარგობაზე.⁸

ჩემი თვალსაზრისით ეპიგრაფიკა არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს წარწერებს, რა შინაარსისააც არ უნდა იყენენ ისინი, შესრულებულს მაგარ საწერ მასალაზე. მაგარ საწერ მასალად ყველას მიერ აღიარებულ ქვასა და ლითონს გარდა, უნდა ვცნოთ ხე და კერამიკა (ამოტვიფრული, ამოკაწრული და საღებავით შესრულებული). ასევე – მოზაიკური წარწერები, წარწერები მინაზე, მინანქარზე (აქ უკვე შესრულების სრულიად სხვა ტექნიკაა, რითიც ეპიგრაფიკა კიდეც სხვა დარგებს უკავშირდება). ეპიგრაფიკის საგნად მიმაჩნია ფრესკული წარწერები, რომელთაც სამუჟალო ადგილი უჭირავთ

⁵ A. G. Woodhead, The Study of Greek Inscriptions, Oxford. II გამოც. 1981, გვ. 124.

⁶ ივ. ჯავახიშვილი, პალეოგრაფია, 1926 წ.

⁷ Б. А. Рыбаков, Русские датированные надписи XI-XIV вв. М. 1964, გვ. 5.

⁸ იქვე, გვ. 7.

ლაპიდარულ წარწერებსა და ხელნაწერებს შორის. ეპიგრაფიკის საგანია, აგრეთვე, წარწერები ნაქარტებზე.

პაპიროლოგიისა და კოდიკოლოგიის, ე.ი. ჰილსა, ეტრატზე და ქალაქში ნაწერის გარდა, ყველანაირი ნაწერი-წარწერა ეპიგრაფიკის საგანია.

ეპიგრაფიკა სწავლობს წარწერის როგორც გარეგნულ-ფორმალურ მხარეს (საწერ მასალას, ასოთა მოხაზულობას, წერის საერთო სტილს, ენას, ფორმულებს), ასევე მის შინაარსს; იძლევა მის დათარიღებას, ინტერპრეტაციას და უჩენს სათანადო ადგილს ისტორიაში (ამ ცნების ფართო გაგებით): თუ წარწერაში ისტორიული ამბებია მოთხრობილი, ის ფასდაუდებელი დოკუმენტი ხდება ქვეყნის ისტორიისათვის, თუ ის ლიტერატურული ხასიათისაა, იჭერს ადგილს ლიტერატურის ისტორიაში; თუ მდიდარია ენობრივი მონაცემებით – ენათმეცნიერებაში; თუ ის ხელოვნების ძეგლზეა შესრულებული, დამატებით მასალას სძენს ხელოვნების ისტორიას და ა.შ.

ესაა მაქსიმუმი, რაც ევალება ეპიგრაფისგს. ამ ამოცანის შესრულება უკვე მკვლევარის შესაძლებლობაზეა დამოკიდებული.

აქვე მინდა შევნიშნო ისიც, რომ წარწერის საგულდაგულო მონოგრაფიული შესწავლა ცალკე საქმეა, ხოლო კორპუსისათვის მისი მომზადება – კიდევ სხვა. კორპუსში აისახება შედეგები იმ სამუშაოების, რომლებიც წინასწარ არის ჩატარებული და შეძლებისდაგვარად – უკვე გამოქვეყნებული.

ამასთან დაკავშირებით მინდა მოვიყვანო ლიტერატურაში არსებული ზოგი მოსაზრება: ა. ვუდჰედის აზრით, კორპუსში მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი კომენტარები, განმარტებები და არგუმენტები, იმ შემთხვევებშიც კი, თუ წარწერა პირველად ქვეყნდება.⁹ ხოლო КБН-ის სარედაქციო წერილში ვკითხულობთ: „По замыслу издания в части комментариев корпус должен представлять собой отнюдь не исследование, но лишь материал для будущих, основанных на нем исследовательских трудов“.¹⁰

ვუთქობ, მთავარია რედაქტორმა კორპუსში მკითხველს თავისი კვლევის შედეგები უჩვენოს და არა თავისი შემოქმედებითი ლაბორატორია. ხოლო კორპუსის კომენტარები გამოკვლევასაც რომ წარმოადგენდნენ, ისინი მაინც შეიძლება გახდნენ სტიმული სხვებისათვის შემდგომ მუშაობაში.

⁹ A. Woodhead, The Study... გვ. 99.

¹⁰ КБН, (Корпус боспорских надписей) 1965. М. Л. გვ. 8 (შემდეგში ყველგან იხმარება ფორმა КБН).

არის თუ არა ემიგრაცია და მოუკიდებელი მეცნიერება და რა ადგილი უჭირავს მას სხვა ფილოლოგიურ-ისტორიულ მეცნიერებათა შორის.

ემიგრაციის მნიშვნელობაზე დავა არ არის. ემიგრაციულ მასალას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება და ის ყოველთვის გამოიყენებოდა არა მხოლოდ თანამედროვე მკვლევართა მიერ, არამედ ძველი ავტორების მიერაც. დასადგენია ემიგრაციის როგორც დამოუკიდებელი, თუ დამოკიდებული მეცნიერების როლი. რამდენადაც ემიგრაციული მასალა თავისთავად არის მასალა და წყარო ქვეყნის ისტორიის რომელიმე სფეროსთვის, ამდენად ის დამოუკიდებელ მეცნიერებად თითქოს ვერ გამოცხადდება (მე არაფერს ვამბობ იმ თვალსაზრისზე, რომლის მიხედვითაც ემიგრაცია წარწერის მხოლოდ გარეგნულ ნიშნებს სწავლობს. ასეთი ემიგრაცია უპირველეს ყოვლისა პალეოგრაფიის ნაწილია და ასეთი ემიგრაცია, ცხადია, მხოლოდ დამხმარე დისციპლინაა), მაგრამ რომელია მაშინ დამოუკიდებელი მეცნიერება? ჩვენთვის მეცნიერება თავისთავად, მხოლოდ მეცნიერებისათვის არ არსებობს. ჰუმანიტარული მეცნიერებები ემსახურებიან ქვეყნის ისტორიის (ამ სიტყვის ფართო გაგებით) შესწავლას. ქვეყნის, ხალხის ისტორია იქმნება ნარატიული წყაროების, სიგელ-გუჯრების, ემიგრაციული მასალის, არქეოლოგიური მონაპოვარის, ენობრივი მონაცემების, ლიტერატურული ძეგლების, ხელოვნების ნიმუშების, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალისა და სხვათა და სხვათა შესწავლის საფუძველზე. ამ ასპექტში ისტორია გვევლინება ყველაფრის მომცველ დისციპლინად და სხვა ყოველივე მის დამხმარე მეცნიერებად. ამ თვალსაზრისით ემიგრაცია დამხმარე დისციპლინაა, წყაროთმცოდნეობის მნიშვნელოვანი დარგია. მაგრამ დამოუკიდებლად იმისაგან, თუ რას სძენს ემიგრაცია ქვეყნის ისტორიას, თვით ემიგრაცია დღესდღეობით დამოუკიდებელი მეცნიერებაა, რომლის ჯეროვანი დაუფლება ბევრი სხვა დისციპლინის გათვალისწინებას საჭიროებს. ემიგრაცია კარგა ხანია გასცდა დამხმარე დისციპლინის როლს (რაკილა მარტო ტექსტის წაკითხვას აღარ ისახავს მიზნად და კვლევა-ძიების თავისი მეთოდიკა გაუჩნდა) და ბევრი სამეცნიერო დარგი იქცა მისთვის დამხმარე დისციპლინად, კვლევა-ძიების ბაზად (ისტორია, ენათმეცნიერება, რელიგიის ისტორია, ხელოვნების ისტორია, პალეოგრაფია, ნუმისმატიკა, სურათისტიკა და სხვ.).

§2. თარიღი

თუ ბერძნული ეპიგრაფიკა არის ბერძნულ ენაზე ბერძნული დამწერლობით შესრულებული წარწერების შემსწავლელი დისციპლინა, მაშინ ამ დარგის კვლევის საგანი უნდა იყოს B-ხაზოვანი წარწერებიც, რომელთა ენა ბერძნულია, ხოლო დამწერლობა (მართალია, არაანბანური) მხოლოდ მათთვის გამოყენებული.¹¹ მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ბერძნული ეპიგრაფიკის ქრონოლოგიურად I მონაკვეთი ამ წარწერებს უნდა მოიცავდეს. ბერძნული ეპიგრაფიკის მოგად კურსში B-ხაზოვანი წარწერებიც უნდა შედიოდნენ და მათ განსაკუთრებული, შემდეგი პერიოდისგან იზოლირებული ადგილი არ უნდა ეჭიროთ. ბერძნული ეპიგრაფიკის შესახებ არსებულ განმამოგადებელ ნაშრომებში ჩვეულებრივ ცალკე პარაგრაფად არის გამოყოფილი კრეტამიკენური წარწერები, როგორც ფინიკიური დამწერლობის საბერძნეთში შემოღების წინა პერიოდის დამწერლობა მეტ-ნაკლები სისრულით, ერთგვარად საკითხის ისგორიის სახით. ვფიქრობ, ბერძნული ეპიგრაფიკის სრულ კურსში ისევე უნდა შევიდეს B-ხაზოვანი წარწერები, როგორც კვიპროსული სილაბური წარწერები და თავისი წარმომობით, მათგან დამოუკიდებელი, მაგრამ ბერძნული ენის საჭიროებისათვის გამოყენებული ანბანური დამწერლობით შესრულებული შემდეგი ხანის ბერძნული წარწერები.

ანბანური დამწერლობით შესრულებული უძველესი ბერძნული წარწერები ძვ.წ. VIII ს-ისაა და ბერძნული ეპიგრაფიკის ძირითად საგნად ამ ტიპის წარწერებია ხოლმე მიჩნეული. მოგი სპეციალისტი ამ დარგის მიმოხილვისას მოდის ე.წ. ქრისტიანულ ხანამდე, მოგი – 1453 წ-მდე (კონსტანტინოპოლის დასემამდე), მოგიც შემდეგი ხანის წარწერებსაც მიიჩნევს კვლევის ობიექტად.

ჩემი აზრით, ბერძნული ეპიგრაფიკა სწავლობს ბერძნულ წარწერებს, რომლებიც ჩნდებიან საბერძნეთის ბერძენთათვის დაახლ. ძვ.წ. XV-XIV ს-დან (B-ხაზოვანი წარწერები) და შემდეგ უკვე სხვა სახის, ანბანური დამწერლობით არსებობენ მრავალი საუკუნის მან-

¹¹ B-ხაზოვანი დამწერლობა ჩვეულებრივ მიკენოლოგთა კვლევის საგანია, უთუოდ იმიტომ, რომ ის A-ხაზოვანი დამწერლობისგან არის განვითარებული, ხოლო A-ხაზოვანი დამწერლობა (არა ინდოევროპული ენის მქონე ტომების მიერ გამოყენებული) კრეტაზე მინოსური ცივილიზაციის აყვავების დროის დამწერლობაა. მის გამოყენების სფერო გაიცვლინა უფრო ფართო იყო, ვიდრე B-ხაზოვანისა, რომლითაც ძირითადად ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტებია შესრულებული. (J. Chadwick, *Linear B and Related Scripts*. Berkly-Los Angeles, 1987).

ბილზე, არა მხოლოდ საბერძნეთის გერიგორიაზე და არა მხოლოდ ბერძენებისათვის, ვიდრე დღევანდელ დღემდე.

ცხადია, ამას თავისი ქვეპერიოდები ექნება, მოგჯერ თვისობრივად განსხვავებული: მიკენური პერიოდი, (B-ხაზოვანი დამწერლობა) და შემდეგ, ანბანურში არქაული ხანა, კლასიკური, ელინისტური (თავისი ქვეპერიოდებით), ახალი.

ასეთი პერიოდიზაცია არსებითად ემთხვევა თვით საბერძნეთის ისტორიის, ბერძნული კულტურის პერიოდიზაციას, რაც გასაკვირველი არც არის: დამწერლობა, მისი განვითარება ქვეყნის კულტურის დამახასიათებელი ერთ-ერთი კომპონენტია.

§3. ბერძნული ეპიგრაფიკის შესწავლის ისტორია

როგორც ზემოთაქ აღვნიშნე, ეპიგრაფიკა, როგორც მეცნიერება, შედარებით ახალგაზრდაა, მაგრამ მისი შესწავლის ისტორიას, მის მიმართ ყურადღების მიქცევას და მისი მნიშვნელობის აღიარებას ანტიკური ხანიდანვე ვიწყებთ.

ბერძნული ეპიგრაფიკის ისტორიას ჩვეულებრივ პეროდოტეს დროიდან იწყებენ, მაგრამ, ვფიქრობ, როდესაც ვლაპარაკობთ პეროდოტეს, თუკიღადეს და დემოსთენეს შესახებ, ამ ასექტში აქ უფრო ამ ავტორების წყაროთმცოდნეობით ბაზაზე უნდა იყოს ლაპარაკი და არა იმაზე, რომ ესაა ბერძნული წარწერების შესწავლის თუ თავმოყრის პირველი, ლიტერატურულად დადასტურებული ცდა.

პეროდოტე იმითაც განსხვავდებოდა თავისი წინამორბედი ისტორიკოსებისგან (ლოგოგრაფოსებისგან), რომ სხვადასხვა ისტორიული ღირებულების წერილობით წყაროებს იყენებდა ამა თუ იმ სტრუქტურის გამუქებისას. ერთი ასეთი წყარო მისთვის არის ეპიგრაფიკული მასალა.

პეროდოტეს „ისტორია“ (ძვ.წ. V ს.) იმითაც არის აღსანიშნავი ეპიგრაფიკის თვალსაზრისით, რომ ის არის პირველი ნაშრომი, სადაც ბერძნული ანბანის წარმომობაზე არის ლაპარაკი (ამის შეს. დაწვრილებით ქვემოთ). პეროდოტეს „ისტორიაში“ მოყვანილია ბევრი წარწერა (რაც იმას, ცხადია, არ ნიშნავს, რომ მისი მიზანი იყო წარწერების თავმოყრა). ეს წარწერებია: პითიას სიტყვა სარდელი დესპანების მიმართ (I, 47), ბაბილონის აკლდამის წარწერა (I, 187), ეგვიპტის პირამიდისა (II, 136) და ეგვიპტური ქანდაკების (II, 141) წარწერები, სპარსთა მეფის, დარიოსის მიერ თრაკიაში აღმართული სტელის წარწერა (IV, 91) და მანდროკლე სამოსელის ნახაგის წარწერა იმავე დარიოსის ბოსფორზე გადასვლასთან დაკავშირებით (IV, 88), ზედადგრებზე მესრულებული წარწერები, დაკული ბეოგიის თებეში

ლაიოსის, ოიდიპოსისა და ეგეოკლეს ძის, ლაოდამანგის დროისა (V, 59-61), ათენის აკროპოლისთან დადგმული ბრინჯაოს ეკლის პოსტამენტის წარწერა ათენელთა მიერ ბეოტიელთა და ქალკიდელთა დამარცხების შესახებ, დაახლ. ძვ.წ. V ს-ის დასაწყისისა (V, 77), თერმოპილესთან დაღუპული სპარტელებისათვის გაკეთებული ორი წარწერა ამფიქტიონის მიერ და მესამე – სიმონიდესი, სპარტელთა მოკავშირე მეგისტიოსისათვის (VII, 228) და სხვ. დაბეჯითებით ლაპარაკი იმის შესახებ, რომ პეროდოტეს ძალიან მუსტად მოჰყავს ყველა წარწერა, ძნელია, რადგან ყველა მის მიერ დამოწმებული, ჯერ-ჯერობით აღმოჩენილი არ არის, მაგრამ იმის მიხედვით, რაც უკვე ნაპოვნია (მაგ., ათენთან დაცული ეკლის ბაზისის წარწერა, შდრ. IG, Ib 334a), შეიძლება იმის თქმა, რომ ისტორიკოსი თავის ერთ-ერთ წყაროდ ამ წარწერებს მიიჩნევდა და მათ ასე თუ ისე მუსტად გადმოსცემდა.

წარწერები გვხვდება თუკიდიდეს „პელოპონესის ომის ისტორიაში“ (ძვ.წ. V ს.). თავისთავად, a priori შეიძლებოდა იმის თქმა, რომ თუკიდიდე, როგორც განსაკუთრებული, იმ დროისათვის სრულიად ახალი მეთოდოლოგიის ავტორი, მასალასაც სხვაგვარად გამოიყენებდა, ვიდრე მისი წინამორბედი ავტორები. მართლაც, მის მიერ მოყვანილი იმ ხელშეკრულების ტექსტი, რაც დაიდო ათენელთა მიერ 420 წელს არგოსელებთან, ელიდელებთან და მანტინელებთან (V, 47) და რაც თავის დროზე ნახა პავსანიამაც („ელადის აღწ.“ V, 12, 7), აღმოჩნდა ათენის აკროპოლისზე 1877 წ. (IG, Ia, 46b) და იგი ძირითადად ისეთივეა, როგორც მოჰყავს ის თუკიდიდეს. იგივე შეიძლება ითქვას პითიელი აპოლონის სამსხვერპლოზე ამოჭრილი ეპიგრამის შესახებ, რაც ეხება ცნობილი პისისგრატეს შეილიშვილს, ასევე პისისგრატეს, პიპიასის ძეს, არქონტს (თუკიდიდე, VI, 54 და IG, Ia, 373e). სხვა წარწერები, თუკიდიდეს მიერ დოკუმენტებად გამოყენებული, ჯერ აღმოჩენილი არ არის, მაგრამ საფიქრებელია, რომ ისინი შეესაბამებიან თავიანთ დედნებს.¹²

წარწერებს მომდევნო ხანის ავტორებიც იყენებდნენ. მაგ., დემოსთენე (ძვ.წ. IV ს.), მას დამოწმებული აქვს ღრაკონის კანონი Περὶ τοῦ φόνου (409 წლის ძეგლი). ასეთი წარწერა, ქვაზე ამოჭრილი მართლაც აღმოჩნდა, მაგრამ ისიც გაირკვა, რომ დემოსთენე მისი და-

¹² ახალი დროის ეპიგრაფისტები ადარებენ დედნებს თუკიდიდეს „ისტორიაში“ დაცულ ტექსტებთან და მათ შორის მცირეოდენ სხვაობებს აღვნიშნენ (მაგ., W. Larfeld, Griechische Epigraphik, München, გვ. 11-12). მაგრამ ეს არსებითად საქმეს არ ცვლის. თუკიდიდეს ნაშრომის მიხედვით ეპიგრაფიკულ წყაროებზე მსჯელობა უდაოდ შეიძლება და მისი ასლები უჭველად სანდოა.

მოწმებისას მთლად ზუსტი არ ყოფილა (შღრ. დემოსთენე XXIII, 37; XLIII, 57 და IG, I, 61).

საერთოდ, როგორც ჩანს, როგორი სტილიცა და ხასიათიც ჰქონდა მწერლობას (და თვით მოღვაწეს), იმისი შესაბამისი იყო დამოწმების სიზუსტეც (განსაკუთრებით ამის თქმა შეიძლება ორაგორთა მიმართ და მით უმეტეს ისეთი მგზნებარე პოლემიკოსის შესახებ, როგორიც იყო დემოსთენე).

ყოველივე ზემოთ თქმული მოწმობს იმას, რომ ძველი ავტორები სცნობდნენ წარწერათა მნიშვნელობას და მათ იყენებდნენ თავისი მიზნებისათვის, ძირითადად როგორც წყაროს ამა თუ იმ მოვლენის გასაშუქებლად.

წარწერათა პირველი კრებულები საბერძნეთში ჩნდება უკვე არისტოტელეს შემდეგ, რომელმაც, როგორც ცნობილია, ჩაუყარა საფუძველი მეცნიერების ბევრ დარგს და სხვათა შორის წარწერათა შემკრებლობასაც. მისი გამოკვლევები ათენელთა სახელმწიფო წყობისა და ბერძნული დრამის შესახებ, მისი ოლიმპიურ და პითიურ ღლესასწაულებზე გამარჯვებულთა სიები დაფუძნებული იყო ეპიგრაფიკულ მასალაზედაც. ყოველივე ამან გაზარდა ინტერესი წარწერათა მიმართ, თვალსაჩინო გახადა წარწერათა თავმოყრის საჭიროება.

არისტოტელეს მომდევნო ალექსანდრიული ხანა ბერძნული კულტურის ისტორიაში ხასიათდება ფილოლოგიური (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) დისციპლინების განვითარებითა და აყვავებით. არსებითად ამ დროიდან იწყება ბერძნული ეპიგრაფიკის ისტორია, ის შემკრებლობითი პერიოდი, რომელიც საკმარის ხანს გაგრძელდა, ვიდრე ეპიგრაფიკა ნამდვილ მეცნიერებად გადაიქცეოდა.

პირველი კრებული ეკუთვნოდა ათენელ ფილოქოროსს (320-260 წწ.); კრებულს ერქვა 'Ἐπιγράμματα Ἀττικὰ (ატიკის წარწერები). იგი ჩვენამდე მოღწეული არ არის; მის შესახებ ცნობები მოიპოვება არისტოფანეს სქოლიოებში, პლუტარქესთან, პოლუქსთან და სხვ. როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, კრებული ატიკის (თუ ათენის) წარწერებს შეიცავდა.

ასევე არაა ჩვენამდე მოღწეული იმავე დროინდელი მაკედონელი მოღვაწის, კრატეროსის კრებული 'Ἡ τῶν ὑποσημάτων συναγωγή (<ათენელთა> დადგენილებათა კრებული), სადაც, როგორც მოწმობს თეოპომპე, ყალბი წარწერებიც იყო შეტანილი. კრებული საკმაოდ დიდი მოცულობის ყოფილა. მის შესახებ ლაპარაკობენ პლუტარქე, პარპოკრატიონი და ზოგი ბიზანტიელი ავტორი.

ძე.წ. II ს-ში მოღვაწეობდა პოლემონი, რომლის კრებულს, Περὶ τῶν κατὰ πῖλεις ἐπιγραμμάτων (სხვადასხვა ქალაქთა წარწერების შესახებ) იმოწმებს ათენაიოსი ახ.წ. II ს-ში.

არსებობდნენ სხვა ბერძნებიც, რომლებიც აგროვებდნენ წარწერებს, მაგრამ არცერთი კრებული მოღწეული არ არის და მათ შესახებ კიდევ უფრო ცოცა ვიციოთ.

რომაულ ხანაში ბერძნული წარწერების მიმართ სხვაგვარი ინტერესი გაჩნდა. ახლა ყურადღებას აქცევენ ქვაზე ამოჭრილ მხოლოდ იმ წარწერებს, რომელთაც ლექსის ფორმა ჰქონდათ.

ძე.წ. I ს-ში მელეაგრე გადარეღმა შეადგინა ლექსების კრებული Στέφανος (გვირგვინი), სადაც შეიტანა 47 ძველი და ახალი პოეტის ეპიგრამა (მათ შორის, თაეისიც). კალიგულას დროს (ე.ი. ახ.წ. I ს-ში) ფილიპე თესალონიკელმა შეადგინა უკანასკნელი 2 საუკუნის პოეტთა ეპიგრამების კრებული. როგორც აღნიშნავს ნ. ნოვოსადსკი „В этом сборнике, также как и в „Венке“ Меллеагра, на ряду со стихотворениями заимствованными из рукописей, несомненно были и стихи, списанные с надписей“.¹³

მომდევნო საუკუნეებიდან ცნობილი არიან ანთოლოგიათა შემდგენელნი სტრაგონი და დიოგენიანი.

ბიზანტიურ ხანაში ძველი ბერძნული წარწერების შეკრების მიმართ ინტერესი შედარებით შენელებულია, რადგან ქრისტიანობის გაძლიერებას სრულიად ბუნებრივად მოჰყვა ინტერესის შესუსტება წარმართული საბერძნეთისა და კერძოდ მისი წარწერების მიმართ (ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ახალი საუკუნეების მწიგნობრები და ქრისტიანი მამები თავიანთ ნაშრომებში არ იყენებდნენ ეპიგრაფიკულ ძეგლებს).

VI ს-ში ალექსანდრიელმა ვაჭარმა, შემდგომი ბერად აღკვეცილმა კომმა ინდიკოპლესტესმა ნუბიაში გადმოწერა პტოლემეაიოს III ევერგეტის მიერ (247-221 წწ.) ამოჭრევიებული წარწერა, ცნობილი Monumentum Adulitanum, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს დიადოხოსების ისტორიისათვის.¹⁴

იმავე VI ს-ში აგათიამ შეადგინა მანამდე არსებულთან შედარებით ეპიგრამათა ყველაზე სრული კრებული Κύκλος (წრე).

IX ს-ში კონსტანტინე კეფალამ გამოიყენა ეპიგრამათა მანამდე არსებული ყველა კრებული და მათ საფუძველზე შეადგინა ანთოლო-

¹³ Н. Новосадский, Греческая эпиграфика, I², გვ. 25.

¹⁴ ამ წარწერაში აღწერილია ამ მეფის ომები მცირე აზიაში, თრაკიასა და სხვა მხარეებში და შემდეგ მისი ტრიუმფი.

გია. მასში შევიდა ეპიგრამები, გადმოღებული ქვებზე შესრულებული წარწერებიდან. მაგ., მაგისტროს გრეგორიოსის მიერ.

აღორძინების ხანის ერთი ძირითადი ნიშანი ისაა, რომ გაიზარდა ინტერესი თვით საბერძნეთის მიმართ და შესაბამისად გაძლიერდა ინტერესი წარწერათა და მათი თავმოყრის მიმართაც.

ახალი ბერძნული ეპიგრაფიკის მამამთაფრად მიჩნეულია ანკონელი ვაჭარი, თეითნასწავლი მოღვაწე კირიაკე (Ciriaco de Pizzicoll. 1391-1455 წწ.). ეს კაცი შლიმანის გიპის მოღვაწე იყო: იგი საეაჭრო მიზნებით დადიოდა მთელ ქვეყანაზე და ამასთანავე ღიღი ენთუზიაზმით იღებდა წარწერების პირებს, ყიდულობდა ძველ ხელნაწერებსა და მონეტებს. ბევრი რამ კირიაკეს მოპოვებული დაიკარგა, ცოტა გამოიყა, დანარჩენი ევროპის სიძველეთსაცავებში არის მიმოფანტული.

სხვა პირები რომ არ მოვიხსენოთ, ვინც კირიაკეს მემკვიდრეობას უელიდა და იყენებდა, არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ იტალიელი ბერი ჯოვანი იუკუნდუსი (1435-1515 წწ.), რომელმაც შეამოწმა და შეასწორა კირიაკეს მიერ გადმოწერილი პირები იმ წარწერებისა, რომლებიც იტალიის გერიტორიაზე მოიპოვებოდნენ. იუკუნდუსმა ბერძნულ და ლათინურ წარწერათა კრებული შეადგინა და წარწერები დააბაგა გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით. ეს კრებული 1489 წელს გამოქვეყნდა. 1588 წელს ლაიდენში გამოქვეყნებული პოლანდიელის, მარტინუს სმეტიუსის მიერ თავმოყრილი ბერძნული წარწერების კარგად შესრულებული პირები დაჯგუფებულია შინაარსობრივი ჯგუფების და არა გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით.

ეპიგრაფიკული ძეგლების შეგროვებასა და გამოქვეყნებაში ახალი ეტაპია 1603 წელს გამოსული ვრცელი კრებული, რომელიც შეიცავს 1200 ბერძნულსა და ლათინურ (მეტ წილად ლათინურ) წარწერას. ამ საქმეს თაოსნობდა ლაიდენის მკვლევარი იოსებ სკალიგერი ჰაიდელბერგის პროფესორის იან გრუტერისა და აუგსბურგელი პატრიციუსის მარკუს ველზერის მონაწილეობით. ამ კრებულს ეწოდება: *Inscriptiones antiquae totius orbis Romani, in corpus absolutissimum redactae, Ingenio ac cura Jani Gruteri, auspiciis Josephi Scaligeri ac Marci Velsari*. ამ უდიდესი მნიშვნელობის, არსებითად პირველ კრებულს თავისი ნაკლიც აქვს: არსადაა მითითება, თუ საიდან არის წარწერები გადმოღე-

¹⁵ 1607 წ-მდე კეფალას კრებული მხოლოდ ერთი წყაროს მიხედვით იყო ცნობილი, ფილოლოგოს მაქსიმე პლანუდეს მიერ 1301 წ-ს შედგენილი ხელნაწერით, რაც მოღწეულია ანთოგრაფის სახით (*Anthologia Planudea*). 1607 წ-ს სალმასიუსმა აღმოაჩინა კეფალას ანთოლოგია უფრო სრული სახით, ე.წ. *Anthologia Palatina*, XI ს-ის ძეგლი, დაკული ჰაიდელბერგის ძველი, პალაგინის ნუსხის სახით.

ბული, შედარებულია თუ არა ისინი დედანთან, ასევე დალაგების საფუძველია წარწერათა შინაარსი (რაც ჩვეულებრივ ყველაზე რთული საკლასიფიკაციო ნიშანია). არსებობს ამ კრებულის II გამოცემაც პოლანდიელის, ი. გ. გრევიუსის (Graevius) რედაქციით, მესრულებული 1707 წელს.

გრუტერის კორპუსის დამატებაა ლაიფციგში 1682 წელს გამოსული თ. რეინესიუსის ნაშრომი *Syntagma inscriptionum antiquarum*, რაც არსებითად იმავე ხარისხისაა, რაც გრუტერის გამოცემა და მის კომენტარებს დღეს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვთ.

XVII ს-ში ლორდი არუნდელის დავალებით მცირე აზიასა და საბერძნეთში მოგზაურობს უილიამ ჰატი, რომელსაც ევალებოდა სიძველეთა მოპოვება და ლორდისათვის შექმნა.

ლორდი არუნდელი მეცნიერი არ იყო, ამიტომ ჰატის მიერ მოპოვებული მასალის გამოქვეყნება დაავალა ცნობილ მეცნიერს, კენტგერბერის არქიეპისკოპოსს, ჯონ სელდენს. ამისი სახელით 1628 წელს გამოქვეყნდა *Marmora Arundeliana*.

კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩი იყო მარკიზი ნუანტელი (1670-1680 წწ.). მან შემოიარა მთელი საბერძნეთი, შეიძინა ხელოვნების ნიმუშები, ხელნაწერები, გადმოახატვინა წარწერათა პირები. მთელი ეს მასალა ახლა ლუერშია თავმოყრილი.

დაახლოებით ამავე დროს მოღვაწეობდნენ ლიონელი ე. სპონი და ინგლისელი ჯ. უილერი (Wheler). მათ დაიარეს საბერძნეთი, 2000-მდე წარწერის პირი გააკეთეს, ორიგინალებიდან გადმოიხატეს ქანდაკებები, ბარელიეფები, მოზაიკები, გემები, მონეტები. ამის შედეგად 1685 წ-ს ლიონში გამოქვეყნდა *Miscellanea eruditae antiquitatis*, სადაც წარწერები მთავრულითაა გამოქვეყნებული, უტრანსკიფიციოდ. აღნიშნულია, თუ ის საიდანაა და ბევრს აქვს სპონის შენიშვნა *excripsi* (მე თვითონ გადმოვიწერე). ნაშრომი კეთილსინდისიერად არის მესრულებული. აქვს ლათინური თარგმანები და კომენტარები, მაგრამ სადღეისოდ მას ისტორიული და ბიბლიოგრაფიული მნიშვნელობა აქვს. უილერმაც გამოაქვეყნა თავისი მოგზაურობის აღწერილობა, რასაც ინგლისში დიდი რეზონანსი ჰქონდა, მაგრამ მეცნიერული ღირებულების თვალსაზრისით მისი ნაშრომი სპონის *Miscellanea*-ს დიდად ჩამოუვარდებოდა.

ამათვე ცოტა უმცროსია პოლ ლუკა, რომელიც გაიგზავნა აღმოსავლეთში იმ მიზნით, რომ საფრანგეთის სამეფო კაბინეტისათვის მონეტებისა და გემების ესტამპაჟები ჩამოეგანა. 1699-1725 წწ. ის ამ საქმეს მოუნდა, მისი გაკეთებული ესტამპაჟების დიდი ნაწილი მას

გზაზე ყაჩაღებმა წაართვეს, მაგრამ რაც გადარჩა, ისიც ძალიან მნიშვნელოვანია.

უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, ესტამპაჟების გაკეთება ჯერ კიდევ XVI ს-ში გამოიგონა სტეფანუს პიგიუსმა, მაგრამ პრაქტიკულად ესტამპაჟების გამოყენება დაამკვიდრა პოლ ლუკამ. ამ ხერხს დღესაც მიმართავენ და იგი ფართოდ გამოიყენება წარწერის ამოკითხვა-დამუშავებისას.

საფრანგეთის აკადემიის მოთხოვნით თურქებმა თავის, ე.ი. საბერძნეთის ტერიტორიაზე 1729 წელს შეუშვეს ორი კაცი – აბაგი მიმელ ფურმონი და მისი ძმისშვილი. ამათ 2 წელი იმუშავეს საბერძნეთის სხვადასხვა კუთხეში და თითქოს 3000 წარწერა შეაგროვეს. როგორც ჩანს, მათ ბევრი ძეგლი გაანადგურეს და წარწერების ფალსიფიკაციასაც ახდენდნენ. როდესაც ბერლინის აკადემიის დავალებით 1815 წ. იმანუილ ბეკერმა ფურმონის კოლექცია შეისწავლა, იქ მხოლოდ 1000 წარწერის პირი აღმოჩნდა; ი. ბეკერმა ეს მასალა CIG-სთვის გამოიყენა და შესაბამისად კორპუსის ეს ნაწილი ნაკლოვანი გამოვიდა, რადგან ი. ბეკერმა შეუმოწმებლად ისარგებლა ფურმონის მოგანილი ასლებით.

1731 წელს გამოვიდა წარწერათა ორი კრებული. ერთის შემდგენელი იყო ფლორენციელი ჯოვანი დონი, ხოლო მეორის – მარკ-ვარდ გუდე რენდსბურგიდან. მაგრამ დაახლ. ნახევარი საუკუნის წინ შედგენილი კრებულები, სადაც ძირითადად ლათინური წარწერები იყო, ხოლო ბერძნული წარწერები ძალიან ცოტა, გვიან გამოქვეყნდა სხვათა მიერ, მასალა უკვე მოძველებული იყო და დამუშავებასაც ავტორის ხელი აკლდა. 1732 წლიდან ეროვნული სპეციალისტი, არქეოლოგი და პოეტი სციპიო მაფეი (Francesco Scipione, Marchese di Maffei) ემზადება ბერძნულ-ლათინური წარწერების სრული კრებულის გამოსაცემად, მაგრამ საბოლოოდ 1749 წელს აქვეყნებს მხოლოდ ეროვნის, ტურინისა და ვენის მუზეუმების სიძველეებს, სადაც ბერძნული და ლათინური წარწერებიც შეაქვს. ბერძნულ ტექსტებს დართული აქვს ლათინური თარგმანი, ტექსტი გამოცემულია მთავრული ასოებით. წარწერები შედარებულია დენებთან და ამ მხრივ გამოცემა სანდოა, რაც კიდევაც დააფასეს შემდეგი თაობების მკვლევარებმა. ბერძნული წარწერები (ამ დროისათვის უკვე 2000) გამოყოფილია ლათინურისგან, ისინი ერთმანეთში არეული არ არის.

მაფეის მეგობარი და სწავლული კაცი იყო ლუდოვიკო მურაგორი, რომელმაც 1739-1742 წწ-ში 4 წიგნად, ძირითადად კირიაკე ანკონელის მასალის საფუძველზე გამოსცა დიდი შრომა, უპირატესად ლათინური წარწერების შემცველი. შრომა შინაარსის საფუძველზე 18 ნაწილად

არის დაყოფილი. არის მითითება წყაროებზედაც. ბერძნული ტექსტები ლათინურად არის თარგმნილი. უზარმაზარი შრომაა გაწეული, მაგრამ სპეციალისტთა აზრით ამ კრებულს ეპიგრაფიკის განვითარების საქმისათვის ბევრი არაფერი შეუძენია.¹⁶ ნ. ნოვოსადსკი წერდა: „Муратори бѣли не только плохихъ эпиграфистъ, но и небрежныхъ издатель“. ¹⁷ მართლაც, ზოგი წარწერა ამ კრებულში შეიძლება ექვს ჯერაც შეგვხედეს.

მურატორის კრებულის დამატებანი გამოაქვეყნა აბაგმა სებასტიანო დონატომ 1765 და 1775 წლებში. ამ გამოცემის დონეც არ გამოირჩეოდა თვით მისი დროისათვისაც კი. სრულიად სხვა დონისაა ინგლისელის, რ. ჩანდლერის 1774 წელს გამოქვეყნებული მცირე კრებული *Inscriptiones antiquae* (ამის შეს. უფრო დაწვრილებით – ქვემოთ).

ამგეარად, ამ ხანში (1603-1775 წწ.), რაც ითვლება ეპიგრაფიკის მეცნიერული შესწავლის უშუალო წინა პერიოდად, გამოქვეყნდა ბერძნულ-ლათინურ წარწერათა თავისი დროისათვის მეტ-ნაკლებად სრული 8 კორპუსი (აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აქამდე ბერძნულ-ლათინური წარწერები ერთად იცემა): იუკუნდუსის, გრუტერ-სკალიგერის, რენინესუსის, გრუტერ-გრეფიუსის, დონის, გუდესი, მურატორის, დონატოსი (და მათგან თვისობრივად განსხვავებული – ჩანდლერის).

ამავე დროს ქვეყნდება არასრული, სპეციალური კრებულებიც, მაგ., ათლეტების შესახები წარწერები, პოეტური წარწერები; 1691 წელს ლონდონის ეპისკოპოსმა ფლიტგუდმა მოსწავლეთათვის შეადგინა წარწერათა კრებული, სადაც ქრისტიანული წარწერებიც შეიტანა. გამოდის ცალკეული სტატიები სიძველეების და სიძველეებთან ერთად წარწერების შესახებაც.

ასე მომზადდა ლიტერატურული ნიადაგი საკუთრივ ბერძნული წარწერების მეცნიერულად დამუშავებული კორპუსის გამოსაცემად. მაგრამ ეს კორპუსი ვერ მომზადდებოდა, რომ ის დიდი სამუშაოები არ ჩატარებულყო, რასაც ეწეოდა მთელი ევროპა განსაკუთრებით XVIII ს-დან ბერძნული სიძველეებისა და მანამდე უცნობი ბერძნული წარწერების გამოვლენისა და მოპოვების მიმართულებით.

ეპიგრაფიკული მასალის მეგროვებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ლონდონში 1733 წელს ჩამოყალიბებულ *Society of Dilettanti*-ს, სამეცნიერო საზოგადოებას, რომელიც მიზნად ისახავდა საბერძნეთისა და მცირე აზიის სიძველეთა მონახულებას და მოვლას.

¹⁶ W. Larfeld, Gr. Ep. გვ. 23-24.

¹⁷ Н. Новосадский, Греческая эпиграфика.

ამ მიზნით 1751-53 წლებში ამ საზოგადოების მიერ მივლენილ იქნენ არქიტექტორი ჯეიმს სტიუარტი და მხატვარი ნიკოლას რევეტი, რომელთაც ბევრი რამ მოიპოვეს და საბერძნეთში პირველებმა მათ აწარმოეს არქეოლოგიური თხრა. მათ გამოაქვეყნეს კიდეც რამდენიმე წიგნად „ათენის სიძველენი“ (1762-1816 წწ. I გამოცემა, 1825-1830 წწ. – II გამოცემა).

1764 წელს ამავე საზოგადოებამ საბერძნეთში წარგზავნა ოქსფორდელი ფილოლოგი და თეოლოგი რიჩარდ ჩანდლერი იმავე ნიკოლას რევეტისა და მეორე მხატვრის, უილიამ პარსის თანხლებით. ესენი ორ წელს იყვნენ საბერძნეთში, რის შედეგადაც გამოქვეყნდა ამ მოგზაურობის აღწერა 1769 წელს – „Ionian Antiquities“ (რამდენიმე წიგნად), ხოლო 1774 წელს ჩანდლერის „Inscriptiones antiquae“, „პაგარა, მაგრამ იმ დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი კრებული. წარწერათა პირები, შეიძლება ითქვას, უნაკლოდ არის გაკეთებული, ხოლო განმარტებები ყოველთვის სასურველ დონეზე არ არის შესრულებული.

სტამბოლში 1776 წ-დან ელჩად იყო ფრანგი დიპლომატი და ამავე დროს სიძველეთმცოდნე გრაფი შუაბელ-გუფიე, რომელმაც საბერძნეთში წარწერათა უმდიდრესი კოლექცია შეადგინა, რისი რეზულტატაც 1784 წელს წარწერათა აკადემიას ეცნობა. სამწუხაროდ ამ ძვირფასი კოლექციის რაოდენობრივად მხოლოდ მცირე ნაწილი (97 ბერძნული წარწერა, მაგრამ მათ შორის ბევრი დიდად მნიშვნელოვანი) მოხვდა მისი სიკედილის შემდეგ ლუერში, დანარჩენთაგან – ზოგი სმირნაში გაუნადგურა ხანძარმა, ზოგიც აღმირალმა ნელსონმა იგდო ხელთ ზღვაში და შემდეგ ისინი ლორდმა ელჯინმა შეიძინა ბრიტანეთის მუზეუმისთვის. ერთი დიდი პარტია – გროადაში მოპოვებული მასალა, სად გაქრა, არაა ცნობილი. ლორდი ელჯინი 1799 წ-დან იყო სტამბოლში ელჩად. მან ძალიან ბოროტად ისარგებლა თავისი მდგომარეობით. 1801 წელს 400 კაცი ამუშავა ათენის აკროპოლისზე, რის შედეგადაც წაიღო ინგლისში პართენონის ფრონტონებიდან 12 ქანდაკება, 15 მეტოპი, უამრავი ჯგუფი ფრიზებიდან, ერთი კარიბატიდი ერეხთიონიდან, სიძველეებით სავსე 200 ყუთი გაგზავნა ინგლისში. გზაზე ზოგი დაიღუპა, რაც გადარჩა, ინახება ბრიტანეთის მუზეუმში და მის საუკეთესო საგანძურს წარმოადგენს. სახვითი ხელოვნების ძეგლთა გარდა ელჯინის მასალაში ბერძნული წარწერებიც შედიოდა.

ეპიგრაფიკის წინამე დამსახურებულ პირთა შორის უნდა მოვიხსენიოთ ფრანგი მეცნიერი ფრანსუა პუკეელი, რომელსაც მეტად საინტერესო ბიოგრაფია ჰქონდა. იგი ჯერ 1789 წელს მონაწილეობდა ნაპოლეონის მიერ ეგვიპტეში წარგზავნილ სამეცნიერო ექსპედიცი-

ამი, შემდეგ მოხედა მეკობრეთა ტყვეობაში, თავს ბევრი რამ გადახდა და სიცოცხლე მედიცინაში განსწავლულობის შედეგად შეინარჩუნა. ბოლოს ისევ ნაპოლეონმა ჯერ იანინაში გაგზავნა კონსულად, ხოლო შემდეგ პატრასში. მან თავისი საინტერესო „მოგზაურობა საბერძნეთში“ გამოაქვეყნა ჯერ 1820-21 წლებში, ხოლო მეორედ – 1826-27 წწ. მის „მოგზაურობაში“ ბევრი რამ არის საინტერესო. იქ მოიპოვება ცნობებიც წარწერათა შესახებ, მაგრამ სპეციალისტთა აზრით, მის მიერ გადმოღებული პირები ზუსტი არ არის.

ინგლისელ მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია უილიამ ლიკი (Leake), რომელიც XIX ს-ის დასაწყისში წავიდა საბერძნეთში სამეცნიერო მიზნებით, მაგრამ საბერძნეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაშიც კი მიიღო მონაწილეობა. მისი აღმოჩენაა მიდასის სამარხი გორდიონში და ფრიგიულისათვის მნიშვნელოვანი წარწერები. მან შეკრიბა ბევრი წარწერა, გადმოიღო მათი პირები, უყვარდა და აინტერესებდა ხელოვნების ძეგლები. აგესტ ბეკსა და ე. კურციუსს ის მიაჩნდათ საუკეთესო ეპიგრაფისგად. ე. კურციუსი მას საბერძნეთის კოლუმბუსსაც უწოდებდა. უ. ლიკის სხვა ნაშრომები რომ არ ეახსენოთ, უყურადღებოდ ვერ დაგვოვებთ მის „Travels in the Northern Greece“, 1835-41 წწ.; ნაშრომი 4 წიგნადაა და დართული აქვს წარწერების 48 ტაბულა, რაც ნაშრომს დიდ ღირებულებას სძენს. 1838 წელს და შემდეგაც მცირე აზიაში, სახელდობრ ლიკიაში მუშაობდა ინგლისელი არქეოლოგი ჩარლზ ფელოუზი, რომელმაც არა მხოლოდ ძველი ქსანთოსის ნანგრევები აღმოაჩინა, არამედ ამასთანავე ბევრი წარწერაც, რაც დღეს ბრიტანეთის მუზეუმში ინახება (აქ საკუთრივ ლიკიური წარწერებია ძირითადად).

XIX ს-ის დასაწყისში საფრანგეთში ბუნებისმეტყველება პყვავის, ხოლო გერმანიაში – ფილოლოგია და ფილოსოფია. ამ დროს მოღვაწეობენ გერმანიაში ცნობილი ფილოლოგები: ვოლფი, ბეკი, ბეკერი, პერმანი და სხვ.

გერმანიამ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო გვიან დააარსა ათენში თავისი არქეოლოგიური ინსტიტუტი (რომშია ამისი ძირითადი ბირთვი, მაგრამ რომისა და ათენის ორგანიზაციებს თავთავისი ფუნქციები ჰქონდათ). გერმანიის ინსტიტუტი მუშაობას ძირითადად 1876 წ-დან იწყებს და მას სათავეში გამოჩენილი მეცნიერები უდგანან. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია უ. კელერი (Köhler), XIX ს-ის ეპიგრაფისტთა შორის პირველი (მაგ., მის მიერაა შესანიშნავად დამუშავებული ატიკის წარწერები). აქვე მუშაობდა დერაჟელდიც. ამ საზოგადოების მონაპოვარი ეპიგრაფიკის სფეროში ისე გრანდიოზული ვერ იყო, როგორც ფრანგების, მაგრამ მათ ბევრი

გააკეთეს არქეოლოგიის დარგში: ისინი თხრიდნენ ათენში დიონისეს თეატრს, სოფ. მენიდის (Menidhi), სადაც პირველად აღმოაჩინეს მიკენური კულტურის კვალი (1890-93 წწ.), კორინთოს, არგოსს, გროას, გირინოს, პაროსს, პეგრამონს, მაგნესიას, პრიენეს და სხვ. ოლიმპია გერმანელების მიერ უკვე 1875 წ-დან ითხრებოდა სხვადასხვა სახსრებით. ხოლო 1908 წ-დან ეს სამოგადოება ჩაუდგა ამ საქმესაც სათავეში. ოლიმპიის გათხრებს მუდამ კურციუსი და ალფერი ხელმძღვანელობდნენ, ხოლო არქეოლოგები და არქიტექტორები სხვადასხვა დროს სხვადასხვანი იყვნენ (პირმფელდი, ფურტვენგლერი, დერ-ჰელდი და სხვები). 1899 წ. თ. ვიგანდმა დაიწყო მილეგისა და მის შემოზღობვად მდებარე დიდიმას გათხრები. XX ს-ის დასაწყისში გამოქვეყნდა შედეგები, სადაც ბევრ ძეგლთან ერთად საინტერესო (ძვ.წ. VII ს-დან დაწყებული და მომდევნო ხანების) წარწერებიც არის შესული.

გერმანიის არქ. სამოგადოების ჟურნალია Mittheilungen des Kaiserlich Deutschen Archäologischen Instituts.

ბერლინის მეცნიერებათა აკადემიამ გადაწყვიტა ბერძნული წარწერების სრული კრებულის გამოქვეყნება. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა ავგუსტ ბეკი (Boeckh), რომლის გიგანტური შრომის შედეგად არა 4 წელში, როგორც აპირებდა, არამედ 34 წლის მანძილზე (1825-1859 წწ.) გამოვიდა 4 დიდი ტომი Corpus inscriptionum graecarum (რაც შეიცავდა 9926 წარწერას); მისი სიკვდილის შემდეგ, 1877 წ. გამოვიდა V ტომი – საძიებლები.

კორპუსის მესვეურები ჯერ თითქოს აპირებდნენ წარწერათა ახალი პირების გაკეთებას, მაგრამ მერე იძულებული გახდნენ დაკმაყოფილებულიყვნენ უკვე არსებული ასლებით.

წარწერათა დალაგება გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით გადაწყდა, რადგან თითოეულ კუთხეს თავისი ისტორია და ენის სპეციფიკა ჰქონდა. გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით დაჯგუფებულ წარწერებს შემდეგ შინაარსისა და ქრონოლოგიის მიხედვით ალაგებდნენ. მეთოდოლოგიის თვალსაზრისით წარწერათა ასეთი გამოქვეყნება მისაღები იყო (და დღესაც ჩვეულებრივ ასე ხდება წარწერათა კრებულების გამოქვეყნება).

იმ კომისიაში, რომელმაც ითავა წარწერათა კორპუსის დამუშავება, 60 კაცი შედიოდა, გერმანელი და არაგერმანელი. I ტომის I ნაკვეთი გამოვიდა 1825 წელს, მთელი I ტომი – 1828 წელს. ამ ტომის გამოქვეყნებას დიდი რემონანსი ჰქონდა. ხოგბაც ბევრი იყო, მაგრამ ყველაზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდა გ. პერმანის კრიტიკულ წერილს. იგი იწუნებდა წარწერათა აღდგენას, გაშიფრვას, კომენტირებას... მენიშვნები არსებითად მართებული იყო, მაგრამ მეტისმეტად უღმო-

ბელი გონით გაკეთებული. კამათში ჩაებნენ კოპი და მ. შაიერიც. გამოქვეყნდა ბეკის საპასუხო წერილიც.¹⁸

ბეკის კორპუსის I ტომში ძირითადად თვით საბერძნეთის გერიტორიაზე აღმოჩენილი წარწერები შევიდა. II ტომი ისევ ა. ბეკის ხელმძღვანელობით გამოქვეყნდა 1843 წელს. ამ ტომში შეიტანეს ჩრდილო საბერძნეთის, მაკედონიის, თრაკიისა და შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს ბერძნული წარწერები. III ტომი მოამზადა ი. ფრანცმა. ის გამოვიდა 1853 წელს და შეიცავდა მცირე ამიის, სირიის, მიდიის, სპარსეთის, ეგვიპტის, სიცილიის, იგალიის და სხვ. წარწერებს. IV ტომის რედაქტორები იყვნენ ე. კურციუსი და ა. კირხპოფი. ეს ტომი 2 ნაკვეთად გამოვიდა – ერთი 1856 წელს და მეორე – 1859 წ. I ნაკვეთში იყო ნიეთებზე მოთავსებული წარწერები, ხოლო II-ში – ქრისტიანული ხანის ბერძნული წარწერები.

ამის შემდეგ 5 კაცი მუშაობდა ოთხივე ტომის საძიებლის შედგენაზე. ეს სამუშაო 1877 წელს დაასრულა პ. რელმა (Röhrl).

რამდენად სრული და სრულყოფილად შესრულებული კორპუსიც არ უნდა არსებობდეს, ახალ მონაპოვრებთან დაკავშირებით განუწყვეტლივ არის საჭირო „დამატებათა“ გამოქვეყნება. განსაკუთრებით, უნდა ითქვას ეს XIX ს-ში შექმნილი კორპუსის მიმართ, რადგან ამ დროიდან იწყება საერთოდ არქეოლოგიისა და ეპიგრაფიკის სწრაფი აღმავლობა, კერძოდ ჩნდება დიდი ინტერესი ბერძნული სიძველეების შესწავლის მიმართ.

1829 წელს საბერძნეთი განთავისუფლდა თურქეთის ბატონობისგან და გაადვილდა საბერძნეთში სამეცნიერო მივლინებები. გერმანელების საბერძნეთში მოღვაწეობას განსაკუთრებით შეუწყო ხელი საბერძნეთის ტახტზე 1832 წელს ბავარიის პრინცის, ოტონ I-ის ასვლამ. ამ დროინდელ ეპიგრაფისტთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ლ. როსი (1806-1859 წწ.), რომელიც 10 წლის განმავლობაში იყო ათენის უნივერსიტეტის პროფესორად. მან ბევრი წარწერა მოიპოვა, ზოგი მათგანი კიდევაც გამოსცა; მისი პუბლიკაცია ძალიან მაღალ დონეზე იყო. ამ დროისათვის ჩნდებიან თვით ბერძენი ეპიგრაფისტებიც. მათი, ე.ი. კ. ჰიგაკისისა და ა. რანგაეისის თაოსნობით 1837 წელს არსდება ათენის „არქეოლოგიური სამოგადოება“ (Ἀρχαιολογικὴ ἑταιρεία), რომლის მიზანია არა მხოლოდ სიძველეთა შეგროვება, არამედ არქეოლოგიური თხრაც. ათენის არქეოლოგიური სამოგადოება 1881 წლიდან თხრის ეპიდავრს. გათხრებს ხელმძღვანელობს ბერძენი

¹⁸ უნდა შეინიშნოს, რომ რასაც პერმანი ბეკს უწუნებდა, იგივე ახასიათებდა 100 წლის მერე ბერლინის აკადემიის მიერ გამოქვეყნებულ Inscriptioes graecae-საც.

არქეოლოგი პ. ნ. კავადიასი. მას ბევრი შრომა აქვს გამოქვეყნებული ამ გათხრების შესახებ (ბერძნულად, ფრანგულად). ამ შრომებში ბევრი ვრცელი წარწერაა, უპირატესად ძვ.წ. III ს-ისა და შემდეგი ხანის. იგივე საზოგადოება თხრის ელევსინსა და ოროპოსს (ამფიარაოსის გაძარს). ამ გათხრებმაც ბევრი აქამდე უცნობი ბერძნული წარწერა გამოაუ-ლინა. ათენის არქეოლოგიური საზოგადოების ეურნალს ერქვა 'Εφῆμερίς ἀρχαιολογική (არქეოლოგიური ყოველდღიური), რომელშიც ძირითადად წარწერები ქვეყნდებოდა.

ა. რანგავისი ა. ბეკისა და ფრ. გირმის მოწაფე იყო გერმანიაში. მას კარგი სკოლა ჰქონდა გავლილი და შესაბამისად, მის შრომებს გარკვეული ღირებულება ჰქონდათ. რანგავისმა 1888 წელს ათენში გამოაქვეყნა ზოგადი ხასიათის ნაშრომი – 'Επιγραφαί (ეპიგრაფიკა). მასვე აქვს გამოქვეყნებული ცალკეული ძეგლები და წარწერებიც ფრანგული თარგმანებით. მისი პუბლიკაციები იმ დროს უკვე არსებულ ბეკის კორპუსთან შედარებით უფრო მდარე ღირსებისაა.

ბერძენთ შორის უფრო მაღალი რანგის ეპიგრაფისტია არქეოლოგიური საზოგადოების მდივანი სტ. კუმანუდისი, რომელმაც გამოაქვეყნა როგორც ცალკეული ბერძნული წარწერები, ასევე „საფლავის წარწერათა კრებული“ 1871 წ.

საფრანგეთის მთავრობამ 1843 წელს საბერძნეთსა და მცირე აზიაში გაგზავნა წარწერათა აკადემიის წევრი ფ. ლება, რომელმაც მივლინებაში 2 წლის ყოფნის შემდეგ საფრანგეთში ჩამოიტანა წარწერათა 4000 ასლი და ესტამპაჟი (მარტო ათენიდან – 2000), ყოველივე ძალიან მაღალი ხარისხის. როგორც ამბობს ნ. ნოვოსადსკი „Леба имел полное право сказать, что собранный им материал не уступает, если не превосходит все то, что в исследованных им местностях было найдено его предшественниками, начиная с Кириака Анконского и кончая Россом и Феллоузом“.¹⁹

სამწუხაროდ ფ. ლებამ ვერ მოასწრო თავისი მასალის გამოქვეყნება. ის მერე დაამუშავეს ვ. ვადინგტონმა და პ. ფუკარმა, ხოლო ესტამპაჟები სორბონის უნივერსიტეტშია დაცული.

ამგვარად, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ერთის მხრივ მზადდება ბეკის კორპუსი (უკვე 2 ტომია გამოსული), მის პარალელურად უკვე მზადაა ლებას მასალა და გამოსულია როსისა და რანგავისის ტომები.

ჟ. ლეტრონს მეცნიერებაში ფრანგების ბეკი ეწოდება. მისი პუბლიკაციები საგანგებოდ მისაბაძად არის მიჩნეული. მან 1842 და 1848

¹⁹ Н. Новосадский, Греческая эпиграфика, გვ. 75.

წლებში 2 ტომად გამოაქვეყნა *Recueil des inscriptions grecques et latines de l' Egypte*, რაც სწორედ წინა საფეხური იყო საიმისოდ, რომ საფრანგეთში საბერძნეთის შემსწავლელი არქეოლოგიური სკოლა შექმნილიყო. მართლაც, 1846 წელს საფრანგეთმა ათენში თავისი არქეოლოგიური სკოლა დააარსა. თავიდან ის ვერ მუშაობდა მაინცდამაინც ინტენსიურად, მაგრამ 1874 წლიდან მან ბევრი რამ გააკეთა. საქმეს სათავეში უდგნენ ცნობილი მეცნიერები: დიუმონი, ფუკარი, ომოლი, ოლო, ფუკერი და სხვები. დელფო და დელოსი მათი გათხრილი და შესწავლილია. დელფოში მუშაობდნენ ვეშერი, ფუკარი და განსაკუთრებით ინტენსიურად – ომოლი. მან აპყარა სოფ. კასტრი, რომელიც ძველი დელფოს ადგილზე იყო. XX ს-ის დასაწყისისათვის მარტო დელფოში, აღმოაჩინეს 6000 წარწერა, ხოლო დელოსზე ამავე დროისათვის – 3000.

შემდეგ ათენის ფრანგულ არქეოლოგიურ სკოლაში უცხოური განყოფილებებიც შეიქმნა და გათხრებში უცხოელებიც იღებენ მონაწილეობას. მაგ., პოლანდიელი ფოლგრაფი თხრის არგოსს, ხოლო ბელგიელი დემულენი – ტენოსს.

ბერძნული ეპიგრაფიკის განვითარება უეჭველად არის დაკავშირებული ჟურნალთან *Bulletin de correspondance hellénique*, რომელიც 1881 წლიდან (დღემდე) გამოდის საფრანგეთში და რომელიც მეტ-წილად წარწერების პუბლიკაციას შეიცავს.

ამ დროისათვის (ე.ი. XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში) ბერძნებმა გარდა ათენის არქეოლოგიური საზოგადოებისა კიდევ სხვა არქეოლოგიური საზოგადოებებიც დააარსეს: ერთი კრეტაზე – 'Ελληνικός Σύνστροφος, მეორე – სტამბოლში – 'Ο εν Κωνσταντινουπόλει 'Ελληνικός φιλολογικός Σύνστροφος. ამ ორგანიზაციებს აქვთ თავისი გამოცემები, რომლებშიც სხვა სიძველეებთან ერთად ქვეყნდება ბერძნული წარწერებიც.

1882 წელს კერძო სახსრებით დაარსდა ამერიკული არქეოლოგიური სკოლა, რომელიც საბერძნეთის სხვადასხვა ადგილას აწარმოებდა თხრას – ამ სკოლის მონაპოვართა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია არგოსის პერას ტაძარი (რაც ეფესოს არტემიდის ტაძარს არ ჩამოუვარდებოდა) თავისი წარწერებითურთ, კორინთოს გათხრები (აღსანიშნავი მდიდარი კერამიკული მასალით და არცთუ ასევე უხვი წარწერებით), აქ ყურადღებას იპყრობს ებრაული სინაგოგა, სადაც, როგორც ჩანს, პაეღე მოციქული ქადაგებდა, I ს-ის ბერძნული ქრისტიანული წარწერები სირიიდან, სარდეს არტემიდის ტაძარი და ბევრი, განსაკუთრებით საფლავის წარწერები და სხვ.

ამ სკოლას ჰქონდა ჟურნალი *American journal of archaeology*, რაც დღესაც არსებობს და სადაც ქვეყნდებოდა სხვა სახის სიძველენიცა და წარწერებიც.

1886 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორის რ. კ. ჯების (Jebb) ინიციატივით ყალიბდება *British School at Athens*, რაც კერძო სახსრებით არსებობდა. ამ სკოლის მონაპოვარი ქვეყნდებოდა მათსავე ორგანოში, *The journal of hellenic studies*, რაც დღემდე არსებობს. ამ ორგანიზაციის გათხრილია ნაეკრაგისი (ეგვიპტეში), სადაც ბევრი VII-VI სს-ის ვაზა აღმოჩნდა წარწერებით, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ ბერძნული ანბანის ისტორიისათვის, კეიპროსი, ეფესო (არტემიდის ტაძრის ირგვლივ), სპარტა (არტემიდის IX-VIII სს-ის ტაძარი) და 1900 წლიდან კრეტა. ამ საზოგადოების მოღვაწეთა შორის არ შეიძლება რომ არ მოვიხსენიოთ ა. ევანსი, ოქსფორდის ერთ-ერთი მუზეუმის მცველი, რომლის გათხრებმა თითქმის გადააჭარბა მლიმანის აღმოჩენებს (ტროა, მიკენი, გირინთი). მისი აღმოჩენილია კრეტაზე კნოსოსის სასახლე და უამრავი გემა და თიხის ფირფიტა, რომლებზედაც იყო მოგბე პიქტოგრაფიული წარწერები და მოგბე – მანამდე უცნობი ნიშნები, რაც ასოებს ჩამოჰგავდნენ, რასაც შემდეგში A და B-ხაზოვანი წარწერები ეწოდა.

1898 წელს ავსტრიაში ჩამოყალიბდა *Archäologisches Institut in Wien*, რომელსაც თავისი ფილიალები ჰქონდა ათენში, სმირნასა და სტამბოლში.

ამ საზოგადოებამ გათხარა ეფესოში შემდეგი, ე.ი. ელინისტური და რომაული ხანის ფენები (მაგ., ბიბლიოთეკა), გამოაქვინა 400 წარწერა. ლიდიამი იპოვა ლიდიური წარწერები. პალიკარნასისა და მოგი სხვა წარწერა გამოაქვეყნა ა. ვილჰელმმა, რომელსაც ეკუთვნის აგრეთვე (სხვა შრომათა შორის) 1909 წელს გამოცემული *Beiträge zur griechischen Inschriftenkunde* (89 ნიმუშითურთ).

1899 წელს დაარსდა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა 1909 წლისათვის იტალიელთა არქეოლოგიური სკოლა ათენში. იტალიელები მანამდეც დიდი ხნის განმეალობაში სწავლობდნენ კრეტას. 1884 წ. კრეტაზე ფ. ალბერმა (Halbherr) სოფ. "Αγιοι Δέκα-სთან აღმოაჩინა ცნობილი გორტინის კანონები, რომლის პირველი და საუკეთესო გამოცემა ეკუთვნის იტალიელსავე D. Comparetti-ს (*La legge di Gortyna: Monumenti antichi*, 1893 წ. შემდეგი გამოცემების შეს. იხ. ქვემოთ).

იტალიელებმავე გათხარეს 1900 წ. ფესტოსი (იმავე კრეტაზე), სადაც აღმოჩნდა ასევე დიდი სასახლე, თიხის ფირფიტები და სხვა ნივთები (კნოსოსის მსგავსი) წარწერებით; ამ ნივთთა შორის ყურადღებას

იპყრობს ცნობილი ფესტოსის დისკო თავისი წარწერით, რაც დღემდეა მეცნიერთა სჯის ობიექტი.

ევროპელ მეცნიერთაგან კიდევ ბევრი მოღვაწეობდა ამ პერიოდში ბერძნული ეპიგრაფიკის სფეროში, მაგრამ ყველას ჩამოთვლა და შეფასება შორს წაგვიყვანს.²⁰

XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში რუსი მეცნიერებიც ჩნდებიან ბერძნული ეპიგრაფიკის შემსწავლელთა შორის. რუსეთში ბერძნული ეპიგრაფიკის მამამთავრად ითვლება თ. სოკოლოვი, 1867 წ-დან პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი (გარდ. 1909 წ-ს), რომელიც მუშაობდა ბერძნული ეპიგრაფიკის საკითხებზე და თავის ნაშრომებს აქვეყნებდა ჟურნალებში – *Журнал министерства народного просвещения* და *Klio*-ში.

თ. სოკოლოვი წარწერების შესწავლას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და პირდაპირ ამბობდა: „Надписи (являются) краеугольными камнями всей науки о классической древности“. თავდაპირველად რუსეთიდან მივლინებით იგზავნებოდნენ საბერძნეთში ახალგაზრდები, რომ იქ, ადგილზე პრაქტიკულად, თუ თეორიულად შეესწავლათ ეს დარგი. მათ შორის პირველები იყვნენ ვ. იერნშტედტი და ე. ლაგოშევი, რომლებმაც 2 წელი გაატარეს საბერძნეთში (სხვათა შორის ე. ლაგოშევა იქ აღმოაჩინა მანამდე უცნობი წარწერები), შემდეგი წარგზავნილები იყვნენ კოროლკოვი, ნიკიტსკი, ნოვოსადსკი და სხვები, რომელთაც დიდი ღვაწლი დასდეს ბერძნული ეპიგრაფიკის შესწავლას არა მხოლოდ რუსეთის მასშტაბით.

მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ბერძნული ეპიგრაფიკის შესწავლის დარგში კონსტანტინოპოლის რუსულმა არქეოლოგიურმა ინსტიტუტმა 1895 წ-დან. ეს ინსტიტუტი ძირითადად ბიზანტიის კულტურას სწავლობდა, მაგრამ არანაკლებ ყურადღებას აქცევდა ძველბერძნულ მასალასაც. ამ საზოგადოებაში თანამშრომლობდნენ სახელგანთქმული რუსი ბიზანტინისტები, არქეოლოგოსები და ეპიგრაფიკოსები: თ. უსპენსკი, ბ. ფარმაკოვსკი, ა. ნიკიტსკი, ნ. ნოვოსადსკი, ე. პრიდიკი და სხვები.

XIX ს-ის მეორე ნახევარში თვით რუსეთში თანდათანობით ყალიბდება არქეოლოგიური საზოგადოებები: პეტერბურგისა, ოდესისა და მოსკოვისა, Имп. Русское арх. общ., Одесское общ. Истории и Древностей, Моск. арх. общ. შესაბამისი ჟურნალებით, რომელთა მიზანი ძირითადად არქეოლოგიური თხრაა, მაგრამ რომლებიც თხრას-

²⁰ უფრო დაწვრილებით ამის შეს. Н. Новосадский, Греческая эпиграфика, I, 1915 წ. W. Larfeld, Griechische Epigraphik, 3 1914.

თან დაკავშირებით ეპიგრაფიკულ მასალასაც აქვეყნებენ, სწავლობენ. ამ საზოგადოებათა შესასწავლ ობიექტს უპირატესად შავი ზღვის ჩრდილოეთი სანაპირო წარმოადგენს (თუმცა ისეთი შემთხვევებით გვაქვს, რომ აბამელექ-ლაზარევმა პალმირაში იპოვა წარწერა და რუსეთში გადმოიტანა, პრიდიკმა თესალიის წარწერა გამოაქვეყნა, რამდენიმე წარწერა გამოაქვეყნეს უსპენსკიმ, როსტოვეცმა და სხვ.).

ამ თაობის რუს ეპიგრაფიკოსთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. ლაგიშევი, რომელსაც ცალკეული წერილებისა და პაგარა კრებულების გარდა ეკუთვნის *Inscriptiones antiquae orae septentrionalis Ponti Euxini graecae et latine*, რომელიც გამოვიდა 3 ტომად (I, II, IV) 1885-1901 წლებში (I ტ. განმეორებით 1916 წ.) და შეიცავს 1200 წარწერას (ამ სერიის III ტომი უნდა გამოეცა პრიდიკს – წარწერები კერამიკაზე. ეს ტომი დღესაც გამოუცემელია და მისი მასალა ხელნაწერის სახით ინახება მოსკოვის არქივში და ამისი პირი შეგერბურგის „ერმიტაჟში“).

1895 წელს გამოვიდა ვ. ლაგიშევის შრომა „Сборник греческих надписей христианских времен из Южной России“, რაც ქრისტიანული ბერძნული წარწერების ერთი პირველი კრებულთაგანია.

ამ თაობის მოღვაწეთა შორის არ შეიძლება არ აღინიშნოს ნ. ნოვოსადსკის ღვაწლი. ცალკეული წერილები და შრომები რომ არ განვიხილოთ, გვერდს ვერ ავუვლით მის სალექციო კურსს „Греческая эпиграфика“ (I და II გამოცემა 1909 და 1915 წლებში). ეს წიგნი წარმოადგენს ავტორის მიერ განზრახული შრომის I ნაწილს, ან უკეთ შესაეაღს. იგი ძირითადად ეპიგრაფიკის შესწავლის ისტორიაა, ხოლო საკუთრივ ეპიგრაფიკის ბევრი ძირითადი საკითხი (წერის ხერხები, დამწერლობის ტიპები, მნიშვნელოვანი წარწერები და მათი გარჩევა) უთუოდ II ნაწილისთვის იყო გადადებული.

კავკასიისა და კერძოდ საქართველოს სიძველეებისა თუ ბერძნული წარწერების შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარეს ა. უვაროვს და მის მეუღლეს, პ. უვაროვას. უშუალოდ ა. უვაროვის ინიციატივით V არქეოლოგიური ყრილობისათვის, რომელიც შედგა თბილისში, ი. პომიანოვსკიმ გამოსცა 1881 წელს „Сборник греческих и латинских надписей Кавказа“. ამ კრებულის შეფასება უფრო დაწერილებით იქნება ქვემოთ, იქ, სადაც საქართველოს ბერძნული წარწერების შესახებ გვექნება ლაპარაკი.

ამოსავალი ბერძნული ეპიგრაფიკის მეცნიერული შესწავლისათვის არის ბეკის მიერ წამოწყებული და 1825-77 წლებში გამოქვეყნებული 5 ტომიანი კორპუსი საკუთრივ ბერძნ. წარწერებისა. დროთა

ვითარებაში დადგა საკითხი მისი შევსების, შესწორების, ახლად გამოცემის. ეს ითავა ბერლინის აკადემიამ და გამოსცა *Corpus inscriptionum Atticarum* 3 ტომად. I წიგნი შეიცავს წარწერებს დასაბამიდან ევკლიდეს არქონგობამდე და მისი რელაქტორია კირხჰოფი. იგი გამოქვეყნდა 1873 წელს (მისი საძიებელი – 1903 წელს). II წიგნი, სადაც მოთავსებულია წარწერები ევკლიდეს დროიდან აქციუმის ბრძოლამდე (402-31 წწ.) კელერის (Koehler) რელაქციით გამოვიდა რამდენიმე ნაკვეთად – 1877, 1883 და 1888 წლებში (საძიებელი 1893 წ. Suppl. 1895 წ.). ასევე რამდენიმე ნაკვეთადაა III წიგნი, რომელიც რომაული ხანის წარწერებს შეიცავს და რომელსაც ღიგენბერგერი ხელმძღვანელობდა. ეს ნაკვეთი გამოვიდა 1878, 1882 და 1897 წლებში. თუ ბეკის კორპუსში ატიკის წარწერა მხოლოდ 981 იყო, ამ გამოცემაში 10000 წარწერაა მხოლოდ ატიკიდან.

1874-1893 წლებში ინგლისში ნატონის რელაქციითა და ჰიქსისა და პირფელდის მონაწილეობით გამოვიდა რამდენიმე ტომად *The collection of ancient Greek inscriptions in the British Museum* (ეს სერია შემდეგ 1916 წ-მდე გაგრძელდა).

1890 წ-დან ბერლინის აკადემიამ მას მერე, რაც ატიკის წარწერების გამოქვეყნება დაამთავრა, სხვა ქვეყნების წარწერების გამოცემას მოჰკიდა ხელი. 1820 წელს გამოქვეყნდა სიცილიის, იტალიის, plus საფრანგეთის, ესპანეთის, ინგლისისა და გერმანიის წარწერები. განსაკუთრებული ამ პუბლიკაციისას ის იყო, რომ წიგნში შეტანილი იქნა წარწერები *instrumenta domestica*-ზე (საოჯახო ნივთებზე). ამ გამოცემას ხელმძღვანელობდა G. Kaibel-ი. 1892 წელს ბერლინის აკადემიამ ჩრდილო საბერძნეთის წარწერები გამოაქვეყნა (მეგარიდა, ოროპოსი, ბეოტია). ამავე ტომის II ნაწილის, ანუ დელფოს წარწერების გამოქვეყნება გერმანიის აკადემიამ ფრანგებს დაუთმო. ამ ტომის III ნაწილი 1897 წ-ს გამოიცა.

ეგეისის ზღვის კუნძულების წარწერები 1895 წ-დან ქვეყნდებოდა 9 ნაკვეთად. ამ ტომს პილერ ფონ გერტრინგენი ხელმძღვანელობდა.

ვენის სამეცნიერო საზოგადოება მცირე აზიის წარწერებზე მუშაობდა, მას ეკუთვნის 1901 წლის გამოცემა შრომისა *Tituli Asiae Minoris*, რომლის რელაქტორი იყო კალინკა (ხოლო ეს ნაშრომი დაფუძნებული იყო მცირე აზიის სხვადასხვა ქვეყნებში მომუშავე ავსტრიელი მეცნიერების – ნიმანის, პეტერსენის, ლუმანის, ჰებერდეს, ვილჰელმის და სხვ. პუბლიკაციებზე).

1902 წ-ს გამოდის პელოპონესის წარწერები მაქს. ფრენკელის რელაქციით. რუს ეპიგრაფისტებს (ნოვოსადსკისა და ნიკიტსკის) არ მოს-

წონთ ეს გამოცემა და მის შესახებ ნიკიტსკიმ კრიტიკული წერილიც კი გამოაქვეყნა.

1903 წელს ულრიხ ფონ ვილამოვიც-მელენდორფის წინადადებით მთელ იმ სერიას, რაც ბუკის შემდეგ იკისრა და გამოაქვეყნა ბერლინის აკადემიამ (ან სხვა რომელიმე ორგანიზაციამ), დაერქვა *Inscriptiones graecae*. ვილამოვიცი თვითონ ჩაუდგა სათავეში ამ საქმეს და მთელი მასალა 15 ტომად ივარაუდა (ზოგი ტომი რამდენსამე წიგნს შეიცავდა). მასალა ძირითადად გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით განაწილდა, მაგრამ სამწუხაროდ ის ყოველთვის დაცული არ არის (მაგ., X ტომი თრაკიისა და სკვითიის წარწერებს შეიცავს, ხოლო მის მომდევნო XI-ში დელოსის წარწერები კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ პელესპონგისა და ა.შ.). დღეისათვის გამოცემულია *Inscriptiones Graecae*-ს 15 ტომი, 45 ნაკვეთი. ზოგი ტომი შეიცავს ძველ მასალას. მაგ., XIV ტომია *Siciliae et Italiae*, აღრინდელი G. Kaibel-ის გამოცემის მიხედვით არის წარმოდგენილი, მაგრამ ეპიგრაფიკის სახელმძღვანელოებსა და საცნობარო ლიტერატურაში აღნიშნულია ახალი ნაშრომები, რომლებიც ავსებენ გ. კაიბელის ამ 100 წლის წონ გამოსულ კრებულს. IG-ს სერიას აკლია VI ტომი (ელიდისა და აქაიის წარწერები), VIII – დელფოს წარწერები (ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცალკე სერიად ნაევარაუდები *Inscriptiones Delphorum* არ მზადდება, 1977 წელს გამოიცა კიდევაც I ტომი). X ტომი (*Inscr. Epiri, Macedoniae, Thraciae, Scythiae*) არაა სრული (თუმცა არსებობს ცალკეულ მხარეთა წარწერების დამოუკიდებელი კრებულები: ლატიშევის, მიხაილოვის და სხვ.) ასევე არაა XIII ტომი *Inscriptiones Graecae* (თუმცა არსებობს მ. გუარდუჩის მიერ ამავე სახელით გაკეთებული ცალკე გამოცემა, მისი სახელით და არა ამ სერიით).

ბერლინის აკადემიამ 1913-1957 წწ-ში გამოსცა *IG Editio minor*, ასევე სადღეისოდ არსებობს 26 *Supplementum*, რადგან დღითი დღე იზრდება ბერძნული წარწერების რაოდენობა და ამ SEG-ით ხდება IG-ს შევსება. გარდა IG-ს კორპუსისა და მისი შემავსებელი ცალკეული სერიებისა, დიდად მნიშვნელოვანია ზოგიერთი ეურნალი. მაგ., ამერიკელები თხრიან ათენის აგორას და რეზულტატები ქვეყნდება ეურნალში *Hesperia*, რომელიც 1932 წ-დან დღემდე განაგრძობს არსებობას. ექსპედიციის სხვა მონაპოვრებთან ერთად ბევრი ახალი წარწერაა ამ ეურნალში გამოქვეყნებული. ამავე ექსპედიციის მონაპოვარია 4 ტომად გამოქვეყნებული (1939-1953 წწ-ში) *Athenian tribute lists*. ატიკის წარწერების შესწავლის საქმისათვის ბევრი გააკეთა *Institute for Advanced Study*-მ (Princeton-ში).

ძალიან მნიშვნელოვანია ბერძნული ეპიგრაფიკისათვის J. და L. Robert-ების მიერ პარიზში დაარსებული ჟურნალი *Revue des études grecques*, რომელიც დღემდე გამოდის და მხოლოდ ეპიგრაფიკული მასალის მიმოხილვას არ წარმოადგენს. ასევე დიდად მნიშვნელოვანი ფრანგული ჟურნალია (ზემოთ უკვე ხსენებული) *Bulletin de correspondance hellénique*, დაარსებული 1881 წ-დან; იგი დღემდე გამოდის და უპირატესად ეპიგრაფიკულ მასალას შეიცავს, მაგრამ პუბლიკაცია იმ სახით არ ხდება, როგორც ეს დღეს საჭიროდ მიგვაჩნია (მოცემულია წარწერები არა ფაქსიმილეების სახით, დაბეჭდილია ჩვეულებრივი სტამბური მინუსკულით და მის მომხმარებლად, როგორც ჩანს, ძირითადად განსწავლული ეპიგრაფისტი ივარაუდება).

ინგლისში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში დაარსდა *Journal of Hellenic Studies*, რასაც ჩვენი საუკუნის 50-იანი წლებიდან M. N. Tod-ი ხელმძღვანელობს. ლაიდენში (პოლანდიაში) 1923 წ-დან J. J. E. Hondius-მა დააარსა და მის შემდეგ ინგლისელი ეპიგრაფისტი A. G. Woodhead-ი ხელმძღვანელობს სერიას – *Supplementum Epigraphicum Graecum*. ხოლო იმავე პონდიუსმა 1938 წ-ს გამოაქვეყნა *Saxa loquuntur*²¹. 1939 წ-დან მილანში A. Calderini-მ დააარსა ჟურნალი *Epigraphica. Rivista italiana di epigrafia*, რაც წარმოადგენს იტალიაში ძირითად ორგანოს ბერძნული ეპიგრაფიკის სფეროში. შავი ზღვის დას. სანაპიროს, ბულგარეთის ტერიტორიაზე მოპოვებული ბერძნული წარწერები გამოქვეყნებულია 5 ტომად მიხაილოვის მიერ. *Inscriptiones graecae in Bulgaria reperte* (1956ff.). ასევე ბულგარეთის ბერძნული წარწერების პუბლიკაციაა V. Beshevliev-ის, *Spätgriechische und spätlateinische Inschriften aus Bulgarien*, Berlin 1964. რუმინეთის წარწერები გამოაქვეყნა I. Stoian-მა, Tomitana, 1962 წ.²²

მსოფლიოში არსებული ყველა ეპიგრაფიკული ჟურნალის და ახალი პუბლიკაციების აღნუსხვა შორს წაგვიყვანს, ძირითადი თითქოს მოვიხსენიეთ.

ყოფილ საბჭოთა კავშირში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე, რასაც ძირითადად ხელმძღვანელობდნენ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები, მუზეუმები და

²¹ კლაფენბახი წერს: „Ein ausgezeichnete Führer durch das Gesamtgebiet der inschriftlichen Publicationen und Sammlungen ist das Buch von J. J. E. Hondius „Saxa loquuntur,“ Leiden, 1938 წ. (გვ. 21) პოლანდიურ ენაზე.

²² აქ წარმოდგენილი ბიბლიოგრაფია სრული არ არის, უფრო დაწვრილებით იხ. ლარფელის, კლაფენბახის, ეულპელის, გუარდუჩის შრომებში.

ადგილობრივი, უკრაინისა და კერძოდ ყირიმის გერიტორიაზე არსებული შესაბამისი დაწესებულებები. -

ამ ექსპედიციების მონაპოვარი გამოქვეყნებულია ჟურნალებში *Вестник Древней Истории, Советская Археология*.

როგორც მთხრელი არქეოლოგების მიერ, ასევე სპეციალისტი ეპიგრაფისტიკის მიერ ბოლო წლების დიდ პუბლიკაციათა შორის აღსანიშნავია ვ. ლაგიშვილის კორპუსის საფუძველზე შემოწმებულ-შესწორებულ-შეესებული КБН: Корпус Боспорских надписей, под редакцией В. В. Струве (სარედაქციო კოლეგიაში შედიან გიხომიროვი, გააღუკევიჩი, დოვაგური, კალისტოვი, კნიპოვიჩი), М. Л. 1965 წ. კრებული „Надписи Ольвии, Л-д 1968, под редакцией Т. Н. Книповичи, Е. И. Леви შეიცავს ოლვიაში აღმოჩენილ 1917-1965 წწ-ის წარწერებს და ე. სოლომონიკის მიერ გამოქვეყნებული: Новые эпиграфические памятники Херсонеса, Киев, 1964; Новые эпиграфические памятники Херсонеса (Лapidарные надписи), Киев, 1973.

ყველა შემთხვევაში მოხსენებული კრებული, თუ ცალკეული პუბლიკაცია ძირითადად ეხება ძვ. ბერძნულ, წარმართული ხანის წარწერებს, რომლებიც გაცილებით მეტად იქცევენ ყველთვის ეპიგრაფიკის სპეციალისტთა ყურადღებას, ვიდრე ქრისტიანული ხანის წარწერები. მათი საკითხი დაისვა ბიზანტიანოლოგიის განვითარებასთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ 1898 წ-ს Bulletin de correspondance hellénique-ის ნომერში დაიბეჭდა თ. ომოლის (Th. Hommolle) წერილი იმის შესახებ, რომ ფრანგული არქეოლოგიური სკოლა აპირებს ბერძნული ქრისტიანული წარწერების გამოცემას. გამოცემის პროექტი გ. მილემ (G. Millet) განიხილა ჟურნალში Byzantinische Zeitschrift (1906 წ. XV), რომლის თანახმადაც ქრისტიანული ხანის მთელი მასალა (XIX ს-ის ჩათვლით) უნდა დამუშავებულიყო და შესულიყო სერიაში Inscriptions graecae. ამ მიზანდასახულებას დიღხანს არ ეღიროსა განხორციელება. 1941 წ-ს ათენში გამოვიდა I წიგნის I ნაკვეთი Isthmos-Korinthos, რომლის შემდგენელიც იყო ნ. ვეისი (N. A. Bees). წიგნს ეწოდება Corpus der griechisch-christlichen Inschriften von Hellas. 1946 წ-სათვის ივარაუდებოდა შემდგომი ნაკვეთი ლიცმანის, სოგერიუსა და ვეისის რედაქციით, რაც ღელმდე არ ჩანს. საყურადღებოა, რომ მ. გუარდუჩის Epigrafia greca IV ტომის მეორე ნახევარი წარმოადგენს ქრისტიანული ხანის ბერძნული წარწერების სპეციალურ მიმოხილვას. მასალა დალაგებულია გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით (აქ შესულია არა მარტო საბერძნეთის, არამედ სხვა ქვეყნების - იტალიის, მცირე აზიის, ეგვიპტის და ა.შ. წარწერები). ყოველ წარწერას წინ უძღვის აღმოჩენის ადგილი, თარიღი და შინაარსობრივი შეფასება. ცხადია, ეს არაა

სრული კორპუსი ბერძნული ქრისტიანული ხანის წარწერებისა, მაგრამ ესაა ერთადერთი მოგადი ხასიათის ნაშრომი ბერძნულ ეპიგრაფიკაში, სადაც ამდენი ადგილი აქვს დათმობილი ქრისტიანული ხანის წარწერებს.

ცალკეულ კუთხეთა ქრისტიანული ბერძნული წარწერები სხედასხვა დროს სხვათა მიერაც არის გამოცემული. მაგ., Ch. Bayet, *De titulis Atticae christianis antiquissimis*, 1878 წ. G. Millet, J. Pargoire et L. Petit, *les inscriptions chrétiennes de l'Asie Mineure (Mélanges d'archéologie et d'histoire, 1895, XV)*. H. Grégoire, *Recueil des inscriptions grecques chrétiennes d'Asie Mineure, I*, 1922. J. S. Creagh and A. E. Raubitschek, *Early christian epitaphs from Athens (Hesperia, 1947. XVI და Theological studies, 1947. V+54 p. p.)*.

რუს ავტორთაგან აღსანიშნავია ვ. ლაგიშვილის შემოთ უკვე სხუბებული, *Сборник греческих надписей Христианских времен из Южной России, 1895 წ.* და *К истории христианства на Кавказе: Греческие надписи из Ново-Афонского монастыря, СПб, 1911.*

გასული საუკუნის მიწურულსა და ჩვენი საუკუნის მთელ მანძილზე იცემა ბერძნული წარწერების კრებულები, სადაც წარწერათა გამორჩევა და დაჯგუფება ხდება რაიმე ერთი ნიშნის მიხედვით. მაგ., Em. Loewy, *Inscripfen griechischer Bildhauer – Leipzig, 1885.*

J. Marcadé, *Recueil des signatures de sculpteurs grecs, Paris. 1953.*

F. G. Maier, *Griechische Mauerbauinschriften, I. Heidelberg, 1959*

R. Cagnat, *Inscriptiones graecae ad res Romanas pertinentes, I – 1901, II – 1906, IV – 1927. Paris.*

Inscripfen griechischer Städte aus Kleinasien. I. hrsg. von Engelmann u. Merkelbach, Bonn, 1976.

H. Collitz und F. Bechtel, *Sammlung der griechischen Dialekt-Inscripfen, 4 Bde. Göttingen 1884-1915.*

R. Dareste, B. Haussoullier, Th. Reinach, *Recueil des inscriptions juridiques grecques, 2 ტომად, Paris, 1891-1905.*

J. Kirchner, *Prosopogesia Attica, I – 1901, II – 1903. Berlin (შეიცავს აგიკის მოქალაქეთა, ქალთა და მამაკაცთა, არქონგთა და სხვათა სახელებს წარწერათაგან და მონეტათა ლეგენდებიდან ამოღებულს).*

K. Meisterhans, *Grammatik der attischen Inscripten, 1900 წ.*

E. Nachmanson, *Historische attische Inscripten, 1913 წ.*

P. Kretschmer, *Die griechische Vaseninschriften ihrer Sprache nach untersucht, Gütersloh, 1894 წ.*

M. N. Tod, *A Selection of Greek Historical Inscripten, Oxford. I – 1946, II – 1948 (მანამდე ამავე ტიპის იყო 1901 წ-ს გამოცემული E. L.*

Hicks და G. F. Hiell-ის მიერ A manual of Greek historical inscriptions. ისტორიის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წარწერები აქვს გამოკრეფილი W. Dittenberger-ს: Sylloge Inscriptionum graecarum (III გამოც.). 3 ტომად + საძიებელი (შედგენილი ჰილერ ფონ გერგრინგენის, კირხნერის, პომპოვის, ციბარტის მიერ), Leipzig, 1915-1924 წწ. მისივეა, ამავე ხასიათის კრებული Orientis graeci Inscriptiones selectae, 2 ტომად, Leipzig, 1903, 1905 წწ. (ორივე ნაშრომი ლათინური კომენტარებით).

ამ ნაშრომებს დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. Ch. Michel, Recueil d' inscriptions grecques, Brüssel, 1897-1900 (სადაც წარწერები სამად არის დაჯგუფებული: პოლიტიკური, რელიგიური და საკანონმდებლო) Suppl. 1912 წ-ს.

W. Peek, Griechische Vers-Inschriften, Berlin, 1955 (I – Grab-Epigramme, მისივე, Griechische Grabgedichte, Berlin, 1960 (და იმავე ავტორის მიერ ამის მომდევნო 20 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული უამრავი წარწერა, სწორედ ასე, გამოცალკეებით უპირატესად საბერძნეთის რომელიმე კუთხის მიხედვით დაჯგუფებული).

E. Schwyzer, Dialectorum graecarum exempla epigraphica და სხვ.²³

უკანასკნელი დაახლ. 170 წლის განმავლობაში ბევრი სერიოზული მონოგრაფია შეიქმნა ბერძნული ეპიგრაფიკის თუ ზოგადი, თუ ცალკეული საკითხების შესახებ. მათ შორის უეჭველად, აღსანიშნავია: პირველი, ზოგადი თეორიული ხასიათის ნაშრომი ბერძნული ეპიგრაფიკის სფეროში (რომელსაც უმთავრესად ის მნიშვნელობა აქვს, რომ ის პირველია), ბეკის მოწაფისა და თანამშრომლის, Johannes Franzius-ის Elementa epigraphicae graece, Berlin, 1840.

ამის შემდეგ, როგორც ზემოთ მიმოვიხილეთ, ეპიგრაფიკაში ბევრი რამ გაკეთდა და მონოგრაფიებიც, რომლებიც შემდეგ შეიქმნა, უკვე სრულიად სხვა დონეზე იდგნენ. ასეთებია: E. S. Roberts-ის მიერ კემბრიჯში გამოცემული An Introduction to Greek Epigraphy, I ტ. 1887 წ., რომელიც შეიცავს არქაულ ბერძნულ წარწერებს და ბერძნული ანბანის წარმოშობის საკითხებს, II ტ. – 1905 წ. E. A. Gardner-თან ერთად – ატიკურ წარწერებს თავისი კომენტარებით.

S. Chabert-ის Histoire sommaire des études d' épigraphie grecque, Paris, 1906.

G. Hinrichs, Griechische Epigraphik (ივან მიულერის Handbuch-ში, I ტ. 1886 წ.). იმავე ივან მიულერის Handbuch der Altertumswissenschaft-ში 1892 წ-ს გამოდის W. Larfeld-ის Griechische Epigraphik (III გამოცემა –

²³ სია სრული არ არის. უფრო დაწერილებით იხ. Woodhead... გვ. 95 და შმდ. Klaffenbach... გვ. 24 და შმდ.

München, 1914 წ.). ე. ლარფელდსავე ეკუთვნის Handbuch der griechischen Epigraphik 2 ტომად. I წარმოადგენს შესავალსა და დამხმარე დისციპლინების მიმოხილვას (ლაიფციგი, 1907 წ.), ხოლო II – ატიკურ წარწერებს ეხება (ლაიფციგი, 1902 წ.).

ბერძნული ეპიგრაფიკის დარგში ამათმე უფრო სრულყოფილი ნაშრომი არ არსებობს, როგორც მასალის სიუხვის და სიზუსტის თვალსაზრისით, ასევე საკითხების დასმის მხრივაც (ცხადია, აქ გასათვალისწინებელია ის ახალი მონაპოვარი ბერძნული ეპიგრაფიკის დარგში, რაც 1914 წლის შემდეგ აღმოჩნდა და რაც, ცხადია, ვერ აისახებოდა ლარფელდის გამოკვლევებში).

T. Hiller von Gaertringen-მა (რომელსაც ეკუთვნის IG-ში თითქმის მთელი კუნძულების წარწერათა დამუშავება) Gercke-Norden-ის სერი-აში (Einleitung in die Altertumswissenschaft) I ტ-ის მე-9 რეველში გამოაქვეყნა განმამოგადებელი ნაშრომი Griechische Epigraphik, 1924 წ-ს, ნაშრომი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ თავისი მონუმენტურობით ლარფელდის „ეპიგრაფიკა“ მას ბევრად აღემატება.

უახლესი ნაშრომებია ბერძნული ეპიგრაფიკის დარგში G. Klaffenbach-ის Griechische Epigraphik, Göttingen (I გამოც. 1957 წ. II გამოც. 1966 წ.). წიგნი დაახლ. 100 გვერდს შეიცავს და შესაბამისად სქემატურიც არის. ისე, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს იმ მიღწევებს, რაც ამ დისციპლინას აქვს მისი დროისთვის. უნდა შეინიშნოს, რომ თავისი აგებულებით კლაფენბახის ნაშრომი მეტ-ნაკლებად ჩამოჰგავს ლარფელდის წიგნს.

A. G. Woodhead-ის The Study of greek inscriptions გამოიცა კემბრიჯში (I გამოც. 1959 წ., II – 1981 წ.). ეს ნაშრომი აღნაყობით სრულიად განსხვავდება გერმანელთა მემოთხსენებულ წიგნთაგან. იგი სვამს ზოგიერთ მეთოდოლოგიურ საკითხს (მაგ., უთარილო წარწერის დათარიღების მეთოდიკა, წარწერათა გამოქვეყნების წესები etc.). წიგნი საინტერესოა, მაგრამ ვერც ის ცვლის მასზე 1/2 საუკუნით ადრე გამოქვეყნებულ ლარფელდის „ეპიგრაფიკას“. აღსანიშნავია, რომ კლაფენბახიც და ვულჰეიც თავიანთ ნაშრომებს მიიჩნევენ სასწავლო და სასტუდენტო წიგნებად, არასპეციალისტებისთვის გამოსაყენებლად და მათ კვლევის თვალსაზრისით დიდ მოთხოვნებს არ უყენებენ. ვფიქრობ, ავტორები აქ მეტისმეტ თავმდაბლობას იჩენენ. ორივე წიგნი ძალიან საჭიროა და სპეციალისტიც ნახავს მათში ახალსა და თავისთვის სასარგებლოს.

1961 წ. გამოქვეყნდა Lilian Jeffery-ს The local scripts of archaic Greece, Oxford. ცხადია, საკითხი უფრო კონკრეტულია, მაგრამ მასში ამ კარდინალურ საკითხთა საინტერესო (და ჩემი თვალსაზრისით დამა-

ჯერებელი) გადაწყვეტა. 1965 წ-ს მიუნჰენში გამოვიდა P. Phohl-ის Griechische Inschriften, ხოლო 1977 წ-ს დარმშტადტში მისივე Das Studien der griechischen Epigraphik. ეს ნაშრომები უფრო მოგადი ხასიათისაა, ბევრი ნიმუშია მოყვანილი (არა ფაქსიმილეების სახით), ამდენად პრაქტიკულად ძალიან გამოსაყენებელი, მაგრამ თეორიული დონით კლაფენბახის ნაშრომს არ აღემატება.

1967-1978 წწ-ში M. Guarducci რომში აქვეყნებს 4 დიდი მოცულობის ტომად Epigrafia Greca -ს. გამოცემა პოლიგრაფიულად უმაღლეს დონეზეა შესრულებული, წიგნებს უამრავი საილუსტრაციო მასალა ახლავს (თითქმის ყველა წარწერის, რომელსაც ეხება) და ავტორს საკუთარი კონსეფციაც აქვს ბერძნული ეპიგრაფიკის ძირითადი საკითხების მიდგომისას. განმეორებით მინდა შეეჩერდე რუსულ ენაზე არსებულ ერთადერთ განმამოგადებელ ნაშრომზე, რომელიც ეკუთვნის ნ. ნოვოსადსკის, Греческая эпиграфика, часть I, (I გამოც. 1909 წ., II – 1915 წ. მოსკოვში), რაც არსებითად წარმოადგენს ეპიგრაფიკის შესწავლის ისტორიას და რასაც სხვა მსგავს ნაშრომებთან შედარებით განმასხვავებელი აქვს მთელი დიდი თავი რუსეთში არქეოლოგიური თხრისა და ეპიგრაფიკული ძეგლების მოპოვება-დამუშავების შესახებ. სამწუხაროა, რომ ავტორმა ამ შრომის II ნაწილი არ გამოაქვეყნა. ნ. ნოვოსადსკისავე ეკუთვნის სტატია „Античная эпиграфика в СССР за 20 лет (1917-1937): ВДИ, 1938 № 4(5), с. 200-213, რომელშიც მოცემულია რუს მეცნიერთა (ყბელიოვი, პრიდიკი, გრაკოვი...) შრომების მიმოხილვა, ამ შრომების მოკლე ანოტაცია და შეფასება. მასალა ძირითადად ან საბერძნეთისაა, ან შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროსი.

1953 წ-ს გამოქვეყნდა ი. გოლსტოის „Греческие граффити древних городов Северного Причерноморья“ (პეგერბურგის „ერმიტაჟში“ დატული კოლექციების საფუძველზე), ხოლო 1960 წ-ს მოსკოვში გამოიცა თ. პეტროვსკის რედაქციით, შესავლითა და თარგმანითურთ „Греческая эпиграмма“. 1964 და 1973 წლებში ორ წიგნად გამოვიდა ე. სოლომონიკის „Новые эпиграфические памятники Херсонеса“, ხოლო მისივე „Граффити херсонесской хоры“, 1984.

ყრილობა – კონფერენციები

ყველა ყრილობა და კონფერენცია რომ არ ჩამოეთვალათ, რაც ამ 60-70 წლის მანძილზე ჩატარებულა ბერძნულ-ლათინური ეპიგრაფიკის დარგში, არ შეიძლება არ ვახსენოთ 1931 წელს ლაიპციგში (პოლანდია) ჩატარებული თათბირი, რომელზედაც იდგა დიდად

მნიშვნელოვანი საკითხი – როგორ უნდა გამოიყენოს ემიგრაციული ძეგლი. ის პირობები, რაც მიიღო ამ ბჭობამ, მიღებულია დღეს საყოველთაოდ წარწერებისა და ხელნაწერ-ჰაპირუსების გამოცემისას (ფაქსიმილეს აუცილებლობა, გრანსკრიფცია, ალდგენილი გექსტი. სად ისმის კუთხოვანი ფრჩხილი, სად – დაგეხილი ფრჩხილი, სად – მრავალწერტილი და ა.შ.).

ჩამოთვლილი საერთაშორისო კონგრესებს ბერძნულ-ლათინური ემიგრაციისადმი მიძღვნილს (გამორჩევით ბერძნული ემიგრაციის კონგრესები არ არის):

I ჩატარდა ამსტერდამში 1938 წ. II – პარიზში 1952 წ. III – რომში 1957 წ. IV – ვენაში 1962 წ. V – კემბრიჯში 1967 წ. VI – მიუნჰენში 1972 წ. VII – რუმინეთში 1977 წ. VIII – ათენში 1982 წ. IX – სოფიაში 1987 წ. X – ნიმში 1992 წ. (ივარაუდება, რომ ეს კონგრესები 1952 წლის მერე უნდა ჩატარდეს 5 წელიწადში ერთხელ). ბერლინში 1965 წლის აპრილში საზეიმო ვითარებაში გამართეს საერთაშორისო კონფერენცია, მიძღვნილი ბერძნული მეცნიერული ემიგრაციის დაფუძნების 150 წლისთავისადმი (იგულისხმება Βοεχჩი-ის სერიის დაარსება, მისი მოსამზადებელი სამუშაოები, I ტომი, როგორც ცნობილია, გამოვიდა 1825 წელს).

ბერძნული ემიგრაციის შესწავლის ისტორია საქართველოში, და საქართველოს ტერიტორიაზე დაყული ბერძნული წარწერების შესწავლის ისტორია.

საქართველოში აღმოჩენილი და დაყული ბერძნული წარწერების სპეციალური მეცნიერული შესწავლა მხოლოდ უკანასკნელი 70 წლის საქმეა. მანამდე ცნობები ამ წარწერათა შესახებ მიმობნეული იყო XIX-XX სს. ქართველ მოღვაწეთა შრომებში და არაქართველ მოგზაურთა თხზულებებში. არცერთი ეს შრომა არ ყოფილა სპეციალურად ბერძნული ემიგრაციისადმი მიძღვნილი: ზოგი მათგანი საქართველოს ამა თუ იმ კუთხის აღწერილობას ისახავს მიზნად, ზოგი არქეოლოგიურ კვლევას („არქეოლოგიურს“ ძველებური გაგებით, ყოველგვარი სიძველეების მნიშვნელობით), ზოგი კი ხელოვნებათმცოდნეობითი ხასიათისაა. მაგრამ ეს შრომები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ძველი ქართული კულტურის შესწავლა-ათვისებისათვის, სამსახურს უწევენ ბერძნული ემიგრაციით დაინტერესებულ პირებსაც, ოღონდ არაა გასაკვირველი, თუ მათ ამ მხრივ სისრულე და სიზუსტე აკლიათ.

XIX-XX სს. მოღვაწეთაგან საქართველოში დაცული ბერძნული ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის თვალსაზრისით აღსანიშნავი არიან: Fr. Dubois de Montpéreux, Voyage autur du Caucase... v. v. I, II, III, IV, 1839... M. Brosset, Rapport sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l' Armenie, livres I-XII, St. Pé. 1849..., პლ. იოსელიანი, რომლის არაერთი შრომა შეიცავს მითითებებს ბერძნული წარწერების დაცულობის შესახებ: „Путевые записки по Кахетии“, „Описание мартскопского монастыря“, „Жизнь великого моурава кн. Георгия Саакадзе“, „Род князей Чолокаевых“, „Описание древностей Тифлиса“ (1840-1870 წლებში) და სხვ. დიძ. ბაქრაძე, რომლის შრომათაგან განსაკუთრებით ყურადსაღებია: „Сванетия“ (1861 წ.), „Кавказ в древних памятниках христианства“ (1875 წ.) „Арх. путешествие по Гурии и Адчаре“ (1879 წ.) და ნ. კონდაკოვთან ერთად 1890 წელს პეკერბურგში გამოცემული შრომა: „Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии“. გ. წერეთელი, რომლის შრომათაგან აღსანიშნავია „Полное собрание надписей Гелатского монастыря“ (Древности Восточные I, вып. II. М. 1891 г.) და „Археологическая прогулка по Квирильскому ущелью“ (Христианские памятники: МАК, VII, 1898). ექ. თაყაიშვილი, რომლის მრავალრიცხოვან შრომებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საერთოდ ეპიგრაფიკის საკითხებს და, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ქართული წარწერების შეგროვება-კომენტირებას, მაგრამ გზადაგზა, რამდენადაც ერთსა და იმავე ძეგლზე ხშირად ქართულ წარწერებს ბერძნულიც თან ახლავს, ამ უკანასკნელსაც ხვდომია წილად პუბლიკაცია, ან შენიშვნა მაინც მისი არსებობის შესახებ. ექ. თაყაიშვილის შრომათაგან ჩვენი თვალსაზრისით საინტერესოა: „არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“, I, II (1907 და 1914 წწ.); მრავალი წერილი სერიაში „ძველი საქართველო“ I-IV ტტ. (1909-1915 წწ.); „Археологические экскурсии, разыскания и заметки“, Тифлис, I-V вып. (1905-1915 гг.); „Из археологических экскурсий по Гурийским церквам“ (Известия КОМАО, II т. 1, Тифлис, 1907)“; Христианские памятники, экскурсии 1902“ (МАК, XII, 1909 г.); „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმსევანეთში 1910 წელს“ (პარიზი, 1937); „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს (პარიზი, 1938), „არქეოლოგიური ექსპედიცია საქართველოს სამხრეთ პროვინციებში“, 1952, (თბილისი) და სხვ. (ვიმეორებ, აქ, ექ. თაყაიშვილთან მაინც ძირითადად არის ცნობები ბერძნულ წარწერებზე, ან უკეთეს შემთხვევაში თარგმანი ამ წარწერების და არა თვით ბერძნული წარწერები), ასევე ბაქრაძის ბევრ შრომაში...

ბერძნული წარწერების სპეციალური კრებული 1881 წელს გამოიცა, როგორც უკვე ითქვა ზემოთ, ი. პომიალოვსკის მიერ (Сборник греческих и латинских надписей Кавказа). ეს კრებული უკვე 1884 წელს შეფასდა კრიტიკულად. ჟურნალში Berliner philologische Wochenschrift (გვ. 1346-1348) რეცენზენტი პ. პაუპტი გადმოგვცემს ამ კორპუსის წარმომობის ისტორიას და ახასიათებს მას შემდეგი საკითხების მიხედვით: დალაგების პრინციპი (გეოგრაფიული), მეთოდი (მოგზაურების, გეოგრაფოსების, ისტორიკოსების შრომებიდან მასალის გამოკრეფა); დრო (ყველაფერი ერთადაა – ძველი ბერძნული, რომაული, ბიზანტიური და ახალი ბერძნული ხანის წარწერები); და მანერა მისი ღირსება (ის, რომ ასეთი კრებული პირველია კავკასიისათვის). ბოლოს პ. პაუპტი გამოთქვამს სურვილს, რომ ვინმე არქეოლოგოსმა სპეციალურად მოკიელოს ამ საქმეს ხელი. ი. პომიალოვსკის შრომა შეაფასეს ვ. ლაგიშევა და ნ. ნოვოსადსკიმ. უმთავრესი წუნი, რასაც ისინი სამართლიანად სდებენ კრებულს ისაა, რომ მასალა არაა შემოწმებული დედანთა მიხედვით – იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს უკანასკნელი პეტერბურგის „ერმიტაჟში“ იყო დაცული.

ი. პომიალოვსკის ნაშრომის შესახებ შემდეგი მინდა შევნიშნო: მასში თავმოყრილია ბერძნული (უმთავრესად) და ლათინური წარწერები. მათგან მე შევეხები მხოლოდ ბერძნულ წარწერებს და სახელდობრ იმათ, რომლებიც საქართველოს გერიტორიაზე არის აღმოჩენილი. (პომიალოვსკისათვის Кавказ – არის ანაჰაც და ყუბანიც; ნუხაც და მცხეთაც). როგორც კრებულის პატარა წინასიტყვაობიდან ჩანს, ავტორს ევალებოდა შეეკრიბა ბერძნული და ლათინური წარწერები, რისთვისაც მას დაუმუშავებია ძირითადი ავტორები, – მეტწილად მოგზაურები – და ამოუწერია მათ მიერ მოყვანილი ცნობები, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც რომელსამე ავტორს თვით წარწერა არ ჰქონია მოყვანილი, არამედ მხოლოდ მიუთითებდა ასეთი წარწერის არსებობას. წინასიტყვაობაში არსად არის ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ი. პომიალოვსკის ადგილზე ემოწმებინოს მასალა, ამასვე აღნიშნავენ ძველი რეცენზენტები და ამასვე ადასტურებს ჯერ-ერთი თვით შრომა და მერე მის მიერ აღნიშნული ძეგლების ადგილობრივ შესწავლა. ი. პომიალოვსკის შრომა დამყარებულია მხოლოდ და მხოლოდ სხვათა სიტყვაზე. როდესაც მას ხელი ჰქონია ერთისა და იმავე წარწერის შესახებ რამდენიმე ცნობა, ჩვეულებრივ ისინი ერთიმეორისათვის უდარებია და პროფ. დესტუნისისა და აკად. ნაუკის შეხედულებებიც დაურთავს თან. საერთოდ კი იგი უკრიტიკოდ და უკომენტაროდ გადმოგვცემს, რაც მასზე აღრინდელ ავტორებს დაუმუშავებიათ.

ჩვენს წინაშე, უპირველეს ყოვლისა, დგას საკითხი, თუ როგორ გადასჭრა ი. პომიალოვსკიმ დასახული ამოცანა, ე.ი. შეკრიბა თუ არა ყველა გამოცემული წარწერა? ავტორს გამოყენებული აქვს თითქმის ყველა ძირითადი შრომა დაწერილი რუსულ და ევროპულ ენებზე. მასალა ამ შრომებიდან ძირითადად კეთილსინდისიერად არის ამოკრეფილი. მასალა დალაგებული აქვს გეოგრაფიული პრინციპით (აფხაზეთი, სვანეთი, გურია, სამეგრელო, იმერეთი, ქართლი, კახეთი), ხოლო ერთსა და იმავე გეოგრაფიულ პუნქტში არსებულ წარწერებს იგი გადმოგვცემს შემდეგი თანმიმდევრობით: ჯერ წარწერებს მენობებზე (ჩვეულებრივ ეკლესიებზე), ქვებზე და შემდეგ სამღვდელთმსახურო ნივთებზე (ხატებზე, ჯვრებზე, შესამოსელზე). წარწერების გამოქვეყნებისას ი. პომიალოვსკი თავიდან იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას და მთელი კრებული ციტატების სახით აქვს წარმოდგენილი. როდესაც რაიმე ცნობა მოჰყავს, იგი იქვე მითითებს დამატებით ლიტერატურას. ავტორი ზოგიერთი ძეგლის აღწერისას გადმოგვცემს ყველა ცნობას, რაც ლიტერატურაში უნახავს და ბოლოს ურთავს სპეციალისტთა მიერ მათ საფუძველზე გამოთქმულ შეხედულებებს.

რა ღირებულება აქვს ჩვენთვის ი. პომიალოვსკის წიგნს, რომელიც მხოლოდ კრებულია სხვადასხვა შრომებში მოთავსებული ცნობებისა (და ისიც ხშირად არა სრული და არა მუსტად გადმოცემული ცნობებისა?): იგი დიდად მნიშვნელოვანია, რადგან ის დიდხანს იყო ერთადერთი წიგნი, რომელშიც თავმოყრილია ბევრი ცნობა საქართველოში დაცულ ბერძნულ წარწერებზე, რომლებიც გამოქვეყნებული იყო 1880 წ-მდე. ეს წიგნი გახდა გზის მაჩვენებელი მათთვის, ვისაც საქართველოში არსებული ბერძნული წარწერების შეგროვება თუ შესწავლა დასჭირვებია. ი. პომიალოვსკის მიერ ჩატარებული შრომა პირველი და აუცილებელი საფეხური იყო იმისთვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ჩვენში დაცულ ბერძნულ წარწერათა გამოცემა.

საქართველოში დაცული ბერძნული წარწერების სპეციალური მეცნიერული შესწავლა დაახლ. 70 წლის საქმეა. მას მერე, რაც თბილისში ახლად გახსნილ უნივერსიტეტში 1920 წ-დან კლასიკურ ფილოლოგიასა და ბიზანტინოლოგიას სათავეში ჩაუდგა ცნობილი ელინისტი გრ. წერეთელი, ყურადღება მიექცრო საქართველოში ბერძნულ წარწერებსაც. 1922 წელს გრ. წერეთელმა გადმოიღო გრემის ბერძნული წარწერის პირი, წაიკითხა და თარგმნა (სამწუხაროდ წარწერა მას პირადად არ გამოუქვეყნებია, იგი გეხვდება დ. გორდეევის წერილში – თარგმანი, 1924წ-ს. ა. შანიძისა და ვ. ფუტურ-იძის წერილში – დედნის პირი და თარგმანი 1940 წ. და 1948 წ-ს ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“, IV ტ. – დამატების სახით).

ლიგერატურაში არის ცნობა, რომ გრ. წერეთელს წაუკითხავს მცხეთის წარწერები, მაგრამ ეს არ გამოქვეყნებულა, ხოლო ნაწილი დაცულია თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივში ხელნაწერის სახით. 1928 წელს გამოქვეყნდა ა. ამირანაშვილის (შემდეგში იგივე ბოლტუნოვა) Греческие надписи Музея Грузии: საქართველოს მუზეუმის მოამბე, IV, გვ. 189-202. ამ წერილში მოთავსებულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული რვა ბერძნული წარწერა, რომელთა მეტი წილი მანამდეც იყო გამოქვეყნებული სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ავტორთა მიერ. ა. ამირანაშვილმა წარწერები ორიგინალების მიხედვით შეისწავლა და მათი აღრიხნდელი წაკითხვა შეასწორა. გამოცემის ნაკლი ისაა, როგორც თვით გამომცემელიც შენიშნავს, რომ წარწერები ფაქსიმილეებით არაა გადმოცემული.

1940-იანი წლებიდან საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური თხრის შედეგად ახლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერების პუბლიკაცია ეკუთვნის ს. ყაუხჩიშვილს. მისი ამ ხასიათის შრომებია: „არმაშში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები (სსსრ მეცნ. აკად. მოამბე, II, № 1-2, გვ. 169-176, 1941 წ.) და „მცხეთა-სამთავროს ახლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერა (სსსრ მეცნ. აკად. მოამბე, IV, № 6, გვ. 577-583, 1943 წ.). იმავე ავტორის მიერ გამოქვეყნებულია „ნოსიონის ბერძნული წარწერა“ (თბ. უნივერსიტეტის შრომები, XVIII, გვ. 141-147, 1941 წ.). ამ წერილებში მოცემულია წარწერათა ფოტოკოპირები, ტექსტის დადგენილი რედაქცია, ენობრივი გარჩევა და ისტორიული მნიშვნელობა. ს. ყაუხჩიშვილის ნაშრომში, „ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში“ (ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, გ. IV, 1942 წ., გ. VI, 1946 წ.) გამოქვეყნებულია რამდენიმე საფლავის წარწერა (ბერძნული) სამხრეთ-საქართველოდან და აფხაზეთიდან. (წარწერები XIX ს-ისაა).

გ. წერეთლის ნაშრომები „არმაშის ბილინგვა“ (თბ. 1942 წ.) და „მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა“ (თბ. 1958 წ.) წარმოადგენს მისაბაძ ნიმუშს იმისათვის, თუ როგორ უნდა ქვეყნდებოდეს წარწერები; გამოცემები სანიმუშოა არა მხოლოდ იმ ფორმალური მხარის მიხედვით, რასაც ეპიგრაფისტიკისგან მოითხოვენ, არამედ თვით წარწერათა გაგების, ანალიზისა და კომენტარების თვალსაზრისითაც. წარწერის მონოგრაფიული პუბლიკაცია სწორედ ასე უნდა ხდებოდეს.

ბერძნული წარწერების არასპეციალური პუბლიკაცია ეკუთვნის ლ. მელიქსეთ-ბეგს („არქეოლოგიური მოგზაურობიდან კავთურის ხეობაში 1923 წ.“ თბ. უნივერსიტეტის მოამბე, V, თბ. 1925, გვ. 214-145) „გარეკახეთის ძეგლები“ და გ. ბოჭორიძეს („რაჭის ისტორიული ძეგლები“: საქ. მუზეუმის მოამბე, V, გვ. 214-218).

თანამედროვე ხელოვნებათმცოდნეთა ცალკეულ შრომებში არაერთგზის გვხვდება მითითება ამა თუ იმ ძეგლზე ბერძნული წარწერის არსებობის შესახებ.

1951 წ-ს გამოქვეყნდა თ. ყაუხჩიშვილის ნაშრომი „ბერძნული წარწერები საქართველოში“. ამ კრებულში თავმოყრილია ადგილზე შემოწმებული ყველა წარწერა, რაც ი. პომიალოვსკის კრებულში, თუ სხვა ნაშრომებში იყო მოყვანილი. ამას გარდა შეტანილია ის წარწერებიც, რომელთა შესახებ ავტორს მიუთითეს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა. კრებულში შეტანილია ის წარწერებიც, რომლებიც საქართველოს ეხება, მაგრამ საქართველოს გარეთ არის აღმოჩენილი და სხვაგან – დაცული. წარწერები დალაგებულია გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით. წარწერები არის შესრულებული მაგარ საწერ მასალაზე – ქვაზე, სხვადასხვა ინვენტარზე, ფრესკებზე. წარწერები, რომლებიც ამ კრებულშია თავმოყრილი, თარიღდებიან ძვ.წ. V-IV სს-დან (ფაზისის ფიალა) ახ.წ. XIX ს-ით (ღირბის, კაცხის). გამოცემის პრინციპი ასეთია: მოცემულია წარწერის ფაქსიმილე (სამწუხაროდ ნახაზი და არა ფოტო, ეს ნაკლია ამ გამოცემის), შემდეგ მისი ტრანსკრიფცია, მერე – აღდგენილი სახე, ქართული თარგმანი და შეძლებისდაგვარად ყოველგვარი კომენტარი (ენობრივი, ისტორიული, ლიტერატურული).²⁴

1951 წლის შემდეგ საქართველოში ფართოდ გაშლილი არქეოლოგიური თხრის შედეგად გამოვლინდა კიდევ ბევრი სხვა ბერძნული წარწერა, რომელთა პუბლიკაციები სტატიების სახით ეკუთვნის თ. ყაუხჩიშვილს.

მისი ცალკეული სტატიებია:

„წილკნის გემის ბერძნული წარწერა“ 1955 წ. (მასალები საქართველოს არქეოლოგიისათვის, I)

„ბიჭვინტის მოზაიკის ბერძნული წარწერა“ 1955 წ. (შემდეგ რამდენიმე პუბლიკაცია. ბოლო „დიდი პიტიუნტი“ IV, 1978 წ.).

„Греческая надпись на сухумском светильнике“, Сухуми, 1957.

„Эпиграфические новости из Грузии“, ВДИ, 1958, № 4.

„Eine griechische Inschrift auf einen Öllämpchen aus Suchumi“: *Bibl. classica Orientalis* – 1960, 4.

„Epigraphische Neuigkeiten aus Grusien“: 13, *Bibl. classica orientalis*, 1962, 2.

„ევანის ბერძნული წარწერები“: მეცნ. აკად. მოამბე, XLVIII, I, 1967.

„კაზრეთის ბერძნული წარწერა“: მუზეუმის მოამბე, XXVII, 13, 1967.

²⁴ 1953 წლის ВДИ-ს №4-ში გამოქვეყნდა ა. ბოლტუნოვას რეცენზია ამ წიგნზე...

„Греческая надпись из Казрети“: Виз. Вр., № 29, 1968.

„Греческие надписи на грузинских фресках“: Atti del primo simposio internazionale, Milano, 1977.

„ნოქალაქევის ბერძნული წარწერები“: ნოქალაქევი – არქეოპოლისი, № 1, 1981.

„წილენის აკლდამის ბერძნული წარწერა“: მაცნე... 1982, № 2.

„Греческие надписи гелатского храма“: Источниковедческие разыскания, 1984.

„Греческая надпись Эшерского городища“: Источн. раз., 1985.

„Греческая надпись на бронзовой плите из Вани“: Проблемы древней истории Причерноморья, 1987.

იგივე, ქართულად: ქართული წყაროთმცოდნეობა, VII, 1987.

„ხობის ბერძნული წარწერა“: „ეგრისი“, 1988.

„საირხის ბერძნული გრაფიკო“: ქართ. წყაროთმცოდნეობა, VIII, 1992.

„ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ მოპოვებული ბერძნული წარწერები“: ნოქალაქევი – არქეოპოლისი, III, 1992 წ.

„ახალი ბერძნული წარწერები არმაზციხე-ბაგინეთიდან“: „მცხეთა“ XI, 1996.

„ახალი ბერძნული წარწერა არმაზციხე-ბაგინეთიდან (II)“: „ნარკვეები“ IV, 1998.

„Neuentdeckte griechische Inschriften aus Mzcheta“ (Phasis, 2-3, 2000) და სხვ.

თ. ყაუხჩიშვილისავეა განმამოგადებელი ნაშრომი „ეპიგრაფიკა, როგორც წყარო საქართველოს ისტორიისათვის“, სრული სახით შესულია მისსავე ნაშრომში „საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები“, 1976 წ. ცალკეული ნაწილები ამ თემაზე დაწერილი სტატიებისა, წაკითხულია მოხსენებებად და გამოქვეყნებულია სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში.

1999-2000 წლებში გამოიცა თ. ყაუხჩიშვილის „საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი“, 3 წიგნად. I ტომი შეიცავს ვრცელ შესავალსა და დას. საქართველოს წარწერებს, დალაგებულს გეოგრაფიული პრინციპით, II ტომი – აღმოსავლეთ საქართველოს ბერძნულ წარწერებს დალაგებულს ასევე გეოგრაფიული პრინციპით და დართული აქვს ვრცელი გერმანული ბოლოსიგყაობა. III ტომი წარმოადგენს საძიებლებს (ქართულს, ბერძნულს, სხვა უცხო ენებზე).

კორპუსში ხელახლად შემოწმებულია საქართველოში დაცული ბერძნული წარწერები – ადგილზევე, მოცემულია წარწერათა ასლები, ფოტოები (მედარებით მცირე), ტრანსკრიფციით, წარწერის დადგენილი ფორმა, ქართული თარგმანი. დათარიღება (განსხვავებით

წარწერათა მონოგრაფიული შესწავლისაგან კორპუსში წარმოდგენილია კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები).

§4. ბერძნული დამწერლობის წარმოშობა

როდესაც ვსაზღვრავდი ფარგლებს, თუ როდის იწყება ბერძნული დამწერლობა (ე.ი. რა დროის მასალა შედის ბერძნული ეპიგრაფიკის სფეროში), აღვნიშნე, რომ ე.წ. მიკენური პერიოდი ბერძნული დამწერლობისა ასევე წარმოადგენს ბერძნული ეპიგრაფიკის საგანს. მაგრამ რამდენადაც დამწერლობის მიკენური პერიოდი თავისებურია, დღესდღეობით მაინც ნაკლებად შესწავლილი, ვიდრე შემდეგი პერიოდის დამწერლობა, ამიტომ ბერძნული ეპიგრაფიკის ბევრი სპეციალისტი მის შესახებ მხოლოდ ზოგად ცნობებს იძლევა და არსებითი გარჩევა ბერძნული ეპიგრაფიკის ამ პერიოდის (იმდაგვარი, როგორც შემდეგი პერიოდისთვის გვაქვს) გვხვდება მხოლოდ სპეციალურ ნაშრომებში, რაც კრეტა-მიკენის კულტურის საკითხებს, მინოსური (ანუ კრეტული) ან მიკენური დამწერლობის შესახებაა. ან შესაძლოა მიზეზი იმისა, რომ ბერძნული ეპიგრაფიკის კურსში B-ხაზოვანი დამწერლობაზე მხოლოდ ზოგადად ხდება მსჯელობა, არის სრულიად გაამჩრებული: ეპიგრაფიკის ბევრი გამოჩენილი სპეციალისტი ბერძნული-სათვის დამახასიათებელ, ძირითად და თვისობრივად განსხვავებულ ანბანურ დამწერლობას მიიჩნევენ ბერძნული ეპიგრაფიკის საგნად და მას იკვლევენ, ხოლო B-ხაზოვანი დაწერლობის შესახებ კვლევას მიკენოლოგებს უთმობენ.

მსოფლიო დამწერლობის ისტორიაში I ეტაპი იყო პიქტოგრაფული-იდეოგრაფული (ჩრდილო-ამერიკის ინდიელების, ჩინურის ადრე საფეხური, ეგვიპტური პიეროგლიფები), II – მარცვლოვან-ლოგოგრაფული (ლურსმული წარწერები შემერული, აქადური, ქალდური, ხეთური, ელამური, უგარიტული...), III – სილაბური (CV – ტიპისა – თანხზოვანი + ხმოვანი მაგ., ე.წ. A-ხაზოვანი დამწერლობა, კრეტა-მიკენური – B-ხაზოვანი, ანუ მიკენური, კვიპროსული ე.წ. C-ხაზოვანი დამწერლობა) და IV ანბანური (ჯერ მხოლოდ კონსონანტური, მაგ., სემიტური დამწერლობები (თ. გამყრელიძე, სემიტური არის კონსონანტურ-სილაბური) და შემდეგ უფრო სრულყოფილი – ყველა ფონემას, როგორც თანხზოვანს, ასევე ხმოვანს თავისი ნიშანი შეესაბამებოდა. ამისი პირველი ნიმუში ისტორიულად არის ბერძნული წერითი სისტემა.

საბერძნეთის ტერიტორიაზე ბერძნულენოვანი მოსახლეობის დამწერლობის ისტორია მსოფლიო დამწერლობის ისტორიის II ეტაპით იწყება. ამას თავისთავად ასეთი ისტორია აქვს.

კრეტა ჯერ კიდევ შლიმანმა და დერაჟუელმა დაათვალიერეს და მიხედნენ, რომ იქ ბევრი რამ სახარბიელო შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ მისი გათხრა ვერ შესძლეს, რადგან მათთვის საინტერესო მთელს თითქმის ჩრდილო სანაპიროზე მდებარე ნაკვეთი სხვას ეკუთვნოდა. ოქსფორდის Ashmolean Museum-ის მცველი იყო არტურ ევანსი (1851-1941 წწ.), შლიმანის მიმდევარი და თავისი საქმის დიდი ენთუზიასტი. მის მუშეუმს ჩესტერმა შესწირა ოთხფერდა, ოვალური საბუქდავი, რომლის ყოველ გვერდზე თავისებური ნიშნები იყო. ევანსი დაინტერესდა ამ საბუქდავით და 1893 წ-ს გაემგზავრა ათენში მსგავსი საბუქდავების მოსაპოვებლად. მართლაც, ათენში მან მოიპოვა ასეთი საბუქდავები და ისიც შეიტყო, რომ ისინი წარმოშობით კრეტიდან იყვნენ. აქედან წარმოიშვა მისი საგანგებო ინტერესი კრეტის მიმართ. კრეტაზე მან ასეთი საბუქდავები ნახა ახალგაზრდა ქალების ყელზე შებმული (რძეს მოგვიყვანსო), ნახა სხვადასხვა გემები მსგავსი გამოსახულებით, მაგიდა – ხაზოვანი ნიშნებით და თიხის ფირფიტები ასეთივე ნიშნებით.

1899 წელს კრეტა განთავისუფლდა თურქთაგან და საბერძნეთის მთავრობა ა. ევანსს ნებას რთავს, კრეტაზე გათხრები აწარმოოს. ევანსმა შეიძინა ის ნაკვეთი, რომელმაც ოდესღაც შლიმანისა და დერაჟუელის ყურადღება მიიპყრო – ესაა კნოსოსი – და გათხარა. სხვადასხვა დროს ფენების აღნუსხვას რომ არ შეუუდგეთ, უნდა აღვნიშნოთ საყოველთაოდ ცნობილი ე.წ. მინოსის სასახლე, თავისი რთული არქიტექტურით (გაიხსენეთ მითი მინოსის, თემესის, არიადნე სა და ლაბირინთის შესახებ), ფრესკები და სხვადასხვა სახის დამწერლობის ნივთებით (ამაზე დაწერილებით ქვემოთ). შემდეგ ამავე ტიპის სასახლეები გაითხარა კრეტის სამხრეთ სანაპიროზე – ძველი ქალაქი ფესტოსის და ამჟამინდელი სოფლის, ამა-გრიადის ადგილას.²⁵ ამ ნაგებობათა კომპლექსებს თავისებური კონსტრუქცია ჰქონდათ, – შუაში იყო დიდი ეზო, ირგვლივ კოლონები, ხოლო ამის გარშემო მრავალი ოთახი რამდენიმე სართულად (გათხრისას ეს გედა სართულები აღარ არსებობდა, ისე რომ ძნელია იმის თქმა, თუ იქ რა ხდებოდა). ქვემო სართულში კი არის სამეფო ოთახები, თეატრი, აბაზანები, საპირფარეო წყლით (რაც V-IV სს-ის საბერძნეთმა ჯერ არ იცოდა), შესაბამისად წყალსადენი, ბეთის სახდელი ოთახი, ხელოსანთა ოთახები, კედლების შესანიშნავი მოხატულობა და მოხატული ჭურჭელი. ყოველივე ეს 2000-1700 წლების ნამუშევარია (საბერძნეთმა შემდეგში

²⁵ ევანსის აღმოჩენას ბერძნული კულტურის ისტორიისათვის მნიშვნელობა ჰქონდა. მისი ღვაწლის დაფასება იყო ის, რომ 1916 წელს ის აკადემიის პრემიულენტად აირჩიეს.

ამ დონეს მხოლოდ ძვ.წ. V ს-ში მიაღწია). როგორც ჩანს, კრეტელებმა მხატვრობა ეგვიპტელთაგან ისწავლეს (მათი მჭიდრო ურთიერთობა ამ დროისათვის ფაქტია), მხოლოდ სიახლე შეიტანეს – ნახაგს შესძინეს მოძრაობა (ნაცვლად ეგვიპტური სტატიკისა). კრეტელების სასახლეუბის, ასე ვთქვათ, ფარღალა კონსტრუქცია ადგილობრივი კლიმატის შესაბამისია (სრულიად განსხვავებულია მიკენისა და გირინთის სასახლეების აგების პრინციპი – მათ ირგვლივ სქელი კედლები აქვთ – უთუოდ მტრისგან თავის დასაცავად, ხოლო მათთან ნაგებობის ცენტრში დარბაზია შუაში კერით. ეს თითქოს იმის მანიშნებელია, რომ ეს ხალხი უფრო ჩრდილოეთიდან არის მოსული და ჩრდილოეთისთვის ჩვეულ არქიტექტურას იმეორებს სამხრეთის ქვეყანაშიც).

სპეციალისტები კრეტის კულტურის ასეთ პერიოდიზაციას ახდენენ: I – ადრემინოსური ხანა, ძვ.წ. 2200 წ-მდე (ინვენტარიდან ამ დროს გვხვდება რბილი ქვის სამკუთხა საბეჭდავები პრიმიტიული ნახატებით; სპილოს ძვლის საბეჭდავები უფრო განვითარებული ნიშნებით, ჩანს ეგვიპტის გაელენა). II – შუამინოსური ხანა 2200-1600 წწ. (თავისი ქვეპერიოდებით). (ამ ხანას განეკუთვნება თავში – რბილი ქვის საბეჭდავები პრიმიტიული პიეროგლიფებით, ამეთვისტოს სკარაბეი მინოსური პიეროგლიფით, და უძველესი სასახლე. მერე მომხდარა კატასტროფა. შემდეგ აუცილებელია ახალი სასახლე და ამ დროსვე ჩნდება ე.წ. A-ხაზოვანი დამწერლობის ნიმუშები. III – გვიანმინოსური ხანა 1600-1400/1370 წწ. (ასევე ქვეპერიოდებით. სასახლეები გადაკეთებულია. ქრება პიეროგლიფური დამწერლობა და მკვიდრდება A-ხაზოვანი დამწერლობა, მოგვიანებით B-ხაზოვანიც. XIV საუკუნის დასაწყისში ინგრევა სასახლეები და კრეტა მთლიანად ექცევა ე.წ. მიკენური კულტურის ფარგლებში.

1939 წელს უაღრესად მნიშვნელოვანი გათხრა-აღმოჩენები მოხდა: პელოპონესის სამხრეთ სანაპიროზე კარლ ბლიგენმა (Blegen) და კურონიოტისმა გათხარეს ძველი პილოსი, სადაც იპოვეს ე.წ. ნესტორის სასახლე ბრწყინვალე არქიტექტურითა და ფრესკებით. ეს აღმოჩენა ეპიგრაფიკისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, რომ სასახლის ქვედა სართულში იპოვეს 600-ზე მეტი ფირფიტა ხანძრის შედეგად გამოძწვარი (და სწორედ ამიგომ მენახული), ისეთივე წარწერებით, როგორიც კრეტაზე ჩნდებოდა. ძველი (თავის ფირფიტებიანად) დაახლ. 1200 წლით დათარიღდა (ე.ი. იმ დროით, როდესაც პილოსში უკვე გარკვეულად ბერძნები ცხოვრობდნენ).

შემდეგ ასეთი წარწერების რიცხვი საბერძნეთის (ე.ი. არა კრეტის) ტერიტორიაზე 1000-მდე ავიდა, მიკენშიც დაახლ. 50 ასეთი წარწერა

აღმოჩნდა; ამ გიპის წარწერები სხვადასხვა ჭურჭელზე იპოვეს თებეში, ორქომენოსში, გირინთში, ასინესა, ელეუსინში და სხვაგან.

ამგვარად, უკვე მომწიფდა საკითხი ამ წარწერათა შესწავლისა და მათთვის ადგილის მიჩენისა მსოფლიო ეპიგრაფიკის ისტორიაში.

ისტორიული ვითარება ბალკანეთის ნახევარკუნძულის და ეგეესის ზღვის კუნძულების მოსახლეობის ურთიერთობისა ასეთია: უძველეს მოსახლეობას, რომელიც ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ცხოვრობდა, თვით ბერძნები პელაგებს უწოდებდნენ (მათი ეთნიკური და ენობრივი რაობის დადგენა ჯერაც საკვლევიანია). II ათასწლეულის დასაწყისში პელოპონესში დასახლებულმა აქეელთა ტომმა კულტურის სფეროში მათგან ბევრი შეითვისა. ამასობაში კრეტა თავისი, მცირეაზიური, არაინდოევროპული გიპის, მოსახლეობით მჭიდრო ურთიერთობაშია ეგვიპტესთან, რომლისგანაც ის ბევრ რასმე სწავლობს (მაგ., მხატვრობას, პიეროგლიფური გიპის დამწერლობას). ძვ.წ. XVI ს-დან პელოპონესი (სადაც იყო იმდროინდელი საბერძნეთის კულტურული და პოლიტიკური ცენტრი) მჭიდრო ურთიერთობას აბამს კრეტასთან (და ასევე ბევრს ითვისებს მინოსური კულტურისას). XV ს-ში აქეელები კრეტის მთავარ ქალაქს, კნოსოსს იპყრობენ და კნოსელებისგან ბევრ რასმე სწავლობენ, ისინი ყველაფერში პბაძავენ კრეტელებს. ამიერიდან კრეტაც თანდათან ბერძნულ მოსახლეობიანი კუნძული ხდება. XIII-XII ს-თა მიჯნიდან მოყოლებული სამხრეთ საბერძნეთში ჩრდილოეთიდან შემოიჭრნენ სხვადასხვა ტომები, რომლებმაც მოსაქეს ის კულტურა, რაც სამხრეთ საბერძნეთში იყო და რაც მეცნიერებაში კრეტა-მიკენის კულტურის სახელით არის ცნობილი. ამ დროისათვის სამხრეთ საბერძნეთში, პელოპონესში მცხოვრებმა აქეელთა ნაწილმა თავი შეაფარა მთიან არკადიას, ხოლო სხვებმა – კუნძულ კვიპროსსა ან ათენის გავლით, მცირე აზიის დას. სანაპიროს.


რაც შეეხება დამწერლობას, რომელიც უძველეს კრეტასა და პელოპონესში გვხვდება, მისი განვითარების ისტორია მოგად ხაზგებში ასეთია:

კრეტელებმა დაახლ. XX ს-ში ეგვიპტელთა გავლენით შექმნეს პიეროგლიფური დამწერლობა, რისი ნიმუშებიც გვხვდება განათხარ ინვენტარზე – სხვადასხვაგვარ საბეჭდავებზე.


XVII-XV სს-ში კრეტელები პიეროგლიფური დამწერლობიდან კქმნიან დამწერლობის ახალ სახეობას – ე.წ. A-ხაზოვან დამწერლობას, რაც ძირითადად სილაბურია, მაგრამ იდეოგრაფიულის ელემენტებიც არის მასში. ძირითადი მასალა ამ წარწერათათვის არის ავადგრიადიდან (მაგრამ კრეტის სხვა ადგილებშიც გვხვდება). წარწერები

შესრულებულია თიხის ფირფიტებზე, საბეჭდაეებზე, ოქროს ფიბულაზე არის გრაფიკო და სხვ.

ამ სახის წარწერები (რაც ჯერ კიდევ ევანსის აღმოჩენილია), ჯერაც გაშიფრული არაა. დადგენილია მისი 89 ნიშანი და გაშიფრულია 67. A-ხაზოვანი დამწერლობა საქართველოში აქამდე სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა. რაც დაარსდა ქართული კლასიკური სკოლა, სულ არის მითითება წინაბერძნულ მოსახლეობაზე, მათ არაევროპულ ენაზე, არის მითითებები წინარებერძნულისა და კაეკასიური ენების პარალელურ მოვლენებზე, მაგრამ საკითხი მონოგრაფიულად შეისწავლა ლ. ჩოთალიშვილმა, რომელმაც წარმოადგინა სადისერტაციო შრომა: „მინოსური კრეცის დამწერლობათა სისტემები“.



A-ხაზოვანი ფირფიტა



ფესტოსის დისკო. დაახლოებით 1700 წ.

ნამრომი ჯერ ხელნაწერის სახითაა, მაგრამ მისი ერთი ნაწილი, ფესტოსის დისკოს შესახებ უკვე გამოქვეყნებულია (2000 წ.). XV-XIII სს-ში იმავე კრეატაზე (კნოსოსი) გვხვდება ე.წ. B-ხაზოვანი დამწერლობა, რომელიც XIV-XIII სს-ში მოიპოვება თვით საბერძნეთის ტერიტორიაზედაც (თებე, პილოსი, მიკენი...). ეს დამწერლობა უკვე გარკვეულად სილაბურია. მისი დიდი ნაწილი მოღწეულია თიხის ფირფიტებზე. არის სხვა სახის საწერი მასალაც. ამ დამწერლობის 88 ნიშანი არის დადგენილი.

ჯერ კიდევ უეანსმა გადაწყვიტა, რომ კრეტის დამწერლობა სილაბურია და უკვე მანამდე (1870-იანი წლებიდან) ცნობილი კვიპროსული სილაბური დამწერლობა კრეტის მემკვიდრედ მიიჩნია. ისიც შემჩნეულია უკვე, რომ კრეტულსა და კვიპროსულს შორის მხოლოდ 14 ნიშანია საერთო. დანარჩენი კვიპროსული ნიშნები სახენაცვალი კრეტული ნიშნებია. დამატებით ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კვიპროსულ დამწერლობას აღარ ახლავს იდეოგრამები, რაც კრეტულში არის.

კვიპროსული დამწერლობა ძვ.წ. VII ს-დან გვაქვს, უფრო ადრინდელი არაა. ამიგომ ძნელია გავიზიაროთ ამ საკითხის შესახებ ზოგიერთების მოსაზრება, რომ ის A-ხაზოვანი დამწერლობიდან მოდის. ასევე ეჭვს გამოთქეამს კვიპროსული სილაბური დამწერლობის წარმომავლობაზე გ. კლაფენბახი.²⁶

²⁶ G. Klaffenbach, Gr. Ep., 1981, გვ. 30 და შმდ.

Vokale	ა (ა ა)	ბ (ბ ბ)	გ (გ გ)	დ (დ დ)	ე (ე ე)	უ (უ უ)
j	Ⲑ ja	Ⲛ ja	-	-	-	-
v	Ⲡ ⲡ va va	Ⲥ ⲥ ve ve	Ⲩ ⲩ vi vi	Ⲫ ⲫ vo vo	-	-
r	Ⲙ ⲙ ra ra	Ⲟ ⲟ Ⲡ ⲡ re re	Ⲣ ⲣ Ⲥ ⲥ ri ri	Ⲧ ⲧ ro ro	Ⲩ ⲩ ru ru	-
l	Ⲭ ⲭ la la	Ⲯ ⲯ Ⲱ ⲱ le le	Ⲳ ⲳ li li	ⲵ Ⲷ lo lo	Ⲹ ⲹ lu lu	-
m	Ⲱ ⲱ ma ma	Ⲳ ⲳ Ⲵ ⲵ me me	ⲷ Ⲹ ⲹ Ⲻ mi mi	Ⲽ ⲽ Ⲿ ⲿ mo mo	ⲻ Ⲽ mu mu	-
n	Ⲱ ⲱ na na	Ⲳ ⲳ Ⲵ ⲵ ne ne	ⲷ Ⲹ ⲹ Ⲻ ni ni	Ⲽ ⲽ Ⲿ ⲿ no no	ⲻ Ⲽ nu nu	-
Labiale	Ⲱ ⲱ pa pa	Ⲳ ⲳ pe pe	ⲷ Ⲹ pi pi	Ⲽ ⲽ Ⲿ ⲿ po po	ⲻ Ⲽ pu pu	-
Dentale	Ⲱ ⲱ pa pa	Ⲳ ⲳ pe pe	ⲷ Ⲹ pi pi	Ⲽ ⲽ Ⲿ ⲿ po po	ⲻ Ⲽ pu pu	-
Gutturale	Ⲱ ⲱ ka ka	Ⲳ ⲳ Ⲵ ⲵ ke ke	ⲷ Ⲹ ⲹ Ⲻ ki ki	Ⲽ ⲽ Ⲿ ⲿ ko ko	ⲻ Ⲽ ku ku	-
s	Ⲱ ⲱ sa sa	Ⲳ ⲳ Ⲵ ⲵ se se	ⲷ Ⲹ ⲹ Ⲻ si si	Ⲽ ⲽ Ⲿ ⲿ so so	ⲻ Ⲽ su su	-
z	Ⲱ ⲱ za za	-	-	Ⲽ ⲽ zo zo	-	-
x	Ⲱ ⲱ xa xa	Ⲳ ⲳ xe xe	-	-	-	-

კვიპროსის სილაბური დამწერლობა.

ამდენად, ბერძნული დამწერლობის ისტორიაში საინტერესო საფეხურია კვიპროსზე აღმოჩენილი წარწერები, რომლებიც სილაბური ნიშნებით არიან შესრულებული და რომელთაც ბევრი რამ აქვთ საერთო მიკენურ დამწერლობასთან.

1876 წ-მდე აღმოჩენილი ასეთი წარწერები ფაქსიმილებით გამოაქვეყნა M. Schmidt-მა „Sammlung Kyprischer Inschriften in epichorischer Schrift,“ Jena, 1876, ხოლო 1883 წ-მდე მოპოვებული მასალა გრანსკიფიით გამოაქვეყნა W. Deecke-მ „Die griechisch-kyprischen Inschriften in epichorischer Schrift, Text und Umschreibung (mit einer Schrifttafel)“, Göttingen 1883 (H. Collitz-ის ბერძნული დიალექტური წარწერების კრებულში).

რობერტ ცანის მიერ 1910 წ. ძველი პაფოსის (კვიპროსზე) წარმოებულმა გათხრებმა მდიდარი მასალა მოიპოვა კვიპროსული დამწერ-

ლობისთვის, რაც 1911 წელს რ. მაჰსტერმა გამოაქვეყნა. კვიპროსული დამწერლობის შესწავლას განსაკუთრებული ღვაწლი დასდო W. Deecke-მ. დადგინდა, რომ კვიპროსული წარწერები, რომელთა ენა ბერძნულია, ძირითადად მარჯვნიდან მარცხნივ მიემართებიან, არის ბუსტროფედონის ხმარების შემთხვევები. უფრო ახალი დროის წარწერებში გვხვდება მიმართულება მარცხნიდან მარჯვნივ. მარტივი ხმოვნებისათვის არის 5 ნიშანი (როდესაც ისინი დამოუკიდებელი არიან, ან პქმნიან ღიფთონგის მეორე ნაწილს); მოკლე და გრძელი ხმოვნები არაა გარჩეული. 50 ნიშანი არის მარცვლისთვის, რომელიც შედგება მარტივი თანხმოვნისა და ხმოვნისაგან; თანხმოვნები გარჩეული არ არის ფშვინიერება – მქღერობა – მკვეთრობის მიხედვით (ბ, პ, ფ – ერთნაირად გადმოიყება წერისას მარცვალში); ერთად თავმოყრილ თანხმოვნებს შორის ხმოვანი ჩნდება; სიგყვის თანხმოვან დაბოლოებას ე – ხმოვანი ემატება, Nominative-სა და Genitive-ს დაბოლოებითი წარმოება (განსაკ. ხმოვნისა და F-ს წინ – ე.ი. ის არც გამოითქმობდა); ნაზალური ბგერები თანხმოვნების წინ არ იწერება. u და i-ს შემდეგ ჩნდება ე.წ. პარაზიტული ბგერები F და J (მაგ., iερευც – იქნება iεरेуц – ijereuse), რაც უფრო ფონეტიკის სფეროა, ვიდრე ორთოგრაფიისა და პალეოგრაფიის. სიგყვათა გამყოფად იხმარება ან ვერტიკალური ხაზი, ან წერტილი. ასეთივე ნიშანია წარწერის დასასრულს. წინა სიგყვის ბოლო თანხმოვანი და მომდევნო სიგყვის დასაწყისი ხმოვანი ხშირად ერთ მარცვალს პქმნიან და მათ ერთი ნიშანი ასახავს. ასეთ შემთხვევებში და არტიკლისა და თანდებულების ხმარებისას ისინი ძირითადი სიგყვისგან არ არიან გამოყოფილი. შინაარსის მიხედვით ეს წარწერები არის საფლავის, მიძღვნილი, შეწირვითი ან საკუთრების აღმნიშვნელი; წარწერები შესრულებულია ქვაზე, ყოველგვარ ლითონზე, კერამიკაზე, მინაზე, მონეტებზე. კვიპროსის წარწერათა შესახებ შედარებით ახალი ნაშრომია O. Masson, Les inscriptions chypriotes syllabiques, Paris, 1961.

ა. ევანსს ეკუთვნის კრეგის წარწერების I პუბლიკაცია,²⁷ სადაც მათი დაკავშირებაც იყო კვიპროსულთან, ასევე სიგყვების შემჩნევა სტრიქონში, მაგრამ მან ვერ შეძლო წარწერათა გაშიფრვა და არც სხვას ანებებდა ამ საქმეს, რის გამოც 1900 წელს უკვე ცნობილი წარწერების ნამდვილი პუბლიკაციისა და გაგების საქმე საკმაოდ შეყოვნდა (1909 წლის მერე მან 1935 წელსაც გამოაქვეყნა წარწერები,²⁸ მა-

²⁷ Scripta minoa, Oxford. 1909 წ.

²⁸ The palace of Minos at Cnossos. IV. 2. London, 1935.

გრამ იმ მასალასთან შედარებით, რაც უკვე იყო მოპოვებული, ეს პუბლიკაცია იყო წვეთი ზღვაში).

ევანსის შემდეგ Persson-მაც კვიპროსულ სილაბურ დამწერლობას დაუკავშირა კრეტის წარწერები.²⁹ ალისა კობერმა ევანსის უფრო ზოგადად გამოთქმული დებულება (სიგყვათა გამორჩევის შესახებ) განაერყო და წარწერებში გამოპყო სიგყვის ძირითადი ნაწილი და მისი ფლექსია – ბრუნვის ნიშანი.³⁰ პაულ კერჩმერმა (Glotta, 1940 წ.) და ს. ლურიემ (История Греции, 1940 წ.) გამოთქვეს მოსაზრება, რომ პილოსის წარწერები უთუოდ ბერძნულ ენაზე იქნება შესრულებული. ვ. გეორგიევის ამრით A-ხაზოვანი წარწერების ენაც ბერძნულია და ამ წარწერებში მოთავსებული ენა აკროფონიურად იკითხა. ხოლო შემდეგი ხანის ბერძნული ანბანი მას მიკენური სილაბური დამწერლობის განვითარებად მიიჩნია (სპეციალისტები არ სცნობენ ვ. გეორგიევის ამ შეხედულებას).³¹ ჯერესერთი, დღესდღეობით თითქოს არაფინ დაობს იმაზე, რომ ბერძნული ანბანი ფინიკიური წარმოშობისაა; მეორე – დაბეჯითებით ლაპარაკობენ იმას, რომ A-ხაზოვანი დამწერლობის მქონე მოსახლეობა არა თუ ბერძნული არ იყო, არამედ საერთოდ არ იყო ინდოევროპული. ის მცირე აზიის ტომების მონათესავე იყო.

ცნობილი ხეთოლოგი ბ. პროზნი დაინტერესდა კრეტის წარწერებით. ისინი მან ბევრ ენას შეუდარა (ბერძნულს, ფინიკურს, ხეთურს...), სხვადასხვასთან ზოგი რამ ნახა საერთო, მაგრამ როგორც ჩანს წარწერების გაშიფრვის ეს მეთოდი საერთოდ არ არის გამართლებული, ამიტომ მის კვლევას ჯეროვანი შედეგი არ მოჰყოლია.

ევანსისა და სხვათა მოპოვებული წარწერები პირველმა წაიკითხა და გაშიფრა მაკლ ვენტრისმა. ეს ძალიან საინტერესო პიროვნებაა მიკენური ეპიგრაფიკის ისტორიაში. ვენტრისი 14 წლის იყო (1936 წ-ს), როდესაც სკოლიდან წაიყვანეს ექსკურსიით მუზეუმში, სადაც მოუსმინა ევანსს. ამან ბავშვზე, რომელსაც ისედაც ენების დიდი ნიჭი და ინტერესი ჰქონდა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მან 1940 წელს გამოაქვეყნა I წერილი, სადაც სწერდა, რომ კრეტის წარწერები კვიპროსული წარწერების მიხედვით უნდა იქნეს წაკითხული, ხოლო მათი ენა არის ეგრესკული. ომის დროს ვენტრისმა 4 წელი გაატარა ავიაციამში. შემდეგ დაუბრუნდა სწავლას. დაამთავრა არქიტექტურული ფაკულტეტი და გახდა ცნობილი არქიტექტორი, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში მას ამ წარწერებზე ფიქრი არ ასვენებდა, ამასობაში აღმოჩნდა პილოსის მასალა (1939 წ.). გარდაიცვალა ევანსი

²⁹ A. W. Persson, Schrift und Sprache in Altkreta. Uppsala, 1930.

³⁰ AJA, 1944, 1946 წწ.

³¹ იხ. ВДИ, 1954, № 3, ს. ლურიეს რეცენზია ვ. გეორგიევის ამ შრომაზე.

(1941 წ.). ბეერმა მოჰკიდა ხელი წარწერების დამუშავებას – მაარსმა (Myres) კნოსოსის წარწერები იკვლია, ბენეტმა – პილოსის, ამასობაში უკვე არსებობდა ალისა კობერის შედგენილი ამ წარწერათა აგებულების სქემა. ვენგრისი დაუკავშირდა კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორს, ენათმეცნიერს, ჩედუეკს (John Chadwick); ყოველივე ამას, დაფუძნებულს უპირველესად ყოვლისა ვენგრისის გენიალურ ინტუიციამე მიეყავართ იქამდე, რომ B-ხაზოვანი წარწერების ამოკითხვის პრინციპები ნაპოვანია. ამის შესახებ ვენგრისმა 1952 წ-ს ჯერ რადიოთი აუწყა საზოგადოებას, ხოლო მიღებული შედეგები 1953 წ-ს ჩედუეკთან ერთად კიდევაც გამოაქვეყნა ჟურნალში.³²

არსებითი, ახალი, რაც იყო ამ სტაგიაში, ისაა, რომ ენა, რომელზედაც არის შესრულებული ეს წარწერები, არის ბერძნული; ბერძნულის კვიპროსულ-არკადიული დიალექტი. B-ხაზოვანი წარწერების ამომხსნელი – ვენგრისია. 1953 წელს ვენგრისის სქემის მიხედვით პილოსის წარწერები წაიკითხა ბლიგენმა. შემდეგ პილოსის წარწერებზე ნაყოფიერად მუშაობდა ბენეტი.

ვენგრისის დაკვირვებები დაიწყო B-ხაზოვანი წარწერების კვიპროსულ სილაბურ წარწერებთან შედარებით. მისი ძირითადი დებულება ისაა, რომ პრინციპულად ეს ერთი გიპის წარწერებია. მან აღმოაჩინა, რომ B-ხაზოვანში განსხვავებით კვიპროსულსგან ბოლოში – ე – არ ჩნდება, ის კი არაა, მის საკვლევ წარწერებში ბოლო თანხმოვანი არც კი იწერებოდა (და როგორც ჩანს, არც გამოითქმოდა, შესაძლოა წინაბერძნული მოსახლეობის მეტყველების გავლენით). მათთვის „რ“ იყო იგივე „ლ“, ამიტომ რ-ს შემსველი მარცელისათვის არც კი ჰქონდათ განსაკუთრებული ნიშანი. შემდეგ ვენგრისმა გამოპყობ ხმოვნები (სილაბურ დამწერლობაში ყველაზე ხშირად მეორდება ხმოვნები, ამდენად, თუ შეიძლება ასეთი კვლევის დროს რაიმე სიადვილეზე ლაპარაკი, ხმოვანთა მიგნება შედარებით ადვილი საქმეა). მან დაადგინა, რომ ამ ახალ წარწერებში 5 ხმოვანია. მან შეამჩნია, რომ ბეერ წარწერაში ყველაფერი ერთნაირია და მხოლოდ მცირე სხვაობაა მათ შორის. ის მიხვდა, რომ ეს სხვაობა საკუთარი სახელი უნდა იყოს. თუ ამ განსხვავებულ ნაწილს გვერდში იდენტურამაც ჰქონდა, მაშინ ვენგრისი სულ ადვილად ადგენდა, ეს სახელი ქალისაა, თუ კაცის დაააშ.

ასე დაადგინა მან წარწერების ბერძნული ენა და სახელების მეტი წილი – ბერძნული. სილაბური 89 ნიშნიდან ამჟამად 67 ამოცნობილია.

³² Evidence for Greek Dialect in the Mycenaean Archives: Journal of Hellenic Studies, 73. 1953. გვ. 84-103.

არაეინ ამბობს იმას, რომ ვენგრისის წაკითხვა უნაკლოა (ის პრინციპულად არის სწორი; მისი აღმოჩენა და ინტუიცია – გენიალური), მაგრამ მაინც საოცარია ზოგიერთი „ოროლოლოქი“ მეცნიერის გამოსვლა „მოყვარული არქიტექტორის“ წინააღმდეგ. განსაკუთრებით მტრულად გაილაშქრეს ვენგრისის წინააღმდეგ ბერძნული ლიტერატურის სპეციალისტმა – ბიგმა, ეგვიპტოლოგმა – გრუმახმა და ბაბილონის ისტორიის მეკლევარმა – ეაღერსმა. 1956 წ-ს მოულოდნელად გარდაიცვალა ვენგრისი (იგი მანქანის აეარიას ემსხვერპლა).³³

მის შემდეგ ჯ. ჩედუკი განაგრძობს მეცნიერებად ნაყოფიერ მუშაობას წარწერებზე. ბევრ შრომას აქვეყნებს, ბევრ წარწერას შიფრავს. ერთ-ერთი მისი ბოლოდროინდელი შრომა „Linear B and Related Scripts, Berkeley-Los Angeles,“ 1987 ერთგვარი შეჯამებაა ამ დარგის მიღწევების და მის შესახებ საყურადღებო რეცენზიაა A. A. Молчановის: ВДН, 1992, № 2, გვ. 190-196.

მიუხედავად იმისა, რომ პრინციპი B-ხაზოვან წარწერათა დადგენილია და ენა ცნობილია, ბევრი წარწერა (განსაკუთრებით კნოსოსის) ჯერაც ამოუკითხავია. ამ წაკითხვისას აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მიზეზს სპეციალისტები უპირველესად ყოვლისა ხედავენ იმაში, რომ წერის ეს სისტემა, შექმნილი სხვა ენისთვის, მთლად შესაფერისი ბერძნულისათვის არ იყო. შემდეგ – მოღწეულია მეტ-წილად მცირე ზომის ფინანსიური თუ სამეურნეო ხასიათის დოკუმენტები, რომელშიც შედის საკუთარი და გეოგრაფიული სახელებიც. ამ უკანასკნელთა დადგენა რთულია (ვენგრისმა თავის Studies-ში არც კი შეიტანა საკუთარი სახელები), ხოლო დანარჩენ გექსტში მასალა ძალიან ძუნწადაა და ერთფეროვანი. ყოველივე ამის შედეგად რჩება დიდი ხარვეზები, მაგრამ ეპიგრაფიკული მეცნიერების ეს დარგი ისე მიიწევს წინ, რომ არის იმედი, სიმბედეები გადაულახავი არ დარჩება (თუმცა, აქვე უნდა შეინიშნოს, რომ კლასიკურ ხანაში კვიპროსული სილაბური დამწერლობით შესრულებული წარწერები, რომლის გამიფრვის პრინციპის სისწორის შესახებ ორი აზრი არ არსებობს, დღესაც ყველა ყოველმხრივ ამოხსნილი და სწორად გაგებული არ არის).

შინაარსის მხრივ პილოსის ფირფიტებზე არის მონა-ქალთა სიები, იმის მითითებით, თუ ისინი სად და რას აკეთებენ, მეორეგან გვხვდება ამ მონა-ქალთა პროფესიათა აღნიშვნა (ძაფისმრთველები, მქსოველები, მაგყლის მჩეჩავეები, ხორბლის მფქველები, ხორბლის ჩა-

³³ ამ დროს გამოდის M. Ventris and J. Chadwick, *Studies in Mycenaean Inscriptions and Dialect. Bibliographical Survey, 1953-1955.* London 1956.

მყრელები). სხვაგან არიან მონები ჩამოთვლილი: გაძრის მონები, დიდ პირთა მონები, მჭედლების მონები; მწყემსები, მენიჩბეები. გვხვდება საქონლის დასახელება: ცხვარი, თხა, ღორი – ბევრია, ძროხა – ნაკლები. ცხენი ძალიან ძვირფასია. არის წარწერები, რომლებიც მიწის ნაკვეთის გადასახადს აღნიშნავენ ან კიდეც – ომის სამზადისა და ჯარის შეკრებას.

კრეტის პანთეონისათვის დამახასიათებელია ის, რომ ბერძენთა ღვთაებათაგან ჩვეულებრივ მხოლოდ ზევსია ხოლმე ხსენებული (და მისი ცოლია ზა). მხოლოდ 1 ფირფიტაა კრეტიდან, სადაც მარტო ბერძენი ღვთაებებია ჩამოთვლილი: ათენა, პოსეიდონი, ენიალიოსი – ომის ღმერთი. არის კრეტის წარწერა, სადაც მონის ყიდვაზეა ლაპარაკი და ა.შ. სპეციალისტთა შორის არის აზრი იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის სფეროსთვის აქვთ მათ მნიშვნელობა და თემატურად და შინაარსობრივად ისინი მარტივი და პრიმიტიული არიან. მე ვიგყოფი, არა პრიმიტიული, არამედ ერთფეროვანი, რადგან მათი დანიშნულება ყოველდღიური, ყოფითი ცხოვრებისათვის გამოყენება იყო და არა მაღალ მატერიებსა და თეორიულ პრობლემებზე მსჯელობა და სწორედ იმ მასალის მიხედვით, რომელიც მოღწეულია, ხდება მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანა კრეტა-მიკენის ყოფის, სამოგადოების კულტურისა და სხვა საკითხების შესახებ. ისტორიკოსები კრეტა-მიკენის წარწერების საფუძველზე აკეთებენ დასკვნებს ამ ქვეყნების სახელმწიფო წყობის შესახებ, ადარებენ ამ მასალას პომეროსის პოემების მონაცემებს და ერთს მეორეთი აესებენ (პომეროსმა კარგად იცის მიკენური ეპოქა, აქა-იქ თუ გაუპარება რაიმე დეტალი მისი საკუთარი ეპოქიდან, მაგ., მიწა უკვე აღარ ურიგდებათ ცალკეულ მოქალაქეებს; ხელოსნები პატივში აღარ არიან etc.).

ამგეარად, ბერძნებს XV-XII სს-ში პქონდათ პირველი დამწერლობა, ე.წ. B-ხაზოვანი დამწერლობა შეთვისებული კრეტელთაგან. ამის შემდეგ რამდენიმე საუკუნე მათ დამწერლობა აღარ აქვთ, ხოლო კრეტულის სახეცვლილი ვარიანტი შემოინახეს კვიპროსელებმა, რომლებიც V-III სს-შიც კი ხმარობენ მას, მაშინ, როდესაც ბერძნებს უკვე კარგა ხანია სრულიად სხვა სახის, ანბანური დამწერლობა მოეპოვებათ. ლიტერატურა კრეტა-მიკენური კულტურისა და B-ხაზოვანი დამწერლობის შესახებ საკმაოდ მდიდარია.

რუსულად არსებობს შრომები: С. Я. Лурье, Язык и культура микенской Греции, М. Л. 1957.

А. А. Молчанов, речензия J. Chadwick, Linear B and Related Scripts, Berkley. Las Angeles, 1987, ВДИ, 1992, № 2, გვ. 190-196.

პირითადი ნაშრომები არის ევროპულ ენებზე:

პირველი ნაშრომი კრეტის წარწერების შესახებ ეკუთვნის ევანსს: *Scripta Minoa, I, Oxford 1909* (აქაა გაერთიანებული ის, რაც 1900 წ-დან გამოდიოდა ცალკეული *Rapports*-ის სახით). პირველი ცდა ამ წარწერების ამოკითხვისა ეკუთვნის H. Kluge-ს: „*Die Schrift der Mikenier, Eine Untersuchung über System und Lautwert der von A. J. Evans entdeckten vorphönizischen Schriftzeichen*“, Cöthen, 1897, VII+110 გვ. აქ არის ცდა ამ წარწერების გაგების, ბევრ სხვადასხვა ენასთან არის შედარებული, მაგრამ ბერძნული ენის საკითხიც არის დასმული. B-ხაზოვანი დამწერლობის შესახებ აქამდე ქართულ მეცნიერებაში სპეციალური ნაშრომი არ ყოფილა.

ჩემი თხოვნით ისტორიკოსმა, მიკენოლოგმა ლ. გორდემიანმა უახლესი ლიტერატურის გათვალისწინებით ჩემი წიგნისათვის დაწერა ერთი თავი, „B-ხაზოვანი დამწერლობა“, რაც მთლიანად და უსვლელად შევიტანე ნაშრომში.

В-ხაზოვანი დამწერლობა

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე სერ არგურ ევანსმა კრეტაზე ლეგენდარული მინოსის სასახლე აღმოაჩინა, მანვე შეისწავლა და გამოაქვეყნა სხვადასხვა სახის უცნობი დამწერლობის ნიმუშები. “მინოსური” დამწერლობის სისტემები მთელი XX საუკუნის მანძილზე მოსვენებას არ აძლევენ მეცნიერებს. განსაკუთრებით პოპულარულია ფესტოსის დისკო, რომელიც მასზე აღბეჭდილი დამწერლობის ერთადერთი ნიმუშია. მისი გაშიფერის უამრავი ცდა იმთავითვე განწირული იყო. კიდევაც რომ მოხერხდეს მისი სწორად წაკითხვა, ამის დასაბუთება შესაძარებელი მასალის უქონლობის გამო შეუძლებელია. კრეტაზე ნაპოვნი ტექსტების უმრავლესობა შესრულებული იყო ე.წ. ხაზოვანი დამწერლობით. ევანსმა მისი ორი სახეობა გაარჩია: A და B. ამ უკანასკნელის ნიმუშები კონტინენტურ საბერძნეთშიც აღმოჩნდა – პილოსში, რომელიც 30-იან წლებში კარლ ბლეგენმა გათხარა, თებში, მიკენში, გირინსში და სხვ. ე.წ. A-ხაზოვანი დამწერლობა ჯერაც გაუშიფრავია, ხოლო B-ხაზოვანი 1952 წელს ინგლისელმა მეცნიერებმა მ. ვენტრისმა და ჯ. ჩედვიკმა გაშიფრეს.³⁴ სამეცნიერო სამყაროსათვის სრულიად მოულოდნელად, ამ დამწერლობით შესრულებული ტექსტების ენა ბერძნული აღმოჩნდა, რითიც მიკენური ცივილიზაციის მაგარებელთა ეთნიკური ვინაობა დადგინდა, ხოლო მიკენური საზოგადოების შესწავლა მეტ-ნაკლებად მყარ საფუძველზე დადგა.

დამწერლობის სისტემა

B-ხაზოვანი დამწერლობისა და ტექსტების ენისათვის იხ. მაგ.: M. Ventris, J. Chadwick. *Documents in Mycenaean Greek*. Cambridge, 19732, 28ff.;

L.R. Palmer, *The Interpretation of Mycenaean Greek Texts*, Oxford, 1963, 1ff.;

J.T. Hooker, *Linear B. An Introduction*, Bristol, 1983, 35ff.;

³⁴ M. Ventris, J. Chadwick, Evidence for Greek Dialect in the Mycenaean Archives. *JHS* 73, 1953, 84-103. ამავე ავტორებმა 1956 წელს გამოაქვეყნეს სამასი რჩეული ტექსტი საფუძვლიანი კომენტარებით, რომლის მეორე, გადამუშავებული და შეესებული გამოცემა დღემდე ყველა მიკენოლოგის სამაგიდო წიგნია (M. Ventris, J. Chadwick. *Documents in Mycenaean Greek*. Cambridge, 1956, 1973² = *Docs, Docs*2). მ. ვენტრისის გაშიფვრა არ ყოფილა თავიდანვე საყოველთაოდ გაზიარებული (იხ. მაგ., S. Hiller, O. Panagl, *Die frühgriechischen Texte aus mykenischer Zeit. Zur Erforschung der Linear B-Tafeln*. Darmstadt, 1986², 329ff.), მაგრამ დღეს იგი ეჭვს აღარ იწვევს.

R. Plath, Linear B. *Der Neue Pauly (DNP)* 7, 1999, 245ff.; Mykenisch, *DNP* 8, 2000, 572ff.

ბ-ხაზოვანი დამწერლობა მოიცავს შემდეგ ძირითად ულემენტებს: სილაბოგრამებს, ილეოგრამებს, ზომა-წონისა და რიცხვით ნიშნებს.

⁰⁰ _a Ἦ	³⁸ _a A	³⁸ _a ᚿ	⁰¹ _o B	³⁰ _u F	²⁸ _{a2} ᚾ	⁴³ _{a1} ᚿ	⁰⁰ _{au} ▷	¹⁰ _a ᚾ	⁰³ _a ᚿ
⁰¹ _o Ἦ	²⁵ _o ᚿ	²⁷ _o ᚾ	¹⁴ _o ᚾ	³¹ _{ou} ᚾ	²¹ _{ou} ᚾ	⁰⁰ _{ou} ᚾ		¹⁰ _a ᚾ	⁰⁰ _{ou} ᚾ
²⁷ _{ia} ᚾ	²⁸ _{ia} ᚾ		³⁸ _{io} ᚾ					²² _{ia} ᚾ	⁰⁰ _{ou} ᚾ
⁷⁷ _{ka} ⊕	⁴⁴ _{ka} ᚾ	⁰⁷ _{ka} ᚾ	⁷⁰ _{ka} ᚾ	⁰¹ _{ku} ᚾ				³⁴ _{ka} ᚾ	
⁰⁰ _{ma} ᚾ	¹³ _{ma} ᚾ	²³ _{mai} ᚾ	¹⁸ _{mo} ᚾ	²³ _{mu} ᚾ				³⁸ _{ma} ᚾ	
⁰⁶ _{na} ᚾ	²⁴ _{na} ᚾ	³⁰ _{ni} ᚾ	⁰² _{no} ᚾ	³⁸ _{nu} ᚾ	⁴⁰ _{oua} ᚾ			⁴⁷ _{na} ᚾ	
⁰³ _{pa} ᚾ	⁷² _{pa} ᚾ	¹⁹ _{oi} ᚾ	¹¹ _{oo} ᚾ	³⁰ _{ou} ᚾ	²⁹ _{ou2} ᚾ	⁰² _{pio} ᚾ		⁴⁰ _{pa} ᚾ	
¹⁶ _{qa} ᚾ	⁷⁸ _{qa} ⊕	²¹ _{qi} ᚾ	³² _{qo} ᚾ					⁰⁶ _{qa} ᚾ	
⁰⁰ _{ra} ᚾ	²⁷ _{ri} ᚾ	³³ _{ri} ᚾ	⁰² _{ro} ᚾ	²⁶ _{ru} ᚾ	⁷⁶ _{ra2} ᚾ	²³ _{ra3} ᚾ	⁰⁶ _{ro2} ᚾ	⁰³ _{ra} ᚾ	⁰³ _{ra} ᚾ
³¹ _{sa} ᚾ	⁰⁰ _{sa} ᚾ	²¹ _{oi} ᚾ	¹² _{oo} ᚾ	³⁸ _{su} ᚾ				⁰⁴ _{sa} ᚾ	
³⁹ _{ta} ᚾ	⁰⁴ _{io} ᚾ	³⁷ _{ii} ᚾ	⁰⁸ _{io} ᚾ	⁰⁰ _{iu} ᚾ	⁰⁶ _{ia2} ᚾ	⁰⁷ _{iaa} ᚾ	⁰¹ _{iaa} ᚾ	⁰⁰ _{ia} ᚾ	⁰⁰ _{ia} ᚾ
⁰⁴ _{wa} ᚾ	⁷⁰ _{wa} ᚾ	⁴⁰ _{wi} ᚾ	⁴² _{wo} ᚾ					⁷⁰ _{wa} ᚾ	
¹⁷ _{za} ᚾ	⁷⁴ _{za} ᚾ		²⁰ _{zo} ᚾ					⁰² _{za} ᚾ	

მარცვლოვან ნიშანთა ცხრილი

სილაბოგრამები, მარცვლოვანი ნიშნები მოტანილია ცხრილში, სადაც მათ მიწერილი აქვთ პირობითი ნომრები და სავარაუდო ფონეტიკური მნიშვნელობები. ეს ნიშნები, როგორც წესი, ერთი მეორის მიყოლებით იწერებოდა და კქმნიდნენ სიტყვებს. მაგრამ ისინი შეიძლება შეგვხვდეს ცალკეც და მონოგრამის, ლიგატურის ნაწილის სახითაც. რამდენიმე მარცვლოვანი ნიშნის შერწყმის შედეგად მიღებული ლიგატურები ტრანსლიტერაციაში მათი ფონეტიკური მნიშვნელობით გადმოიყვებიან, მაგრამ, ჩვეულებრივი მარცვლებისგან განსხვავებით, მთავრული ასოებით. ცალკე მდგომი მარცვლოვანი ნიშანი წარმოადგენს სიტყვის შემოკლებას (როგორც წესი, სიტყვის ნაცვლად იწერება მისი პირველი მარცვალი), ხშირ შემთხვევაში, ჩვენთვის ამოუცნობს, ან იდეოგრამის დანამატს, განმარტებას.

⊞ KAPO

⊞ KANAKO































⊞ AREPA































⊞ MERI

⊞ TURO₂

ლიგატურათა ნიმუშები

იდეოგრამები ანუ ლოგოგრამები თავდაპირველად ადამიანის, ცხოველისა თუ ნივთის სურათს წარმოადგენდა. ზოგ მათგანში იოლია მნიშვნელობის ამოცნობა, ზოგიც დროთა განმავლობაში სქემატურ ნიშნად იქცა და კონტექსტის გარეშე ჩვენთვის გაუგებარია. იდეოგრამები ტრანსლიტერაციაში მათი ლათინური შესატყვისებით გადმოიყვებიან.

		
100 MAN (VIN)	121 BARLEY (HORDEUM)	145 WOOL (LANA)
		
102 WOMAN (MULIER)	122 OLIVE (OLIVA)	181 HORN (CORNU)
		
104 DEER (CERVUS)	128 CYPERUS (CYPEROS)	183
		
105 HORSE (EQUUS)	129 FLOUR (FABINA)	155 REEFER-TABLE
		
106 EWE (OVIS)	130 OIL (OLEUM)	158
		
108 RAM (OVIS m)	131 WINE (VINUM)	159 CLOTH (TELA)
		
107 GOAT (CAPRA)	140 BRONZE (AES)	182 TUNIC (TUNICA)
		
108 PIG (SUS)	141 GOLD (AURUM)	184
		
108 OX (BOS)	142	187
		
130 WHEAT (GRAMM)	144 CROCUS (CROCUS)	188

		
175 MOON (LUNA)	200 AMPHORA	220 SPEAR (MUSTA)
		
200 PAN	212 URN	231 ARROW (SAGITTAR)
		
201 TRIPOD	213 DISH	232
		
202 JAR	214 CONTAINER	233 DAGGER (PUNDO)
		
203 PITHOS	215 TWO-HANDED GOBLET	240 WHEELED CHARIOT (BIGAE)
		
204 JUG	216 CUP	241 WHEEL-LESS CHARIOT (CURRUS)
		
205 JUGLET	218 ONE-HANDED GOBLET	242 CHARIOT (CARRUS)
		
206 HYDRIA	227 BRYNTON	243 WHEEL (ROTA)
		
207 TRIPOD HYDRIA	228 PAN	254 JAVELIN (SAGITTAR)
		
209 BOWL	229 LABE	297

იდეოგრაფები

T

T

ზომა-წონის ერთეულები ტრანსლიტერირებულია მთავრული ასოებით და წარმოდგენილია აქ ქლების მიხედვით:

V

V

მშრალი საზომი (მოცულობა): T, V, Z.

Z

Z

სითხე (მოცულობა): S, V, Z.

S

S

წონა: L, M, N, P, Q.

V

V

L-ის გარდა, რომელიც "ერთეულად" შეიძლება გავიგოთ, სხვა ყველა წილადია. "ერთეული", როგორც წესი, გადმოიცემა გასაზომი პროდუქტის აღმნიშვნელი იდეოგრამით, რომელსაც მოსდევს რიცხვი. მაგ., ჩანაწერი GRA 1 T 5 V 4 აღნიშნავს მარცვლის (ხორბლის ან ქერის) ერთ ღიდ, 5 მეორე რიგის და 4 მესამე რიგის ერთეულს.

Z

Z

L

L

M

M

N

N

B-ხაზოვან დამწერლობაში დადასტურებულია თელის ათობითი სისტემა. ტექსტებში მხოლოდ მთელი რიცხვებია დადასტურებული. წილადებს, A-ხაზოვანი დამწერლობისაგან განსხვავებით, ვერ ვხვდებით.

P

P

Q

Q

• 10000

• 1000

• 100

- 10

• 1

B-ხაზოვანი დამწერლობით შესრულებული ტექსტები მარცხნიდან მარჯვნივ იწერებოდა. "ფურცლის" ფორმის ფირფიტებზე მწერლები პორიზონტალური ხაზებით გამოპყოფდნენ შინაარსობრივ ერთეულებს. ტექსტი ზოგჯერ იყოფოდა პარაგრაფებად ცარიელი სტრიქონის დატოვების მეშვეობით. თუ ფრაზა სტრიქონზე არ ეტეოდა, სიტყვა გადააქონდათ არა მომდევნო სტრიქონზე, არამედ პატარა ზომის ნიშნებით ძირითად ტექსტს თავზე აწერდნენ. მწერალთა უმრავლესობა სიტყვებს გამოპყოფდა პატარა ვერტიკალური ხაზით. იშვიათად გვხვდება სიტყვათა ჯგუფის გამოყოფი მობრდილი ვერტიკალური ხაზი, იშვიათად, ჯვარიც. საჭიროების შემთხვევაში ტექსტი გრძელდებოდა ფირფიტის მეორე მხარეზე, ან კიდევ.

როგორც მარცვლოვანი ნიშნების ცხრილიდან ჩანს, 73 ნიშნის ფონეტიკური მნიშვნელობა მეტ-ნაკლებად დადგენილია. ნიშნები მხოლოდ ღია მარცვლებისათვის (ხმოვანი, თანხმოვანი + ხმოვანი, იშვიათად, თანხმოვანი + თანხმოვანი + ხმოვანი) არსებობდა. თუ

მარცვალე შეიკავს ხმოვანი + თანხმოვანი ან თანხმოვანი + ხმოვანი + თანხმოვანი, მარცვლის ბოლო თანხმოვანი, როგორც წესი, არ იწერებოდა (მაგ., a-ku-ro = ἀγκυρος, a-pi-me-de = Ἄμφιμῆδες, ka-ko = χαλκός). მარცვალე თანხმოვანი + თანხმოვანი + ხმოვანი გადმოიციემა ორი მარცვლოვანი ნიშნით. პირველი შეიკავს “ცარიელ” ან “მკვდარ” ხმოვანს, რომელიც მეორე მარცვლისას იმეორებს (მაგ., a-mi-ni-so = Ἄμισος, ko-no-so = Κνωσός, ku-ru-so = χρυσός).

სილაბარში შედის ხუთივე მარტივი ხმოვანი და მხოლოდ ორი დიფთონგი ai და au. პირველი მათგანი იშვიათად გვხვდება და მის ნაცვლად, როგორც წესი a იწერება. სხვა დიფთონგები გადმოიციემა ერთი ან ორი ნიშნით (მაგ., oi: o-no = ὄνοι, ko-to-na, ko-to-i-na = κτίσινα, eu: qa-si-re-u = βασίλειος). B-ხაზოვან დამწერლობაში არ განირჩევა მოკლე და გრძელი e, o; არ აღინიშნება უმზინვა (გარდა ერთი შესაძლო გამონაკლისისა – a₂ = ha, ra₂ = rha/rya (?)); არ განსხვავდება λ-ρ, γ-κ-χ, φ-π, β-π, რაც ზოგ შემთხვევაში მინოსური დამწერლობის გავლენით შეიძლება აიხსნას და რაც ხშირად ძალზე პრობლემატურს ხდის ამა თუ იმ სიტყვის ამოცნობას. ამას ერთვის ისიც, რომ ბოლო თანხმოვნის (n, s) იგნორირებით ხშირად გაურკვეველი რჩება სიტყვის სქესი და ბრუნვა.

B-ხაზოვან დამწერლობაში აისახა ბერძნული ენის განვითარების ადრეული საფეხური. ასე მაგ., F, რომელიც კლასიკურ ბერძნულში გაქრა, მიკენურ ტექსტებში საკმაოდ ხშირად გვხვდება (di-wo = Δίφος, ko-wo = κόρφος, wa-na-ka = Φάναξ), ხოლო q შეესაბამება ლაბიოველარებს k^w და g^w, რომლთა მემკვიდრედაც სხვადასხვა თანხმოვანი გახდა: β, δ, θ, τ, π, φ (მაგ., mo-qo-so = Μόσχος, e-qe-ta = ἐπέτα, -qe = τε).

დღეისათვის B-ხაზოვანი დამწერლობის ნიმუშები აღმოჩენილია შემდეგ პუნქტებში: კრეტა – კნოსოსი (KN), ხანია (KH), არმენოი (AR), მალია (MA), მამელუკო (MAM); არგოლისი – მიკენი (MY), გირინსი (TI), მიდეა (MI); მესენია – პილოსი (PY); ატიკა – ელევსინი (EL); ბეოტია – თებე (TH), კრეუსისი (KR), ორქომენოსი (OR).

ტექსტების უახლესი გამოცემები:

KN – J. Chadwick, L. Godart, J.T. Killen, J.-P. Olivier, A. Sacconi, I.A. Sakellarakis. Corpus of Mycenaean Inscriptions from Knossos (COMIK). Cambridge, Rome. 4 Vol. 1986, 1990, 1997, 1998; J.T. Killen,

J.-P. Olivier. The Knossos Tablets (KT 5). Supplementos a Minos 11. Salamanca, 1989.

PY – E.L. Bennett, J.-P. Olivier. The Pylos Tablets Transcribed (PTT). Part I. Texts and Notes. Roma, 1973; Part II: Hands, Concordances, Indices. Roma, 1976.

MY, TH, TI – TITHEMY. The Tablets and Nodules in Linear B from Tiryns, Thebes and Mycenae. A Revised Transliteration by J.L. Melena and J.-P. Olivier. Supplementos a Minos 12, Salamanca, 1991. 90-იან წლებში თებში აღმოჩნდა ტექსტების დიდი ჯგუფი, რომელიც სულ ახლახანს გამოქვეყნდა: V. Avarinatos, L. Godart, A. Sacconi, Thèbes. Fouilles de la Cadmée, I. Les tablettes de la Odos Pelopidou. Pisa-Roma 2001.

KH – E. Hallager, M. Vlasakis, The First Linear B Tablet(s) from Khania, Kadmos 29, 1990, 24-34; E. Hallager, M. Vlasakis, New Linear B Tablets from Khania, Kadmos 31, 1992, 61-87.

სხვადასხვა ადგილებში აღმოჩენილი ვაზები – A. Sacconi. *Corpus delle iscrizioni vascolari in Lineare B (CIV)*. Roma, 1974.

შემორჩენილია მხოლოდ თიხაზე დატანილი ტექსტები:

1. პალმის ფოთლის ან ფურცლის ფორმის თიხის ფირფიტებზე,

2. ვაზებზე,

3. ყუთებისა თუ კალათების ლუქებზე და ეტიკეტებზე.

ფირფიტებსა და ეტიკეტებზე ნიშნები ჩაჭდუელია (ამოკაწრულია), ვაზებზე – ფუნჯითა და საღებავით დატანილი.

ჩვენამდე მოღწეული დაახლ. 5000 ტექსტი გამოუმწეარ თიხის ფირფიტებზე რომ იწერებოდა და შემორჩა მხოლოდ იმ ხანძრების “წყალობით”, რომლებმაც სასახლეები გადაწვეს. ფირფიტები მომდინარეობენ სასახლეთა არქივებიდან (KN, KH, PY, MY, TH, TI) და დრო, რომელსაც ისინი მოიცავენ, განისაზღვრება ერთი წლით. შესაბამისად, ტექსტები სასახლის საბოლოო (ან ერთ-ერთი) დანგრევის წელიწადს განეკუთვნებიან და წარმოადგენენ რამდენიმე თვის ანგარიშებს სამეურნეო წლის დასაწყისიდან ხანძრამდე. ჯ. ჩედვიკის გამოთვლებით პილოსის სასახლე მარტში დაიწვა, კნოსოსისა კი მაისი-ივნისში.³⁵ ტექსტების დიდ ნაწილს მკვლევართა უმრავლესობა დაახლ. ძვ.წ. 1200 წლით ათარიღებს, როდესაც მიკენური რეზიდენციები რაღაც ერთიანმა კატასტროფამ შეიწირა. კნოსოსის არქივის დათარიღება საკამათოა. სასახლის გათხრებისას მოპოვებული არქეოლოგიური მასალა, როგორც ჩანს, არ არის საკმარისი, რათა საბოლოო არჩევანი გაკეთდეს სამ შესაძლებლობას შორის: ძვ.წ. XIV საუკუნის დასაწყისი,

³⁵ J. Chadwick, *The Mycenaean World*, Cambridge, 1976, 188f.

XIII საუკუნის დასაწყისი თუ XIII საუკუნის ბოლო. ყველა არქივის ამკარა ენობრივი ერთობა თითქოს ქრონოლოგიურ ერთობაზე უნდა მეტყველებდეს, მაგრამ ზოგიერთი შინაარსობრივი განსხვავება კნოსოსისა და პილოსის ტექსტებს შორის, მაგ., მიწისმფლობელობის სისტემაში, ჩემი აზრით, უფრო განვითარების განსხვავებულ საფეხურებს ასახავს, ვიდრე განსხვავებულ მიმართულებას.³⁶ გარდა ამისა, კნოსოსის ადმინისტრაცია თითქმის მთელ კუნძულს აკონტროლებდა, რაც მხოლოდ დიდი სასახლიდან იქნებოდა შესაძლებელი. ასეთი სასახლე ძვ.წ. XIV საუკუნის დასაწყისში ჩანს დანგრეული, შესაბამისად, კნოსოსის არქივის ტექსტებიც ამ დროს უნდა განეკუთვნებოდნენ. საუარაუდოა, რომ ძვ.წ. 1370 წელს კნოსოსის სასახლის დანგრევის შემდეგ მიკენური კრეტის დედაქალაქი ხანია იყო.

თანამედროვე გამოკვლევების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ აქამდე ცნობილი ტექსტები ორასზე მეტი წლის განმავლობაშია შედგენილი:³⁷ ყველაზე ძველი უნდა იყოს კნოსოსიდან მომდინარე ტექსტები, რომლებიც ე.წ. № 124 ხელს ეკუთვნის (დაახლ. ძვ.წ. 1420-1400). დაახლ. ძვ.წ. 1375-1350 წლებით თარიღდება კნოსოსის დანარჩენი ტექსტები და ხუთი ტექსტი პილოსიდან (ხელი № 91). ხანიას, მიკენისა და თებუს ტექსტების დიდი ნაწილი დაახლ. ძვ.წ. 1280 წელს უნდა იყოს შედგენილი, ხოლო ფინალური კატასტროფის თანამედროვედ (დაახლ. ძვ.წ. 1200 წ.) შეიძლება ჩაითვალოს რამდენიმე ტექსტი მიკენიდან და გირინსიდან, წარწერიანი ვაშების დიდი ნაწილი და პილოსის არქივის ტექსტების აბსოლუტური უმრავლესობა.

B-ხაზოვანი დამწერლობა ძირითადად სასახლეებში გამოიყენებოდა. შესაძლოა, რომ მიკენში აღმოჩენილი ტექსტები სასახლის არქივს არ ეკუთვნოდნენ. მიუხედავად ამისა, ეს ტექსტები იმავე ტიპისაა, რაც სასახლის არქივებში არსებული მიმდინარე ანგარიშები. საუარაუდოა, რომ ხანგრძლივად შესანახი ინფორმაცია იწერებოდა სხვა მასალაზე (პაპირუსი, ტყავი, ხე), რომელიც ბუდის ირონიით მოსპო თიხის ფიურებიების გადამრჩენმა ხანძარმა. იმ მოსაზრებისათვის, რომ B-ხაზოვანი დამწერლობა მარტო მიმდინარე სამეურნეო ანგარიშების შესადგენად არ გამოიყენებოდა და სხვა ფანრის თუ ტიპის ტექსტებიც უნდა არსებულებოდა, მრავალი არაპირდაპირი საბუთი მოგვეპოვება. მათ შორის, წერა-კითხვის მცოდნეთა საკმაოდ დიდი რიცხვი სასახლეებში: პილოსისა და კნოსოსის არქივებში მეცნიერები

³⁶ L. Gordesiani, *Zur mykenischen Gesellschaftsordnung*, Tbilissi 1995, 18 Anm. 68.

³⁷ DNP 7, 1999, 245.

განარჩევენ მრავალ ათეულ ხელწერას.³⁸ სავარაუდოა, რომ ტექსტებს აღგენდნენ არა მხოლოდ პროფესიონალი მწერლები, არამედ თვით სხვადასხვა რანგის მოხელეებიც.³⁹ ზოგს მხოლოდ ორიოდ დოკუმენტის შედგენა თუ უწევდა და, საეჭვოა, წერა-კითხვა მხოლოდ ამ მიზნით ესწავლა. შეიძლება გავიხსენოთ მინოსურ კრეტაზე A-ხაზოვანი დაბწერლობის შედარებით ფართო გავრცელებაც და პომეროსის მინიშნებაც (γράφας ἐν πίνακι παυκῆ (Il. 6. 169) – “დაწერა რა დაკეცილ დაფაზე”), რომელიც ეგეოსის ზღვის აუზში უკანასკნელი აღმოჩენების შუქზე უფრო სანდოდ გამოიყურება: გროაში აღმოჩნდა ძვ.წ. XI ს.-ის საბეჭდავი ლუვიური იეროგლიფებით შესრულებული წარწერით, რომელიც “მწერალს” ეკუთვნოდა; ხოლო სანაპიროს მახლობლად – ჩაბირული ხომალდი (ძვ.წ. XIV ს.), რომელსაც ძირითადად “საკანცერლარიო საქონელი” გადააქონდა.

ტექსტები არქივების მიხედვით არათანაბრადაა განაწილებული. მიკენში, თებესა და გირინსში ძალზე ცოტა ტექსტი გადარჩა. ტექსტების უდიდესი ნაწილი კრეტაზეა ნაპოვნი (ენოსოსის არქივი), მაგრამ ისინი ძალზე მოკლე და ფრაგმენტულია. პილოსის არქივი ყველაზე უკეთ არის შემონახული და ძირითად საყრდენს წარმოადგენს მიკენური საზოგადოების ზოგადი სურათის აღსადგენად.

შემორჩენილი ტექსტების თემატიკა სასახლის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს მოიცავს. ტექსტების შედგენის მიზანი მათ გაშიფვრამდეუც გასაგები იყო. მოკლე, რამდენიმე სტრიქონიანი ტექსტები, იდეოგრამებითა და რიცხვითი ნიშნებით თითქმის ყოველი სტრიქონის ბოლოს მხოლოდ სამეურნეო ანგარიშები თუ იქნებოდა. სწორედ ხსენებული იდეოგრამების საფუძველზე ე. ბენეტმა მოახდინა მათი დაჯგუფება ე.წ. კლასებად. თითოეული კლასის შიგნით დამატებითი კრიტერიუმების (მაგ., ფირფიტის ფორმა და ზომა, მეორე იდეოგრამის ხმარება და სხვ.) გათვალისწინებით გამოიყო სერიები. ეს წმინდა მექანიკური დაყოფა საკმაოდ მუსკად დაემთხვა შინაარსობრივსაც, რის გამოც ეს კლასიფიკაცია უზნიშვნელო ცვლილებებით დღემდე გამოიყენება. ყოველი ტექსტის ნომერი შედგება ოთხი ასოსა და ერთი რიცხვისაგან. პირველი ორი მთავრული ასო აღმოჩენის ადგილის შემოკლებაა, მესამე, ასევე მთავრული, კლასს აღნიშნავს, მეოთხე კი, უკვე პატარა, მესამესთან ერთად – სერიას. რიცხვი ტექსტის საინვენტარო ნომერია.

ახალ გამოცემებში ვხვდებით შემდეგ სერიათა კლასებს:

³⁸ მრავალი სტატიის გარდა ამ საკითხს ორი მონოგრაფიაც მიეძღვნა: J.-P. Olivier, *Les scribes de Cnossos*. Roma, 1967; T.G. Palaima, *The Scribes of Pylos*. Roma, 1988.

³⁹ მღრ. მაგ., *DNP* 8, 248.

აღამიანის აღმნიშვნელი იდეოგრამები (*100 – კაცი, *102 – ქალი) აერთიანებს A და B (PY: Aa, Ab, Ac, Ad, Ae, An, Aq; KN: Ag, Ai, Ak, Am, Ap, As; MY: Au; KN: B) კლასების სერიებს. რიგ შემთხვევაში, კაცისა და ქალის იდეოგრამებს თან ახლავს სხვა იდეოგრამებიც, რაც გათვალისწინებულია გექსტის ამა თუ იმ სერიისათვის მიკუთვნებისას. ეს გექსტები შეიცავენ სხვადასხვა სახის სიებს დაწყებული გაურკვეველი დანიშნულებით შედგენილი მაღალი რანგის პირთა ჩამონათვალიდან და დამთავრებული სამხედრო თუ სამუშაო რაზმების აღწერილობით. აღამიანის აღმნიშვნელი იდეოგრამები გვხვდება ასევე სხვა კლასების გექსტებშიც, რომელთა კლასიფიკაციისათვის სხვა იდეოგრამები თუ დამატებითი კრიტერიუმები იქნა უფრო მნიშვნელოვნად მიჩნეული.

შინაური ცხოველების აღმნიშვნელი იდეოგრამები აერთიანებს C და D (PY: Cc, Cn, Cr; KN: Ca, Ce, Ch, Co, C; KN: Da, Db, Dc, Dd, De, Df, Dg, Dh, Dk, Dl, Dm, Dn, Do, Dp, Dq, Dv, D) კლასების სერიათა გექსტებს, რომლებიც ასახავენ სასახლის აქტივობას მეცხოველეობის სფეროში.

მარცვლეულის აღმნიშვნელი იდეოგრამა განსაზღვრავს E (PY: Ea, Eb, Ed, En, Eo, Ep, Eq, Er, Es; KN: E; MY: Eu; TI: Ef; PY: Fa, Fg, Fn, Fr; KN: Fh, Fp, Fs, F; MY: Fo, Fu) კლასის სერიებს. გექსტების შინაარსი მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც მიწისმფლობელობის სისტემას, ასევე სასახლის შემოსავალ-გასავალს.

როგორც მარცვლეული, ასევე სხვა პროდუქტები, რომლებსაც იღებს ან გასცემს სასახლე გვხვდება F, G (PY: Fa, Fg, Fn, Fr, Gn; KN: Fh, Fp, Fs, F, Ga, Gg, Gm, Gv, G; MY: Fo, Fu, Ge, Go) კლასების სერიებში.

ლითონის – ბრინჯაოსა და ოქროს – იდეოგრამები განაპირობებენ გექსტების გაერთიანებას J (PY: Ja, Jn, Jo) კლასის სერიებში.

განსაცმლის იდეოგრამა განსაზღვრავს L (PY: La; KN: Lc, Ld, Le, Le, Ln, L; MY: L) კლასს, ხოლო სხვადასხვა ჭურჭლის იდეოგრამები – T (PY: Ta, Tn) კლასს.

სხვადასხვა გიპის სამხედრო აღჭურვილობას მოიცავენ R, S (PY: Sa, Sh; KN: Ra, R, Sc, Sd, Se, Sf, Sg, Sk, So, Sp) კლასების სერიები.

დანარჩენი კლასებისათვის დამახასიათებელია: ა. იდეოგრამები, რომელთა ამოცნობა გრაფიკული მოხაზულობის საფუძველზე არ ხერხდება; ბ. მარცვლოვანი ნიშნით ან ლიგატურით გადმოცემული იდეოგრამები; გ. სხვადასხვა იდეოგრამების გიპიური კომბინაციები. რიგ შემთხვევაში, გექსტების გაშიფრის შემდეგაც ამ იდეოგრამების

მნიშვნელობის და, შესაბამისად, ტექსტების შინაარსის თუ სერიის თავდაპირველი დანიშნულების ზუსტად დადგენა ვერ ხერხდება

K (KN: K); M (PY: Ma, Mb, Mn; KN: Mc, M); N (PY: Na, Ng, Nn; KN: Nc, Np); O (PY: Ob, On; KN: Oa, Od, Og; TH: Of; MY: Oe, Oi); P (PY: Pa, Pn; KN: Pp); Q (PY: Qa); R (KN: Ra, R); U (PY: Ua, Ub, Un; KN: Uc, Uf, U; TH: Ug; MY: Ue, Ui); V (PY: Va, Vn; KN: Vc, Vd, V; MY: V).

არქივში ერთად შენახული დოკუმენტების საკლასიფიკაციო ეტიკეტები ერთიანდებიან W (PY: Wa, Wr; KN: Wb, Ws; MY: Wt),⁴⁰ ხოლო მოხატულ ვაშებზე შესრულებული წარწერები – Z (PY: Za; TH: Z; MY: Z) კლასში X (PY: Xa, Xn; KN: Xd, Xe, X; MY: X) კლასის სერიები მოიცავენ ძალზე დაზიანებულ, კლასიფიკაციის მიღმა დარჩენილ ტექსტებს.

ამგვარი კლასიფიკაცია საკმაოდ მოსახერხებელია. ერთი კლასის თუ სერიის კომპლექსური შესწავლა აიოლებს ტექსტების შინაარსში გარკვევას. ამავე მიზნით, უკანასკნელ ხანებში ტექსტებს აჯგუფებენ ასევე მწერლის ხელისა და აღმოჩენის ადგილის მიხედვით. ძალზე მნიშვნელოვანია დოკუმენტაციის წარმოების ზოგად თავისებურებებში გარკვევა. ამა თუ იმ სიტყვის გამოყოფა მისი შედარებით დიდი ზომის ნიშნებით ჩაწერის ან იდეოგრაფიით დუბლირების მეშვეობით, სიტყვების თანამიმდევრობა ფრაზაში, როგორც წესი, ტექსტის შედგენის მიზანდასახულებაზე მიუთითებენ.

B-ხაზოვან ტექსტებზე მუშაობისას შემდეგი სირთულეებია გასათვალისწინებელი:

1. დამწერლობის სისტემა, რომელიც არაინდოევროპული “მინოსური” ენისათვის შექმნილი A-ხაზოვანიდან მომდინარეობს, ცუდად ესადაგება ბერძნულ ენას, რის გამოც, როგორც უკვე აღინიშნა, ზოგიერთი სიტყვისა თუ კონტექსტის გაგება ჭირს;

2. ტექსტები დგებოდა არა მკითხველთა ფართო წრისათვის, არამედ სასახლის ადმინისტრაციის შინაური ხმარებისათვის. ამდენად, მწერალი ცდილობდა ზუსტად და ლაკონურად გადმოეცა ინფორმაცია, რის გამოც მისთვის გასაგები ბევრი ნიუანსი ტექსტებში ასახვას ვერ პპოვებდა;

3. ქრონოლოგიური ჩარჩოს სიფიწროვის გამო ტექსტებში მოცემულია საზოგადოების “ფოტოგრაფიული სურათი”, რომელიც თითქმის არაფერს გვეუბნება საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციებზე და მათი კვლევა უფრო მეტად ლოგიკური სპეკულაციების სფეროში რჩება.

⁴⁰ ამ ტიპის დოკუმენტებისა და მინოსურ-მიკენური საბეჭდავებისათვის იხ. მაგ., T.G. Palaima, *Mycenaean Seals and Sealings in their Economic and Administrative Contexts. Tractata Mycenaea*, 1987, 249-266.

§5. ბერძნული ანბანური დამწერლობის წარმოშობა

საქციალისტთა ერთსულოვანი აზრის თანახმად ბერძნული ანბანური დამწერლობა ემყარება ძველ სემიტურ წერით სისტემას, სახელდობრ, იგი მომდინარეობს ფინიკიური დამწერლობისაგან. ეს დებულება მტკიცდება შემდეგი მონაცემების მიხედვით: 1. არქაული ბერძნული დამწერლობის ნიშნები გრაფიკულად ემთხვევა ძველი სემიტური წერის შესაბამის გრაფიკულ სიმბოლოებს. 2. ბერძნული ანბანის ნიშანთთანამიმდევრობა არსებითად იგივეა, რაც ძველ სემიტურ სისტემაში. ამასთანავე დაკავშირებული ბერძნულ ნიშანთა რიცხვითი მნიშვნელობები. 3. არქაული ბერძნული წერის მიმართულება იგივეა, რაც არის სემიტურ სისტემაში. ნაწერი მიმართულია მარჯვნიდან მარცხნივ. არქაული ბერძნულისათვის დამახასიათებელია ასევე ე.წ. ბუსტროფედონი... მხოლოდ შედარებით გვიან პერიოდში მკვიდრდება ბერძნულ დამწერლობაში კლასიკური ხანისათვის დამახასიათებელი წერის მიმართულება – მარცხნიდან მარჯვნივ, რაც შემდეგ ბერძნულიდან წარმომდგარ ყველა წერით სისტემაშია გატარებული. 4. ბერძნული ასოების სახელები წარმოადგენს სათანადო ძველი სემიტური ნიშნების სახელწოდებათა მოდიფიკაციას. ბერძნულ ასოთა სახელები მხოლოდ უმნიშვნელოდ განსხვავდებიან შესაბამის სემიტურ ნიშანთა სახელწოდებებისაგან (ბერძნულ ასოთა სახელწოდებების დაბოლოება გარჩენილია თვით ბერძნულის ბუნების შესაბამისად).

რას წარმოადგენს თვით ფინიკიური დამწერლობა?

ძველი სემიტური დამწერლობა იყო კონსონანტურ-სილაბური, ე.ი. ამ ტიპის დამწერლობაში თითოეულ თანხმოვანს შეესაბამებოდა თითო ნიშანი. ესაა შემდეგი საფეხური მსოფლიო დამწერლობის ისტორიაში – B-ხმოვანი დამწერლობა სილაბური იყო, კონსონანტურ-სილაბური უკვე ანბანურია (მაგრამ არაა სრულყოფილი. მას ხმოვნებისათვის ნიშნები არ გააჩნია). არსებითად მარცვლისათვის CV ერთი ნიშანია.

ძველი სემიტური, ანუ ჩრდილო სემიტური დამწერლობის 3 შტო არის ცნობილი: დასავლური შტო – ფინიკიური, პალესტინური (ანუ ქანაანური) და არამეული.

სადიკუსიოა, თუ საიდან და როგორ გაჩნდა კონსონანტური დამწერლობა: არის ის სემიტების გენიის ნაყოფი (როგორც ამას გელები ფიქრობს), თუ არის ის მასზე უწინარეს არსებული დამწერლობების განვითარების შედეგი. მეცნიერთა უმეტესი ნაწილი ამ მეორე მოსაზრებას უჭერს მხარს, მაგრამ მათ შორისაც ამრთა სხვადასხვაობაა. მაგ., დეეკე და პომელი ფიქრობენ, რომ ის ლურსმული (აქადური, ანუ შუმერული და ასურულ-ბაბილონური) დამწერლობიდან წარმოიშვა,

ელ. მაიერი მას ხეთების პიეროგლიფურ დამწერლობას უკავშირებს, ევანსი მას კრეტულ სილაბაროუმს ადარებს და სხვ. ყველაზე პოპულარულია თეორია კონსონანტური დამწერლობის ეგვიპტური პიეროგლიფური დამწერლობიდან წარმომშობისა (დაწყებული ტაციტუსის „ანალებიდან“ XI, 14 დღევანდელ ავტორებამდე).

როდის გაჩნდა საერთოდ სემიტურ-კონსონანტური ანბანი, ამის ბუსტად დათარიღება ჰირს (ლიძბარსკის აზრით ძვ.წ. 1400 წელს ის ჯერ კიდევ არ არსებობდა),⁴¹ მაგრამ 1868 წ-ს ძველი მოაბიტელების ქვეყანაში, დიბონის ნანგრევებში პ. ა. კლაჟნის მიერ ნაპოვნმა მემას წარწერამ (რაც ძვ.წ. 842 წ-ით თარიღდება) ამ საკითხის გადაწყვეტაში დიდი როლი ითამაშა.⁴² (ეს წარწერა პალესტინური ანუ ქანაანურია). რადგანაც აღნიშნულ (ამ ტიპის უძველეს) წარწერაში ასოები საკმაოდ ჩამოკვეთილია, Nöldeke-ს აზრით ეს იმას მოასწავებს, რომ ასეთ დამწერლობას რამდენიმე საუკუნის ისტორია უკვე ჰქონდა. დრო დამწერლობის ჩამოყალიბებისა ბუსტად ვერ ისაზღვრება, მაგრამ მეცნიერთა უმეტესობის აზრით სემიტური კონსონანტური დამწერლობა XII-XI სს-ში უნდა გაჩენილიყო.⁴³ საკუთრივ ფინიკიური დამწერლობის უძველესი ძეგლია 1876 წ-ს კვიპროსზე ნაპოვნი ბრინჯაოს ჭურჭლის წარწერა, სადაც აღნიშნულია ის, რომ სიდონის მეფის პირამის მსახურმა [ეს ნივთი] დეთაება ბაალლების შესწირა. წარწერა უთარილოა, მაგრამ მემას წარწერასთან მსგავსების პოვნისა და შედარების საფუძველზე ისიც ძვ.წ. IX ს-ის ძეგლად ითვლება. არსებობს მისი თანადროული წარწერიანი ნივთები და საბუქდავი. შემდეგ არსებობს (არც თუ ისე დიდი რაოდენობით) VI-V სს-ის ფინიკიური წარწერები, ხოლო 400-100 წწ-ში ფინიკიური დამწერლობა სრულიად ჩამოყალიბებულია და სხვადასხვა კუთხეთა მიხედვით მასში 3 სახეობის დამწერლობა ჩამოყალიბდა (სიდონური, კვიპროსული და კართაგენული).

⁴¹ M. Lidzbarski, Handbuch der nordsemitschen Epigraphik nebst ausgewählten Inschriften, 2 Bde, Weimar, 1898.

⁴² ფრიად დაზიანებული ეს წარწერა (100X60 სმ.) ამჟამად დაცულია ლუერში. იგი მოგვითხრობს მოაბიტელი მეფის მემას (ისრაელის მეფის აპაბის ვასალის) ლაშქრობებზე, მის ისრაელზე გამარჯვებებსა და საალმშენებლო საქმიანობაზე.

მოაბ-ი, ბიბლიის მიხედვით – ლოთის ძე.

მოაბიტები – მისი ჩამომავლები. (ტომი თავდაპირველად მომთაბარე აღმ. იორდანიაში შემდეგ არაბეთს ეკუთვნოდნენ, დღ. დიბონი, მადაბა – მის ტერიტორიაზეა. ენა – ებრაულთან ძალიან ახლოსაა) დიბონი – მკედარ მლქასთანაა ახლოს.

⁴³ ივ. ჯაფახიშვილი, ქართული პალეოგრაფია. თბ., 1949, გვ. 6.

მემას წარწერის ასოები ასე გამოიყურება:

ⲀⲀ ⲒⲒ ⲔⲔ ⲆⲆ ⲘⲘ ⲚⲚ ⲞⲞ ⲠⲠ
ⲢⲢ ⲤⲤ ⲦⲦ ⲘⲘ ⲚⲚ ⲞⲞ ⲠⲠ ⲢⲢ ⲤⲤ

ძველი სემიტური ასოთა რიგი და სახელწოდებები შემდეგია (სახელწოდებები ცნობილია რაბინული ლიტერატურიდან და სემიტური სახელების ბერძნული ტრანსკრიფციებიდან, რაც სექსტუაგინტის ხელნაწერებში ანბანის მიხედვით გაწყობილ იერემიას თვითოეულ „გოდებას“ ახლავს):

aleph – ხარი

beth – სახლი

gimel – აქლეში

daleth – კარი

he – სასულე (შენობის)

waw – პალო, კავი

zai (zajin) – საჭურველი

het – ღობე

tet – მლანგი, საბერველი(?)

jed – ხელი (პროფილი)

kaph – ხელი (მოხრილი)

lamed – კუროსთავი (ბალახია, გერმ. Ochsenstachel⁴⁴)

mem – წყალი

nun – თევზი

samekh – სეგტი, საყრდენი (ან ხე, ტოტი)

‘ain – თვალი

pe (pa) – პირი

sadē – ?(კიბე)

qoph – კეფა

res (rēš) – თავი კისერზე, პროფილი.

sin – კბილი

taw – (დაბოლოების ნიშნად ჯვარივით)

⁴⁴ მრკ. 7, 16 კუროსთავის განმარტებისთვის დამოწმებულია „ეკალი“, „ბირკაჟა“. შდრ. ბერძნულ ἄκρον და ἑπίστος, ორივე ნიშნავს ეკლებიან მცუნარეს, შავ ნარს, თავეცეხლას.

როგორც ვხედავთ, თითოეული ასოს სახელწოდება ამრიგად, ის რალასაც აღნიშნავს, სპეციალისტთა დაკვირვებით⁴⁵ ეს სახელწოდებანი საგნობრივი თვალსაზრისით 3-ად უნდა დაჯგუფდეს: I – ქონებისა და ნივთების აღმნიშვნელი სიტყვები (1-9); ამაზე დართული ორი – ხელის აღმნიშვნელი სიტყვა. II ჯგუფი – ბუნების ნაწილები (რაც განა არ შეიძლება ადამიანის საკუთრება იყოს – ? თ. ყ.) 12-15 და III – ადამიანის თავისა და ამ თავის ნაწილების აღმნიშვნელი სიტყვები (16-21) ზედ დართული ჯერით. ფონეტიკური თვალსაზრისით ანბანის ორივე ნახევარი სიმეტრიულად იწყება – ალფის შემდეგ I ნახევარში არის 3 მქლერი (ბეთ, გიმელ, დალეთ), ხოლო II ნახევარში 3 – ლიკვიდა (ლაბედ, მემ, ნუნ).

ასეთია ძველი სემიტური, კერძოდ ფინიკიური ანბანი, შემდგარი 22 ნიშნისგან, რაც ბერძნებმა გადმოიღეს და აითვისეს (თუ როგორ, ამის შესახებ, ქვემოთ).

ჯერ კიდევ პეროლოგე წერდა: V, 58 „ფინიკიელებმა, რომლებიც კადმოსთან ერთად მოვიდნენ... და ამ ქვეყანაში ცხოვრობდნენ, ბევრი სხვა სწავლა-მოდერებაც შემოიტანეს ელინებში და დამწერლობაც (γράφματα), რომელიც წინათ, რამდენადაც შე ვიცო, ელინებს არ გააჩნდათ. პირველ ხანებში ისინი სარგებლობდნენ იმავე ასოებით, რომლითაც ფინიკიელები, შემდეგში კი ენასთან ერთად ასოების აღნაგობასაც (ან მოხაზულობასაც) (επιμόν) სცვლიდნენ. მათ გარშემო მდებარე ბევრ მხარეში, მაშინ ცხოვრობდნენ ელინთაგან იონიელები, რომლებმაც ფინიკიელთაგან ისწავლეს (γράφματα) დამწერლობა, ასოების აღნაგობაში მათ ცოტა ცვლილება შეიტანეს და სარგებლობდნენ ამ დამწერლობით, რომელსაც ისინი ფინიკიურს უწოდებდნენ. ამას მოითხოვდა სამართლიანობა, რადგან ფინიკიელებმა შემოიტანეს დამწერლობა ელადამი. წიგნებს იონიელები იმთავითვე ტყავს (διφθέρα) უწოდებდნენ, რადგან, კილის ნაკლებობის გამო, ისინი თხისა და ცხერის ტყავს იყენებდნენ საწერად. მოგიერთი ბარბაროსი ხალხები ახლაც ასეთ ტყაუებზე (διφθέρας) სწერენ“.⁴⁶

⁴⁵ შტრ. W. Larfeld, Griechische Epigraphik, 1914. გვ. 205-206.

⁴⁶ διφθέρα – ძირითადი მნიშვნელობა „ტყავია“, მაგრამ χλαίνα διφθέρα (Plut. quaest. gr. 25) ნიშნავს ალბათ – „ფირფიტას“ – („სპილენძის ტყავი“ ძნელი წარმოსადგენია). βασίλειαι δ. – (ლიოდ. სიყ. 2,32) – ნიშნავს სამეფო საბუთებს, „ლოკუმენტებს“ (რაც დაედო საფუძვლად კატისიასის შემოქმედებას). ამგვარად, როგორც ჩანს, διφθέრა ეწოდება იმას, რაზედაც იწერებოდა, ხოლო რადგან საწერ მასალად ტყავი საკმაოდ გავრცელებული გამოდგა, ამიტომ ეს სიტყვა შემდეგ ძირითადად „ტყავს“ დაუკავშირდა.

ბერძნული ანბანის ფინიკური წარმოშობის შესახებ ლაპარაკობენ: დიოდორე, ბიბლიოთეკა, III, 67,⁴⁷ V, 74; ტაციტუსი, ანალები XI, 14; იოსებ ფლავიუსი – აპიონის წინააღმდეგ, I, 10.

რომ თვით ბერძნები ე.წ. კადმოსის შემოტანილ დამწერლობას ფοινικία-ს უწოდებენ, ამას მოწმობს პეროლოგეც (V, 58-61) და ერთი წარწერაც ტეოსიდან (Syll.³ 38): ნჯ ἄν... φοινικία ἔκασπει – „ვინც ფინიკური [ასოები] ამოგვიფროს“.

(როგორც ჩანს, ამ კადმოს ფინიკიელთან არის გაიგივებული კადმოს მილეტელი, ძვ.წ. VI ს-ის ლოგოგრაფოსი. „სასწავლო წიგნში“, რომელიც VIII ს-ში შეადგინეს წერია: „პალამიდის ვინმე უკუანამსკენელ მოვიდა და იწყო ალფა ბეტა, ივ (ე.ი. 16 – თ. ყ.) ხოლო ასოა ბერძენთა უპოვა მარტოდ... შესძინა კადმოს მილისელმა ასომ სამი: Θ Φ Χ“.⁴⁸ როგორც ვხედავთ, პეროლოგეს ცნობის მიხედვით, ბერძნებს (განსაკ. იონიელებზეა ლაპარაკი), ფინიკიელთაგან შეუთვისებიათ დამწერლობა, ის ერთგვარად გადაუკეთებიათ და დაუწყიათ მისით სარგებლობა. რაში მდგომარეობს ის ცვლილებები, რომლებიც ბერძნებმა ფინიკიურ კონსონანტურ ანბანში შეიტანეს? უპირველესად ყოვლისა იმაში, რომ ბერძნებმა ზოგი ფინიკიური ასო, არსებული ფინიკიური თანხმოვნისთვის, მაგრამ გამოუსადეგარი ბერძნული თანხმოვანი ბგერებისათვის, ხმოვნებისათვის გამოიყენეს. ეს უკვე ახალი ეტაპი იყო დამწერლობის ისტორიაში.

ბერძნული ანბანური დამწერლობის უძველესი ნიმუშები თარიღდება ძვ.წ. VIII-VII სს-ით, სპეციალისტები ამ გიპის დამწერლობის საბერძნეთში გაჩენის თარიღზე სხვადასხვა აზრისა არიან. ვილამოვიცის აზრით ბერძნული ანბანური დამწერლობის გაჩენა დორიულ შემოსევებამდე მოხდა კუნძ. როდოსზე. ლარფელდის აზრით

⁴⁷ „პირველმა კადმოსმა გადმოიტანა ფინიკიელებისგან მიღებული დამწერლობა ბერძნულ ენაზე... აქედან დამწერლობას საერთო სახელს ფინიკიურს უწოდებენ, რადგან ის ფინიკიელებისგანაა გადმოღებული და, რადგან გადმოღების შემდეგ პირველად პელაზგებმა დაიწყეს ამ ასოების ხმარება, ამიტომ ამათ პელაზგური უწოდეს“ (იმოწმებს დიონისიოს სკიტობრახიონს).

საკითხი ისმის, რამდენად შეიძლება ფინიკიური და პელაზგური დამწერლობის გაიგივება? პელაზგები წინაბერძნული მოსახლეობაა, მათი დამწერლობა იქნებოდა უწინარესი ფინიკიურიდან გადმოღებულზე. ხომ არ უნდა გავაიგივოთ პელაზგური დამწერლობა B-ხაზოვანთან?

⁴⁸ ს. ყაუხჩიშვილი, შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნი: თბილისის უნივერსიტეტის მოამბე III (1923 წ.), გვ. 184.

ეს დამწერლობა X ს-ში არის გაჩენილი;⁴⁹ გელები, შეიცყერი, იენსენი ფიქრობენ, რომ X-IX სს-ში; გარდტკაუზენი,⁵⁰ კლაფენბახი,⁵¹ გუარდუჩი⁵² – IX ს-ში; ვუდჰედი⁵³ – IX-VIII სს-ში. ხოლო ჯუფერი VIII ს-ის 50-იან წლებში.⁵⁴ ამ უკანასკნელის მოსაზრების მიხედვით ეს ფაქტი მოხდა ალ-მინაში, ჩრდილო სირიაში, სადაც ფინიკიელთა შორის არსებულმა ბერძნულმა მოსახლეობამ შეითვისა ის ფინიკიელებისგან და შემდეგ მოხდა მისი გავრცელება სხვადასხვა სავაჭრო პუნქტებში (როდოსზე, კრეტაზე, კიკლადებზე). საინტერესოა ის, რომ ვინც ბერძნული ანბანის წარმოშობას IX და უფრო ადრინდელი საუკუნეებით ათარიღებს, მათ საამისო არგუმენტად VIII ს-ში არსებული წარწერები მოჰყავთ (VIII-VII სს-ში უკვე არსებობს სხვადასხვა ხასიათის წარწერები, დამორეზული მოხაზულობით ფინიკიურს, ე.ი. ამას პრეისტორიაც ექნებოდათ), ხოლო ვინც ბერძნული ანბანური დამწერლობის შექმნას VIII ს-ის შუაწლებით ათარიღებს, მათაც იგივე არგუმენტები მოჰყავთ – არსებობს წარწერები VIII ს-დან. ე.ი. ამ დროს გადმოიღეს დამწერლობა ფინიკიელებთან ეხოველი ურთიერთობის დროს.

ძველი წ. III ს-სთვის გვაქვს მასალა საიმისოდ, რომ ვთქვათ, ბერძნები გერმინ „ალფაბეტოსს“ ან „ალფაბეტონს“ უკვე ხმარობენ.

ბერძნული ანბანური წერითი სისტემა საფუძვლად დაედო მრავალ განმგობას, მათ შორის ლათინურ და სლავურ დამწერლობებს და ამით დასაბამი მისცა მსოფლიოში ამჟამად ყველაზე მეტად გავრცელებულ წერით სისტემებს.

ჩვენთვის საინტერესოა ის ამბავი, რომ არსებობს დასაბუთებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართული ასომთავრული დამწერლობა მომდინარეობს ბერძნულისგან. ქართული ანბანის ბერძნულიდან წარმომავლობის თეორიას დაახლ. ერთი ს-ის ისტორია აქვს (გარდტკაუზენი – 1876, 1879; ბაქრაძე – 1889; კარიჭაშვილი – 1914; კეკელიძე – 1929; ინგოროყვა – 1939).

ქართულ მეცნიერებაში ივ. ჯავახიშვილის „ქართული პალეოგრაფიის“ გამოქვეყნების შემდეგ (1926 წ.) გავრცელდა შეხედულება ქართული ანბანის ფინიკიურიდან წარმოქმნის შესახებ, რაც უპირისპირდებოდა კ. კეკელიძის აზრს, ქართულისა და სომხური ან-

⁴⁹ W. Larfeld, Gr. Ep. გვ. 207-211.

⁵⁰ Gardthausen, Gr. Palaeographie, II, 28-34.

⁵¹ G. Klaffenbach, Gr. Ep. 1966, გვ. 36.

⁵² M. Guarducci, Ep. gr. I, გვ. 73.

⁵³ A. G. Woodhead, The study of greek Inscriptions 1981. გვ. 13 და მშდ.

⁵⁴ L. H. Jeffery. The local scripts of Archaic Greece, 1961, გვ. 23.

ბანის საერთო გენეზისისა და მესროპ-მამგოცის სახელთან დაკავშირების შესახებ.

ჯერ კიდევ 1945 წ-ს ზეპირად და შემდეგ უკვე წერილობით გ. წერეთელმა გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აღმოსავლური წარმომავლობის ქართულ ანბანში ხმოვანთა სისტემა გამართულია ბერძნული ანბანის საფუძველზე.

ყველაზე ჩამოყალიბებული მოსაზრება ქართული ანბანის ბერძნულიდან წარმომავლობის შესახებ ამ უკანასკნელ წლებში წამოაყენა თ. გამყრელიძემ „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა“ – 1989 წ. რომლის არგუმენტაცია, ჩემის აზრით, უეჭველად მისაღებია შემდეგ პუნქტებში:

1. ქართული წერა მარცხნიდან მარჯვნივ მიემართება, როგორც კლასიკურ ბერძნულში და არა მარჯვნიდან მარცხნივ, როგორც სემიტურ დამწერლობებში (და რაც თავაპირველ ბერძნულსაც ახასიათებდა).

2. ქართულ ანბანს არა მხოლოდ თანხმოვნები აქვს (როგორც სემიტურს), არამედ ხმოვნებიც, როგორც ეს ბერძნულში არის – (უფრო მეტიც, ქართულ ანბანს მოეპოვება შ და ჰ, ბერძნული η და ω-ის ადგილას და ანალოგიით; ქართულს არ ახასიათებს გრძელი და მოკლე ხმოვნები, ამიტომ მისთვის არ იყო აუცილებელი ამ ნიშანთა არსებობა). თუმცა, თვით ბერძნულშიც η და ω-ს საკითხიც დასადგენია, თუ რას აღნიშნავდნენ თავდაპირველად ისინი.

3. ანბანის ასოებს ბგერითი მნიშვნელობის გარდა რიცხვითი მნიშვნელობაც აქვთ, ამიტომ ანბანში ასოთა რიგს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ბერძნულ ასოთა რიგი განსხვავებულია სემიტურისგან; ქართულ ასოთა რიგი ბერძნულს მისდევს, მხოლოდ იმ სპეციფიკური ბერძნული ნიშნების ადგილას, რაც ქართულს არ ესაჭიროებოდა, ქართულ ანბანში, იმიტომ რომ ეს რიგი არ დარღვეულიყო, ჩასმულია ქართული ნიშნები (Ξ-ს ადგილას ჟ, Ϙ-ს ადგილას ქ).

ამიტომ ბერძნულ და ქართულ ასოთა რიცხვითი მნიშვნელობა ემთხვევა ერთმანეთს, ისევე, როგორც ბერძნულ და ქართულ ასოთა რიგი.

ბერძნულ ანბანში სემიტურთან შედარებით მოხდა შემჭიდროვება – სემიტური Ɔ666 ამოვარდა ბერძნულში. ამან დაარღვია სემიტურისა და ბერძნულის რიცხვითი მნიშვნელობები. ქართული რიგი აქაც მისდევს ბერძნულს (და არა სემიტურს).

4. ბერძნული ენის ბგერითი შედგენილობისაგან განსხვავებით ქართულს მოეპოვება უკვე ხსენებული ჟ-სა და ქ-ს გარდა 12 სპეციფიკური თანხმოვანი, რომელთა გამომხატველი ნიშნები ანბანის შემქმნელმა

მოათავსა ანბანის ბოლოს ქ – ასოს შემდეგ ოპ-ის წინ (ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჳ, ხ, კ, ჯ, პ). ეს ასოები დალაგებულია გარკვეული სისტემის მიხედვით, რაც მოწმობს იმას, რომ ანბანის შემდგენელს გარკვეული ლინგვისტური ალღო და ცოდნა აქვს. ის იცნობს დიონისე თრაკიელის Τέχνη γραμματικῆς-ს (რომლის ფესვებიც, მე დაეუმატებდი, არისტოტელეს Περὶ ποιητικῆς-თან მიდის).

5. ქართული თანხმოვნებისთვის შექმნილი ნიშნების ადგილი ქართულ ანბანში მიუთითებს იმაზე, რომ ქართული ანბანი ბერძნულის ანალოგიითაა გაკეთებული და არა სემიტურის, რომ ქართული სემიტურის ანალოგიით იყოს შედგენილი, მაშინ ასოები ყ, შ, წ (რომლებიც აქვს ქართულს და სემიტურს) ქართულ ანბანში იქნებოდნენ ძირითად ნაწილში და არა დანართში. იმიტომ რომ ეს ბგერები არ გააჩნია ბერძნულ ენას, მას მათი გადმოცემის საჭიროება არ ჰქონდა და მათ ადგილას თავის ანბანში სხვა ასოები ჩასვა. ასევე ბერძნული ანბანით ხელმძღვანელობის საბუთია ისიც, რომ ბერძნულსა და ქართულში ერთნაირადაა ფშვინიერები და მათ შეესაბამება სემიტურში ემფატიკური და პირიქით, ქართულ-ბერძნული მკვეთრების ადგილას სემიტურ ანბანში ფშვინიერი ბგერის გამომხატველი ასო ზის. ან კიდევ – ბერძნულ-ქართული სისინა ბგერის გამომხატველი ასოს ადგილზე სემიტურში შიშინას შესაბამისი ასოა და სხვ. მაგ.,

ქართული	ბერძნული	სემიტური
თ	Θ	ṯ
ს	Σ	š
ტ	Τ	th
პ	Π	ph
კ	Κ	kh

ამგვარად, თ. გამყრელიძის ზემოთ მოყვანილი არგუმენტაცია (და განსაკუთრებით უკანასკნელი მუხლი – ქართულ-ბერძნულ-სემიტურ თანხმოვანთა ამსახველი ასოების მიმართების შესახებ შესაბამის ანბანებში) უეჭველად მიმაჩნია. თ. გამყრელიძე იმასაც შენიშნავს, რომ ქართული ასოების სახელები არაა ბერძნულისაგან დამოკიდებული, ეს ხელოვნური სიგყვებია და მათ მიღრეკილება აქვთ გარითმვისაკენ.

ასევე სრულიად სარწმუნო ჩანს ე. მაჭავარიანისა და W. Boeder-ის მიერ ერთმანეთისგან დამოუკიდებელივ გამოთქმული მოსაზრებანი ქართულ ასოთა მოხაზულობის შესახებ. მათი გამორკვევით თითოეული ასომთავრული ასო წარმოადგენს სწორი ხაზისა და ნახევარი რკალის კომბინაციას. ამგვარი მეთოდით შექმნილი ანბანი,

რა თქმა უნდა, ერთბაშად უნდა იყოს შექმნილი და არა რომელიმე უკვე არსებული ანბანისგან მექანიკურად გადმოღებული.

ის ცდები, რომელსაც საქციალისტები ატარებენ საიმიზოდ, რომ ქართულ ასოთა მოხაზულობა სხვა დამწერლობათა გრაფიკულ მოხაზულობას მიახლოებდნენ, ხელოვნური მეჩვენება (ერთი ასო ერთი დამწერლობისას ემსგავსება – მეორე – მეორისას).

უფრო რთულად მეჩვენება ქართული დამწერლობის გაჩენის თარიღის საკითხი. თ. გამყრელიძის აზრით ასომთავრული ქართული დამწერლობა, რომლისგანაც განვითარდა ნუსხური, ხოლო ნუსხურისგან მხედრული (ე.ი. განვითარების მთლიანი ხაზია დღემდე), შექმნილია IV-V სს-ში საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასა და განმტკიცებასთან დაკავშირებით – ახალი სარწმუნოების საჭიროებისათვის წიგნების სათარგმნელად და შესაქმნელად. ასომთავრული ქართული ანბანის შემქმნელი მიმართავს უძველეს ბერძნულ სისტემას (F მისთვის არსებობს) და არა თავის თანამედროვეს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ცდილობს ამ გზით დაუაროს ახლად შექმნილი ქართული ანბანის დამოკიდებულება და კავშირი მისი დროის ბერძნულ წერით სისტემასთან. ანბანის ავტორს სურს შექმნას ორიგინალური და დამოუკიდებელი ანბანის შთაბეჭდილება, მისი მიზანია ეროვნული თვითმყოფობის განმტკიცება.

ვისაც კი ქართული ანბანის წარმოშობის საკითხზე უმუშავია, ყველამ იცის ლეონტი მროველის ცნობა დაახლ. ძვ.წ. III ს-ის ქართველი მეფის ფარნავაზის შესახებ: „ამან განაურცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თუნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“ (ქს, I, გვ. 26). ივ. ჯავახიშვილს ეს გამოთქმა „მწიგნობრობა“ ესმის როგორც „ანბანი“ (ე.ი. ფარნავაზმა შემოიღო ქართული ანბანი; თუმცა სხვა შემთხვევებში, მაგ., აბოს წამება, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, მისთვის „მწიგნობრობა“ უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ანბანი). მართალია, ივ. ჯავახიშვილს ლეონტის ეს ადგილი ამგვარად ესმის, მაგრამ მისი ცნობის არ სჯერა (თავის „ქალეოგრაფიაში“ ამას რამდენჯერმე აღნიშნავს) და ქართული დამწერლობის „მეთვისების“ თარიღად ძვ.წ. VII ს. მიაჩნია.

მე ვფიქრობ, ლეონტი მროველის ცნობა ანგარიშგასაწვეი და მოსაველეია. ისტორიკოსების თვალსაზრისით ანტიკურ სამყაროსთან საქართველოს ურთიერთობის ინტენსივობის ერთი გალლა სწორედ ამ ეპოქაზე მოდის.

როგორია რეალური ვითარება და რა მასალა მოგვეპოვება V ს-მდე ქართულ ასომთავრულ წარწერებამდე? V ს-ზე აღრინდელი ქართულად დაწერილი მასალა ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება.

შეიძლება მასალის ამჟამინდელი უქონლობა არ არის უცყუარი საბუთი საიმისოდ, რომ ის არ არსებობდა, და როდისმე ის შეიძლება კიდევე გამოჩნდეს, მაგრამ ასევე, V ს-ის წარწერების არსებობა არაა იმის ნიშანი, რომ ქართული დამწერლობა ამ ხანაზე რამდენიმე საუკუნით ადრე უნდა ყოფილიყო. საერთოდ, დამწერლობათმცოდნეობის მეცნიერული შესწავლის უფრო ადრინდელ საფეხურზე იყო ისეთი ტენდენცია, რომ თუ მაგ., ბერძნული ანბანური დამწერლობით შესრულებული წარწერები ძვ.წ. VIII ს-ისა გვაქვს, მაშასადამე ბერძნებმა ანბანური წერა XI ს-ში ისწავლეს (ვილამოვიცი XII ს-მდე, ლარფელი...), უკანასკნელი ხანის ავტორები კი (მაგ., ვულჰელი) აღარ მიიჩნევენ აუცილებლად ბერძნული ანბანური დამწერლობის შექმნის რამდენიმე საუკუნიან წინა საფეხურს, ძირითადად სწორედ იმის საფუძველზე რომ ბერძნული VIII ს-მდელი ძეგლები არ არსებობს და ბერძნული ანბანური დამწერლობის შექმნის თარიღად IX-VIII სს-ები მიაჩნიათ.

ფაქტი ერთია, რომ V ს-მდელი ქართული ასომთავრული წარწერები არა გვაქვს. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს გერიტორიაზე გვაქვს ძვ.წ. V-III სს-ის ბერძნული წარწერები და გრაფიკოები (ემერის, საირხის, ვანის), I ს-ის ბერძნული წარწერა (ვესპასიანესი), II-III სს-ის ბერძნულ-არამეული ან ცალკე ბერძნული და ცალკე არამეული წარწერები (არმაზი, ბორი, ბაგინეთი, ზღუდერი...) და არა გვაქვს ქართული. თუ სწორეა ის მოსაზრება, რომ ქრისტიანობამ გაანადგურა წარმართული ხანის ქართულად ნაწერი ძეგლები, რაგომ არ გაანადგურა ის სხვა ქვეყნებში (მაგ., რომში, საბერძნეთში)? წარმართული ხანის წერილობითი ძეგლები ხომ უამრავია ამ ქვეყნებიდან. მე ვფიქრობ, იქ, სადაც არსებობდა განვითარებული ლამის საყოველთაო დამწერლობა, ქრისტიანობამ ის ვერ აღმოფხვრა, თუ კიდევე იყო ამის მცდელობა (პირიქით, ბერძნული და ლათინური დამწერლობა ქრისტიანობამ ფართოდ გამოიყენა).

თუ სწორეა ლეონტი მროველის ცნობა და საქართველოში ქრისტიანობამდე არსებობდა ორიგინალური დამწერლობა, ჩვენთვის ცნობილი ასომთავრული, ან რაიმე სხვა, შეიძლება ის არ იყო ისე გავრცელებული და ამდენად მისი მოსაპობა შესაძლებელი გახდა, მაგრამ ეს მაინც საეჭვოა, რაღა არაქრისტიანულმა ბერძნულმა და არამეულმა წარწერებმა მოაღწიეს ჩვენამდე და მათი თანადროული ქართული სულ არ ჩანს?

რას გულისხმობს ლეონტი მროველის ცნობა? რას ნიშნავს „მწიგნობრობა ქართული“? ეს არის დასადგენი. ამ საკითხთან დაკავშირებით 1987 წ. თ. გამყრელიძემ ცალკე სტატიამში წამოაყენა ალოგლოგო-

გრაფიული თეორია,⁵⁵ რაც ქართულის მიმართ ნიშნავს იმას, რომ ქართველები, როგორც ჩანს, ფარნავაზის დროს არამეულ დამწერლობას იყენებდნენ ქართულისათვის, მარტივად რომ ვთქვათ, დამწერლობა იყო არამეული, მაგრამ ის იწერებოდა და იკითხებოდა ქართველისათვის (თუმცა არც დამწერლობა და არც ენა არ იყო ქართული). ანტიკურ მწერლობაში არის ცნობები იმის შესახებ, რომ კოლხებმა იცოდნენ წერა. აპოლონიოს როდოსელი (ძვ.წ. III ს., „არგონავტიკა“, IV) ამბობს: კოლხებს შენახული აქვთ თავისი მამულისაგან დანაწერი კირბები, სადაც წყლისა და ხმელეთის ყველა საზღვრია მოგზაურებისათვის ნაჩვენები“. სქოლიასგის ჩვენებით κῤρβειζ მაღალი ბოძებია, რომლებიც შეიცავენ წარწერებს (ამ შემთხვევაში კარტოგრაფიული მნიშვნელობისას). რა ენაზეა ეს წარწერები, არ ჩანს.

ბათუმის ინსტიტუტში ფიჭვნარის ფონდში ინახება სამწახნაგოვანი ქვა: წარწერით ID (შესაძლოა ეს სასაზღვრო ნიშანი იყოს, 14-ის აღმნიშვნელი). ევსტათი თესალონიკელი დიონისიოს პერიეგეტის 689 ტაუპის კომენტარში წერს: „ხარაქსი (II-III სს. ავტორი – თ. ყ.) ამბობს, რომ ოქროს საწმისი არის ეგრაგებზე აღნუსხული ხერხი ოქროდამწერლობისა (χρυσογραφία), რომლის გამოც, როგორც სარწმუნოა, მოეწყო „არგოს“ ლამქრობა“. ე.ი. ხარაქსის რწმენით, რაც შემდეგ ევსტათი თესალონიკელს XII ს-ში გაუზიარებია, არგონავტების ლამქრობის დროს კოლხებს გყავებე ოქროთი წერა სცოდნიათ. აქ ბევრი საკითხი ისმის: არგონავტების დროს იყო ოქროთი დამწერლობა, თუ თვით ხარაქსის დროს? და რა ენაზე, უფრო სწორად, რა ანბანით იყო ის შესრულებული.

ჩემი აზრით, ამ მაგალითებში არ ჩანს, კოლხები რა ანბანით ასრულებდნენ ამ წარწერებს, მაგრამ ის ჩანს, რომ მათ წერა იციან (ბერძნული ცნობები ამაას ადასტურებენ). ქართული ანბანი რომ ბერძნულისგან არის წარმომობილი, ეს ჩემთვის უჭველია. ლეონტი მროველის ცნობა „ხელს გვიშლის“ იმაში, რომ ასევე უჭველად დავათარილოთ მისი შექმნის თარიღი, მაგრამ თუ გავიხსენებთ იმას, რომ ქრისტიანობის მიღება და გავრცელება დიდი მოვლენა იყო ქართველთათვის (და არა მარტო ქართველთათვის) და შესაბამისად ამისა კულტურის ბევრ სფეროში და კერძოდ დამწერლობაშიც შეიძლებოდა მომხდარიყო რეფორმა, თვით დამწერლობის ახალი სახეობის გაჩენაც კი. ქრისტიანობამ მოგვცა ახალი დამწერლობები: კოპტური (მანამდე იყო დემოტური), გუთური (მანამდე იყო რუნული); გლაგოლიცა, სომხური, ქართული – ამ ენებს მანამდე ჰქონდათ თუ არა თავისი დამწერლობა,

⁵⁵ თ. გამყრელიძე, „მწიგნობრობა ქართული“; ლიტი-საქ., 20 ნოემბერი, 1987.

არ ჩანს; საუიქრებელია, მათი დამწერლობის შექმნის უდიდესი სტიმული ქრისტიანობის მიღება და გავრცელება იყო.

2000 წელს გამოქვეყნდა ლ. ჭილაშვილის ნაშრომი, დაფუძნებული მის მიერ 1984 წლიდან ნეკრესის ნაქალაქარზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების მონაპოვარზე.⁵⁶ იგი წერს: IV-VI სს-ით დათარიღებული არქიტექტურული ნაგებობის კედლებში მეორადი გამოყენებით ჩატარებულია ქვის ფილები ქართული წარწერებით, რომელთა ხნოვანება განისაზღვრება IV ს-ის ნაგებობის ქვეშ არსებული კულტურული ფენის კერამიკით ახ.წ. I-II სს-ით... სულ დადასტურებული 7 წარწერიდან უძველესი წარწერების რიგში ექვეყიან 5, დათარიღებული I-II სს-ით. ნაშრომში მოყვანილია 1999 წელს გამოვლენილი წარწერა, დაკრძალულის ვინაობის აღმნიშვნელი და მთავრდება თხოვნით იმის შესახებ, რომ საფლავს არავინ შეხებოდა.

ავგორის აზრით წარწერა ნეკრესის სხვა 5 წარწერასთან ერთად წინაქრისტიანული შემოქმედების ნაყოფია. არქეოლოგიურად ისინი თარიღდებიან I-III სს-ით და წარმოადგენენ ცეცხლთაყვანისმცემელთა საფლავის ქეებს.

ლ. ჭილაშვილის ნაშრომი ძალიან საინტერესოა და გასათვალისწინებელია მათთვის, ვინც იკვლევს ქართული ანბანის წარმოშობის პრობლემას (მის კავშირს ბერძნულ დამწერლობასთან, ქრისტიანობასთან და ა.შ.).

§6. ბერძნული არქაული ანბანური დამწერლობა

ამგვარად, დაუბრუნდეთ ჩვენს ძირითად საკითხს. – ბერძნული ეპიგრაფიკის I პერიოდი არის ე.წ. B-ხაზოვანი დამწერლობით შესრულებული წარწერები, რაც თარიღის მიხედვით შეესაბამება მიკენურ ეპოქას (ძვ.წ. XV-XII სს.).

რამდენიმე საუკუნის მანძილზე ბერძნულ სამყაროს თავისი დამწერლობა არ უჩანს, უფრო მუსტად – ძვ.წ. VIII ს-მდე ბერძნული წარწერები (ბერძნულ ენაზე, ბერძნულივე ასოებით შესრულებული) არ მოიპოვება. ამ დროიდან (ყოველ შემთხვევაში არც თუ ბევრად ამ ხანაზე ადრე) ჩნდება დამწერლობის ახალი სახეობით, ანბანური სისტემის მიხედვით შედგენილი წარწერები, რომელთა შესწავლაც წარმოადგენს ბერძნული ეპიგრაფიკის II პერიოდის საგანს.

ეს დამწერლობა, როგორც ზემოთაყ აღვნიშნე, მიჩნეულია სემიტური კონსონანტურ-სილაბური დამწერლობის ნიადაგზე აღმო-

⁵⁶ ლ. ჭილაშვილი, წინაქრისტიანული ხანის წარწერა ნეკრესიდან: ქართველოლოგი, 7, 2000 წ. გვ. გვ. 16-24.

ცნებულად. სპეციალისტებს ხიბლავთ ამ ანბანის შემქმნელის დიდი ლინგვისტური ალლო და გარკვეული ფონეტიკური ანალიზის უნარი. ბერძნულივე გადმოცემები ბერძნული ანბანის შემქმნელებად ასახელებენ: ორფუესს, მუზამოსს, პრომეთეუსს, პალამედესს, რაც სპეციალისტთა აზრით მითოლოგიის სფერო უფროა, ვიდრე ეპიგრაფიკის, ხოლო პეროდოტესეული გრადიცია ფინიკიელი კადმოსის შესახებ (V, 58) დიდი ნდობით სარგებლობს.

ფინიკიელთაგან შეთვისებული ბერძნული დამწერლობის, კერძოდ ასოთა მოხაზულობის, ასოთა რაოდენობის, ასოსა და ბგერების შესაბამისობის და სხვ. შესახებ პირველი დიდად მნიშვნელოვანი გამოკვლევა ეკუთვნის კირხპოფს.⁵⁷ დღემდე, შეიძლება ითქვას, მისი დებულებები არაღის უარუყვია და ყველა თანამედროვე გამოკვლევა მასზე არის დაფუძნებული (შესაბამისად ახალ აღმოჩენებთან საილუსტრაციო მასალით გამრდილი). ამეამად უახლესი გამოკვლევები, რაც ეხება ბერძნულ ალფაბეტს არის:

L. H. Jeffery, *The local scripts of Archaic Greece* 1961 წ. და D. Diringer, *The Alphabet*, London, 1948.

დაეანებოთ თავი იმაზე კამათს, თუ როდის გადმოიღეს ბერძნებმა ფინიკიელთაგან ანბანი. ფაქტია ის გარემოება, რომ ძვ.წ. VIII ს-ის წარწერები არსებობს და უდავოა მათი მემას წარწერასთან გარკვეული მსგავსება.

სემიტურ, კერძოდ ფინიკიურ ანბანში 22 ასო იყო. უძველესი ბერძნული გრადიციით, რასაც იმეორებს ქართული ძველიც (მაგ. ბერძნის კრებულში მოთავსებული „სასწავლო წიგნი“), ბერძნებს თითქოს თავდაპირველად 16 ასო პქონდათ (α, β, γ, δ, ε, ι, κ, λ, μ, ν, ο, π, ρ, σ, τ, υ), რაც შემდეგ თანდათან განივრცო და უნიფიცირებულ ბერძნულ ანბანში უკვე 24 ასოა (დღემდე ხმარებული ბერძნულ დამწერლობაში). ჭეშმარიტების მარცვალი ამ გრადიციაში არის, რადგან ფინიკიელთაგან გადმოღებული ანბანი ბერძნულში სახე-ცვლილებასა და შეესებას განიცდის.

უძველესი ბერძნული წარწერები არის კუნძულებზე დაცული წარწერები (თერა, მელოსი, კრეტა; ატიკა, კორინთო, მილეტი) და როგორც ფიქრობდა უ. ვილამოვიცი, ფინიკიური დამწერლობა პირველად როდოსელებმა შეითვისეს, ამ კუნძულის მნიშვნელობის,

⁵⁷ Studien zur Geschichte der griechischen Alphabets von A. Kirchhoff, Gütersloh, (I გამოც. 1867 წ. IV გამოც. 1887 წ.).

⁵⁸ მაგ., Irenaeus, adv. haer. 1, 15, 4 – ბერძნებმა კადმოსისგან 16 ასო მიიღეს, შემდეგ რამდენიმე თვითონ დაუმატეს და ბოლოს პალამედესმა გრძელი ხმოვნების ნიშნები შემოიღო.

საეპრო გზების ცენტრში მდებარეობისა და შესაბამისად – ფინიკიელეთან სხვაზე უფრო მჭიდრო ურთიერთობის ნიადაგზე. Jeffery-ს აზრით, ფინიკიელთაგან ისწავლეს ალ-მინამი (ჩრდ. სირია) მცხოვრებმა ბერძნებმა დამწერლობა და შემდეგ გააერყელეს სხვადასხვა საეპრო პუნქტებში – როდოსზე და სხვა კუნძულებზე VIII ს. შუა წლებში.

როგორც დაადგინა კირხპოფმა, ფინიკიელთაგან შეთვისებული ბერძნული დამწერლობის 3 ძირითადი ჯგუფი გამოირჩევა არქაულ ხანაში: 1. უძველესი, რომელსაც მეტი სიახლოვე ახასიათებს ფინიკურთან – სამხრეთის ჯგუფი – არქაიკელაგის დორიული კუნძულების (თერა, მელოსი, კრეტა) არქაული ბერძნული ანბანი (23 ასოა იქ გამოყენებული, ე.ი. ! ნიშნით მეტია ფინიკურთან შედარებით). 2. აღმ. ბერძნული (მცირე აზიის დას. სანაპირო, ეგეესის ზღვის კუნძულების ნაწილი, კიკლადები, პელოპონესის ჩრდილო-აღმ. კუთხე, აგიკა). 3. დასავლური ბერძნული (საკუთრივ ბალკანეთის ნახევარკუნძული და კოლონიები – მაგ., სიცილია). მსგავსება ამ 3 ჯგუფს შორის დიდია, ე.ი. ეს გვაძლევს საბაბს ვილაპარაკოთ ამ ანბანის ერთპიროვნულ შემქმნელზე, როგორც საერთოდ ნებისმიერი ანბანის შექმნის დროს ხდება ხოლმე (მაგ., ვულფილა – გოთურის, მამტოცი – სომხურის, კირილე – გლაგოლიციის etc., ბერძნული ანბანის შემქმნელის სახელი არ ვიცით). მაგრამ ამავე დროს სხვაობაც არის ამ დამწერლობათა შორის, ესეც ფაქტია, ამიგომ გასაგებია, რომ სპეციალისტთათვის ღებვა საკითხი – ანბანის შემთვისებელთა ენის ადგილობრივ თავისებურებათა, შეთვისების გზების etc.).

ყველაზე მნიშვნელოვანი თვისობრივი სიახლე, რაც ბერძნულ ანბანშია სემიტურთან შედარებით, არის ხმოვანთათვის სპეციალური ნიშნების შექმნა. ბერძნულ a, e, i, o ხმოვანთა აღსანიშნავად გამოყენებულ იქნა შესაბამისად სემიტური დამწერლობის 'ალეფი, h (ჰე), J (jod) და ' (ajin); aleph-ის, hē და 'ajin-ის შემთხვევაში შესაძლოა თვით ასოთა სემიტურმა სახელწოდებებმა უკარნახა ბერძენს a, e და o – ასოებად მათი გადაყვანა (სემიტურში I თანხმოვანი ბგერა თავისუბური იყო და ბერძნისათვის შესაძლოა ძნელად აღსაქმელი; ყოველშემთხვევაში – გამოუყენებელი). jod-ი ბერძნისთვის i – გახდა, ხოლო რაც შეეხება VI ადგილზე მდგომ wāw-ს, შესაძლოა თავდაპირველად ეს ბერძნისთვის u იყო (და შემდეგ ზოგმა საკუთრივ ბერძნულმა დამწერლობამ ის უ-სთვის გამოიყენა, იმან, ვისაც ეს ბგერა მოეპოვებოდა. უნდა შეინიშნოს, რომ „ე“ და „უ“, F და v საკმაოდ რთულ ფონეტიკურ მიმართებაში არიან, რის დადგენაც ჩვენი საგნის კომპლექტის არ შეადგენს).

ყოველშემთხვევაში ის უდავოა, რომ სემიტურის 4 კონსონანტის ადგილას ბერძნულში 4 ხმოვანი მის და ეს უკვე ბერძნულ დამწერლობას თვისობრივად განსხვავებულ, სრულყოფილ ანბანურ წერით სისტემად აქცევს.

არქაულ ბერძნულ დამწერლობაში გრძელი და მოკლე ხმოვნები არ გაირჩეოდა, ორივე ერთი და იგივე ნიშნით აისახებოდა. თავდაპირველ არქაულ ბერძნულ სისტემაში სემიტური ანბანის VIII ნიშანი 𐤄 გადმოვიდა h -ბგერის აღმნიშვნელად ($\text{H} - \text{h}\bar{\epsilon}\alpha$), მაგრამ ძალიან ადრე ბევრ დიალექტში (ლესბოსურში, მცირე აზიის იონიურში) ფშვინვა დაიკარგა და $\text{h}\bar{\epsilon}\alpha$ -მ ახალი ფუნქცია შეიძინა – იქცა $\bar{\epsilon}$ -დ (ასე გაჩნდა ნიშანი გრძელი ϵ -სთვის).

გვიან წარმოქმნილი $\bar{\alpha}$ $\mu\acute{\epsilon}\gamma\alpha$ (მიღებული o -ს მოდიფიკაციისაგან $\bar{\Omega}$ და O ფორმით) ანბანის სულ ბოლოს დასვეს. ასე გაჩნდა ნიშანი გრძელი o -სთვის, ამგვარად არის ϵ და o -სთვის ორ-ორი ნიშანი (\bar{a} , \bar{i} და \bar{u} -ს ასეთი ორმაგი ნიშნები არ შეუქმნეს. ეს თითქოს ამ ასოთა შესაბამისი სემიტური ნიშნების, შესაბამისად ბგერების – ორმაგი ფუნქციიდან მომდინარეობს, რაც, პირადად ჩემთვის მთლად ნათელი არ არის).

რაც შეეხება თანხმოვნებს, ფინიკური ანბანის ასეთი ბერძნული შესაგყვისობანი მოგვეპოვება:

2. bet β – ბეტა

3. gimel γ – გამა

4. dalet δ – დელტა

6. waw F (Faw -ვაუ-) დიგამა (სახელწოდება მიღებული აქვს მოხაზულობის მიხედვით („ორმაგი გამა“).

მას მერე, რაც ამოვარდა ბერძნული მეტყველებიდან ბგერა „ე“, (ძვ.წ. IV ს-ში იგი საერთოდ თანდათან იკარგება, ჯერ სიციყის შუაში, შემდეგ სიციყის თავში, ხოლო კრეტის წარწერებში ის ძვ.წ. II ს-ში კიდევ დასტურდება), იმისათვის, რომ ანბანთ რიგი არ დარღვეულიყო (რაც რიცხვითი მნიშვნელობის დარღვევას გამოიწვევდა), ამ ადგილას ჩაისვა ζ ($\text{C}\epsilon\text{I}\gamma\mu\alpha$ ეწოდა ამ მოხაზულობას VII-VIII სს-ში). მისი ნაირსახეობა ჩნდება უკვე ძველ წარწერებში, რომელთა თარიღი უცნობია (თარიღიანები დაახლ. კომოდუსის დროისაა, ე.ი. ახ.წ. II ს.).

7. zajin – ζ – ძეტა (რაც ადრე საფეხურზე ორმაგი თანხმოვანი იყო და უდრიდა sd -ს).

9. 𐤋 – მ თეტა

11. kaph – κ – კაპა (როგორც ჩანს, თავდაპირველად იხმარებოდა \bar{a} , \bar{e} , \bar{i} – ხმოვნებისა და თანხმოვნების წინ)

12. lamed – λ – ლამბდა

13. mēm – μ – მჲ

14. nmt – ν – ნჲ

15. samekh – თვითონ (ეს ასო სემიტურში „ს“ ბგერას გამოხატავდა).

იონიურ ანბანში ამ ადგილას მის ორმაგი თანხმოვანი ξ – რომელსაც ეწოდება „ქსი“. (სპეციალისტები ფიქრობენ, რომ „სამეხ“-იდან წარმოსდგება ერთ-ერთი ბერძნული თანხმოვნის სახელწოდება – „სიგმა“⁵⁹ – იხ. ქვევით). საყურადღებოა ის გარემოება, რომ ორმაგ თანხმოვნებს თავისი საგანგებო ნიშანი მოეპოვებათ (ζ, ξ, ψ). ამის შესახებ არსებობს მოსაზრება (მაგ., შვიცერის, 1939 წ.), რომ ისინი გაჩნდნენ დამწერლობაში იმიტომ, რომ საგანგებოდ ხშირი კომპლექსები არიან. რამდენად სწორეა ეს მოსაზრება? სხვა ხშირი კომპლექსები არ გვაქვს? მაგ., ხშირია კომპლექსები, სადაც Π კომპონენტი არის λ და ρ, მაგრამ მათთვის სპეციალური ასო არ არსებობს.

17. pē – Π-პი. მე-18-ე ადგილას სემიტურში არის šadē. მას რეალური ბგერა არ შეესაბამებოდა ბერძნულში და იგი საერთოდ ამოვარდა ანბანიდან (ამან შეკუმშა ბერძნული ანბანი სემიტურთან შედარებით) და მე-18-ე ადგილას აიწია qōp̄h-ის შესაბამისმა ბგერამ, q – ნიშნით (კოპა). ეს ბგერაც არსებითად „კ“ იყო, (დაახლოებით, ისეთი, როგორც მერე ლათინური q არის), მაგრამ განსხვავებით კაპასაგან იგი o და u ხმოვნების წინ დაისმებოდა ხოლმე. გამოთქმაში იგი მალე გათანაბრდა k-სთან (ძვ.წ. V ს-ის მერე ჩვეულებრივ დამწერლობაში ის აღარ იხმარება; მონეტებზე კი მაგ., Ϟορϛθις – ისევ ეხედებით), მაგრამ მისი რიცხვითი მნიშვნელობა მაინც რჩება (90). ე.ი. ანბანში ის ამ მნიშვნელობით შემორჩენილია (სემიტური qōp̄h-ი 100-ს უდრის).

მე-19-ე ადგილას ბერძნულ ანბანში არის ρ – რო, შესაბამისი სემიტურის მე-20 ადგილის rōš-ის.

მე-20 ადგილას გვაქვს σ, ς – სიგმა, რაც შეესაბამება სემიტურ šin-ს (სემიტურში šin 21-ე ადგილზეა). სიგმა, თვით სახელწოდება, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, „სამეხისაგან“ უნდა მომდინარეობდეს. როგორც ჩანს, სემიტური šin (შინ)-ის გადმოცემა უნდა იყოს ბერძნული „სან“-ი; პეროლოგესთან მაგ., ეკითხულობთ: I, 139 „τῆς τῆς ἰσραήλ, τὸ ἄσπερον μὲν τὸν κατέσσει, Ἰσραὴλ δὲ οἶμα“ (სპარსულ საკუთარ სახელებზეა ლაპარაკი, რომლებიც მთაერდებიან „ერთსადა იმავე ასოზე, რომელსაც ღორიელები სან-ს უწოდებენ, ხოლო იონიელები სიგმა-ს“).⁶⁰ ე.ი.

⁵⁹ W. Larfeld, გვ. 217.

⁶⁰ რამდენად სწორეა პეროლოგეს შეხედულება სპარსული სახელების დაბოლოების შესახებ, არაა ამჟამად საინტერესო (ბერძენი გადმოსცემდა

პეროდოტეს დროს ერთსადაიმავე ბგერას, σ -ნიშნით გამოსახულს, ორ სხვადასხვა დიალექტზე ორი ერთმანეთისგან განსხვავებული სახელწოდება ქონია (ორივე მომდინარე სემიტური სახელებისაგან).

სემიტური ანბანის უკანასკნელი (22-ე) ასოს waw -ს, შეესაბამება ბერძნული τ – (ტაუ). რაც შეეხება ბერძნული ანბანის 22-ე ასოს, ν -ს, არის აზრი, რომ ის შესაძლოა VI ადგილას მდგომი waw -ის შესაბამისი ყოფილიყო, მითუმეტეს რომ მოხაზულობა უკავს ν -ს მემას ქვის waw -ს. (ე.ი. თითქოს ბერძენს შეეძლო ამ ხმოვნის ჩასმა თანხმოვნის ადგილას), მაგრამ ჩანს ეს ასე არ არის, რადგან თავდაპირველად ბერძნულში VI ადგილზე ასევე „ ν “ ასოა, რადგან ასეთი ბგერა იყო ორივე ენაში, ხოლო ხმოვანი ν -ს გადმოცემი ნიშანი ბერძნებმა ფინიკიური ანბანის დასასრულს დასვეს.

ბერძნულ ენას ქონდა საჭიროება ფშვინიერი ფ-ს და ქ-ს გადმოცემისა. თუ თავდაპირველად ამ ბგერათა გადმოცემა ორი ნიშნით (Γ , KH ან φ) ხდებოდა, შემდეგ ჩნდება საკუთრივ მათთვის დაწერილობა Φ და X (როგორც ჩანს უკვე ძვ.წ. VIII ს-ის ბოლოსთვის). მათი გრაფიკული წარმომავლობის შესახებ არის სხვადასხვა აზრი. ერთის მიხედვით X არის წარმოქმნილი K -დან ან Θ -დან; Φ კი Θ -დან ან φ -დან. არის ასეთი აზრიც, რომ ისინი წარმოსდგნენ კვიპროსული სილაბური დამწერლობიდან, ან სამხრეთ სემიტური დამწერლობიდან, ან კრეტულიდან. მე მგონია, რომ უფრო I აზრი უნდა იყოს სწორე, ისევე, როგორც Ω -ც O -ს სახეცვლილებათა.

ბერძნული კომპლექსის გადმოცემი ψ – ნიშანი (ფსი), რაც ანბანში χ -ის მერე ზის, იგივე სახე ნაცვალაი Y -ია.

უკანასკნელ ადგილზე (ა-ის შემდეგ) ბერძნულ ანბანში არის ნიშანი λ – სამპი (= $\acute{\alpha}\lambda\gamma\ \mu\nu\ \pi\iota$), რასაც რეალური ბგერა არ შეესაყვესება, მაგრამ რასაც აქვს რიცხვითი მნიშვნელობა 900. (ეს სახელწოდება XVII ს-დან მოდის, როდესაც შუასაუკუნეების ხელნაწერებში ამ ასოს მოხაზულობა Π -სას მიამსგავსეს. თავდაპირველი მისი სახელი უცნობია; არის მისი სემიტური $\text{\$ad\text{c}}$ -თან დაკავშირების ცდა. როგორც ჩანს, მისი უძველესი მოხაზულობა იყო $\text{\$}$, რამაც მერე, გვიან საუკუნეებში λ – სახე მიიღო).

ამგვარად, როგორც ჩანს, VIII ს-სთვის, როდესაც არსებობს უკვე ბერძნული დამწერლობა და თვითოეულ ასოს უკვე რიცხვითი მნიშვნელობა აქვს, 27 ნიშანია ამ ალფაბეტში (გვიანდელი აღრიცხვით ბერძნულში 24. ასოა; ასეა მაგ., პომეროსის პოემებში სიმღერები აღ-

ამგვარად სპარსულ სახელებს), საქმე ისაა, რომ აქ s – ასოს შესახებაა ლაპარაკი.

ნიშნული, მაგრამ ეს გვიანდელი ამბავია). ის ვითარება, რაც აქ იყო წარმოდგენილი საყოველთაო არ ყოფილა და არც თავიდანვე ახასიათებდა დღიდან მისი გაჩენისა ბერძნულ ანბანურ დამწერლობას.

რამდენადაც ნებისმიერი ანბანის შემქმნელად საერთოდ ერთი პირი ითვლება ხოლმე და მამასადამე ანბანი – ერთდროულად შექმნილად, უნდა ისე ყოფილიყო, რომ ბერძნული ანბანი თავიდანვე ერთი სახის ყოფილიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ბერძნულ დიალექტებს ენობრივ განმასხვავებელ სხვა ნიშნებთან ერთად ფონეტიკური თავისებურებებიც ახასიათებდათ, რაც აისახა კიდეც არქაულ ბერძნულ დამწერლობაში.

არქაულ ხანაში ბერძნული დამწერლობის ჯგუფებად დაყოფა შემდეგი რეალური საფუძვლების მიხედვით ხდება:

I სამხრეთის ჯგუფის (რომელშიც შედის არქიპელაგის სამხრეთი კუნძულები – კრეტა, მელოსი, თერა) ანბანი მთავრდება Υ -ით; მას არ გააჩნია სპეციალური ასოები ϕ , χ , ψ , ξ ბგერათათვის და ბერძნული სათვის დამახასიათებელ ამ ბგერებს გადმოსცემს ორმაგი დაწერილობით: $\pi\eta$, kh (ან qh), $\pi\zeta$ და $\kappa\zeta$. (უფრო მოგვიანებით კრეტის მონეტაზე Υ – ნიშანი X -ს უნდა აღნიშნავდეს, ხოლო თერასა და მელოსზე, დაახლ. ძვ.წ. VI ს-სთვის Υ – ნიშანი ξ -ს შესაბამისია. ეს იონიურის გავლენის შედეგია).

II აღმოსავლური ჯგუფი თავისთავად კიდეც ორ ქვეჯგუფად იყოფა: აღმოსავლურად და დასავლურად. აღმოსავლური ქვეჯგუფია: მცირე აზიის დას. სანაპირო, ეგეისის ზღვის კუნძულების აღმ. ნაწილი, პელოპონესის ჩრდ. აღმ. ნაწილი (არგოსი, ფლიუსი, სიკიონი, კორინთო, მეგარა და ამათი კოლონიები სხვადასხვა ადგილას). ამ ქვეჯგუფის დამწერლობას მოეპოვება საგანგებო ნიშნები Φ , X (+), Ψ (V), Ξ (ϕ , χ , ψ , ξ -სათვის).

დასავლური ქვეჯგუფია: ჩრდილო-დასავლური კიკლადები (ნაქსოსი, დელოსი, პაროსი, თაზოსი, როგორც პაროსის კოლონია, სიფნოსი, კეოსი), ატიკა – სალამინთან და ეგინასთან ერთად. ამ ქვეჯგუფის დამწერლობას ახასიათებს ϕ და χ -სთვის საგანგებო ნიშნები (Φ , X , \dagger), ხოლო ξ და ψ -სათვის ორმაგი დაწერილობა: $\chi\theta$ და $\theta\psi$ (ან $\Gamma\Sigma$ და $K\zeta$ – თითქოს უფრო გვიანდელ წარწერებში).

III დასავლური ჯგუფი შეიცავს გერიკორიას დედა საბერძნეთში – ევბეასთან და მის კოლონიებს სიცილიასა და სამხრეთ იტალიაში.

მათი ორთოგრაფიის თავისებურებაა: ϕ – ბგერას აქვს თავისი იგივე ნიშანი – Φ . ξ ნიშანი მათ საერთოდ არა აქვთ. $X(\dagger)$ მათთან, აღნიშნავს ξ -ს, ხოლო Ψ (V) – χ -ს. რაც შეეხება ψ – ბგერათკომპლექსს,

ისინი მას გადმოსცემენ $\pi\sigma$ და $\varphi\sigma$ – დაწერილობებით; ხოლო არკადიასა და ლოკრიდამი ამავე კომპლექსისათვის აქვთ χ – ნიშანი.

ეს არის ძირითადი, რაც დაადგინა კირხპოფმა არქაული ბერძნული დამწერლობისათვის. მას არ მოუცია ამ ლოკალური ანბანების წარმოშობის მიზეზების მეცნიერული ახსნა. და შეიძლება ითქვას, რომ მის მერე განვითარებულმა მეცნიერებამ ამ დარგში ახალი ისა სთქვა, რომ ამისი მიზეზი თვით ცალკეულ მხარეთა მეტყველების ფონეტიკური თავისებურებები არის, მაგრამ ეს დებულებაც საკმაოდ ზოგადია და როგორც ჩანს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მას თავისი დასაბუთება სჭირდება.

უამრავი პიპოთეზა არსებობს, თუ რატომ არ მიიღო მთელმა საბერძნეთმა ერთი ნიშანი (მაგ., χ , რომ ზოგან χ -ა, ზოგან ξ ს. etc.).

ამგვარად, როგორც ჩანს, IX-VIII სს-ში ჩამოყალიბდა მთელი ანბანი, თავისი ვარიანტებით საბერძნეთის სხვადასხვა კუთხეებში (ასოთა თავისებური მოხაზულობითაც სხვადასხვა კუთხეთა მიხედვით).

დროთა ვითარებაში ამ ლოკალურ ანბანთა შორის უპირატესობას იპოვებს იონიური (ე.ი. აღმ. ბერძნული) დამწერლობა, უთუოდ იმ მიზეზების გამო, რომ ბერძნულ-სპარსულ ომებამდე მიღეგი იყო უპირველესი ქალაქი, ყველა თვალსაზრისით, ბერძნულ სამყაროში. ხოლო მას მერე, რაც 494 წ-ს სპარსელებმა დაანგრიეს მიღეგი, ხოლო ამ ომების დასრულების შემდეგ მთელი საბერძნეთის ჰეგემონი ხდება ათენი, ის წარმართავს ქეეყნის ცხოვრებას – ათენმა მიიღო იონიური ანბანი და ევკლიდეს არქონგობის დროს (403/2 წწ.) არქინოსის მიერ შემოტანილი რეფორმა გაატარა. ამ წელს ჩაიწერა იონიური ანბანით ათენის კანონმდებლობა. ანტიკური ხანის ბერძნული მწერლობა იცნობს არქინოსს, როგორც პოლიტიკურ მოღვაწესა და ორატორს. ხოლო უფრო კონკრეტულად სვიდა წერს მის შესახებ: Σαμίαν ὁ δῆμος: τὸς δὲ Ἀθηναίους ἔπεισε χρεῖται τῶς τῶν Ἰόνων γράμμασι Ἀρχίνοσ ἐπὶ δῆροντος Ἐκκλησίῳ. (სამოსის დემოსიდან იყო: არქინოსმა, რომელიც ევკლიდეს არქონგობის დროს იყო, დაარწმუნა ათენელები გამოეყენებინათ იონიური დამწერლობა) არქინოსის რეფორმის შესახებ ცნობა მოეპოვება თეოპომპესაც (ძვ.წ. IV ს-ის ისტორიკოსს). მღრ. F. Jacoby, Frgm. d. gr. Hist. n. 115, frg. 155.

ამგვარად IV ს-ის მიწურულიდან უკვე I ოფიციალური ბერძნული ანბანი არსებობს მთელი საბერძნეთისათვის და მას იყენებენ როგორც ანბანად, ასევე რიცხვითი მნიშვნელობებისთვისაც (9X3 – 27 ასოა; აქედან ზოგი მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობისთვისაა, მათ რეალური ბგერები აღარ შეესაბამება, რეალური მნიშვნელობა 24 ასოს შერჩა. და ეს კიდევაც ასახულია ბერძნულ მწერლობაში, მაგ., პომპროსის პო-

ძვ.წ. V ს-შიც გვხვდება (ცნობილი გორგინის კანონები ასეა დაწერილი).

ამის მერე კანონდება ბერძნულ დამწერლობაში მარცხნიდან მარჯვნივ წერა (აბუსიმბელის კოლოსალურ გამოსახულებაზე 600 წ-ით დათარიღებული წარწერა უკვე მარცხნიდან მარჯვნივია).

საწერა

საწერა

წარწერა ვანიდან, IV-III ს.

ჯენიე (მაგ., β, γ, ε, κ...), შემდეგ – გამარტივება, დახვეწა და გალამაზება.

აღსანიშნავ ცვლილებებს განიყდიან – η: θ, Η; θ: Θ, Θ; π: Γ, Π,

Π; σ M, Σ, ζ, Σ; υ V, Υ და ა.შ. ეს რაც შეეხება არქაულ და კლასიკურ ხანას. ასოთა მოხაზულობა მერეც იცვლება:

ამის თაობაზე არის ისეთი დაკვირვებები, რომელთა საფუძველზედაც სპეციალისტთა აზრით უთარილო წარწერების დაახლ. 25 წლის სიმუსკით დათარიღება ხერხდება. ზოგადად რომ ვთქვათ, აღრინდული კუთხოვანი დამწერლობა თანდათან მრგვლოვანი ხდება, ხოლო ახ.წ. დაახლ. III ს-იდან თანდათან იჭრება წარწერებშიც კურსივის ფორმები და ვხვდებით ისევე კუთხოვან ასოებს (მაგ., Γ=σ, Ψ=ω და სხვ.). პარალელურად ვითარდება როგორც მრგვლოვანი, ასევე კუთხოვანი დამწერლობა, როგორც ფართო, არამომჭირნე ასოები, ასევე მჭიდროდ ნაწერი წერილი და მაღალი ასოები და სხვ. ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ, მაგალითები.

იცვლება თვითონ წერის საერთო სტილი:

V-IV სს-ში ძალიან გავრცელდა წერის მანერა, რომელსაც ეწოდება στυχιδόν (სიგყვისაგან – στυχιδ – რიგი, ხაზი). იგი ძირითადად ატიკაში გვხვდება, მაგრამ არის აზრი, რომ შესაძლოა ის არ წარმო-

აღსანიშნავია ის, რომ ვანის IV-III წარწერაში არის სახელი ორჯერ დაწერილი მარჯვნიდან მარცხნივ (Ἀρσενός), რაც ამ დროისთვის იშვიათია და ეს მოვლენაც თავის ახსნას მოითხოვს.

ბერძნული ასოები, რომლებიც თავიდან დიდ მსგავსებას იჩენენ სემიტურ ასოებთან (მღრ. მეშას წარ-

წერას) თანდათანობით ვითარდებიან. ჯერესერთი, ხდება მათი შემობრუნება მარცხნიდან მარ-

Δ Ο Ξ Τ Ι Ξ : Φ Α Ρ Μ Α Κ Α : Δ Η Λ Η Τ Η
 Ρ Ι Α : Ρ Ο Ι Ο Ι : Ε Ρ Ι Τ Η Ι Ο Ι Ξ Ι
 Ν : Τ Ο Ξ Υ Ν Ο Ν : Η Ε Ρ Ι Δ Ι Ω Τ Η Ι : Κ
 Ε Ν Ο Ν : Α Ρ Ο Λ Λ Υ Ξ Θ Α Ι : Κ Α Ι Α
 3 Υ Τ Ο Ν : Κ Α Ι Γ Ε Ν Ο Ξ : Τ Ο Κ Ε Ν Ο :
 Ο Ξ Τ Ι Ξ : Ε Ξ Γ Η Ν : Τ Η Ν Τ Η Ι Η Ν : Κ
 Ω Λ Υ Ο Ι : Ξ Ι Τ Ο Ν : Ε Ξ Α Γ Ε Ξ Θ Α Ι :
 Η Τ Ε Χ Ν Η Ι : Η Μ Η Χ Α Ν Η Ι : Η Κ Α Τ
 Α Θ Α Λ Λ Α Ξ Ξ Α Ν : Η Κ Α Τ Η Γ Ρ Ε Ι Ρ Ο
 10 Ν : Η Ξ Α Χ Θ Ε Ν Τ Α : Α Ν Ω Θ Ε Ο Ι Η : Κ Ε Ν
 Ο Ν : Α Ρ Ο Λ Λ Υ Ξ Θ Α Ι : Κ Α Ι Α Υ Τ
 Ο Ν : Κ Α Ι Γ Ε Ν Ο Ξ : Τ Ο Κ Ε Ν Ο

კეოსის წარწერა, V ს.

სტომახელონი ისეთი მანერაა წერისა, როდესაც თანაბარი ასოები κατά στίχους (ჩამწკრივებული) არიან არა მარტო ჰორიზონტალურად, არამედ ვერტიკალურადაც (ასო-ასოს ქვეშაა; მათ შორის თანაბარი მანძილებია დაყული, როგორც ჰორიზონტულ საშვებში, ასევე ვერტიკალურშიც). სიკვებები ერთმანეთისგან გამოყოფილი არ იყო, მაგრამ სტრიქონის ბოლოს სიკვება თუ არა, მარცვალი მაინც მთავრდებოდა. წარწერა შესახედავად ძალიან ლამაზია (ძირითადად ეს ბრტყელ ქვაზე სრულდებოდა), მაგრამ არა ეკონომიური. თვითონ ათენელები რას ეძახდნენ ასეთ წარწერას, არ ვიცი. გერმინი, როგორც ჩანს, მერეა შექმნილი.

A
 P
 R
 S
 T
 U
 V
 W
 X
 Y
 Z
 A

ამას გარდა, ძველი გრამატიკოსები⁶² ახსენებენ წერის სამ სისტემას: κισθηδόν-ს (სეკესის ფორმა), πλισθηδόν-ს (აგურის ფორმა) და σπυριδόν-ს (კალათის ფორმა). კიონელონი არის წარწერა სეკემზე, სიგრძივ – ე.ი. უნდა ვიკითხოთ ზემოდან ქვემოთ (ამას კარნახობს თვითონ საწერი მასალის ფორმა და მოცულობა). ამისი ნიმუშებია, მაგ., ორი მი-

წარწერა ვანიდან, IV-III ს.

⁶² Woodhead... გვ. 31.

⁶³ შდრ. I. Bekker, Anekdotia, ... III, 1170. II, 786.

ლეგელი ქალის საფლავის სტელის წარწერა, IG, III², 2716 და სხვა მრავალი (აქვე უნდა მოვიხსენიოთ საქართველოში ვანის წარწერა). ასეთი წარწერები არქაულია, მაგრამ ამ ფორმას შემდეგაც იმეორებენ, შესაძლოა, სწორედ არქაიზაციის მიზნით (მდრ. Via Appia-ზე პეროდე ატიკელის დროის წარწერა, CIG, 26).

პლინთელონის სახეობის წარწერაში სტრიქონები პარალელუმიკედის ფორმისაა, ხოლო სპირიდონურ წარწერებში სტრიქონები ქვემოთკენ უფრო დამცრობილია, ერთგვარად კონუსური ფორმისაა მთელი წარწერა. მდრ. წარწერა ცულზე IGA - 543.

§7. ბერძნული რიცხვითი სისტემა

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ერთ-ერთი საბუთი საიმისოდ, რომ ბერძნული ანბანი წარმოსდგება ფინიკიურისგან, არის ის, რომ ძირითადად ბერძნულ ასოთა რიცხვითი მნიშვნელობა შეესაბამება სემიტური შესაბამისი ასოების რიცხვით მნიშვნელობას. სახელდობრ: $\alpha - 1$; $\beta - 2$; $\gamma - 3$; $\delta - 4$; $\epsilon - 5$; $\zeta - 6$; $\eta - 7$; $\theta - 8$; $\iota - 9$; $\kappa - 20$; $\lambda - 30$; $\mu - 40$; $\nu - 50$; $\xi - 60$; $\omicron - 70$; $\pi - 80$; $\rho - 90$; $\sigma - 200$; $\tau - 300$; $\upsilon - 400$; $\phi - 500$; $\chi - 600$; $\psi - 700$; $\omega - 800$; $\lambda - 900$. ათასიდან ანბანი კვლავ მეორდება და ათასეულებს აღნიშნავს იგივე ასო, რაც ერთეულებს, ხოლო ამჯერად რიცხვის მაუწყებელი ხაზი იშმის ასოს წინ, მარცხნივ, ქვემოთა კუთხეში (თუ α არის 1 - ხაზი მარჯვნივ ზემოთა კუთხეში, α არის 1000 - ხაზი მარცხნივ ქვემოთა კუთხეში). ათიათასეულების (ქართული „ბურჯი“-ს ბერძნ. მირიადების) აღსანიშნავად იმავე ასოებს ზემოდან ესმით ორი წერტილი ($\overline{\alpha}$ 10000-ს). (ამის ძირითად ნიმუშად იონიური, კერძოდ მილეგის 700 წლის წარწერის მასალა გამოდგება, სადაც ეს ნიშნები არის, და ჩანს რომ მათ რიცხვითი მნიშვნელობა აქვთ. ე.ი. იონიური ანბანი იშმის მანიშნებელია, რომ ის შეესაბამებოდა სემიტურ რიცხვით მნიშვნელობებს და ძველ იონურ წარწერებში ყველა ის ასო გვხვდება, მერე რომ აღარ იხმარება; მაგრამ უძველესი ნიმუში ამ წარწერებისა, სადაც ანბანითაა რიცხვები გადმოცემული შემდეგი ხანისაა. მაგ., უძველესია IG, I⁴99ხ და I 514-516 - ნიოჯ $\kappa =$ Grenzstein № 10. IV ს-დან ბევრია ასე დანომრილი საშენი ქვები: მაგ., პირეესის თეატრის A|A, B|B, etc.

დოლონადან გყვიის ფირფიტებზე A - Ω - 1-24-ს უღრის (ე.ი. შედარებით ახალი ვითარებაა).

ალექსანდრიელმა მეცნიერებმა ანბანში, როგორც ჩანს, 24 ასო სცნეს (Larfeld, ვც. 298).

ასოებს გარდა ბერძნულ წარწერებში შემონახულია რიცხვების აღსანიშნავად სხვაგვარი სისტემა, რომელიც, როგორც ვარაუდობენ,

დაახლ. სოლონის დროს შეიქმნა ათენში.⁶⁴ ესაა ათობითი სისტემა, რომელიც 5 ძირითად ფორმაზეა დაფუძნებული: (ვერტიკალური ხაზი), რაც აღნიშნავს I-ს, Γ (πέντε) – 5, Δ (δέκα) – 10, Η (hecatón) – 100, Χ (Χίλιοι) – 1000, Μ (μύριοι) – 10000.

ამ სისტემის მიხედვით:

I – 1	ΔΓΙ – 16	ΗΔΙ – 111
II – 2	ΔΔ – 20	ΗΡ – 150
III – 3	ΔΔΓ – 25	ΗΗ – 200
III – 4	ΔΔΔ – 30	Ρ – 500 (=5.100)
Γ – 5	Ρ – 50 (ე.ი. 5.10)	ΡΗΗ = 700
ΓΙ – 6	ΡΓ – 55	ΡΗΗΓΙ – 706
ΓII – 7	ΡΔ – 60	Χ – 1000
Δ – 10	ΡΔΔΙ – 71	ΧΧ – 2000
ΔII – 12	Η – 100	Ρ – 5000 (=5.1000)
ΔΓ – 15	ΗΔ – 110	Μ – 10000
		ΜΜ – 20000

ამის შესაბამისად: $ΜΜΡΧΧΙΡΗΡΔΔΓΙΙΙ = 27678$. ასეთი სისტემა ატიკურ წარწერებში გვხვდება – 454 წ-დან (IG, I, 226) ძვ.წ.ა. 95 წლამდე (II²985).⁶⁵

§8. სანერი მასალა, ბანკვეთის ნიშნები, შემოკლებაები, ქარაბგები, ლიბატურები...

ბერძნული წარწერები სხვადასხვა სტილით არიან შესრულებული: არის ამოკვეთილი წარწერები, რელიეფური, პუნქტირით შესრულებული, ამოკაწრული და საღებავით გამოყვანილი (ეს უკანასკნელიც შედის წარწერათმცოდნეობის სფეროში, რადგან კერამიკაზე, ან ფრესკებზე შესრულებული წარწერებიც მისი შესწავლის საგანია).

იე. ჯაეახიშვილის გამოკვლევის თანახმად („ქართული პალეოგრაფია“, გვ. 26-28, 40-41, 47-50), რაც ემყარება ძველ ქართულ ტექსტებს, „წარწერისათვის“ იხმარებოდა სიგყვები „ზედაწერილი“, „ზედაწერილი“, „წარწერილი“ და „წარწერა“. ამოკვეთილი ასოები

⁶⁴ W. Larfeld, გვ. 291.

⁶⁵ Larfeld, გვ. 292, მაგრამ შესაძლოა, მას მერე თარიღები დამუსტადა. რიცხვითი ასეთი სისტემა გამოყენებულია ატიკის წარწერაში, სადაც კოლხია ნახსენები (იხ. ქვემოთ).

იყო „შთაწერილი“ ან „ამოჭრილი“, (ამოდარული) ხოლო რელიეფური, ამობურთული ასოები – „გამოქანდაკებული“.

ტერმინი „წერა“ ძველია და შესაძლოა ადრე „ჩხელეკას“, „ამოკაწრვას“, „ჩაჭრას“ ნიშნავდა. შესაძლოა ასევე წარწერათა გამოყვანის ტერმინი იყო ქართულ ხელნაწერებში დადასტურებული „ჩხრეკა“, (რაც ახლა „გაქექვას“, „გაჩხრეკას“ ნიშნავს) – მისი უძველესი მნიშვნელობა (მეგრულთან შეპირისპირებით) „თხრა“, „გათხრა“ უნდა იყოს.

წარწერის ამომჭრელი ან გამოქანდაკებული არის „წარმწერილი“. საწერი მასალა, რომელზედაც წარწერები გამოქყავდათ, როგორც არაერთგზის ითქვა, იყო ქვა, ლითონი... ძველმა ქართულმა მწერლობამ იცის გამოთქმები: „ფიცარნი ქვისანი“, „ხატი ცულოანი“, რომლისგანაც პირველის ანალოგიით ივ. ჯავახიშვილი გვთავაზობს ტერმინებს: „ფიცარნი ცულოანი“ და „დაფა ცულოანი“.

იარაღი, რითიც „ფიცართა ზედა ქვისათა“ ხდება წერა, არის „ურჩხილი აღამანგისაჲ, ან რკინისა“.

რაც შეეხება საკუთრივ ბერძნულ ეპიგრაფიკას, მისი საწერი მასალის, წერის ხერხებისა და საწერი იარაღების შესახებ შემდეგი უნდა ითქვას:

ქვა ერთ-ერთი ძირითადი საწერი მასალაა, რომელზედაც წარწერებს ვხვდებით, და იგი ფორმის თვალსაზრისით სულ სხვადასხვაგვარია (ხშირად ამ ფორმების მიხედვით დათარიღებაც კი ხდება ძეგლის): არის ბრტყელი ქვები, რომლებიც ან დამოუკიდებელი სტელეები, ან ნაგებობის კედლებში ჩასმული. არის სვეტები; ქანდაკებათა ბაზისები; თვით მენობის კედელია გამოყენებული ამ დანიშნულებით, ანდა ბუნებრივი კლდე. საფლავის წარწერები, როგორც ცალკეულ სტელეებზე გამოყვანილი, ასევე სხვადასხვა ფორმის გამოსახულებებიან, გამოქანდაკებულ, სუჟეტიან ფილებზე; იგივე, წარწერები – შემდეგ პერიოდში უკვე სარკოფაგებზე (მასალა არის მარმარილო, ქვის სხვადასხვა ჯიში: ათენში ჰიმეტოსიდან მარმარილო, გრანიტი, მაგ., ბოსფორში – ცარცის ქვა დამუშავებული).

არის წარწერები ქვის ნივთებზე; არის წარწერები ნახევრადძვირფას და ძვირფას თვლებზე, დამოუკიდებლად ან გამოსახულებასთან ერთად (ე.წ. საბეჭდავებზე).

წარწერები ლითონზე (ქვასთან შედარებით) საბერძნეთში ნაკლებ გვხვდება. (რომაელებთან – გაცილებით ხშირად). სახელმწიფოებრივი (ეს განსაკუთრებით ხშირია ოლიმპიაში, სადაც მარმარილოს ნაკლებობა იყო) დანიშნულების წარწერები უფრო ხშირადაა ბრინჯაოზე, ვიდრე პირადული. უძველესი ასეთი წარწერები ოლიმპიიდანაა (IGA.

(CIG, 8577, 8578), რომლებიც, როგორც ჩანს, საფლავიდან არის. არის რამდენიმე ოქროს ამულეტი (პარიზის ნუმიზმატიკური კაბინეტიდან) და მისტერიული წარწერები სამხრეთ იტალიიდან.

სპილოს ძვალზე შესრულებული წარწერები (მაგ., თეატრის ბილეთი) რომაული ხანისაა.

საერთოდ, ძვირფასი ლითონი (და ძვალი) გამოყენებული წარწერის მასალად, რომაული ხანიდან მეტია (დაკავშირებით იქ გავრცელებულ ფუფუნებასთან):

წარწერები ხის მასალაზე, თვით მასალის ნაკლებად გამძლეობის გამო თითქმის არ არის მოღწეული. დაცულია მაგ., პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში 5 ასეთი ხის ფირფიტა – ცვილით დაფარული, რომლებიც მემფისშია მოპოვებული და ჰტოლემადოსთა ხანით თარიღდებიან, ე.წ. *πλάστυχον*-ის (მრავალკარედის) ფორმის.

იყო ხის ფირფიტები, რომლებზედაც საღებავით იყო წარწერები გამოყვანილი და როგორც ჩანს, დაწესებულებათა შენობებისა და ტაძრების შესასვლელთა (ფასადის) კედლებში ჩასმული.

სოლონის კანონებიც მბრუნავ ხის ძელებზე იყო წარწერილი, ორივე მხარეზე (ამგვარები პაესანიას დროსაც გვხვდებოდა II ს-ში). შემდეგ, უთუოდ მასალის სპეციფიკის გამო, ისინი ქვის *κρύπτεις*-ზე იყო გადატანილი (რაც, როგორც ჩანს, პრიზმის ფორმისა და მბრუნავი იყვნენ).

ამის შესახებ ცნობები ძველ ავტორებთან და ძველ წარწერებში გვხვდება.

ამას გარდა ბევრია წარწერა ხელოვნების ნიმუშებზე, რომლებიც ვაკეთებულია ქვის, ლითონის, მინის, გამომწვარი თიხის ნივთებზე (ჭურჭელი, ტერაკოტა – აქ ფუნჯითაა დაწერილი; გრაფიკო და დამღები).

არის წარწერები ფრესკებზე; არის წარწერები მოზაიკაზე (სხვადასხვა შინაარსის; დაწყებული ქტიტორისა და მხატვრის სახელის აღნიშვნით და შემდეგ ყოველგვარი ტიპის).

ვიდრე ქვაზე წარწერის ამოკვეთას დაიწყებდნენ, მის ზედაპირზე ამ წარწერას ჯერ საღებავით გამოიყვანდნენ. საღებავი უპირატესად წითელი იყო ხოლმე. როგორც ჩანს, ჯერ საღებავით შესრულებული წარწერის კორექტურა კეთდებოდა, ამიტომ არის, რომ შეცდომები საგულდაგულოდ გამოიყვანილ წარწერებში იშვიათია. არ იყო საეაღდეულო წარწერაში ასოები მიყოლებით ამოკვეთათ. შეიძლება ამოკვეთა სხვადასხვა ადგილზე ხდებოდა (დაეუშვათ ჯერ მარცხენა მხარეს, ან ჯერ ზემოთ, მერე ქვემოთ, შემდეგ შუაში etc). ასოები წარ-

წერაში ჩვეულებრივ ერთი ზომისაა. წარწერები ქვასა და ლითონზე ამოიკაწრებოდნენ ან ამოიკვეთებოდნენ, საჭრისისა ან სატეხის სამუალებით (ფრჩხილი ადამანტისაჲ); პუნქტირით შესრულებული (განსაკუთრებით ლითონზე) ჭედვის სამუალებით კეთდებოდნენ. იმავე მასალაზე დამლების სამუალებითაც კეთდებოდა წარწერები, ისევე სატეხისა და საჭრისის გამოყენებით. რომაული ხანიდან ცალკე გაკეთებულ ბრინჯაოს ასოებისგანაც აღგენდნენ წარწერებს; ეს ასოები ან შიგ საწერ მასალაში იყო ხოლმე ჩასმული, ან კაუჭების სამუალებით მასზე მიმაგრებული.

კერამიკაზე წარწერები ან ფუნჯის სამუალებით ისატებოდა, ან ამოიკაწრებოდა საჭრისის ან გრიფელის სამუალებით. რბილ თიხაზე პუნსონის ან დამლის გამოყენებით კეთდებოდა როგორც „მთაწერილი“, ასევე „გამოქანდაკებული“ წარწერები.

ქვებზე მწერლის არც საკუთარი სახელები გვხვდება და არც მათი ხელობის აღმნიშვნელი აღრინდელი გერმინი. μαρμαρίος | μαρμαρίος არის ლათინური marmorarius-ის გრანსკრიფცია. ქვებზე ასოთა ამომჭრელის სახელები უთუოდ იმიტომ არ გვხვდება, რომ ამ ხელობის ადამიანთა ხელოსანი (და არა შემომქმედი) ბრიგადები იქმნებოდა, რომლებიც ამ საქმეს ასრულებდნენ. ხელობა მამიდან შეიღზედ გადადიოდა (ამისი საბუთია მაგ., ის, რომ დელფოში ერთი გიპის, ერთი ტექნიკით შესრულებული წარწერები გვხვდება, ვთქვათ, მთელი საუკუნის მანძილზე. ე.ი. იმ წრეში წერის გარკვეული, საკუთარი ტრადიცია პქონდათ). თვით წარწერებშივე გვხვდება მზნები, ან ნაზმნარი სახელები, რომლებიც „წერას“, „კვეთას“, აღნიშნავენ. მაგ., τμησις και χεραισις (აჭდევებდნენ და ხაზაედნენ; ან კაწრაედნენ), γράμμα ἔτυπασε (ასო გამოიყვანა), γράμματα ἐπικόλαψαισι (წარწერა ამოკვეთეს, გამოიყვანეს), γράψαντι τὴν στήλην (სტელის მომხატველს, სტელაზე მწერალს); ἐκόλαψεν (ამოკვეთა, წარწერა), ἔγραψεν (ამოწვა, დადაღვა). ისე კი ყველაზე მეტად გავრცელებული ძირი ყრად-აღნიშნაედა ყოველგვარ მასალაზე წერას, ყოველგვარი ინსტრუმენტებით, თუ საღებავით.

ამგვარად, წარწერის გამოყვანისათვის სხვადასხვა ბერძნული გერმინი იხმარება (ძირითადად „ამოკვეთის“, „ამოჭრის“, „ამოწვის“ მნიშვნელობის).

რაც შეეხება განკვეთის ნიშნებს (ეს ეხება არამარტო ბერძნულ ეპიგრაფიკას, არამედ ნებისმიერ დამწერლობას), რომელიმე ენაში ანბანის შექმნასთან ერთად ისინი არ გაჩენილან. თავლაპირველად წარწერებში ისეა, რომ სიგყვა სიგყვას მოსდევს, წინადადება წინადადებას; შემდეგ ხდება სიგყვათა მექანიკური დაშორება (აქ საქმე

იქამდეც კი მიდის, რომ თხზული სიგყეებიც დაუალყალყეელება ხოლმე). მერე უკვე დამწერლობის განვითარების უფრო მაღალ საუფხურზე დამწერლობაში ჩნდება განყეეთილობისა და სასყენი ნიშნები.⁶⁶

ბერძნულ, სახელდობრ აგიკის წარწერებში ჯერ კიდეე ძე.წ. VI ს-ში დასტურდება სტრიქონის დაბოლოება სიგყეის დაბოლოებით, იქნება ეს წარწერა სტოიხედონის ტიპის, თუ არა სტოიხედონისა; ეს უკვე შეგნებული განყეეთილობაა სიგყეების. მაგრამ თვით სიგყეათა დაცილება ერთმანეთისგან სტრიქონის შიგნით სისტემატურად მხოლოდ რომაული ხანიდან შეინიშნება (და ესეე შეიძლება მთელ წარწერას არ გაჰყეეს). სამაგიეროდ რიცხვითი მნიშვნელობის ნიშნები ტექსტიდან ჩეულებრივ გამოყოფილი იყო ხოლმე (მანძილის დაყეით, გამოტოვებით სხვა ნაწერისგან). ვიდრე სიგყეებს დააყილებდნენ წერისას ერთმანეთს, მათ შორის გამყოფი ნიშნებით ხმარებას მისდევენ.

ჯერ კიდეე კრეტულ ხამოვან წარწერებს სიგყეათა გამყოფად ვერტიკალური ხაზი ჰქონდა, კეიპროსულ წარწერებს – ხაზი ან წერტილი. მემას წარწერა სიგყეებს ერთმანეთისგან გამოჰყოფს წერტილით, წინადადების ნაწილებს – ვერტიკალური ხაზით. ფინიკიელებმა თავდაპირველად არ იყოდნენ სიგყეათა გამოყოფა, მაგრამ გვიან, ბერძნულ-რომაულის გაელენით მათაყ დაიწყეს სიგყეათა შორის წერტილის დასმა.

ამგვარად, ბერძნებმა რომელიმე სხვა ხალხისგან ისწავლეს განყეთის ნიშნების ხმარება, თუ თვითონ, დამოუკიდებლივ მივიდნენ აქამდე, ასე ეთქვათ, დადგენილი არ არის. მე ვფიქრობ, რომ ანბანური დამწერლობის განვითარება თავისთავად, თვითონ მივიდოდა აქამდე, ამას საგანგებოდ ვინმესგან სწავლა არ დასჭირდებოდა.

ასევე, განყეეთის ნიშნად სხვადასხვა რაოდენობის წერტილების ხმარებაყ ახასიათებს ბერძნულ წარწერებს (რაც უცხო იყო აღმოსაყლური წარწერებისთვის). ან ეს საიდანღაა?

ძველ ბერძნულ წარწერებში შეინიშნება არა სიგყეათა შორის ხარევი, არამედ ის, რომ წარწერათა დაახლოებით 1/10 (სტაგისტიკურად) ხმარობს წერტილებს სიგყეათა შორის, სიგყეათ გამყოფად, ამ წარწერათა შორის არის მარცხნისყენ მიმართული წარწერები და ბუსტროფედონი. ამ განყეეთის ნიშნებს არ ხმარობენ წარწერები:

⁶⁶ მაგ., ქართულ დამწერლობაში ჯერ კიდეე ხანმეტ დამწერლობაში არსებობდა განყეეთის ნიშნები, შემდეგ, არაბობის დროს ისინი აღარ იხმარება და კელაე შემოიღეს ისეე, მეორედ, და დაამკეიდრეს ქართულ დამწერლობაში ეფრემ მყირემ და გიორგი მთაწმინდელმა.

მელოსიდან, ოპუნგის ლოკრისიდან, ფოკიდიდან, არკადიის, პაროსის, სიფნოსის, თაზოსის, ნაქსოსის, კეოსის, სიკიონის, ფლეიუსის, მეგარის... საერთოდ, არქიპელაგის წარწერებში განკვეთის ნიშნები ნაკლებად იხმარება, ან თუ იხმარება (ისევე, როგორც იონიაში), ხანმოკლედ. ატიკაში კი ხანგრძლივი იყო მათი ხმარება, მაგრამ სხვადასხვა დოზით და არასტაბილურად. მაგრამ საერთოდ ისეთი ცვალებადი იყო ამ პერიოდში ამ ნიშნთა ხმარება, რომ რაიმე კანონზომიერების დადგენა ჰქონდა (თარიღისა თუ წარმოშობის თვალსაზრისით).

მარტივი, ერთი წერტილი სიგყვათა შორის ასოთა ნახევარ სიმალეზე გვხვდება სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში. ათენში ძვ.წ. IV ს-ის შუა წლებიდან, შემდეგ, წერტილის ასეთი ხმარება ისევე ამოტივტივდა ადრიანეს დროისათვის და გრძელდება III ს-ის შუა წლებამდე. ორი წერტილი (:) არის ტეოსის წარწერაში (IGA, 497, 476 წ.), სადაც სიგყვები სწორედ ორი წერტილით არის ერთმანეთისგან გამოყოფილი, მხოლოდ თანდებულები, არტიკლები და ნაწილაკები სახელებთან ერთად, ერთ ერთეულადაა აღქმული: "Οστις: φάρμακα: δηλητήρια: ποιοι: ἐπι Τηΐσιον: τὸ ζυθόν: ἡ ἐπ'ἰδιώτη: κείνον: ἀπόκλισθαι: καὶ αὐτόν: καὶ γένος: τὸ κείνου... ორი ან სამი ერთმანეთზე დასმული წერტილი (: ან :) გავრცელებულია ატიკურ წარწერებში ეპკლიდეს რეფორმის წინ და შემდეგ (ეს შეიძლება პარალელურად იყოს ნახმარი ერთსა და იმავე ძეგლში). გვხვდება აგრეთვე ∴ განკვეთის ნიშანი (დაახლ. 350 წ. IG II' 79), ! ასეთი ნიშანი (: და :-ის გვერდით ერთისა და იმავე იონიელის წარწერაში დოლონიდან; არგოსულ წარწერაში; ფრიგიელ მეფეთა საფლავეებზე): ∴ (V-IV სს-ში), ∴ (V-IV სს.); ∴ ∴ ∴ (ძვ.წ. IV ს.); ∴ ∴ ∴ (V-IV სს.).

ძველ წარწერებში გვხვდება განკვეთის ნიშნების სხვა სახეობებიც, სწორი ხაზებისაგან შემდგარი: | (კრეტა, თერა, ლაკონიის წარწერები IG A, 64. ეს მანამ, სანამ ეს ნიშანი ასო ἰ-სთვის არ გამოიყენებოდა). || (IGA, 571), = (ძვ.წ. IV ს-ის წარწერა, IG, II², 824), // (ძვ.წ. 575 წლის წარწერა; მეორე ასეთივე – დელფოდან); ≡ (ძვ.წ. 407 წ. IG I, 140₂₇) და სხვ. სხვა რიგის ნიშნებიდან აღსანიშნავია: ⊃ ⊂ (ლაკონიის წარწერა, IGA, 323), ⊃ (კორკირის წარწერა, IGA, 342). ⊃ ⊂ (მაკედონელთა ხანის წარწერა) და მხოლოდ ⊂.

რომაულ ხანაში გვხვდება ჩვეულებრივ წერტილი (.), უფრო იშვიათად ორი წერტილი (:). ასევე იშვიათად შორიზონტალური ხაზი (—), ან იგივე ხაზი ნაჭდეუებით (—). ეს ყოველივე ახ.წ. III ს-შიცაა. ამას გარდა ადრიანეს დროიდან ჩნდება განკვეთის ახალი ნიშნებიც: (IG,

III', 2; 38, 467, 419), ხაზის ქვემოთ, იქ, სადაც თანამედროვე მძიმე ის-მის.

(IG, III' 679, 717); / და / სიგყვათა განმაცალკეებლად (IG, III', 1114, I), უ და ო (როგორც წერტილი და როგორც მორთულობა გექსტის ცარიელ ადგილას).

უფრო მეტი ფუნქცია აქვს აღრიანეს დროიდან გაჩენილ ფოთლის მსგავს ნიშანს C, რომელიც გვხვდება გექსტში სტრიქონის დასასრულს (სადაც სიგყვა შეიძლება არც იყოს დამთავრებული, ე.ი. აქ მას გადატანის მნიშვნელობა აქვს), როგორც მორთულობა ცარიელ ადგილას. გექსტის დასასრულს (აქ წერტილის მნიშვნელობით). წარწერის ქვემოთ, როგორც ორნამენტი (II-III სს-ის წარწერები, შესაძლოა IV და შემდეგ, მომდევნო საუკუნეშიც). ამავე დროის შემოტანილია ეპიგრაფიკაში < ნიშანი (I-III სს-ში). C (I ს-ში) მძიმის მნიშვნელობით.

არის განკვეთის ნიშნების უადგილო ხმარების შემთხვევებიც. მაგ., შიგნით, სიგყვაში IGA.321,1: ...καταλείποντα; IG, I^b, 27^b, 58: τ:::στων; III', 435 ΑΥΤΟϚ ΚΡ (ἀταρ).

ამავე ხანისაა რიცხვითი ნიშნები მოქცეული წერტილებში (საგანგებოდაა გამოყოფილი რიცხვის აღმნიშვნელი ნიშნები). მაგ., :ΔΔ: ან :Δ: (ამ წერტილთა დადგენა ყოველთვის არ ხერხდება, ან იმიტომ რომ ქვა დაზიანებულია და ვერ იკვებ, სად წერტილია, სად ქვის დეფექტი, ან იმიტომ, რომ პირი დედანს მუსტად არ გადმოსცემს, ან თვით მწერლის თავისებურებების გამო. მაგ., ერთ-ერთი საფლავის წარწერაზე IG, II^b, 2391 გვხვდება ო სამჯერ, წერტილთა მნიშვნელობით.

ამგვარად, სიგყვათა ცალ-ცალკე წერა ბერძნულ ეპიგრაფიკაში უფრო გვიან შემოიღეს, ვიდრე განკვეთის ნიშნების ხმარება და ეს ნიშნები საკმაოდ მრავალფეროვანია.

უძველეს ბერძნულ წარწერებში სიგყვათა შემოკლებები როგორც წესი არ გვხვდება. ზოგადად რომ ითქვას კლასიკურ და ელინისტურ ხანასთან შედარებით მეტია რომაულ ხანაში და ამის შემდეგ პერიოდში კიდევ უფრო ხშირდება ეს მოვლენა ეპიგრაფიკაში (და განსაკუთრებით პალეოგრაფიაში – ხელნაწერებში). სიგყვათა შემოკლება ორგვარია: ერთი, როდესაც რჩება სიგყვის დასაწყისი და იკვეცება დაბოლოება (ე.წ. Suspension) და მეორე – როდესაც სიგყვის თავი და ბოლო რჩება, შუა ნაწილი მისი ვარდება (ე.წ. Kontraktion).

შემოკლების I წესი ბერძენთათვის უძველესი დროიდან არის ცნობილი. და, როგორც ჩანს, ამისი საფუძველი იყო ადგილის სიმცირე, რამედაც წერა ხდებოდა. მაგ., მონეტებზე მათი მომჭრელი ქალაქების სახელწოდების I ასოებს სწერდნენ მხოლოდ (Ϛ - კორინთო; Λ - ლაკედემონი; Σ - სიკიონი). რაც შეეხება საკუთრივ წარწერებს, თითებზეა ჩამოსათელელი ის უძველესი წარწერები, სადაც შემოკლებები გვხვდება. ასეთია მაგ., მეტაპონტის (აქაჰა) ბუსტროფედონი: 'Απὸ(λ)ατος Λυκ(είου) εἰμί, Θεάγεις Π υπ[θ]-?'⁶⁷ შემოკლებები ამ ძველ წარწერებში ძირითადად საკუთარი სახელებისა ხდებოდა, რომელთა შევსება დღეს ყოველთვის უჭველი არ არის.

ათენში სიკვყათა შემოკლებების ხმარება ევკლიდეს რეფორმამდე დასტურდება (ძვ.წ. 448 წ-დან), ძირითადად არა დეკრეტებში, არამედ სხვა ხასიათის წარწერებში, მოკლება ე.წ. demotikon და ethnikon, და სიკვყები, რომლებიც ხშირად მეორდება და რომელთა გაგება საეჭვო არ არის (მაგ., οἰκάν). იმ პერიოდში, რომელიც მოიცავს ხანას ევკლიდედან ავგუსტუსამდე უფრო ხშირდება შემოკლებები; აქაც ძირითადია საკუთარ სახელთა შემოკლება. რომაულ ხანაში შემოკლებები ვრცელდება პირთა სახელებზე, demotika-ზე, თვეების აღმნიშვნელ სახელებზე, თანამდებობათა და წოდებათა ამსახველ სიკვყებზე.

შემოკლებას თავისი ნიშნები მოეპოვებოდა. მაგ., ძვ.წ. V ს-ის ათენში ასეთი ნიშანი იყო : ; ევკლიდედან ავგუსტუსამდე გვხვდება იგივე ნიშანი და ორი წერტილი (:).

რომაულ ხანაში ნაირნაირია შემოკლების ნიშნები: Νεῖκη < Π(βερῖου) < Κ(λαυδίου) Καίσαρος (112 წ.), ΚΛ'(αὐδῖος) ამავე ხანის. თითო წერტილი ასოს გვერდით, სტრიქონის შუაში: Τ·ΦΛ·(=Τίτος Φλάουιος), პორიზონტული ხაზი ზემოდან: ΤΙΦΛΑΤΙ (=Τίτος Φλάουιος Τίτου); ΤΙΒ²ΚΛ², ΚΛΟΧρυσίππου, ΤΙΚΛ (=Τιβερῖου Κλαυδίου); ΤΑΙΛ̄ -ΥΡΗΛ̄ (= Τίτος Αἰλῖος Αὐρήλιος).

ΑΥΡΟ, ἈΥΡ̄. ΑΥΡ̄. ΥΠΙΑΤ̄ (=ὑπατεῖαν), ΑΡΧ̄ (= ἄρχοντας), ΛΑΜ̄ (= λαμπρότατος) და სხვ.

სიკვყის შემოკლება კონტრაქციის საშუალებით უჭველი ფაქტია ძვ.წ. IV ს-დან; ათენის წარწერის (IG, Π³ 1400) ΕΚΚΕΩΝ და ΕΚΚΕΡΑ^{ΩΝ} გამიფრულია როგორც ἐκ Κεραμέων (ე.ი. დემოგიკონია შემოკლებული). ამის მერე ამგვარად შემოკლებულ წარწერათა რიცხვი მაგულობს: მოკლება სახელები, როგორც საკუთარი, ასევე გეოგრაფიუ-

⁶⁷ Hinrichs-ი შენიშნავს, რომ შემოკლებები ფრიგიის მეფეთა საფლავის წარწერებში უკვე ძვ.წ. VIII ს-დან შეინიშნება. Larfeld... გვ. 277.

ლი, თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვები (Στραγος = Στρατάγος), მზნები (ἐπίσε = ἐπίστεισε; επιται = ἐπίκειται; επτα = ἐποίησα). ე.ი. ძირი ზოგან აღარაა, მარტო აუიქსები და ფლექსიები რჩება.

განსაკუთრებით უხვია და სტაბილური ამგვარი შემოკლებები ქრისტიანული ხანის წარწერებში: ΘC (= θεός), IC (= Ἰησοῦς), XC (= Χριστός), KC (= Κύριος), YC (= υἱός), MPΘY (= μήτηρ θεοῦ) და სხვ.

ისევე როგორც სიტყვათა შემოკლებისათვის მიზეზი იყო საწერ მასალაზე ადგილის ეკონომია, ლიგატურების წარმოქმნის თავდაპირველი მიზეზიც იგივე საწერი ადგილის შემზღველობა იყო. ლიგატურების უძველესი ნიმუშები ძვ.წ. VI ს-ში გვხვდება. ესაა ამორგოსის წარწერა (BCH. 6, 187), სადაც სწერია HT (= ἥπιο...). ამავე დროისაა კეოსის წარწერა (IGA, 393), სადაც გვხვდება ლიგატურები: AW (= μν) და NI (= λκι ან νι-ს).

ძვ.წ. V ს. არის ნაეკრაგისის წარწერა (N°804), HPAOPH (= Ἡραγόρευς).

ათენში აღრიანეს უწინარესი პერიოდიდან ძალიან მცირეა ლიგატურებიანი წარწერები, ისევე, როგორც შემდეგი ხანიდან (ბიზანტიური ხანის კურსიეს ახასიათებს წერის ეს მანერა უპირატესად). ძვ.წ. II-I სს-დან: N (= ντ), HK (= ηκ), HN (= ην), E (= τε), NE (= νε)... ატიკის დაახლ. ახ.წ. III ს-ის წარწერებში (IG. III' 58.60) გვხვდება ლიგატურები: HE, NE, H, HN... MENHN (= Κλυμένην, η), PNHN (= Εἰρήνην, η), NH (= εν η). H (= ητ).

ასევე, დაახლ. II ს-ის რამდენიმე წარწერაში გვხვდება ლიგატურები: AN, OE (= οσ), IC (= ησ), ANP (= ἀνήρ), H (= ου), O (= ου), Z (= ου), D (= δρ), Φ (= φσ), Θ (= οσ), OY ΠΙΟΣ (= Οὐλύσιος), YH (= ὑπό) და სხვ.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ლიგატურები მრავლდება რომაული ხანიდან. ლიგატურებთან არის მოსატანი ე.წ. მონოგრაფები და კომპენდიუმები.

კომპენდიუმები ჩნდებიან ავეკსტუსის წინააღმდეგე ხანიდან და მრავლდებიან აღრიანეს დროიდან და შემდეგ ხანაში. ეს არის ან ასომზე დაწერილი ასო, ან ასოში ჩაწერილი ასო: Π (= πρεσβύτερος), Μ (= μέσος), Π, Ν (= νεώτερος), Π, ΓοΜ (= Πομπώνιος, ან Πομπήιος), Π (= Πόπλιος), Μ (= δμοῦ), Φ (= γυμνασίαρχος), ΚΝΘ (= Κελεῦει νόμος θεσμών, ან θεοῦ), Ν (= Νούμιος), Π (= Πρυτανέων), Μ (= μῆνα), ΧΜΔ (= Χολλειδης μήνας δ')

მონოგრამები (ერთმანეთში ჩახლართული ასოებისგან შემდგარი ნიშანი) გვხვდება მონეტებზე დიდი რაოდენობით, ხოლო საკუთრივ წარწერებში მხოლოდ გვიან რომაული ხანიდან. ხშირია „ქრისტეს“ აღმნიშვნელი მონოგრამა (Ϟ ან ϫ) ქრისტიანულ წარწერებში.

ფშინვისა და მახვილის ნიშნები, დიაკრიტიკული ნიშნები და აპოსტროფი ასევე გვიანდელი, გვიან რომაული ხანის შენაძენია ბერძნული ეპიგრაფიკის. აქ გამონაკლისს წარმოადგენს H (ჰ – ბგერის ამსახველი ნიშანი არქაულ ბერძნულ წარწერებში) ასოდან მიღებული I – ნიშანი, რაც დასტურდება ძვ.წ-ის IV ს-ის პერაკლეაში (ტარენგის კოლონიაში) მოპოვებულ ფირფიტებზე (CIG. 5774. 5775), რომლის წარწერებიც იონიურ ალფაბეტს იყავენ (L ნიშანია F-სათვის). ატიკურ წარწერებში ' , ' , ' ნიშნები მკვეთრი ფშინვისთვის გვიანრომაული ხანიდან გვხვდება. Spiritus asper სიტყვის შუაში დადასტურებულია V ს-ის წარწერაში (რომაულ-ქრისტიანული საფლავის წარწერაში CIG. 9715) (CYNEMON = σπν̄μων (σπν̄μων ლვიძლი ძმა, და, შვილი).

ახ.წ. II-III სს-ში გვხვდება, მართალია სპორადულად, მაგრამ მაინც მახვილის ნიშნები, ასევე დიაკრიტიკული ნიშნები – წერტილი, უფრო იშვიათად -, ; : δαΐδας, ἱερά, περι τῆν, ὅ (= ὅ), Ὑβρίσας, Γάιος Ἰούλιος და სხვ.⁶⁸

აპოსტროფის ნიშანი ' , ' , ' ყველაზე ადრე 127/8 წლის წარწერაშია (IG, III, 736): Δ' = δ'. ამის მომდევნო ხანის ნიმუშებია: ΩΣΤ' ΑΠΡ... (= ὦσ' ἄπρ...), ΑΛΛ'. ქრისტიანული ხანის წარწერაში კარიიდან (CIG. 2851) დაცულია აპოსტროფის თავისებური სახეობა: S – TONΔ' (- τόνδ').

იოგა ქვეშემოწერილი გრძელ ხმოვნებთან (η, α...), ძველ რომაულის ჩათვლით – წარწერებში არ არის, ერთ ხანს არის i adscriptum და შემდეგ ესეც ქრება. i subscriptum ბიზანტიური ბერძნულის მონაპოვარია.

§9. ბერძნულ წარწერათა შინაარსობრივი ჯგუფები

თანამედროვე მეცნიერებაში პრაქტიკული ეპიგრაფიკის საკითხები უფრო უკეთ არის გადაჭრილი, ვიდრე თეორიული, და ამ თეორიულ საკითხთა შორის შინაარსობრივი ჯგუფების დასადგენად ერთი საკლასიფიკაციო ნიშანი დღემდე არაა მიღებული.

⁶⁸ უფრო დაწერილებით, W. Larfeld... გვ. 301.

ცხადია, ეს ისეთ სირთულეს არ ჰქმნის, რომ რეალურად ეპიგრაფია ვერ გავარჩიოთ საალმშენებლო წარწერისაგან, ან რომელიმე კატალოგი ლიტერატურული ხასიათის ძეგლისაგან, მაგრამ მრავალ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც საქმე საქმეზე მიდგება, ჰირს წარწერის შეგანა რომელიმე გარკვეულ ჯგუფში, თუ კი აქცენტის შინაარსობრივ კატეგორიებზე გვაქვს. ან იმიტომ, რომ მას რამდენიმე ჯგუფისთვის დამახასიათებელი ნიშანი აქვს და ის თავისუფლად შეიძლება ამ სხვადასხვა ჯგუფში მოთავსდეს, ან იმიტომ, რომ მას გარკვეული საკლასიფიკაციო ნიშანი საერთოდ არ გააჩნია და პირობით, რომელსამე ჯგუფში ვათავსებთ, რაც ხდება კომპლექსური შესწავლის შედეგად.

პირველი ჯგუფისათვის ნიმუშად სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით კარგად ცნობილი 114-115 წლების ძეგლი, ე.წ. რომის ეპიგრაფიაც კმარა, რომელიც ერთსა და იმავე დროს არის საფლავის წარწერა, ლიტერატურული ნაწარმოები (პოემიის ნიმუში) და ისტორიული დოკუმენტი.

როდესაც ამ წარწერაზეა ლაპარაკი, მას ჩვეულებრივ რომის ეპიგრაფიას უწოდებენ, ე.ი. წინ არის I ნიშანი წამოწეული, თუმცა არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის, როგორც ისტორიული დოკუმენტი (განსაკუთრებით საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის). აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ის კარგად გამართული იამბებითაა შესრულებული და იგი თავისუფლად შევა იმ ჯგუფში, რომელსაც ეწოდება ლიტერატურული ხასიათის წარწერები.

მეორე შემთხვევაში – წარწერას დამოუკიდებელი საკლასიფიკაციო ნიშანი არ გააჩნია. მაშინ მას ვათავსებთ ამა თუ იმ ჯგუფში თვით წარწერის გარდა სხვა მონაცემების გათვალისწინებით. მაგ., გვაქვს მხოლოდ მამაკაცის სახელი და სხვა არაფერი. ეს შეიძლება იყოს ეპიგრაფიაც, შეიძლება იყოს კუთვნილების აღმნიშვნელი, შეიძლება იყოს ხელოვან-ხელოსნის სახელი, შეიძლება იყოს იმისი სახელი, ვისაც შესწირეს, ან იმისი, ვინც შესწირა და ა.შ.

გააჩნია იმასაც, თუ რაზეა წარწერა გამოყვანილი (საფლავის ქვაზე, ძეგლზე, ნივთზე). მას ვათავსებთ ამა თუ იმ ჯგუფში თვით წარწერის გარდა სხვა მონაცემების გათვალისწინებით.

ბერძნული ეპიგრაფიკის სახელმძღვანელო მკვლევართა ნაშრომების წარწერათა შინაარსობრივი ჯგუფების თვალსაზრისით მიმოხილვისას ასეთი სურათი გვაქვს: ვ. ლარფელდი, რომელსაც ეკუთვნის კლასიკური მონოგრაფია ბერძნული ეპიგრაფიკის დარგში (W. Larfeld, Griechische Epigraphik III გამოც. München 1914 წ.) ასეთ ჯგუფებს გამოჰყოფს: 1. სახელმწიფოებრივი ხელშეკრულებები, კანონები (აქ ცალკე

ქვეჯგუფია საკრალური კანონები), დეკრეტები (=დადგენილებები), ელიქტები (=ბრძანებები). 2. განმალიდებელი, შეწირვითი, საფლავის, ქონების, ან საკუთრების დამადასტურებელი, სამშენებლო ხელოვანთ ალმნიშვნელი წარწერები. 3. თანამდებობრივი (ე.ი. თანამდებობის პირთა, სახელმწიფო მოღვაწეთა შესახები) დოკუმენტები. 4. კატალოგები. 5. სამართლებრივი წარწერები (კერძო პირთა შესახები სამართლებრივი დოკუმენტები). 6. ლიტერატურული წარწერები (ქრონიკები, ისტორიები, ფილოსოფია, ლექსები, ჰიმნები).

გ. კლაფენბახი (G. Klaffenbach, Griechische Epigraphik 1957 წ. II გამოც. 1966 წ.) და ა. გ. ვუდჰედი (A. G. Woodhead, The study of greek inscriptions, I გამ. 1959 წ. II გამ. 1981 წ.) თავის შრომებს სასტუდენტო და ზოგადგანმანათლებლური ხასიათისად აცხადებენ, არ არქმევენ დამოუკიდებელი, საგანგებო კელევის შედეგად მიღებულ ნაშრომებს, მაგრამ, ჩემი აზრით, მათში ძალიან კარგად არის წარმოდგენილი ბერძნული ეპიგრაფიკის მიღწევათა თანამედროვე დონე ლარფელდის მერე 1/2 საუკუნის შემდეგ და სრულიად გარკვეულია ავტორების კონცეფცია ეპიგრაფიკის კარდინალური საკითხების წარმოჩენისა.

გ. კლაფენბახი წარწერათა შინაარსზე მსჯელობისას ასე იწყებს: „წარწერები ისევე მრავალფეროვანია (bunt), როგორც თვით ცხოვრება“ (გვ. 55) და შემდეგ იძლევა წარწერათა 5 ძირითად ჯგუფს თავისი ქვეჯგუფებით: 1. საფლავის, განმალიდებელი და შეწირვითი,⁶⁹ 2. ხელოვანთა, 3. დეკრეტები, 4. მონათა განთავისუფლების, 5. ყველა სხვა (ამ მხებზე ჯგუფს არ ამუსტებს, უთითებს მხოლოდ ლიტერატურას, S. Reinach-ისა და W. Larfeld-ის შრომებს).

ნაშრომში აქა-იქ გვხვდება: agonistische, (შეჯიბრების მონაწილეთა), historische, juristische, sakrale Inschriften, tituli memoriales (მოსახსენებელი წარწერები $\mu\eta\tau\sigma\mu\eta\lambda\acute{\iota}$ – გმნით), მაგრამ იმ ნაწილში, სადაც საგანგებოდ არის წარწერათა შინაარსზე ლაპარაკი, ეს ტერმინები არაა გამოყენებული და არ ჩანს, მაგ., მოსახსენებლები იმ 5 ჯგუფიდან რომელში შეჰყავს.

ა. გ. ვუდჰედი, როდესაც იწყებს IV თავს The classification of inscriptions (35-51 გვ.გვ.), აცხადებს ორ ძირითად ჯგუფს public (სამოგადოე-

⁶⁹ საინტერესოა ავტორის მიერ მოყვანილი ამ სამი ქვეჯგუფის განმასხვავებელი ნიშნები: საფლავის წარწერა არის ის, რაც მოთავსებულია საფლავზე არსებულ ძეგლზე; შეწირვითი, სადაც რომელიმე ღმერთია მოხსენებული ან შესაფერისი გმნაა (მაგ., $\delta\upsilon\alpha\tau\epsilon\theta\epsilon\iota\alpha$); განმალიდებელი, ყველა ის, რომელიც საფლავზე არაა და არც ღმერთია ხსენებული და არც შესაბამისი გმნაა. ეს განმასხვავებელი ნიშნები ძალიან ფორმალურია, მაგრამ შესაძლოა საქმეს აიოლებს.

ბრივი) და private (კერძობითი), თუმცა ამ ტერმინებს საღვთისოდ მოძველებულად მიიჩნევს, მაგრამ სხვას არ გვთავაზობს. საზოგადო წარწერათა ასეთ ჯგუფებს ასახელებს: დეკრეტები, ხელშეკრულებები, სამშენებლო წარწერები (building specifications), საზოგადოებრივ განმადიდებელ-შეწირვითი (ღმერთების, ღირსეული მოქალაქეების ან უცხოელის, ომში დაღუპულთა მიმართ)...

კერძობითი ხასიათის წარწერებში გამოყოფილია ჯგუფები: საფლავის წარწერები, პირადი შეწირვითი, კერძობითი იურიდიული დოკუმენტები, რომლებიც გამოხატავენ ნება-სურვილს, ან წარმოადგენენ მანუშისიებს, ასევე კონტრაქტები ქონებასთან დაკავშირებით – ვადაცემისა და დაგირავების შესახებ; წარწერები სხვადასხვა სახის ძეგლებზე იმისი აღნიშვნით, რომ ეს გაკეთებულია რომელიღაც კერძო პირის მიერ, წარწერები, რომლებიც ამა თუ იმ საგნის მფლობელს აღნიშნავენ, მაგიური ფორმულები და წყევლის გამოხატველი.

ამის შემდეგ, როდესაც ავტორი მსჯელობს ბერძნულ წარწერათა კორპუსში წარწერათა განლაგების შესახებ (და მოჰყავს იქ დასული წარწერათა შინაარსობრივი ჯგუფების თანამიმდევრობა), წარმოდგენილია 7 ძირითადი ჯგუფი: I დეკრეტები, II ქონების აღწერა, კატალოგები, მშენებლობისა და სხვა სახის ხარჯების ანგარიშები, III შეწირვითი, IV განმადიდებელი (აქვეა tituli agonistici მეჯიბრებაში მონაწილეთა და signature artificum, ხელოვანთა აღმნიშვნელი), V საფლავის, VI მანუშისიები, VII პროსოპოგრაფიული (ე.ი. გამოჩენილ პიროვნებათა მომხსენებელი); (ამავე ჯგუფშია ოსტრაკაც, რომელზედაც გაბეჭებულთა, მოკვეთილთა სახელებია აღნიშნული). ვუძღედის აბრით წარწერების კლასიფიკაციისას (და აღბათ, საერთოდ შესწავლისას) უნდა იქნეს გათვალისწინებული, თუ რა გარემოშია ის აღმოჩენილი (ერთია ათენის აგორა, სხვა – კერამიკოსი და ასევე განსხვავებულია მაგ., ეპიდაური ან დელფო).

მ. გუარდუჩის ფუნდამენტურ 4 ტომიან ნაშრომის I-სავე ტომში (M. Guarducci, Epigrafia greca, I Roma, 1967) განსაზღვრულია წარწერათა 3 ძირითადი ჯგუფი: I ...publico (საზოგადოებრივი), II ...privato (კერძობითი), III ...sacro (საკრალური). თითოეულ ჯგუფში რამდენიმე ქვეჯგუფია. I-ში არის: დეკრეტები, კანონები, ედიქტები, შეწირვითი (dedicatorie), რომელშიც კიდევ 3 ქვეჯგუფია: შეწირვითი – votive, განმადიდებელი – (onorarie), საფლავის (sepolcrali), კატალოგები, სამშენებლო და სხვა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი დოკუმენტები, მონეტები (თავისი ლეგენდებით). (ეს განყოფილება მთლიანად II ტომშია წარმოდგენილი, რაც 1969 წელს გამოიცა).

III ტომში (1974 წ.) კერძობითი წარწერებია, რაც ასეთი ქვეჯგუფებით არის წარმოდგენილი: მეწირეთი – (votive) განმადიდებელი (onorarie), საფლავის, სამშენებლო, მანუშისიები, წერილები, წარწერები შენობებზე და ჭურჭელზე, ეფებების, მოღვაწეთა და ხელოვანთა აღმნიშვნელ და სხვ.

IV ტომში (1977 წ.) საკრალური წარწერებია, რომლის ქვეჯგუფებია: საკრალური კანონები, ქურუმთა მომხსენიებელი, ფიცის, ორაკულები, ამულეტები და სხვ.

ამგვარად, სხვადასხვა ავტორებთან წარწერათა შინაარსობრივად დაჯგუფებისას ერთი და იგივე ტერმინები კი ისმის, მაგრამ ერთი და იგივე ხასიათის წარწერა ზოგან დამოუკიდებელი ჯგუფია, ზოგან ქვეჯგუფია (მაგ., მანუშისიები) და ა.შ.

ბ. მოშიაშვილი (ლაპიდარული წარწერები, I, 1980 წ.) თეორიულ მსჯელობას ასეთ საკითხებზე არ მართავს, მაგრამ პუბლიკაციისას წარწერებს აჯგუფებს შინაარსის თვალსაზრისით:

1. სამშენებლო წარწერები: ა. ქტიტორთა, ბ. ხუროთმოძღვართა და ხელოსანთა. 2. მოსახსენებლები: ა. ქტიტორთა. ბ. უფალთა და გამგებელთა, გ. შემწირველთა, დ. ხუროთმოძღვართა და ხელოსანთა, ე. მლოცველ-პილიგრიმთა. 3. იურიდიული აქტები: ა. აღაპის დაწესების, ბ. ფეოდალური საკუთრების (შეწირვის, ნასყიდობის, შეუვალობის).

(ამავე წიგნში წარწერათა დაჯგუფება გეოგრაფიული და ქრონოლოგიური პრინციპითაც არის, მაგრამ ეს სხვა საკითხია).

ვ. სილოგავას (ლაპიდარული წარწერები, II, 1980 წ.) ძირითად ტექსტში წარწერების შინაარსობრივი დაჯგუფება და შეფასება არ აქვს, ხოლო რუსულ თარგმანში უფრო არის განსაზღვრული ის, თუ რას წარმოადგენს ესა თუ ის წარწერა.

თვით ბერძნული წარწერების მონაცემებისა და სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით, ვფიქრობ წარწერათა დაჯგუფება შინაარსის თვალსაზრისით უნდა მოხდეს შემდეგი ძირითადი ჯგუფებისა და ქვეჯგუფების მიხედვით: I სამოგადო, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა – დანიშნულების წარწერები, II კერძო პირთა შესახები წარწერები, III ლიტერატურული ხასიათის წარწერები.

თითოეული ეს ჯგუფი შედგება რამდენიმე ქვეჯგუფისაგან.

I – ა. ხელშეკრულებები ქალაქთა და გომთა შორის.

ბ. კანონები და სამართლის ძეგლები (აქვეა – საკრალური კანონები).

ც. დეკრეტები.

დ. სხვადასხვა ხასიათის სიები (ომში დალუპულთა, შეჯიბრში გამარჯვებულთა...).

ე. საზღვრების აღმნიშვნელი.

ფ. მონეტების ლეგენდები.

II ჯგუფის ქვეჯგუფებია: ა. განმადიდებელი, მეწირეთი, მოსახსენებლები, საფლავის.

ბ. სამართლებრივი დოკუმენტები (აქეა – მონათა განთავისუფლების შესახები სხვადასხვა ტიპის წარწერები).

ც. კერძო პირთა მოსახსენებელი: ხელოვანთა, მშენებელთა, საგნის მფლობელთა...

დ. მაგიური, წყევლის...

III ჯგუფის ქვეჯგუფებია: ა. ლექსები, პიმნები... ბ. ქრონიკები. ც. წერილები.

ეს კლასიფიკაცია არის ბერძნული წარწერებისა, რომლებიც 1/2 მილიონის რაოდენობითაა ცნობილი და ვრცელ გერიგორიაზე არიან მოპოვებული (დასაველეთიდან აღმოსაველეთისაკენ – პორტუგალიიდან ქაბულამდე და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ – ბრიტანეთიდან ეგვიპტემდე და იემენამდე).

საქართველოს გერიგორიაზე მოპოვებული ბერძნული წარწერების შინაარსობრივი ჯგუფების შესახებ დაწერილებით იხ. თ. ყაუხჩიშვილის „ბერძნულ წარწერათა კორპუსი“ I-III და მისივე „საქართველოს ისტორიის ძველიბერძნული წყაროები“. იხ. აქვე, გვ. 42.

წარწერის თვითოეულ ტიპს შეიძლება თავისი საკუთარი ფორმულა აქონდეს (ასეთი ფორმულები აღრიცხულია კიდეც) და ზოგჯერ ამ ფორმულის მიხედვით მისი დათარიღებაც მოხერხდეს (გარკვეული ფორმულა გარკვეული პერიოდისთვის არის დამახასიათებელი, მაგრამ მარტო ფორმულის მიხედვით ვერ გაეარკვევთ, წარწერა განმადიდებელია, თუ შესავედრებელი). ვრცელი წარწერების შესახებ არის აზრი, რომ ისინი ჯერ რბილ საწერ მასალაზე სრულდებოდნენ და შემდეგ, დოკუმენტის უკვდავსაყოფად, თუ მისთვის საყოველთაო მნიშვნელობის მინიჭების მიზნით, იგი გადააქონდათ მაგარ საწერ მასალაზე.

განვიხილოთ წარწერათა ცალკეული ჯგუფები (უნდა შევნიშნოთ, რომ აღრეული წარწერები უფრო მოკლეა, ლაკონური, შემდეგი ხანის წარწერები თანდათან უფრო ვრცელი ხდება, ეს ეხება ყოველ შინაარსობრივ ჯგუფს).

I საზოგადო მნიშვნელობის წარწერები.

ა. ხელშეკრულებები სხვადასხვა ქალაქთა თუ გომთა შორის.

ერთი ყველაზე საინტერესო (რაც ოდნავი ცვლილებებით, მაგრამ არსებითად მუსტად დაცული აქვს თუკიდიდესაც, V, 47) წარწერა ამ რიგისა არის 420 წლის ხელშეკრულება ათენსა და არგოსსა, მანტი-

ნებასა და ელისს შორის (IG. I^o 46b). იგი ნაწერია ქვაზე, წარმოადგენს სტოიხელონს, თითოეული სტრიქონი შეიცავს 77 ასოს, არის 27 სტრიქონი. დაცულია დაწერილობა ოს და ფს.

... Ἡλιείων. (2) Σπονδὰς ἐποιήσαντο ἑκατὸν Ἀθηναῖοι ἔτη καὶ Ἀργεῖοι καὶ Μαντινῆς καὶ Ἡλείοι πρὸς ἀλλήλους (3) ὑπὲρ σφῶν αὐτῶν καὶ τῶν χουνμάχων ὧν ἄρχουσι ἑκάτεροι ἀδόλους καὶ ἀβλαβεῖς καὶ] κατὰ γῆν καὶ κα(4)τὰ θάλατταν, ὅπλα δὲ μὴ ἐχσεῖναι ἐπιφέρειν ἐπὶ πημονῆι μῆτε Ἀργεῖους καὶ Ἡλείους] καὶ Μαντινέας (5) καὶ τοὺς χουνμάχους ἐπὶ Ἀθηναίους καὶ τοὺς χουνμάχους ὧν ἄρχουσι Ἀθηναῖοι μῆτε Ἀθηναίους καὶ τοὺς χ(6)συνμάχους ὧν ἄρχουσι Ἀθηναῖοι ἐπὶ Ἀργεῖους καὶ Ἡλείους καὶ Μαντινέας καὶ τοὺς χσυνμάχους τέχνηι (7) μὴδὲ μηχανῆι μηδεμιᾷ. Κατὰ τὰδε χουνμάχους εἶναι Ἀθηναίους καὶ Ἀργεῖους καὶ Μαντινέας καὶ Ἡλ(8)εῖους ἑκατὸν ἔτη· ἔαν πολέμοι ἴωσι ἐπὶ τὴν γῆν τὴν Ἀθηναίων, βοηθεῖν Ἀργεῖους καὶ] Μαντινέας καὶ (9) Ἡλείους Ἀθήναζε, καθότι ἂν ἐπαγγέλλωσι Ἀθηναῖοι, τρόπωι ὅτωι ἂν δύνωνται ἰσχυροτάτωι κατὰ τὸ (10) δυνατόν· ἔαν δὲ δηλώσαντες οἴχωνται, πολεμίαν εἶναι ταύτην τὴν πόλιν Ἀργεῖοι] καὶ Μαντινεῦσ(11)ιν καὶ Ἡλείους καὶ Ἀθηναίους, καὶ κακῶς πάσχειν ὑπὸ ἀπασῶν τούτων τῶν πόλεων· κ]αταλύειν δὲ μὴ ἐ(12)χσεῖναι τὸν πόλεμον πρὸς ταύτην τὴν πόλιν μηδεμιᾷ τῶν πόλεων, ἔαν μὴ ἀπάσαι] δοκ[ῆ]ι. βοηθεῖν δὲ(13) κατὰ τὰ αὐτὰ Ἀθηναίους ἐς Ἄργος ἢ Μαντινείαν ἢ Ἡλιν, ἔαν πολέμοι ἴωσιν ἐπὶ τὴν γῆν τὴν Ἀργείων ἢ (14) τὴν Μαντινέων ἢ τὴν Ἡλείων, καθότι ἂν ἐπαγγέλλωσι αἱ πόλεις αὗται, τρόπωι ὁποῖω]ι ἂν δύνωντα(15)ι ἰσχυροτάτωι κατὰ τὸ δυνατόν· ἔαν δὲ δηλώσαντες οἴχωνται, πολεμίαν εἶναι ταύτην τὴν πόλιν Ἀθ(16)ηναίους καὶ Ἀργεῖοις καὶ Μαντινεῦσιν καὶ Ἡλείοις, καὶ κακῶς πάσχειν ὑπὸ ἀπασῶν το]ύτων τῶν π(17)όλεων· καταλύειν δὲ μὴ ἐχσεῖναι τὸν πόλεμον πρὸς ταύτην τὴν πόλιν μηδεμιᾷ τῶν πόλεων], ἔαν μὴ ἀπ(18)άσαις δοκῆι. ὅπλα δὲ μὴ ἔαν ἔχοντας διένει ἐπὶ πολέμωι διὰ τῆς γῆς τῆς τε σφετέρας α]υτῶν καὶ τ(19)ῶν χουνμάχων ὧν ἄρχουσι ἕκαστοι μὴδὲ κατὰ θάλατταν, ἔαν μὴ φσηφισαμένων τῶν πόλεων] ἀπασῶν τ(20) ἦν διοδον εἶναι, Ἀθηναίων καὶ Ἀργείων καὶ Μαντινέων καὶ Ἡλείων. Τοῖς δὲ βοηθοῦσι ἢ] πόλ[ις] ἢ π(21)έμπουσα παρεχέτω μέχρι μὲν τριάκοντα ἡμερῶν σίτον ἐπειδὴν ἔλθωσι ἐς τὴν πόλιν τὴν ἐπαγγείλασ(22)αν βοηθεῖν καὶ ἀπιούσιν κατὰ τὰ αὐτὰ. ἔαν δὲ πλέονα βούληται χρόνον τῆι στρατιᾷ χρῆσθαι] ἢ πόλις (23) ἢ μεταπεμφσαμένη, διδότω σίτον τῶι μὲν ὀπλίτηι καὶ φσιλῶι καὶ τοχσό- τηι τρεῖς ὀβολο]ύς Αἰγιν(24)αίους τῆς ἡμέρας] ἑκάστης, τῶι δὲ ἱππεῖ δραχμῆν Αἰγιναίαν. ἢ δὲ πόλις ἢ μεταπεμφσαμέ]νη τῆι σ(25)τρατιᾷ χρῆσθω ἡγεμονεύουσα, ὅταν ἐν τῆι αὐτῆς ὁ πόλεμος ἦ· ἔαν δὲ ποι δόχσῃ ἐπάσαι]ς ταῖς (26) πόλεσι κοινῆι στρατεῦεσθαι, τὸ ἴσον τῆς ἡγεμονίας μεταεῖναι ἀπάσαις ταῖς πόλεσιν. ὁμ]ῶσαι δ(27)ὲ τὰς σπον- δάς...

თარგმანი: ..., ხელშეკრულება (ზავი) დასდეს 100 წლით ათენელებმა და არგოსელებმა, მანგინელებმა და ელეელებმა ერთმანეთს შორის, თავისი თავისა და [თავიანთი] მოკავშირეების [სახელით], რომლებსაც განაგებს ორივე [მხარე], მზაკერობისა და ვნების გარეშე, ხმელეთსა და ზღვაზე. აეკვეთოთ ათენელთა და მათ მოკავშირეთა (რომელთაც ათენელები განაგებენ) სამიანოდ იარაღით გამოსვლა როგორც არგოსელებს, ელეელებსა და მანგინელებს და მოკავშირეებს, რომლებსაც ისინი განაგებენ, ასევე ათენელებს და მათ მოკავშირეებს, რომელთაც ისინი განაგებენ არგოსელთა, ელეელთა, მანგინეელთა და მათ მოკავშირეთა წინააღმდეგ [მოქმედება], რა სახითაც არ უნდა იყოს.

ამ პირობით მოკავშირეები იყვნენ ათენელები, არგოსელები, ელეელები და მანგინელები ას წელიწადს. თუ მტერი დაესხა თავს ათენელთა ქვეყანას, რანაირადაც არ უნდა შეატყობინონ ათენელებმა, არგოსელები, მანგინელები და ელეელები [უნდა მოვიდნენ] ათენში და მიეშველნონ, რა საშუალებითაც კი შეუძლიათ მთელი ძალით, თუკი [მტერმა] გააჩანაგა [ქვეყანა] და გაბრუნდა, ეს ქალაქი (πίλιც) მტრად უნდა მიიჩნიონ არგოსელებმა, მანგინელებმა, ელეელებმა და ათენელებმა, და სასტიკად უნდა იქნეს დასჯილი ყველა ამ ქალაქისგან. არ შეიძლება ომის შეწყვეტა ამ ქალაქთან არცერთი ამ ქალაქისაგან, თუ არ იქნება ყველას თანხმობა. ასევე ათენელები, უნდა მიეშველნონ რა საშუალებითაც კი შეუძლიათ, მთელი ძალით არგოსს, ან მანგინეას ან ელისს, თუ მტერი დაესხა თავს არგოსელთა ან მანგინეელთა ან ელეელთა ქვეყანას, რანაირადაც არ უნდა შეატყობინონ ამ ქალაქებმა; ხოლო თუ [მტერმა] გააჩანაგა [მათი ქვეყნები] და გაბრუნდა, ეს [ქალაქი] მტრად უნდა მიიჩნიონ ათენელებმა, არგოსელებმა, მანგინელებმა და ელეელებმა და სასტიკად უნდა იქნეს დასჯილი ყველა ამ ქალაქისგან. არ შეიძლება ომის შეწყვეტა ამ ქალაქთან არცერთი ამ ქალაქისაგან, თუ არ იქნება ყველას თანხმობა. ამ ქალაქებმა არ უნდა გაატარონ იარაღის მქონენი არც საკუთარ მიწაზე, არც მოკავშირეთა [ქვეყნებზე], რომელთაც ისინი განაგებენ, არც ზღვაზე, თუ არ იქნა ყველა ამ ქალაქთა – ათენელთა, არგოსელთა, მანგინეელთა და ელეელთა – დადგენილება გზის მიცემის შესახებ. ქალაქი, რომელიც აგზავნის მეშველ [ჯარს], ამარაგებს მას 30 დღის სურსათით, მას მერე, რაც [ეს ჯარი] შედის იმ ქალაქში, რომელმაც შეწინა ითხოვა. ასევე ხდება უკან წამოსულთა მიმართაც. ხოლო თუ სურთ ჯარის მეტი ხნით გამოყენება, ქალაქმა, რომელმაც ის გამოიხმო, უნდა მისცეს სურსათი პოპლიტს, ქვეითსა და მოისარს ყოველ

დღიურად სამი ეგინური ობოლი,⁷⁰ ხოლო მხედარს – ერთი ეგინური დრახმა. ლაშქარს მხედართმთავრობს ის ქალაქი, რომელმაც მას გამოუხმო, როდესაც ომი მის [ტერიტორიაზე] არის. ხოლო თუ [ეს] ყველა ქალაქი გადასწყვეტს ერთობლივ ლაშქრობას, მაშინ მხედართმთავრობას თანაბრად ინაწილებს ყველა ეს ქალაქი. ეს ხელშეკრულება უნდა დამტკიცდეს ფიცით...”

(თუკიდიდეს წარწერის, თუ ხელშეკრულების, ტექსტის ერთი ამდენივე ნაწილი აქვს. იქ მოცემულია ის ფიცი, რასაც ორივე მხარე სდებს. ამბავი ნიკიასისა და ალკიბიადეს მოღვაწეობის ხანას ეხება).

დოკუმენტი, როგორც დაეინახეთ, შედგენილია გარკვეული საკანონმდებლო წესების დაცვით და აგებულია მიხედვით რამდენიმე ნაწილისაგან შედგება: I ნაწილში მოცემულია ცნობები იმის შესახებ, თუ ხელშეკრულება რომელ პილიცებს შორის იდება და რა ხნით; რას გულისხმობს ეს ხელშეკრულება (ერთმანეთის მიმართ არავითარ შემთხვევაში იარაღით ხელში არ უნდა იმოქმედონ). II ნაწილში მოცემულია მოკავშირეთა ვალდებულებები იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანს მტერი დაესხმის თავს. III ნაწილში მაგერიალურ მხარეზეა ლაპარაკი – რამდენი ხნით ეხმარებიან მოკავშირეები ერთმანეთს საკუთარი ჯარით და რა ხნის მერე თვით შეჭირვებული ინახავს მოსულ ჯარს თავისი სახსრით.

ბოლო ნაწილში ფიცის ფორმულებია.

მოყვანილი ნიმუში ერთადერთი არ არის დღემდე მოღწეულ წარწერათა შორის. იგი ერთი, ყველაზე უკეთ ჩამოყალიბებული და ვრცელია.

ხელშეკრულების მნიშვნელობის წარწერებში (არა არქაულში, არამედ კლასიკურსა და მომდევნო ხანის ძეგლებში) გვხვდება ფიცის ვრცელი ფორმულები. მაგ., ატიკის ერთ წარწერაში, რომელიც 356/5 წწ-ითაა დათარიღებული (IG, II¹ 66b), ბოლო ნაწილში ეკითხულობთ: Ὁμὸς Δία καὶ Γῆν καὶ Ἥλιον καὶ Ποσειδῶν καὶ Ἀθηνᾶν καὶ Ἄρην, φίλος ἔσομαι Κερειόροι καὶ τοῖς ἀδελφοῖς τοῖς Κερειόροις καὶ σύμμαχος καὶ πολεμῆσω μετὰ Κερειόροις τὸν πόλεμον τὸν πρὸς Φίλιππον ἀνόλωδες παντὶ σθένει κατὰ τὸ δυνατόν, καὶ οὐ προκαταλύσομαι τὸν πόλεμον ἄνευ Κερειόροις καὶ τῶν ἀδελφῶν τὸν πρὸς Φίλιππον, καὶ τίλλα χωρία ἂν κατέχει Φίλιππος συγκαταστρέψομαι μετὰ Κερειόροις καὶ τῶν ἀδελφῶν...

თარგმანი: „ფიცავ ზევსს, გეს (ჯაჰას), ჰელიოსს, პოსეიდონს, ათენას, არესს, რომ გავეხდები მეგობარი კეგრიპორიოსისა⁷¹ და

⁷⁰ დაახლ. დრახმის 1/6.

⁷¹ თრაკიის მეფეა.

კეტრიპორიოსის ძმების, და [მათი] მოკავშირე და ვიომებ კეტრიპორიოსთან ერთად ფილიპეს⁷² წინააღმდეგ უეშმაკოდ მთელი ძალით შეძლებისამებრ; არ შეეწყვეტ ომს ფილიპეს წინააღმდეგ კეტრიპორიოსისა და მისი ძმების გარეშე და სხვა მიწებს, რომლებიც უყვრია ფილიპეს, დავიმორჩილებ კეტრიპორიოსთან და მის ძმებთან ერთად...“

ასეთი ფიცი მარტო ძველ ბერძნულ წარწერებში არ გვხვდება. დაფიციება ლამის მთელი ბერძნული პანთეონისა არის რომაული ხანის წარწერებშიც, რომის იმპერიის სულ სხვადასხვა კუთხიდან.

b. კანონთა შორის აღსანიშნავია: დრაკონის კანონთა ფრაგმენტი⁷³, ე.წ. φόνος ἀκούσιος-ის (უნებლიე მკვლელობა) თაობაზე. ძველი ძვ.წ. 409 წლისაა (IG, I, 6110 და შმდ.) და მისი აღდგენა ხერხდება დემოსთენეს სიგყვათა მემუეობით (მეკარტასოსის წინააღმდეგ § 37). ტექსტი ასეთია:

Πρώτος ἀχων⁷⁴. καὶ ἐὰμ μῆ'κ προνοίας κτείνῃ τις τινα, φεύγειν. δικάζειν δὲ τοὺς βασιλέας αἰτιῶν φόνου ἢ ἐὰν τις αἰτιᾶται ὡς βουλεύσαντα: τοὺς δὲ ἐφέτας διαγῶναι. ἀιδέσασθαι δ' ἐὰμ μὲν πατήρ ἢ ἢ ἀδελφὸς ἢ ὑψῆς. ἅπαντας, ἢ τὸν κωλύοντα κρατεῖν... σθαι ἐθέλωσι τὸν ἄρκον... ἐὰν δὲ τούτων μηδεὶς ἦι, κτείνῃ δὲ ἄκων, γῶσι δὲ οἱ πεντήκοντα καὶ εἰς οἱ ἐφέται ἄκοντα κτείναι, ἐσέσθων δέκα οἱ φράτορες ἐὰν ἐθέλωσι. τούτους δὲ οἱ πεντήκοντα καὶ εἰς ἀριστίνδην αἰρέσθων, καὶ οἱ πρότερον κτείναντες ἐν τῶνδε τῶν θεσμῶν ἐνεχέσθων... ἐὰν δὲ τις τὸν ἀνδροφόνον κτείνῃ ἢ αἴτιος ἢ φόνου, ἀπεχόμενος ἀγορᾶς ἐφορίας καὶ ἄθλων καὶ ἰερῶν Ἀμφικτιονικῶν, ὡσπερ τὸν Ἀθηναῖον κτείναντα, ἐν τοῖς αὐτοῖς ἐνεχέσθαι. διαγιγῶσκειν δὲ τοὺς ἐφέτας...

თარგმანი: პირველი აქსონი (დერძი. მუხლი): თუ კი ვინმე ვინმეს წინასწარი განზრახვით არ აკლავს, გადარჩეს. მკვლელობაში დადანაშაულებულთა საქმეს არჩევენ ბასილევსები, ან თუ ვინმეს ბრალდება რომ მასთან შეთქმულია, განარჩენი გამოაქვთ ეფეტებს.⁷⁵ თუ აკლავს მამა, ან ძმა, ან ვაჟები, ყველას ამათ შეარჩებენ (მკვლელთან –

⁷² ფილიპე მაკედონელი, II.

⁷³ დრაკონი, არისტოკრატი, ათენის კანონმდებელი, მისი კანონები ძვ.წ. 620-იან წლებში გამოქვეყნდა. გამოირჩეოდა სიმკაცრითა და უღმობელოებით, 594 წელს ეს კანონმდებლობა შეიცვალა სოლონის უფრო ჰუმანური კანონებით. კანონმდებლობის არაერთგვითი რევიზიის შედეგად დრაკონის კანონები აქა-იქ შემდეგაც იჩენდნენ თავს.

⁷⁴ ეს არის ის, რაც პარალელურ ანდა შემდეგი ხანის ძველებში არის.

⁷⁵ ზღაპრად, ბ – ათენელი მსაჯულები, რომლებიც კაისისკელის საქმეებს არჩევენ.

თ. ყ.), ან დამაბრკოლებელს იპყრობენ – ...სურთ ფიცი... თუ ამათგან არაინ კყავს (მოკლულს – თ. ყ.), ხოლო მოჰკლა უნებლიედ, 51 ეფეგი ადგენს, რომ უნებლიე მკვლელობაა, იყოს ათი ფრაგორი, ⁷⁶ თუკი უნდათ. ესენი 51-მა წარმოშობის (-ღირსების – თ. ყ.) მიხედვით აირჩიონ. ვისაც უწინაც კქონია მკვლელობა, მათაც ამავე კანონით მიუდგნენ. თუ ვინმე კკლავს კაცისმკვლელს ან მიზეზია მკვლელობის, განშორდეს აგორას სამღერებს, შეჯიბრებებსა და ამფიქტიონთა სალოცავეებს, როგორც ათენელის მკვლელი, მასაც იმავე კანონით მიუდგნენ. განაჩენი გამოაქვთ ეფეგებს...”

ძველი მნიშვნელოვანი დოკუმენტია არქაული ხანის ბერძნული კანონმდებლობის თვალსაზრისით (საქმეს არჩევს ბასილევსი; დადგენილება გამოაქვთ ეფეგებს. უნებლიე მკვლელი, უწინ მკვლელი და კაცისმკვლელის მკვლელი ერთი სამართლით განისჯებიან); როგორც ეპიგრაფიკული ძველი (პალეოგრაფიაზე არ ვლაპარაკობთ, რადგან VII ს-ის ძველი V ს-ის მიწურულის ფრაგმენტის სახით არის მოღწეული) საინტერესოა თავისი აღნაგობით – ლაკონიურობითა და კატეგორიულობით (ენობრივი ნორმები, უთუოდ V ს-ისაა და არა VII ს.)

ამ გჯგუფის წარწერათა შორის უნდა აღვნიშნოთ სოლონის კანონები, რომლებიც ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისში შეიქმნა. ისინი დაწერილი იყვნენ ხის ფირფიტებზე, ორსავე მხარეს, დამაგრებული იყვნენ საერთო ღერძზე და იმისთვის, რომ ადვილი წასაკითხი ყოფილიყვნენ, ბრუნავდნენ სწორედ ამ ღერძზე. სოლონის კანონებს ასედაც ეწოდება: *ὁ δὲ δῖος* (*δῖος*, ბ – ღერძი). ხის მასალის ნაკლებად გამძლეობის გამო შემდეგ ეს კანონები გადაწერეს (ანუ ამოკეთეს) პრიზმის ფორმის ქვის *κῆρυξ*-ზე, რომლებიც შესაძლოა ასევე ბრუნავდნენ. ამ *κῆρυξ* ფრაგმენტი უნდა იყოს წარწერა გამოქვეყნებული IG, I b 559 ეფიალტეს ხანისა (დაახლ. 460 წ.). არისტოტელეს „ათენელთა პოლიგიაში“ (VII თ.) არის ასეთი ცნობა: სოლონის „კანონები ჩაწერეს კირებზე და გამოჰკიდეს სამეფო სტოაში“ (საერთოდ ამ „პოლიგიის“ V-XII თავები ეძღვნება სოლონის მოღვაწეობას; ვრცლად არის მოთხრობილი იმ სიახლეთა შესახებ, რაც სოლონმა შეიტანა მანამდე არსებულ, დრაკონის კანონთაგან განსხვავებით, განხილულია ეს კანონები და მოცემულია მათი შეფასება. მაგრამ არისტოტელეს აქვს თხრობა სხვადასხვა მასალის საფუძველზე და არა წარწერათა ასლი, რადგან სოლონის კანონები ძირითადად ამ სახით არის ჩვენამდე მოღწეული, ამიტომ მათ შესახებ სიგყვას აღარ გვაავრძელებ.⁷⁷

⁷⁶ ფრაგრიის წვერი. (ფრაგრია – ათენში ფსაჟ-ს ნაწილი, პოლიტიკური ერთეული, რაც ნათესაობას ეფუძნებოდა).

⁷⁷ იხ. არისტოტელეს „ათენელთა სახელმწიფო წყობილება“ – ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნი ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1935 წ.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო ძეგლი ბერძნულ ეპიგრაფიკაში არის ე.წ. გორგინის კანონები.⁷⁸ წარწერა შესრულებულია დამწერლობის იმ წესით, რომელსაც ბუსტროფედონი ეწოდება. თორმეტ სვეტად განლაგებული წარწერა იწყება მარჯვნიდან მარცხნივ (შემდეგ მარცხნიდან მარჯვნივ და ა.შ.); ასოები ღრმად არის ჩაჭრილი და ისინი ერთი ზომისა არიან. ასოების მოხაზულობა მარტივია და სიმაღლე ჩვეულებრივ 20-25 მმ. აქეთ. პარაგრაფის ნიშნად X არის გექსტი. თითოეულ სვეტზე დაახლ. 55 სტრიქონია. ძეგლი დღესდღეობით V ს-ის 80-60-იანი წლებით თარიღდება. ენა – ღორიული დიალექტია. მისი თავისებურებებია: ζ-ს ნაცვლად იხმარება δ ან δδ (δ-κάνδεν = დიკანდენ), χ-ს ნაცვლად κ(καρα = ჯარა; κρόνος = ჯრონოს), φ-ს ნაცვლად – π(πονεί = ფაონი); ξ იწერება კσ – კომპლექსით (κσενίο = ჯენიოს), ψ – πσ დაწერილობით. არაა გარჩეული გრძელი და მოკლე ხმოვნები (ε გადმოსცემს ε და ε̄-ს; ο – გადმოსცემს ο, ὀ და ὄ-ს). არ გვხვდება ϕ – ნიშანი (κ გადმოსცემს ყველანაირ „კ“ – ბეერას). წარწერაში სისტემატურად იხმარება F (Fέκαστος = ჯეკასტოს. κελFος = κελად), რომელიც ხშირად, ჩვენი გაგებით spiritus asper-ის ფუნქციისაა (არის ძველი ე-ს ფუნქციითაც, შდრ. Fεργ – ძირი, მისი II ფორმები – βέργω და βέργων).

გორგინის კანონები აღმოჩენილია ნაწილ-ნაწილ. პირველი ფრაგმენტი (რომელიც ლუვრში ინახება) აღმოაჩინა 1857 წელს კრეკაზე, მის სამხრეთ ნაწილში, წისქვილის კედელში ფრანგმა მეცნიერმა – თენონმა და ის 1878 წელს ამოიკითხა ბრეალმა (ესაა გორგინის კანონების XI სვეტის ზედა 15 სტრიქონი). 1879 წელს იმავე ადგილას ფრანგმა მეცნიერმა ოსულიემ იოვზ სახლის კედელში ჩატანებული წარწერით დაფარული ქვა, რაც წარმოადგენს იმავე წარწერის VIII, IX და X სვეტების ზედა სტრიქონებს. ამ შემთხვევითი აღმოჩენების შემდეგ 1884 წ-ს ფრ. პალბჰერმა სპეციალურად შეისწავლა კრეგის ეს ადგილი და გაარკვია, რომ ეს იყო დიდი თოლოსი (დიამეტრი დაახლ. 30,5 მეტრი), რომლის კედლებიც ავსებული იყო წარწერებით; ამ ნაგებობაზე რომაელებს თავისი ოღეონი აეგოთ. ჯერ პალბჰერმა და შემდეგ ფაბრიციუსმა ამ ძეგლის ესტამპაეები გააკეთეს, რაც ელო საფუძვლად 1925-1926 წლამდე არსებულ ყველა გამოცემას. 1911-14 და 1921 წლებში ჰაგიოა დეკას გათხრებს აწარმოებდა ალოიზ პერნიერი, რომელსაც ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლაში დიდად ეხმარებოდა ენრიკო სტეფანი. სტეფანიმ ძველი აპოგრაფისა და ძეგლის

⁷⁸ დაწერილებით მის შესახებ იხ. ლ. იოსელიანის „გორგინის კანონები“, თბილისი, 1966 წ., სადაც მოცემულია გექსტი, თარგმანი, გამოკლევა, კომენტარები და ლექსიკონი ქართულ და რუსულ ენებზე.

ადგილზე შესწავლის საფუძველზე შეადგინა ახალი აეცოგრაფი, რაც საშუალებას იძლევა ბევრი ადგილის ამოკითხვისა. თანამედროვე ვითარება ისეთია, რომ დაკარგულად ითვლება მხოლოდ X სვეტის პირველი 15 სტრიქონი და XII სვეტის დასაწყისი. სტეფანის აპოგრაფი პირველად გამოიყენა მ. გუარდუჩიმ თავის კრეგის წარწერებში (Inscriptiones Creticae, IV, 72, Roma, 1950), ხოლო მეორედ ლ. იოსელიანმა თავის მონოგრაფიაში („გორგინის კანონები“, თბ., 1966 წ.). ერთ-ერთი უახლესი გამოცემა გორგინის კანონებისა არის: R. F. Willetts, The law Code of Gortyn, Berlin, 1967 წ.

გორგინის კანონები შინაარსის მიხედვით 11 ნაწილად იყოფა: I (I, 1 – II, 2) – თავისუფალის ან მონის პიროვნების მიმართ თავდასხმების შესახებ; II (II, 2 – 45). ძალადობისა და მრუშობის შესახებ; III (II, 45 – III, 44) ქალის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ განქორწინების ან ქმრის სიკვდილის შემთხვევაში. IV (III, 44 – IV, 23) განქორწინებულ ან მარტოხელა ქალთა შვილების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. V (IV, 23 – VI, 2) მემკვიდრეობითი სამართალი. VI (VI, 2 – 46) მამისა და დედის პირადი ქონების გაყოფის შეს., VII (VI, 46 – VII, 15) გყვეთა გამოსყიდვისა და შერეული ქორწინების შედეგად გაჩენილი ბავშვების შეს., VIII (VII, 15 – IX, 24) მემკვიდრე ქალიშვილების შეს., IX (IX, 24 – X, 32), მემკვიდრეთა უფლება-მოვალეობანი, X (X, 33 – XI, 23), შვილად აყვანის შეს., XI (XI, 24 – XII, 19) – დამატებები, რაც შესაძლოა უფრო გვიან არის ამოჭრილი, ვიდრე პირველი 10 ნაწილი; აქაა დამატება ყველა კანონისათვის; ამ დამატებებს კიდევ 7 ჯგუფად ჰყოფენ, არა მარტო შინაარსის მიხედვით, არამედ გარეგნული ნიშნის მიხედვითაც.

ეს ნაწილები ერთმანეთისგან ცარიელი ადგილებით არის გამოყოფილი. ნიმუშისათვის მოვიყვანოთ ერთი ადგილი გორგინის კანონებიდან: VII ნაწილი გყვეთა და შერეული ქორწინების შედეგად გაჩენილი შვილების შეს.

VI სვეტი, 46 – VII, 15:

αἰ κ' ἐδδσφ[άμενον] πέρα[νδε] ἐκς ἀλλοπολίας ὑπ' ἀνάγκας ἐκόμενος κελομένῳ τις λύσεται, ἐπὶ τῷ ἀλλυσαμένῳ ἔμῃν πρίν κ' ἀποδοῖ τὸ ἐπιβάλλον. αἰ δέ κα μῆ ὀμολογίοντι ἀμπὶ τὰν πλεθῶν ἔ μη κελομένῳ αὐτὸλ-~~κ~~ύσασθαι, τὸν δικαστὰν ὀμνύντα κρίνεν πορτὶ τὰ μολιόμενα, τῷ ἐλευθέρῳ τὸν δε[----- αἰ κ' ὁ δδλος || ἐπὶ τὰν ἐλευθέρων ἐλθὼν ὀπιύει, ἐλευθέρ' ἔμῃν τὰ τέκνα, αἰ δέ κ' ἄ ἐλευθέρα ἐπὶ τὸν δδλον, δδλ' ἔμῃν τὰ τέκνα.

αἰ δέ κ' ἐς τὰς αὐτὰς ματρὸς ἐλευθέρα καὶ δδλα τέκνα γένεται, ἔ κ' ἀποθάνει ἄ μάτερ, αἰ κ' ἔι κρέματα, τὸνς ἐλευθέρωνς ἔλκεν, αἰ δέ

κ' ἐλεύθεροι μὲ ἐκσεῖεν, τὸν γὰρ ἐπιβάλλοντας ἀναίλεθαια[ν] κ' ἕκς ἀγορᾶς πρ[ι]ϛ̄μμενος δὲ ὄλον μὲ περαιῶσει τῶν Ἑκσεῶν ἄμερᾶν, αἱ τινὰ κα πρὸθ' ἄδικεῖε ἔ ἕστερον, τῶι πεπαμένῳ ἔνδικον ἔμην.

თარგმანი: „თუ ვინმე მტრებთან იყო გაყიდული და უცხოეთში დატყვევებულს ვინმე განათავისუფლებს მისი თხოვნის (საფუძველზე), მანამდე იქნება ის თავისი გამათავისუფლებელის ხელში, სანამ არ დაუბრუნებს გამოსასყიდ თანხას. თუ ვერ შეთანხმდნენ (თანხის) რაოდენობის გამო, ან თვით (ტყვეს) არ სურს განთავისუფლება, მოსამართლე ფიცის (დადებით) გადასწყვეტს სასამართლოში მოდავეების (საქმეს). თავისუფალს...“

და თუ მონა თავისუფალ ქალთან მიეა და დაქორწინდება, (მათი) შვილები თავისუფლები იქნებიან, მაგრამ თუ თავისუფალი ქალი მონასთან (მიეა), მათი შვილები მონები იქნებიან. თუ ერთსა და იმავე დედას გაუჩენია თავისუფალი და მონა შვილები, დედის სიკვდილის შემდეგ, თუ მას აქვს რაიმე (მოდრავი) ქონება, თავისუფალ შვილებს ეკუთვნის. ხოლო თუ არა ჰყავს თავისუფალი შვილები, მემკვიდრეობენ ნათესაეები.

თუ სავაჭრო მოედანზე მონის მყიდველი უარს არ იტყვის მასზე 60 დღის განმავლობაში, თუ მონას რაიმე დანაშაული ჩაუდენია (ყიდვამდე) ან ყიდვის შემდეგ, მფლობელი სამართალში გადაეცემა“.

აქ სიტყვას არ ვაგრძელებ ამ ძველის მნიშვნელობაზე კრეგის საზოგადოების ცხოვრებისათვის, იმ გერმინოლოგიაზე, რაც მასში გვხვდება და საერთოდ ამ წარწერის მნიშვნელობაზე ანტიკური სამართლის ისტორიისათვის.

ამ საკითხებზე ქართულად ყველაზე დაწვრილებით არის ლ. იოსელიანის ზემოთ დამოწმებულ ნაშრომში.

c. არსებითად კანონებისა და სამართლის ძველების კატეგორიული გარჩევა ერთმანეთისგან არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ, ჩემი გაგებით, კანონები (ყოველ შემთხვევაში ჩემ მიერ ზემოთ მოყვანილი) უფრო ზოგადი დებულებების შემცველია, იგი საზოგადოების სხვადასხვა ფენების მიმართაა გამოქვეყნებული და ცხოვრების მრავალ სფეროს მოიცავს.

იურიდიული ხასიათის ძველები კი სხვადასხვა კონკრეტული შემთხვევის გამოა შექმნილი – იგი ერთ რომელიმე აქტს კრძალავს რომელიმე გარკვეულ სიტუაციაში. ნიმუშისათვის მოვიყვან წარწერას IG, Π² 841 (ათენიდან, დაახლ. ძვ.წ. 300 წ-ით დათარიღებულს):

Θεοί. Ὁ ἱερὺς τοῦ Ἀπόλλωνος τοῦ Ἐριθαιέου προαγορεύει καὶ ἀπαγορεύει ὑπὲρ τε ἑαυτ[οῦ] καὶ τῶν δη[μ]ο[τῶ]ν καὶ τοῦ δήμου τοῦ Ἀθηναίων· Μὴ κόπτειν τὸ ἱερὸν τοῦ Ἀπόλλωνος μηδὲ φέρειν ξύλα

μηδὲ κοῦρον μηδὲ φρύγανα μηδ[ε φυλλό[β]οια ἐκ τοῦ ἱεροῦ· ἂν δὲ τις ληφθῆι [κόπτων ἢ φέρων τι τῶν ἀ[π]ειρημένων ἐκ τοῦ [ἱεροῦ, ἂν μὲν δοῦλος εἴ ὁ λη[φ]θῆις, μαστιγῶ[σεται πεντήκοντα πλῆγᾶς, καὶ παραδώσει [αὐτὸν καὶ τοῦ δεσπότητος τοῦνομα ὁ ἱερεὺς [τῷ βασιλεῖ καὶ τεῖ βουλεῖ κατὰ τὸ ψήφισμα τῆς βουλῆς καὶ τοῦ δήμου τοῦ 'Αθηναίων' ἂν δὲ ἐλεύθερος εἴ θοᾶσει αὐτὸν ὁ ἱερεὺς μετὰ τοῦ δημάρχου πεντήκοντα δραχμαῖς καὶ παραδώσει τοῦνομα αὐτοῦ τῷ βασιλεῖ καὶ τεῖ βουλεῖ καὶ τὸ ψήφισμα τῆς βουλῆς καὶ δήμου τοῦ 'Αθηναίων.

თარგმანი: „ღმერთებო. აპოლონ ერითასევსის“⁷⁹ ქურუმი უცხადებს და უკრძალავს თავის თავს, თანამოქალაქეებს და ათენელთა ხალხს: არ დააზიანონ აპოლონის სალოცავი და არც წაიღონ სალოცავიდან შეშა, ცოცხი, ჩინჩხვარი, ფოთოლი. თუ კი ვინმე დააზიანებს [სალოცავს] ან წაიღებს რასმე ზემოთქმულთაგან სალოცავიდან, თუ მონაა, დაერგყას მას 50 მათრახი, და ქურუმმა გადასცეს ის და მისი უფლის სახელი ბასილევსს და ბულეს ათენელთა ბულეს და ხალხის დადგენილებისამებრ. ხოლო თუ თავისუფალია, ქურუმმა დემარხოსთან ერთად გადაახდევინოს მას 50 დრახმა და გადასცეს მისი სახელი ბასილევსსა და ბულეს ათენელთა ბულეს და ხალხის დადგენილებისამებრ“.

ასევე კერძობითი საკანონმდებლო დოკუმენტია ძვ.წ. V ს-ის ეპიდავრის წარწერა (S938): Ἦνι Ἀπόλλωνι θύειν βῶν ἔρσενα καὶ ὀμονάοις βῶν ἔρσενα, ἐπὶ τοῦ βωμοῦ τοῦ Ἀπόλλωνος ταῦτα θύειν καὶ καλαῖδα ταῖ Λατοῖ καὶ τάρταμι ἄλλαν, φερνᾶν τῷ θεῷ κριθᾶν μέδιμνον, στυρᾶν ἡμίδιμνον, οἶνου ἡμίτειαν καὶ τοὺς σκέλους τοῦ βῶς τοῦ πρᾶτου, τὸ δ' ἄτερον σκέλος τοῖ ἱερομνάμονες φερόσθω, τοῦ δευτέρου βῶς τοῖς ἀοιδοῖς δόντω τὸ σκέλος, τὸ δ' ἄτερον σκέλος τοῖς φρουροῖς δόντω καὶ τένδοσθῖδια. Ἦνι Ἀσκληπιῷ θύειν βῶν ἔρσενα καὶ ὀμονάοις βῶν ἔρσενα καὶ ὀμονάοις βῶν τέλειαν, ἐπὶ τοῦ βωμοῦ τοῦ Ἀσκληπιῦ θύειν ταῦτα καὶ καλαῖδα...

თარგმანი: „აპოლონს შეეწიროს ხარი და გაძრის საერთო მქონეთ – ხარი, აპოლონის სამსხვერპლოზე შეეწირონ ესენი, ქათამი (შეეწიროს) ლეგოს და მეორე (ქათამი) – არგემიდეს. (ასევე შეეწიროს) ღმერთს პირველად მოსული ქერი-მელიძინი, ხორბალი ნახევარმელიძინი, მელიძინის 1/6 ღვინო და პირველი(?) ხარის ბარკლები. ერთი ბარკალი პიერომნემთნებმა⁸⁰ წაიღონ, მეორე ხარის ფეხი მგალობლებს მიეცეს, ერთი ფეხი და შიგნეულობა – მცველებს. ასკლეპიოსს შეეწიროს ხარი და საერთო გაძრების მქონეთ ხარი, ხოლო

⁷⁹ Ἐπίμιος – ეს ეპითეგი არის.

⁸⁰ სიგყასიგყით – ის, ვისაც ახსოვს წმინდა ადათ-წესები; ამფიქტიონთა წარმომადგენლები.

საერთო (გაძრის მქონეთ) გამოორჩეული ძროხა. ასკლეპიოსის საკურთხეველზე შეეწირონ ესენი და მამალი...”

ამ წარწერაში დაწესებულია, თუ რა უნდა შესწირონ ეპიდავრელებმა აპოლონს, ლეტოს, არტემიდეს, ასკლეპიოსს (რომლის კულტიც არის ეპიდავრეში) და როგორც ჩანს, მათ, ვინც მათი გაძრის ქერუმები თუ მონები არიან.

ამ იურიდიული ხასიათის წარწერები სხვადასხვა რიგისაა. არის მაგ., გლოვის წესების შემცველი ძე.წ. III ს-ის მიზიის გამბრეჯონიდან: (S879) Ἄγαθῆι τύχηι. οἰκονομοῦντος Δημητρίου, μυχὸς Θαρρηλιῶνος δευτέραι, Ἀλέξαν Δάμωνος εἶπεν: Νόμον εἶναι Γαμβρείωταις τὰς πενθούσας ἔχειν φαιῶν ἐσθῆτα μὴ καττερρυπαμένην. χρῆσθαι καὶ τοὺς ἄνδρας καὶ τοὺς παῖδας τοὺς πενθούοντας ἐσθῆτι φαιῶι, ἐὰμ μὴ βούλωνται λευκῆι. ἐπιτελεῖν δὲ νόμιμα τοῖς ἀποιχομένοις ἔσχατον ἐν τρισὶ μῆσιν, τῶι δὲ τέταρτῶι λύειν τὰ πένθη τοὺς ἄνδρας, τὰς δὲ γυναικας τῶι πέμπτῶι... Τὸν δὲ γυναικονόμον τὸν ὑπὸ τοῦ δήμου αἰρούμενον τοῖς ἀγνισμοῖς τοῖς πρὸ τῶν Θεσμοφορίων ἐπεύχεσθαι τοῖς ἐμμένουσιν καὶ ταῖς πειθομέναις τῶιδε τῶι νόμῳ εὖ εἶναι καὶ τῶν ὑπαρχόντων ἀγαθῶν ὄνησιν, τοῖς δὲ μὴ πειθομένοις μηδὲ ταῖς ἐμμενουσαις τάναντία· καὶ μὴ ὄσιον αὐτοῖς εἶναι, ὡς ἀσεβοῦσαις, θύειν μῆθεν ἠεὼν ἐπὶ δέκα ἔτη... Τὸν δὲ μετὰ Δημήτριον στεφανηφόρον ταμίαν αἰρεθέντα ἀναγράψαι τὸνδε τὸν νόμον εἰς δύο στήλας καὶ ἀναθεῖναι τῆμ μὲν μίαν πρὸ τῶν θυρῶν τοῦ Θεσμοφορίου, τῆν δὲ πρὸ τοῦ νεῶ τῆς Ἀρτέμιδος τῆς Λοχίας. ἀνευκάτω δὲ ὁ ταμίαις τὸ ἀνάλωμα τὸ γενόμενον εἰς τὰς στήλας τῶι πρώτῳ λογισηριῶι.

თარგმანი: კეთილ ბედს (ვისურვებთ). ღუმეგრიოსის განმგებლობის დროს, თარგველიონის თვეში, მეორე (დღეს) ალექსონ დამონის ძემ თქვა: გამბრეჯონის (მცხოვრებთ) დაუკანონდეს, მგლოვიარე (ქალებმა) აგარონ თალხი განსაცმელი, მაგრამ არა ჭუჭყიანი. მგლოვიარე მამაკაცებმაც და ბავშვებმაც იხმარონ თალხი განსაცმელი, თუ არ უნდათ (მამინ) თეთრი. დაიყვან ეს წესი გარდაცვალებულთა მიმართ სამი თვის ბოლომდე, ხოლო მეოთხე თვეს მამაკაცები შეეშენენ გლოვას, ქალები კი მეხუთე თვეს... ხალხის მიერ არჩეულმა. თესმოფორიების წინ განწმენდის დროს ილოცოს ამ კანონის ერთგულ (მამაკაცთა) და მორჩილ (ქალთათვის), რომ ისინი კარგად იყენენ და ყოველგვარი სარგებლობა ჰქონდეთ, ხოლო (კანონის მიმართ) ურჩ (მამაკაცებს) და არაერთგულ (ქალებს) ამის საწინააღმდეგო (ეწიოთ). მათ აეკრძლოთ, როგორც არალეთისმოსავთ, მსხვერპლშეწირვა, რომელიც არ უნდა იყოს ღმერთთაგან იმისთვის, 10 წლის განმავლობაში.

ღუმეგრიოსის შემდეგ ამორჩეულმა გვირგვინოსანმა ხაზინადარმა დააწერინა ეს კანონი ორ სვეტზე და დაადგმევენა ერთი მათგანი თესმოფორიოსის კარების წინ, ხოლო მეორე არტემიდე ლოხიას გაძრის

წინ. ხაზინადარმა წარმოადგინოს ის ხარჯი, რაც ამ სვეტებზე გაიწევა, პირველსავე ლოგისტერიონზე – (=ანგარიშგება საამისო ინსტანციამი)⁶¹.

წარწერა შინაარსის მხრივ 3 ნაწილისგან შედგება: პირველი – თვითონ კანონი; მეორე – დაფასება და დასჯა ხალხისა იმის მიხედვით, ამ კანონს როგორ იყავენ და მესამე – ამ კანონის გამოქვეყნების შესახებ.

d. დეკრეტები ძალიან გავრცელებული სახეობაა სამოგადოებრივი ხასიათის წარწერათა შორის.

ჩვეულებრივი ღვთაებების (კონკრეტულად, თუ ზოგადად, მაგ., მეი. ან მეი. ἔπικουροι. ან მეი., Ἄθηνᾶ – ან რომელიმე სხვა ღვთაება, რომელიც ამა თუ იმ კუთხეში, როგორც თვით საბერძნეთში, ასევე მის კოლონიებში, განსაკუთრებით პატივცემულია) მოხსენიების შემდეგ გვხვდება Ἄγαθῆνι τῆχι („კეთილი ბედი“ – სიკეთე სიკეთით; რუსულად с добрым счастьем ან в добрый час) და მერე ἔνδιξε ἤν βίσιλῆν καὶ τῆ δῆμα (დაადგინეს საბჭომ და ხალხმა). დეკრეტის ტექსტი ჩვეულებრივ III პირშია ხოლმე გადმოცემული, რაც უფრო აღრინდელია დეკრეტი, იგი მით უფრო მოკლედ გადმოსცემს ამბავს, მოგვიანო ხანის დეკრეტებში უფრო მრავალსიკეთიანობაა. ნიმუშისათვის მომყავს ოლბიაში 1954 წელს მოპოვებული დეკრეტი,⁶¹ გამოქვეყნებული ე. ლევის მიერ: იგი თეთრ მარმარილოს ფილაზეა ამოკვეთილი, რაც წარმოადგენს სტელას, ფრონტონით შემკობილს, საგულდაგულოდ შესრულებული წარწერით (ინახება ამჟამად პეტერბურგის „ერმიტაჟში“). გამომცემლის მიერ დათარიღებულია ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრით (ითვლება ოლბიის ამ გიპის წარწერათა შორის უძველესად და საუცხოოდ არის შენახული).

Ἄγαθῆνι τῆχι.
Ὀλβιοπολίται ἔδωκαν
τοῖς Θεοπρόπου παισὶν
θεοφάνει καὶ Ἀρίστῃ
5. Ἡρακλεώταις αὐτοῖς
καὶ ἔκγονοις προξέ –
νίαν, πολιτείαν,
ἀτέλειαν πάντων

χορημάτων, ὧν ἂν αὐτοῖς
10. εἰσπάσιον ἢ ἔξά –
γασιν, ἢ μεράποντες,
καὶ εἴσπλου καὶ
ἔσπλου καὶ ἐμ πο –
λέμῳ καὶ ἐν εἰρήνῃ
15. ἀσυλῆ καὶ ἀσπονδῆι.

ასოთა მოხაზულობიდან ყურადღებას იპყრობს: Γ, Ζ, Θ. Ω (ეს ორი ასო უფრო პატარა ზომისაა), ასოთა კუთხოვანება (სასენი ნიშნები გამომცემლისა; ასევე მახვილებიცა და სპირიტუსებიც).

⁶¹ Надписи Ольвии (1917-1965). Ленинград, 1968.

თარგმანი: „კეთილ ბედს (გისურვებთ). ოლბიოპოლიტებმა მისცეს თეოპროპეს შვილებს, თეოფანესა და არისტის, პერაკლეოტებს, თვით მათ და მათ შთამომავლებს, პროქსენია, მოქალაქეობის უფლება, ყველა საქონელზე ბაჟისგან თავისუფლება, რომელსაც კი შეიგანენ ან გამოიგანენ თვითონ, ან [მათი] მსახურნი, [მისცეს ოლბიაში] შეეკურვის და იქიდან გამოეკურვის [უფლება] როგორც ომის, ასევე მშვიდობიანობის დროს კონ-ფისკაციისა და ხელშეკრულების დადების გარეშე.“

ასეთი წარწერები უამრავია (მაგ., ჩრდილოშავიზღვისპირეთიდან); მისი ტექსტი სტანდარტულია: არის მიმნიჭებლის სახელი, შემდეგ იმისი, ვისაც რაღასაც ანიჭებენ, და შემდეგ რას ანიჭებენ. მოგვიანო ხანის დეკრეტები, რომლებიც უხედაა სხვაგანაც და შავიზღვის ჩრდილო სანაპიროზედაც, სხვაგვარადაა აგებული: ნიმუშად მომყავს ხერსონესის II ს-ის დეკრეტი, ადრე ს. ქებელაოვის მიერ დამუშავებული და შემდეგ დაბუსტებული და გამოცემული ე. სოლომონიკის მიერ:⁸² [ენა – შერყვნილი დორიული დიალექტია].

[Ἄγαθῶν ἰσ]χαί
 [Πρόεδροι Χερ]σονασσειτῶν τῶν
 [ποτὶ τῶν Ταυρικῶν εἰπ]αν' ἐπειδὴ
 Νοοῦεν –
 [ιος....]νος, νεανίας εὐγενής
 5. [... εὐδ]αμός τε καὶ ἐν τῶ[ι]
 [πόλει ἀμῶν?...]τῶν λαμπρότατα
 λ(?Α)ια τῶν ἐπιείκειαν τοῦ
 βίου... νων ἐπιδαμῆσας
 [παρ' ἀμέξ.. εὐγ]νώμονα καὶ φιλά
 –
 10. [γαθον?... ἐπ]ιδამίαν ἐποαίατο
 ... ὡς περὶ πατρίδα
 ἀμενος καὶ περὶ
 [..... τῆ]ν πόλιν ἄοκνον
 πᾶσιν τοῖς διαφέ –
 15. [ρουσι ... κ?χ]ετο, ἐναγχος δὲ
 τα γνασίου ἐπὶ

.... αὶ περὶ τροφῶν
 [... εσ]πούδασεν οἰκεί –
 [ωξ...]κε ἀναλώμασιν εἰς
 20.ν τοῦ σεΐτου χρασα –
 [μεν...]ον ἀποκαταστάσας
 π[ό]λει ἐπιτήδειον
 [..... ὑπ]ηρεσίαν ὡς κε ταν
]ν αἰσθήσει γενομε –
 25. [ν...]ας τοῦ ἀνδρὸς
 νῆν τὸν ἄνδρα
 τῆς] βουλᾶς καὶ τοῦ
 [δᾶμου.. α]ὐτὸν νομίσαι τῆς
 [... πολ]ιτήας καὶ πάσας
 30. [..... ἀμ]οιβὰς τὰς τοῖς ὑ
 [... πολ]ιτῶν εὐ πεπον –
 [κότων ..]σουσσεπ

⁸² Е. И. Соломоник, Новые эпиграфические памятники Херсонеса, Киев, 1964, гл. 22-28.

თარგმანი: „კეთილ ბედს (გისურვებთ)! გაერიკის ხერსონესელთა პროედრებმა დაადგინეს: რადგანაც ნოვენიუსმა, ძემ... -ისამ, კეთილ-შობილმა ჰაბუკმა... თავის სამშობლოშიც (ἐνθαμοίς) და ჩვენს ქალაქშიც, თავი გამოიჩინა ყოველგვარი სიქველით და ცხოვრების შესაფერისი ნირით (ἐπιείκεια) ...ის მრუნავედა თავის სამშობლომედაც და ჩვენს ქალაქმეც ... დაბეჯითებით ... ყველა გაჭირვებულს... ხელი გაუმართა, ახლახან ... იმრუნა სარჩომე ... თვითონ დაიხარჯა ... პურის (σείτου) ... აღადგინა ... ხელსაყრელი ... მან გაუწია სამსახური (ὑποχρεσίαν) ... ამ ვაჟეკაცს საბჭოსა და ხალხის დადგენილებით მიეცეს მოქალაქეობის უფლება და სხვა ყოველგვარი პრივილეგიები“ ...

განსხვავება აქ წარმოდგენილ 2 დეკრეტს შორის (არ ვლაპარაკობ შინაარსეული), ფორმალური – დიდი; ამ დროში (ე.ი. რომაულ ხანაში) დეკრეტები განერყობილია, შექმბულია პიროვნება, რომლის მიმართაც საბჭოს დადგენილება გამოაქვს და შემდეგ დაწერილებითაა ჩამოთვლილი, თუ რისთვის ენიჭება მას ეს პატივი (ამჯერად ხერსონესის მოქალაქეობის უფლება).

ე. კატალოგები, რომლებიც წარწერების სახით გვხვდება, ასევე სხვადასხვა შინაარსისაა.

ყველაზე საინტერესოა სხვადასხვა შეჯიბრებებში მონაწილეთა და გამარჯვებულთა სიები, რომლებიც ასევე მრავალგვარია და სრულად თუ ფრაგმენტულად დიდი რაოდენობით მოიპოვება. მაგ., IG, II², 971 (დაახლ. ძვ.წ. 330 წლით დათარიღებული წარწერა) Köhler-ის ამრით ესქილეს ტრაგედიის „შვიდნი თებეს წინააღმდეგ“ გამო არის შესრულებული (ფრგ. ა. 467 წ.), სადაც პერიკლე არის ქორეგოსი, ხოლო ესქილე ქოროდიდასკალოსი (ამას გარდა არის 422, 387 და 331 წლებით დათარიღებული ფრაგმენტები).

გამარჯვებულის სახელს მოჰყვება მისი გამარჯვების აღმნიშვნელი რიცხვი. მაგ., ერთ-ერთ ფრაგმენტზე ვკითხულობთ: Σοφοκλῆς ΔΓΙΙΙ სოფოკლე 18.

წარწერები IG. II² 965-970 შეიცავენ პანათენური შეჯიბრებების მონაწილეთა სიებს. მაგ., მუსიკალურ შეჯიბრებებში ჩამოთვლილი არიან Κισθαριδιῶς, ἄνδρᾶτος ἀσλῶιδιῶς, ἄνδρᾶτος κισθαριστᾶιδ, ἀσλῆταιδ... მას მოჰყვება გამარჯვებული პირების სახელები და ჯილდოები (ოქროს გვირგვინი – პირველ პირს და ფულადი პრემიები შემდეგ გამარჯვებულთ).

აქვეა გიმნასტური შეჯიბრებების მონაწილეთა სიები (965¹, 966 A, B, 967...), სადაც არის დაჯგუფება ასაკის მიხედვით – παιῖδες, ἄγνευσι, ἄνδρες და შეჯიბრებათა სახეობის მიხედვით: στᾶδιον, πένταθλον, πᾶλ-

αιστει, πύκτει, παγκράτιον νικῶντι (და მათი ჯილდოები – სხვადასხვა რაოდენობის მეთის ჭურჭელი).

არის სიები ქურუმთა, სხვადასხვა თანამდებობის პირთა – ἄρχων, βασιλευς, πολεμαρχος, θεσμοθεται... (IG, II², 859, 862, 863; III¹. 1005-1014), πρυτάνεις; ჯარისკაცთა (ძე.წ. V ს. IG II² 959) τριηράρχω, ἐπιβάται, κυβερνήτης, κελυσστής, πεντηκόνταρχοι, νῆπται ἄστοι; ომში დალუპულთა (დალუპვის ადგილისა და დალუპულის ვინაობის აღნიშვნით) და სხვ.

მინდა მოვიყვანო ერთი წარწერა, სადაც მონების სია გვაქვს. ათენის სტელა 415-414 წწ-ის, წარწერით ეპეგაკოპიდების პროცესზე მსჯავრდადებულ კეფისოლოროსის შესახებ, აღნუსხულია მისი ქონება და ჩამოთვლილია მის მონები მათი ფასითურთ:

Κεφισοδόρο μετοίκο ἐμ Περαιεῖ	ΗΔΔΔΗΤΗΤ Σκύθες
ΗΡΔΓ Θρᾶιττα	ΗΔΔΗ ἡλλυριός
ΗΔΔΔΓ Θρᾶιττα	ΗΡΤΗΤ Κόλχος
ΗΡΔΔ Θρᾶιχς	ΗΡΔΔΗΤΗΤ Κᾶρ παις
ΗΗΔΔΔΔ Σύρος	ΡΔΔΗΤ Καρικὸν παιδίον
ΗΓ Κάρ	ΗΗΗΗ Σύρος
Η·ΔΗ ἡλλυριός	ΗΡΤ Μελιτ(ερός vel ενή)
ΗΗΔΔ Θρᾶιττα	ΗΡΔΔ λυδῆ ⁸³
ΗΔΓ Θρᾶιχς	

თარგმანი: კეფისოლოროსს,
მეტეკს პირევსში (პყავს):
თრაკიელი (ქალი) 165
(დრაქმა)
თრაკიელი (ქალი) – 135
(დრაქმა)
თრაკიელი (კაცი) – 170
(დრაქმა)
სირიელი (კაცი) – 240 (დრაქმა)
კარიელი (კაცი) – 105 (დრაქმა)
ილირიელი (კაცი) – 121
(დრაქმა)(?)

თრაკიელი (ქალი) – 220 (დრაქმა)
თრაკიელი (კაცი) – 115 (დრაქმა)
სკვითი (კაცი) – 144 (დრაქმა)
ილირიელი (კაცი) – 121 (დრაქმა)
კოლხი (კაცი) – 153 (დრაქმა)
კარიელი ჭაბუკი – 174 (დრაქმა)
კარიელი ყრმა – 72 (დრაქმა)
სირიელი (კაცი) – 301 (დრაქმა)
მელიტელი (?) – 106 (დრაქმა)
ლიდიელი (ქალი) – 170 (დრაქმა)

⁸³ Hesperia, vol. XXII, № 4, 1953. გვ. 242. W. Kendrick Pritchett, The attic stelae.

წარწერა საინტერესოა უპირველეს ყოვლისა მონათა ფასების თვალსაზრისით. ყველაზე ძვირად სირიელი მონები ფასობენ. ისიც საინტერესოა, რომ V-IV სს-ის ათენში მრავალი ქვეყნიდან არიან მონები თავმოყრილი (განსაკუთრებით თრაკიიდან). გზა ამ მონების კუფისოდოროსის ხელში მოხვედრისა ასევე დასადგენია.

(ამას გარდა არსებობს აგრეთვე მონათა და უძრავი ქონების ნასყიდობის სიები და ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტები – შდრ. Larfeld, ... გვ. 502-506, მაგრამ ყელა ამ ტიპის წარწერის განხილვა შორს წაგვიყვანს).

აქვე მინდა აღვნიშნო საზღვრების აღმნიშვნელი წარწერები, რომლებიც არის როგორც მხარეთა შორის, აგრეთვე კერძო მფლობელობათა შორისაც. მაგ., S 456 (ახ.წ. 25 წ. წარწერა გააგეტოსიდან).

“Ὅρος Λακεδαιμόνι πρὸς Μεσσηνίῳν (ლაკედემონის საზღვარი მესენიასთან)

IG, I, 517 Δεῦρε Ἐλευσιῶν τριττὸς τελευτᾷ, Πειραιῶν δὲ τριττὸς ἄρχεται (აქ თავდება ელევსინელთა <ფილეს> მესამედი და იწყება პირველთა <ფილეს> მესამედი).

IG, I, 519 Ἐμπορίου καὶ ἔδωκ ἕως (ემპორიონისა და გმის საზღვარი)

S 457 (Paros); Ἄπὸ τοῦ τείχεος κοινὸν τῆς πόλιος τὸ χωρίον πόνδεσ τρεῖς (ქალაქის კელიდან საზოგადო მიწა (აღილი) სამი ფუგია)

S 458 (Nisyros): Ἄπὸ τοῦ τείχεος δαμόσιον τὸ χωρίον πέντε πόνδεσ (კელიდან სახალხო (სახელმწიფო) მიწა (აღილი) ხუთი ფუგია)

IG, I, 507 Ὅρος Ξανθίου (ქსანთიონის საზღვარი)

IG. II² 1077 (ათენის აკროპოლისის ჩრდილო აღმ.). Τοῦ περιπάτου περίοδος πέντε στάδια πόνδεσ ΔΓIII (ირველიყ სასიერნო გზა 5 სტადიონი და 18 ფუგია) და სხვ.

საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა წარწერები მონეტებზე. მეცნიერებას მონეტების შესახებ სწავლობს ნუმიზმატიკა, მაგრამ იქ აქცენტი მონეტათა ლეგენდებზე არ კეთდება, იქ მისი მრავალმხრივ კვლევას აწარმოებენ და ამ კვლევაში აღილი წარწერებსაც უჭირავს.

ნუმიზმატიკის პრობლემებში მონეტის წარწერის პალეოგრაფიული მხარე შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვანი ჩანს. მაგრამ წარწერის სწორად წაკითხვა ნუმიზმატიკებს უჭველად უწევს დახმარებას. ბერძნული ნუმიზმატიკური ძეგლები უძველესი დროიდან მოიპოვება, ხოლო საქართველოს მასალაში უძველესია კოლხური თეთრები (ბერძნული ასოებით IV-III სს-დან) და სხვადასხვა მეზობელი ქვეყნე-

ბიდან შემოსული მონეტები (ძვ.წ.ა. IV ს-დან). განსაკუთრებით ბევრია რომაული და ბიზანტიური ხანის წარწერიანი მონეტები და კირმა-ნეული თეთრი (XIII-XV სს.).

მინაარსის თვალსაზრისით წარწერების II ჯგუფი კერძობითი ხასიათისაა.

a. განმადიდებელი, შეწირვითი და შესავედრებელი წარწერები არსებითად ძნელი გასარჩევია ერთმანეთისგან. პატარ ნივთიდან დაწყებული და ტაძრებით გათავებული, ყველაფერი შეიძლება შეევედრებინათ, ან შეეწირათ ღვთაებისათვის, ეს ემოქმედათ მის განსაღიდებლად. ამისი თავდაპირველი ფორმულა იყო: ὁ θεῖνα με ἀνέθηκε τῷ θεῖνι, ან ἱερός ἐστὶ τὸν θεῖνος (შეიძლება ἀνέθηκε არც კი ყოფილიყო, ღმერთის სახელიც საკმარისი იყო საამისოდ, ხოლო ნივთი თვითონ დაღაღებდა იმის შესახებ, რომ ის შეწირულია). შემდეგ ღვთაების სახელს ემატებოდა τῷ θεῖνι καὶ τῷ Καῖσαρι (წარწერა სამადლობელია და წერია, თუ რისთვისაა ეს მადლობა). თუ წარწერა (განმადიდებელ-შესავედრებელი) რომელსამე ქანდაკებაზე იყო ამოკვეთილი, მაშინ იხმარდნენ მზნას – ἀνίστασθαι, ἡμῶν და გვექნება ფორმულა: ἀρετῆς καὶ εὐσείας ἕνεκα (ასეთი ქანდაკებები ძირითადად ძვ.წ. IV ს-დან არის და ზედ ფორმულებიც ნაირნაირია; რაც უფრო მოგვიანოა წარწერები, მით უფრო მრავალფეროვანია წარწერებიც).

მზნა ἀνέθηκεν-ის (ვარიანტებით ἔθηκεν, ἦθηκε – ეს უკანასკნელი მაგ., პისისტრატიდების წარწერაშია IG, I³⁷³) პარალელურად გვხვდება ἐποίησεν, ἔσχεσεν, ἰδρύσατο, εἰσατο და სხვ.

ძველ ბერძნულსა და ბერძნულ ქრისტიანულ წარწერებში (ე.ი. უფრო მოგვიანო ხანის წარწერებში) გაჩნდა ფორმულა: εὐχόμενος ἀνέθηκεν, ან εὐχόμενος ἀνέθηκεν, ან εὐχόμενος, ან εὐχόμενος, ან εὐχόμενος, რაც ალთქმაა, ან ამ ალთქმის შესრულების საწინდარია; შემდეგ მზნა ἀνατίθειν შეიცვალა მზნებით: ἀποτίθειν, καποτίθειν... ამავე გიპისაა τὸ ποιεῖν ἡμῶν-თი დაწყებული მიძღვნები; რაც ძირითადად ეგვიპტეში გვხვდება, მაგრამ ეს არაა მხოლოდ ალთქმა, ლოცვა და ვედრება, ეს განდიდების მაუწყებელი წარწერებიცაა.

ამავე ჯგუფში შედის ე.წ. მოსახსენებელი წარწერებიც: ἔμνησθη τὸν θεῖνον ან ἔμνησθη ὁ θεῖνος τὸν θεῖνον (შეიძლება უაუგმენტოდაც დამახასიათებელი დასაველური წარწერებისთვის) და μνησθή (μνησθή) ὁ θεῖνος ან μνησθή (μνησθή) ὁ θεῖνος (დამახასიათებელი აღმოსაველური წარწერებისთვის).

მომყავს მაგალითები:

ὁ θεῖνος ὁ Χίτων Φοῖνον Σκουῖνον Ἀθηναῖ Πωλιάνδι καὶ θεῖνι ἡμῶν („ქიოსელი ხალხი ფესინოსს, სკვითინოსის ძეს <ავედრებს>

ათენა პოლიასს და ყველა ღმერთებს).⁸⁴ IG, II G3, 1217: 'Αθηναίων οἱ τεταγμένοι ὑπὸ τοῦ δήμου... τὸν στρατηγὸν Δημήτριον Φανοστράτου Φαλερέα στεφανώσαντες Δήμητρι καὶ Κόρει ἀνέθηκεν (აქ შერწყმულია განდიდებისა და ვედრების ფორმულები. თარგმანი: „ათენელთაგან ხალხის მიერ დაყენებულებმა... გვირგვინი დაადგეს მხედართმთავარ ღმერთის ფანოსტრატოსის ძეს, ფალერელს და შეავედრეს ღმერთებსა და კორას“).

IGA, 75c Add. (წარწერა ძვ.წ. V ს-ის ოლიმპიიდან): Δέξο, Φάναξ Κρονίδα, Ζεῦ Ὀλύμπιε, καλὸν ἄγαλμα ἰερέῳ θυμαῖ τοῖλ Λακεδαιμονίῳς. („მიიღე, მეუფე კრონიდო, მვესო ოლიმპიელო, კარგი ქანდაკება მოწყალე გულით ლაკედემონელთა მიმართ“).

ახ.წ. II ს-ის წარწერაა ხერსონესიდან (იპყრობს ყურადღებას იმით, რომ მეგისმეტად ლაკონიურია ამ დროისათვის და აქვს ისეთი დასაწყისი, ἄγαθῆ τύχῃ, რაც ჩვეულებრივ იმავე ხერსონესში დეკრეტებსა და სამშენებლო წარწერებს აქვთ ხოლმე): 'Αγαθῆ τύχῃ. Θεῆ Νεμέσει Βασιλείδης Καλοῦ („კეთილ ბედს <გისურვებთ>! ღმერთქალ ნემესისს <მიუძღვნა> ბასილიდეს კალუსის ძემ“).⁸⁵

[ამ წარწერაში საინტერესოა ისიც, რომ ღმერთქალი ნემესისი (ადრე – შურისძიების ღვთაება, მერე – სამართლის მიძღვის), რომელიც აქ მისთვის განკუთვნილი ეპითეტების – Κυρία, Μεγάλη, Μεγίστη – გარეშეა ხსენებული, ადრინდელ ხანაშივე დაუკავშირდა ქალღმერთ არტემიდეს, ხოლო ბოლოს მისი კულტი სავსებით შეერწყა არტემიდე-დიანას კულტს, რასაც მოწმობენ წარწერები აკვინიკიდან და კარუნტიდან და 60-იანი წლების გათხრებიდან – კოლნიდანაც. არტემიდეს კულტი ხერსონესში და საერთოდ ყირიმში – უძველესი დროიდან იყო გავრცელებული და როგორც ჩანს, ეს საკმარისი აღმოჩნდა ჩვ.წ. პირველ საუკუნეებში მისი ნემესისთან დაკავშირებისა და ამ კულტის აქ ფეხის მოკიდებისთვისაც].⁸⁶ სახელი Καλοῦς – მისი გამოძეგმლის მიერ იშვიათ სახელად არის გამოცხადებული და სხვა ავტორთა მრომების მიხედვით – ბოსფორში რომაული პერიოდიდან დადასტურებულად.

სახელი, რა თქმა უნდა, ხშირი არაა; მე ვფიქრობ ისიც (ბასილედესი არ იყოს) ბერძნული სამყაროდან მომდინარეობს (καλός – სიკეთის ძირიდანვე) და მასთანვეა მოსაგანი დელფოს წარწერებიდან (SGDJ, 2218) ცნობილი ქალის სახელი Καλλώ.

⁸⁴ G. Klaffenbach... გვ. 54.

⁸⁵ Э. И. Соломоник, Новые эпиграфические памятники Херсонеса, 1973. გვ. 90.

⁸⁶ იქვე, გვ. 91-92.

ამგვარი წარწერა უამრავია, ჯერ მარტო მოყვანილი მაგალითების მიხედვითაც ჩანს მათი ნაირსახეობა, თუ გარეგნული ფორმის, ისე შინაარსის მხრივ. მოყვანილი მასალა არის წვეთი ზღვაში, იმასთან შედარებითაც კი, რაც ლიტერატურის მიხედვით არის ცნობილი. საამისოდ დაწერილებით იხ. Larfeld... გვ. 432-456.

b. კერძობითი ხასიათის წარწერების ერთი ჯგუფი არის საფლავის წარწერები. მიუხედავად იმისა, რომ თავისი ფორმების მიხედვით ეს წარწერებიც ძალიან მრავალფეროვანია, მათი გამოყოფა სხვა წარწერათაგან ყველაზე ადვილია, იმიტომ რომ ისინი გარკვეულად საფლავის ქვებზე, სტელებზე, სარკოფაგებზეა ამოკვეთილი (და მაშინაც კი, როდესაც ამ წარწერათა შინაარსი ახლოსაა შეწირვისა და განდილების წარწერებთან, ან ფორმა - პოეტური აქვს, მათ არავენ განუკუთვნებს სხვა ჯგუფს).

ისევე, როგორც სხვა ჯგუფის წარწერების დროს აღვნიშნავდით, აქაც უნდა ვთქვათ, რომ უძველესი წარწერები მარტივია, შემდეგი ხანის - უფრო გართულებული და გამრავალფეროვნებული.

თვითონ საფლავის წარწერებშივე არის აღნიშვნა საფლავის ქვის სახეობის, ან საფლავის სახეობის სახელის. მაგ., Ἐνὶ ἄλσῳ θυγατρὸς... στήλη; Στήμα Φρασικλείας; Προκρίτου θήκη; Ταφή Χάρσιος; Ζωστυαίνου τήπος ὀστῆς; ამას გარდა ქრისტიანულ წარწერებში გაჩნდა: κοιμητήριον; μνήμα; μνημόριον; ὀικητήριον; ὀίκος αἰώνιος; τὺνβιδ.

ამას გარდა სხვადასხვა დროის წარწერებშივე გვხვდება საფლავის აღმნიშვნელი სიტყვები: μνημεῖον, ἱρῶν, βῆμας, σαρῶς, καὶστρα, σωματιοθήκη და სხვ.

თავდაპირველად საფლავის წარწერები პიგალო კლდეებზე ჩნდებოდა, ანდა საერთოდ დაუმუშავებელ ქვებზე. შემდეგ ამ დანიშნულებით ბრტყელი ქვები, სხვადასხვა ფორმის, უპირატესად კი სტელები, გამოიყენეს ეს სტელები სხვადასხვა დროს შეიმკო რელიეფით - კეთდებოდა ზედ თვითონ მიცვალებულის გამოსახულება, ან კიდევ მასთან ერთად სხვა პირებისაც, სტელას ამკობდა სხვადასხვაგვარი ორნამენტი. სტელამ შესაძლოა νᾶϊστικὸς-ის ფორმაც მიიღოს. მასზე რელიეფის მაგიერ შეიძლება ნახატიც იყოს (ასეთი რამ აღმოჩენილია თესალიაში, პაგასიეში). საგანგებოდ გამოიყოფა სტელები, რომლებზედაც ორი აღმართული (ე.ი. მავედრებელი) ხელი არის გამოსახული.

საბერძნეთში სამარხების სხვა ფორმებიც არის ცნობილი. განსაკუთრებით ხშირად იონიაში გვხვდება სხვადასხვა სიმაღლის კოლონები, საკურთხეველები, ქვის მაგიდები, ასევე ქვის ბრტყელი თასები

⁸⁷ Larfeld,... გვ. 435.

ფართო დასადგმელზე (λισηνίον), რაც მიცვალებულზე წყლის საპკურებლად გამოიყენებოდა; ატიკაში იხმარებოდა ამავ ედანიშნულებით მარმარილოსგან გაკეთებული ლეკითები და ლუტროფორები (ეს უკანასკნელი უქორწინოთა საფლავებზე კეთდებოდა).

მოგვიანო ხანში, განსაკუთრებით რომაელთა დროს, მიცვალებულებისთვის კეთდებოდა სარკოფაგები, ხან სადა, ხან ორნამენტებითა და რელიეფებით შემკობილი (რელიეფზე არ იყო სავალდებულო ყოფილიყო რაიმე ამ მიცვალებულის შესახებ; შესაძლოა ასახულიყო ისტორიული ამბავი, ან სიუჟეტი მითოლოგიიდან).

წარწერები, რომლებიც საფლავის ქვებზეა გაკეთებული, სხვადასხვა გიპისაა. არის მხოლოდ მიცვალებულის სახელი (მნიშვნელობა არა აქვს, ის რომელ ბრუნვაშია, იხმარება ხუთივე ბრუნვა, Vocativ-ის ჩათვლით). მაგ., Κλείτος; Σωτηρίδης; Θασμαρέτης; Καλλιστομάχη.⁸⁸ შემდეგი საფეხურია, როდესაც მიცვალებული მოხსენიებულია მამის სახელითაც (და შესაძლოა პაპის სახელითაც); σὺν ἀν πατρὶς κაცებთან არასოდეს არ არის, ქალებს კი აქვთ აღნიშვნა – „ასული“, „ცოლი“, „დედა“, „და“ ამა და ამ პირისა; („ასული“ შესაძლოა არ ეწეროს); თუ კაცს აქვს სὺν τῆς πόλεως – ეს საპატიო გიგულია; უცხოელ მოქალაქეს ყოველთვის აქვს დართული ἔθνικόν, ხოლო ატიკის მოქალაქეს – δημοτικόν. თუ მოხსენიებულ პირთან ეს არ არის, მაშასადამე ის მეტეკია (ე.ი. უცხო, ჩამოსახლებული ატიკაში). პირთა სახელი და წარმომავლობა: მაგ., Βλέπιος Ἀθμονεύς; Σώστρατος Ἀλαπεκῆθεν; Νικάνδρος ἐκ Κεραμέων; Ῥοδύλλα Ἰκαριόθεν; Ἀριστοκράτης Ἄνδριος; Μύστης Ἄραψ და სხვ.⁸⁹

სახელი, მამის სახელი და წარმომავლობა: Ἀρχέδημος Ἀρχεδίκου Ἀθμονεύς; Φίλοστράτη Φίλωνος, Φίλων Καλλίπου Αἰζώνεύς; Γοργίας Ἰπποκλείδου Θετταλός, Σωσιπάτρα Γοργίου, Διονύσιος Γοργίου, Φανὶς Εὐμάρους Αἰγινήτου; Οἰνάνθη Καλλιστράτης Σαλαμινία.⁹⁰ აქ მინდა შევნიშნო ის, რომ ეს უკანასკნელი შემთხვევა წარმოგვიდგენს – ქალის სახელს, მისი დედის სახელს და სადაურობას; ბერძნულ წარწერებში ჩვეულებრივია შვილის სახელის მოხსენიება მამის სახელით. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც შვილი იხსენიება მხოლოდ დედის სახელით (იშვითად) და დედ-მამის სახელით (უფრო ხშირად).⁹¹

⁸⁸ Larfeld,... გვ. 433.

⁸⁹ Larfeld,... გვ. 433.

⁹⁰ Larfeld,... გვ. 434.

⁹¹ Larfeld,... გვ. 434.

მაგ., Θεόμνητος Διοσυσίου 'Αχαρνέας και Ειρήνης τῆς 'Ιάσονος 'Αχαρνέας (ე.ი. თეომნესტოსი დიონისოსისა და ეარენეს შვილია).⁹²

Прѣτα Βαττίωτος ὡς τῆς Νικομάχου θυγάτηρ (პროტა, ბატონის ცოლი, ნიკომახოსის ასული)⁹³ (ძე.წ. IV ს.). Σωτηρίς 'Αλκίμου ὡς τῆς 'Ιέρωτος θυγάτηρ (IV-III სს.) (სოტერისი, ალკიმოსის ცოლი, პიერონის ასული).⁹⁴ გარდაცვლილის საქმიანობის აღნიშვნა ძველ წარწერებში არ ხდება, ხოლო ქრისტიანული ხანის წარწერებში ეს საგანგებოდ ხშირია. ასევე, წინაქრისტიანულ ხანაში მიცვალებულის დაბადების, გარდაცვალების ან ძველის დაღმის თარიღებს ჩვეულებრივ არ აღნიშნავენ, ხოლო რომაული ხანიდან ჩნდება უკვე ἔτιν, ἔτει... ელინისტური ხანის წარწერებში ჩნდება ἄμην ἄμην, ჩნდება μνημὴν ἢ μνημὴν (ამას ἔνεκεν – ერთეის, ან ἄμην).

Χαίρε გაერცელებული ფორმაა წარწერებში (ათენში ის მხოლოდ უცხოელებს აქვთ); აღსანიშნავია ისიც, რომ მოგჯერ მიცვალებულის პირითაა ამ χαίρε-ზე პასუხი: Χαίρε και σὺ, και σὺ, και σὺ γε, χαίρετε πάντες, παροῦντα χαίρε და სხვ.⁹⁵

მოგ საფლავის ქვას მხოლოდ Π ἢ აწერია, მეტი არაფერი. ეს იმას ნიშნავს, რომ აქ ბავშვია (Παῖς) დამარხული (ის 10 დღეზე პატარა იყო და ამიტომ ჯერ სახელი არ შეიძლება, რომ რქმეოდა). რომაული ხანიდან წარწერებში ჩნდება: Θεῶν καταχθονίους მიწისქვეშეთის ღმერთები (აღნიშნაა ΘΚ ან θεκα) და Θεῶν δαίμοσι (ღმერთსა და გმირს შორის საშუალო). მოგვიანო ხანისაა წარწერებში მანუგემუბელი სენტენციები, როგორცაა: τὸνδεῖς ἄμην, ან ὁ βίος ταῦτα და სხვ.

ხშირადაა ისიც, რომ აღამიანი თავისი საფლავისა და მისი წარწერისათვის თავის სიცოცხლეშივე მრუნავს. წარწერების ბოლოს არის თხოვნა ან მუქარა მათ მიმართ, ვინც ამ საფლავს უპატიოდ მოექცევა. ბერია საფლავის წარწერები ლექსად. სხვა რომ არა ვთქვათ რა, W. Peek-ის Griechische Versinschriften, I, (Grab-Epigramme) Berlin, 1955, და მისივე – Griechische Grabgedichte, Berlin, 1960 კარგად არის ცნობილი.

⁹² წარწერათა გარდა სხვაგანაც არის ასეთი ფაქტი დადასტურებული ახ.წ. I ს-სთვის: სვეტონიუსი წერს თავის „ტიბერიუსში“ (§ 50), რომ სენატს სურდა ტიბერიუსი მოეხსენებინათ როგორც ძე ავგუსტუსისა და ძე ლივიასი, მაგრამ თვითონ ტიბერიუსი წავიდა ამის წინააღმდეგ.

⁹³ Надписи Ольвии... стр. 86.

⁹⁴ Э. И. Соломоник, Новые эпигр. памятники Херс. 1973, გვ. 165.

⁹⁵ Larfeld, ... გვ. 438.

ეს წარწერები ან ეპიგრამის ხასიათისაა (ე.ი. ორსტრიქონიანი, ძირითადად ელეგიური დისტიქი), ან უფრო ვრცელი მოცულობის ჰეგზამეტრული ან ისევ ელეგიური საზომით დაწერილი. ნიმუშისათვის: ძვ.წ. IV-III ს-ის ეპიგრამა ბოსფორიდან (ორივე სტრიქონი ჰეგზამეტრია): Ζήνωνος παῖς κείται 'Απατούριος ἄθ' ἕπα γαίης | Νικ-όπολις τε γυνη 'Απατούριου | ἐνθάδε | κείται⁹⁶ („აპატურიოსი, ზენონის შვილი აქ განისვენებს მიწის ქვეშ; აქვე განისვენებს ნიკოპოლისიც, აპატურიოსის ცოლი“).

ასევე ორსტრიქონიანი ჰეგზამეტრითაა შემდეგი ძვ.წ. IV ს-ის ეპიგრამა იმავე ბოსფორიდან: Ἦδειη κείμαι, ἄσγ' ἄτ' ἄρ' τε ἄμαμοι Φιλοσoίη | Μνήμην δὲ στήσεν Σάτυρος, παῖς Ἐσξένο ἄδε⁹⁷ („აქ განისვენებს ჰედეა და ჩემთან ერთად ჩემი ასული ფილონოა. ძეგლი აქ აღმართა საგიროსმა, ევქსენონის ძემ“).

საფლავის წარწერებად ითვლება ომში დახოცილთა სიებიც, რომლებიც არც თუ იშვიათია. მაგ., ასეთებია სპარტელთა სახელები ამოჭრილი ქვებზე.

საფლავის წარწერები კეთდებოდა არა მხოლოდ ადამიანთათვის, არამედ ცხოველთათვისაც, მაგ., ცხენისთვის, ძაღლისთვის. ცნობილია ეპიგრამა ლესბოსიდან ძუკნა პართენოპეს მიმართ IG, XII, 2, 459.

ალარ მოვიყვან ვრცელი საფლავის ქვის ლექსებს (შესრულებულს ელეგიური დისტიქებით), რომლებიც უფრო ლიტერატურის სფეროს განეკუთვნებიან, ვიდრე კონკრეტული ეპიგრაფიკის (ლიტერატურული ხასიათის წარწერების შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი).

ც.კერძობითი ხასიათის წარწერებში შემაქვს მონათა განმათავისუფლებელი წარწერები. ეს წარწერები თამამად შეიძლება იურიდიულ დოკუმენტებადაც ჩავრიცხოთ, ისინი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წარწერებიც არიან, მაგრამ რადგან ამ რიგის წარწერებში კონკრეტულ პიროვნებებზეა ლაპარაკი, მათთვის გარკვეულ (ჩვეულებრივ სხვადასხვა) პირობებში თავისუფლების მინიჭებაზე, ამიგომ მე ისინი სწორედ კერძობითი ხასიათის წარწერებში შევიგანე.

ამ შინაარსის წარწერები ფორმალური ნიშნის მიხედვით ორგვარია – ერთი ისეთი, როდესაც მონათმფლობელი აცხადებს, რომ ათავისუფლებს მონას (ἀφίησι, ან ἀφίηε ἑλῆσθ' ἔραον, ან ἰχλῆσθ' ἔραοσεν...), აქ შეიძლება ეწეროს მიზეზიც, ამიგომ და ამიგომ ვათავისუფლებო, შეიძლება სიცოცხლეში ათავისუფლებს, შეიძლება ანდერძით და ა.შ. მეორე რიგის წარწერები ერთგვარად საკრალურ მომენტს შეიცავენ – მონას ჰყიდიან ღვთაებას (ე.ი. ამიერიდან ის ἱεριδίνσ' ἰცი-ხდება). აქ

⁹⁶ ΚΒΗ, ...გვ. 114.

⁹⁷ იქვე, გვ. 585.

გვხვდება ფორმულები: *πρῶτος ἐπ' ἔλσθερίᾳ, ἀπέδοτο τῷ δεῖνι ἐπ' ἔλσθερίᾳ* – ესაა მონის განთავისუფლება ღვთაებისადმი მოჩვენებითი მიყიდვით, იხსენიებიან ასეთ წარწერებში არქონგები, მოწმეები და ა.შ. ყველაზე ბლომად ამ ტიპის ძეგლები დელფოდან არის. განვიხილოთ ორივე ჯგუფის მასალა:

IS 837 (თარიღი დაუდგენელია)

Πολύφρων Λύκου 'Α...σαν τῆν ἰδίαν θρεπτῆν ἀπλησθέρῳσεν ὑπὸ Δία, Γῆν, Ἥλιον, μηδὲν μηδὲν προσήκουσαν κατὰ τοὺς Αἰτωλῶν νόμους ἰσοτελίῃ καὶ ἔντειμον.

(„პოლიფრონ ლიკოსის ძემ განათავისუფლა საკუთარი მხევალი ა..სა, ზევისი, გააძასა და პელიოსის (მფარველობის) ქვეშ, და ეტოლიელთა კანონების მიხედვით არავის არაფერი შეხედეს – იგი თანაბარია ნამდვილი მოქალაქეების (ე.ი. მეტოაკების – და არა მოქალაქეების – თ.ყ.) და ასევე პატიეცემული“).

ახ. წ. 41 წლის წარწერა ბოსფორიდან.

Θεῶν ὑψίστου παντοκράτορι εὐλογοῦντῷ, βασιλεύοντος βασιλέως Μιθριδάτου φιλο... καὶ φιλοπάτριδος ἔτους ἡλτ' μηνὸς Δεῖου. Πόθου Στράβωνος ἀνέθηκεν τῆν προσεσχῆν κατ' ἐσχῆν θρεπτῆν ἑαυτοῦ, ἢ ὄνομα Χρῦσα, ἐφ' ᾧ ἦ ἀνέπαφος ἀνεπηρέαστος ἀπὸ παντὸς κληρονόμου ὑπὸ Δία, Γῆν, Ἥλιον.⁹⁸

(„მაღალ ღმერთს, ყოვლისმპყრობელს, კურთხეულს, მეფე მითრიდატეს, ... მოყვარულსა და სამშობლოსმოყვარულს მეფობაში, 338 წელს, დიოსის თვეში, პოთოს სტრავონის ძემ შესწირა აღთქმისამებრ სალოცავს თავისი მსახური, რომელსაც პქვია ქრისა, იმ პირობით, რომ ის იყოს ხელშეუხებელი და უვნებელი ყველა შემკვიდრეთაგან ზევისი, გააძასა და პელიოსის (მფარველობის) ქვეშ“ – წარწერა მრავალმხრივ არის საინტერესო და მეცნიერებაში მის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობდა. მაგ., რას წარმოადგენს პროსეხჩი – რა სახის სალოცავია, იუდეველთა, თუ წარმართთა; „მონის“ აღმნიშვნელი სიტყვა – *θρεπτός* და სხვ.), ღმერთების გრიადა...

II. გაცილებით უფრო რთულია მეორე ჯგუფის წარწერები, რომლებიც ძირითადად დელფოდან წარმოსდგებიან და შესაბამისად მათ დელფოს *manumissio*-ს ვუწოდებთ (ლათ. გათავისუფლება, გააზგება). მანუმისიები სხვა კუთხეებიდანაც არის ცნობილი, მაგ., ბოსფორიდან, მაგრამ დელფოს მანუმისიები ყველაზე პოპულარულია. ისინი ასეთი ფორმულით წარმოსდგებიან: ჯერ იხსენიება დელფოს არქონგი, შემდეგ ის თვე, როდესაც განთავისუფლება – „გაყიდვის“ აქტი ხდება, შემდეგ მბჭობელები არიან ნახსენები (ესენი სემესტრობლივ მონაცუ-

⁹⁸ КБН, .გვ. 656.

ლეობდნენ და წარწერაში ესეც არის ხოლმე აღნიშნული); თუ გამათავისუფლებელი დელფოელი არაა, თარიღი იქნება დელფოს კალენდრის მიხედვითაც და დამატებით იმ კუთხისაც, საიდანაც გამათავისუფლებელია; შემდეგ გამათავისუფლებლის (ან გამათავისუფლებლების) სახელი (სახელები), შემდეგ ღმერთი, რომელსაც „მიყუიდა“ ესა თუ ის პირი, მერე მონა (მისი სქესი, ასაკი, სახელი, სადაურობა), მისი ფასი, შემდეგ თავმდებები (დელფოში მათ βαβαιωτήρ ეწოდებათ, ლოკრიდაში – προαιονότας – გერმ. Vizeverkäufer), შემდეგ იმათი სასჯელი, ვინც მოინდომებს „ამ მონის“ (გაყიდულის ანუ განთავისუფლებულის) თავისუფლების შებღალვას. ბოლოში არიან მოწმეები – μάρτυρες (თუ მონის აღრინდელი პაგრონი დელფოელი არ არის, თავმდები და მოწმე თითო მაინც იქაურია).

ასეთი დოკუმენტების დედანი (პაპირუსზე ან ხეზე დაწერილი) არქივში ინახებოდა, ხოლო მისი პირი ნაგებობათა კედლებზე კეთდებოდა (დელფოში ეს დღესაც იკითხება). ნიმუშისათვის:

ძვ.წ. II ს-ის წარწერა დელფოიდან (SGDJ, 2218):

*Αρχοντος Σωσιπάρτου μηδός δαδαφορίου, βουλευόντων τὰν πρώτων ἐξάμηνον Ἀντιγένεος τοῦ Διοδώρου Ἀγίωνος τοῦ Κλευδάμου, γραμματεύοντος δὲ Ὑβρία τοῦ Ξένου, ἐπὶ τοῖσδε ἀπέδοτο Ψιθύρα Νικολάου Ἀπόλλωνι τῷ Πυθίῳ σῶμα γυναικεῖον αἰ ὄνομα Καλλῶ τὸ γένος Κολχίδα, τιμᾶς ἀργυρίου μνᾶν πέντε, καὶ τὰν τιμὰν ἔχει πᾶσαν, καθὼς ἐπίστευσε Καλλῶ τῷ θεῷ τὰν ὄνᾶν, ἐφ' ὅτε ἔλευθέρᾳ εἴμεν καὶ ἀνέφαπτος ἀπὸ πάντων τὸν πάντα χρόνον ποιέουσα ὃ κα θέλη καὶ ἀποτρέχουσα οἷς κα θέλη. βεβαιωτήρ κατὰ τὸν νόμον τᾶς πόλιος Πατρέας Ἀνδρονίκον. εἰ δὲ τις ἄποιοτο Καλλοῦς ἐπὶ καταδουλίσει μὴ βεβαιον παρεχόντων τῷ θεῷ τὰν ὄνᾶν ἢ τε ἀποδομένα Ψειθύρα καὶ ὃ βεβαιωτήρ Πατρέας. εἰ δὲ μὴ παρέχων βέβαιον τῷ θεῷ τὰν ὄνᾶν, πράκτιμοι ἐόντων τῷ θεῷ κατὰ τὸν νόμον τὰς πόλιος. ὁμοίως δὲ καὶ οἱ παρατυγχάνοντες κύριοι ἐόντων συλῆοντες Καλλῶ ὡς ἔλευθέρᾳ ἐοῦσαν ἀταμίοι ὄντες καὶ ἀνυπόδικοι πάσας δίκας καὶ ζαμίας. Μάρτυροι ὁ Ἱερεὺς τοῦ Ἀπόλλωνος Ἄρχων καὶ οἱ ἄρχοντες Ἀντιγένης, Ἀγίων, <Π> Ὑβρίας καὶ Ἰδιῶται Νικάτας, Βάττος, Ἀριστέας, Φίλων Ἰατάδα, Φίλων Φιλάγρου, Τιμόκριτος („როდესაც არქონტი იყო სოსი-პაგროსი, დადაფორიონის თვეში, პირველი ექვსი თვის ბჭეთა, ანტი-გენეს დიოდორეს ძის, პავიონ კლევდამონის ძის, მწერლის ჰუბრიას ქსენონის ძის თანდასწრებით, ფსითირა ნიკოლასის ასულმა აპოლონ პითიელს მიჰყიდა ქალი“ სახელად კალო, წარმოშობით

⁹⁹ σῶμα γυναικεῖον სიგყვასიგყვით ნიშნავს „ქალის სხეულს“. ზუსტად ეს გამოთქმა ნიშნავს „ქალს“. კონტექსტის მიხედვით ზოგი სპეციალისტი მას თარგმნის „მონად“.

კოლხი 5 ვერცხლის მნის ფასად, მან მიიღო მთელი ფასი,¹⁰⁰ რადგან კალომ ნასყიდობა ღმერთს მიანდო, ამიგომ იყოს იგი თავისუფალი და ხელშეუხებელი ყოველთვის სამუდამოდ, აკეთოს, რაც უნდა და წავიდეს ვისთანაც უნდა. ქალაქის კანონის თავმდეები პატრეას ანდრონიკოსის ძე, უკეთუ ვინმე წარიგაცებს კალოს დასამონებლად, ღმერთის მიერ ნასყიდობის სინამდვილე დაამოწმონ გამყიდველმა (შემწირველმა?) ფსემთურამ და თავმდეებმა პატრეასმა. ხოლო თუ არ დაამოწმებენ ღმერთის მიერ ნასყიდობის სინამდვილეს, ქალაქის კანონების მიხედვით ფულად აგონ პასუხი მის მიმართ, ვინც მოისურვებს; მსგავსადვე, თუკი ვინმეს მოუხდა მოგაცება კალოსი, როდესაც ის თავისუფალია,¹⁰¹ ისინი ფულს არ იხდიან და სამართალში მიუცემელნი არიან ყოველგვარი პასუხისგებისა და სასჯელისგან. მოწმეები: აპოლონის ქურუმი – არქონი და არქონტები: ანტიგენესი, პაგიონი, ჰუბრიასი და კერძო პირები: ნიკატასი, ბატოსი, არისტეასი, ფილონ იატადეს ძე, ფილონ ფილაგროსის ძე, გიმოკრიტოსი“.

ამ გიპის წარწერები ძალიან საინტერესოა და თანამედროვე სპეციალისტების მიერ მსჯელობის საგნად გამხდარი. ღმერთის მიერ რა ყიდვაზე შეიძლება ლაპარაკი? ეს ვითომ შესყიდვის აქტია, სადაც სინამდვილეში შეწირვის სახით ათავისუფლებენ მონას, რომლის პიროვნებაც მერე ხელშეუხებლად ცხადდება – ვინც მის თავისუფლებას არ სცნობს, ის ფულად ჯარიმას იხდის, ხოლო ვინც მიიღო ის, როგორც თავისუფალი, მის მიმართ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც კი არ ისჯება.

დ. ერთი ჯგუფი წარწერებისა ეხება ამა თუ იმ ძეგლის მშენებლებს, ნივთის გამკეთებელს, ხელოვანს. ასეთი რამ აღმოსავლეთის ხელოვნებას არ ახასიათებდა, ის ბერძნების შემოგანილია. აქ არის ბერძენი შემომქმედის სიამაყე – აი, ეს ჩემი გაკეთებულიაო.

საამშენებლო წარწერათა ფორმულა ძირითადად ასეთია: ამა და ამ პირმა აღუმართა ესა და ეს ძეგლი ამა და ამ, ვთქვათ, ღვთაებას; გამკეთებელი არის ესა და ეს. ამას ერთვის თარიღიც. მაგ., O 631: Δὶς Μερύιστῳ Κερασίῳδ ὑπὲρ στωηρίας Τραϊανῶν Ἀδριανῶν Σειβαστῶν τῶν κυρίῳν (სახელი, სატომო) τῶν καμῆραν φικιδῆμῳσεν καὶ τῶν κλισῶν ἐξ ἰδῶν ἀνέμηκεν, ἔτους εἰς, μῆνὸς Ἀφῶσ. („დიდ ზევსს, ელვისმტყორცნელს უფალი გრაიანე ადრიანე სებასტოსის ხსნისათვის (ამან და ამან, სატომო სახელით) ეს თალი აუეგე და ტახტი შეეწირე საკუთარი

¹⁰⁰ ჩემი გაგებით „ფასის მიძღვნი“ არის „გამყიდველი“ ფსითირა. მანუმიციების მოგი შეეღვევარი „ფასის მიძღვნი“ მიიჩნევს „ღმერთს“ (ამ შემთხვევაში „აპოლონს“). შეიძლება ეს ფორმაა ასეთი და ფასს ღებულობს გაძარი(?).

¹⁰¹ ე.ი. ამით სცნეს „ღმერთის მიერ მისი ნასყიდობა“.

სახსრით 445 წელს (ადგილობრივი წელთაღრიცხვით – თ. ყ.) ლოსოს თეში“).

ხელოვანთა წარწერები ძირითადად პროზაულია, მაგრამ გვხვდება ლექსის ფორმითაც. შესაძლოა ძველ პოსტამენტზე, თავისი წარწერით, ახალი ძველი დაიდვას. მაგრამ ეს ხშირი არაა. ხელოვანთა მომხსენიებელ წარწერებში გიპიურია $\pi\omicron\iota\epsilon\omega$ – მზნის ხმარება (თავდაპირველად მზნა იმპერფექტუმში იყო – $\epsilon\pi\omicron\iota\epsilon\iota$, ხოლო შემდეგ – აორისტი $\epsilon\pi\omicron\iota\eta\sigma\epsilon$ – სხედასხვა ვარიანტით, მაგ., v-თი ბოლოში, ან უამისოდ და ა.შ.). იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება $\epsilon\tau\epsilon\upsilon\delta\epsilon$, $\epsilon\iota\rho\acute{\alpha}\sigma\sigma\alpha\tau\omicron$, $\epsilon\tau\acute{\epsilon}\lambda\epsilon\sigma\sigma\epsilon$ $\gamma\rho\acute{\omicron}\phi\omega\nu$, $\gamma\rho\acute{\omicron}\phi\omega\nu$ $\epsilon\pi\omicron\iota\epsilon\iota$; $\pi\omicron\iota\eta\mu\alpha$ $\epsilon\nu\chi\omicron\mu\alpha\iota$ $\epsilon\acute{\iota}\nu\alpha\iota$, $\epsilon\rho\gamma\omicron\nu$, $\gamma\lambda\sigma\phi\eta$ ან $\gamma\lambda\sigma\psi\alpha\varsigma$, $\tau\acute{\epsilon}\chi\eta$ $\epsilon\rho\gamma\alpha\sigma\tau\eta\rho\iota\acute{\alpha}\rho\chi\omicron\upsilon$.

ქვაზე მომუშავეთათვის არის გერმინები: $\lambda\alpha\tau\upsilon\pi\omicron\varsigma$, $\lambda\iota\theta\upsilon\sigma\upsilon\rho\acute{\omicron}\varsigma$.

თუ შემომქმედი თავის სახელის გარდა თავის მამასაც ახსენებს, ჩვეულებრივ ეს იმის მაუწყებელია, რომ მამაც ხელოვანი იყო. შეიძლება ნაწარმოების ავტორმა თავისი მასწავლებელიც მოიხსენიოს. წარწერაში არის ხოლმე მისი გამკეთებლის $\epsilon\theta\eta\nu\iota\kappa\omicron\nu$ -იც. მაგ., $\epsilon\rho\gamma\omicron\nu$ $\prime\text{A}\rho\iota\sigma\tau\omicron\kappa\lambda\acute{\epsilon}\omicron\upsilon\varsigma$; $\prime\text{A}\rho\iota\sigma\tau\acute{\iota}\omega\nu$ $\mu\prime$ $\epsilon\pi\acute{\omicron}\theta\eta\sigma\epsilon\nu$; $\text{P}\upsilon\theta\alpha\gamma\acute{\omicron}\rho\alpha\varsigma$ $\Sigma\acute{\alpha}\mu\iota\omicron\varsigma$ $\epsilon\pi\omicron\iota\eta\sigma\epsilon\nu$; $\text{K}\acute{\epsilon}\nu\chi\rho\alpha\mu\omicron\varsigma$, $\text{P}\omicron\lambda\sigma\mu\eta\tau\omicron\varsigma$ $\epsilon\pi\omicron\iota\eta\sigma\epsilon\nu$; $\Xi\epsilon\nu\acute{\omicron}\phi\iota\lambda\omicron\varsigma$ $\kappa\alpha\iota$ $\Sigma\rho\acute{\alpha}\tau\omega\nu$ $\prime\text{A}\rho\gamma\epsilon\iota\omicron\iota$ $\epsilon\pi\omicron\iota\eta\sigma\epsilon\nu$; $\prime\text{A}\pi\epsilon\lambda\lambda\acute{\epsilon}\alpha\varsigma$ $\text{K}\alpha\lambda\lambda\iota\kappa\lambda\acute{\epsilon}\omicron\varsigma$ $\epsilon\pi\omicron\iota\eta\sigma\epsilon$; $\Theta\omicron\iota\nu\acute{\iota}\alpha\varsigma$ $\text{T}\epsilon\iota\sigma\iota\kappa\rho\acute{\alpha}\tau\omicron\upsilon\varsigma$ $\epsilon\pi\omicron\iota\eta\sigma\epsilon$; $\Theta\omicron\iota\nu\acute{\iota}\alpha\varsigma$ $\text{T}\epsilon\iota\sigma\iota\kappa\rho\acute{\alpha}\tau\omicron\upsilon\varsigma$ $\Sigma\iota\kappa\omega\acute{\nu}\omicron\iota\omicron\varsigma$ $\epsilon\pi\omicron\iota\eta\sigma\epsilon\nu$ ¹⁰²; $\Sigma\tau\acute{\epsilon}\phi\alpha\nu\omicron\varsigma$ $\text{P}\alpha\sigma\iota\tau\acute{\epsilon}\lambda\omicron\upsilon\varsigma$ $\mu\alpha\theta\eta\tau\acute{\eta}\varsigma$ $\epsilon\pi\omicron\iota\epsilon\iota$; $\text{E}\upsilon\zeta\iota\theta\epsilon\omicron\varsigma$ $\epsilon\pi\omicron\iota\eta\sigma\epsilon$, [K]όλος $\epsilon\rho\gamma\alpha\phi\epsilon\nu$ და სხვ.

შენიშნულია, რომ ატიკაში ასეთ წარწერებში ძვ.წ. IV ს-სა და ელინისტური ხანის დასაწყისში ხელოვანის მხოლოდ სახელი გვხვდება (პატრონიმიკონისა და ეთნიკონის გარეშე და არც ისაა აღნიშნული, გამკეთებელი ადგილობრივია თუ უცხო); პატრონიმიკონი VI-V ს-ში გვხვდება, ხოლო დემოტიკონი – ელინისტურსა და რომაულ ხანებში. არაატიკურ წარწერებში იშვიათია, რომ ხელოვანი მხოლოდ სახელით იყოს ხსენებული. VI-V სს-ში სრული მოხსენიება (ე.ი. სახელი, პატრონიმიკონი და ეთნიკონი) იშვიათია, ხოლო ძვ.წ. III ს-დან – ჩვეულებრივია. II-I სს-ში სახელი ეთნიკონითურთ ჩვეულებრივ გვხვდება ათენისა და აფროდიზიას ხელოვანთა წარწერებში.

ე. ლიგურატურული ხასიათის წარწერები თავისთავად ეპიგრაფიკის სფეროს ნაკლებად განეკუთვნებიან, მითუმეტეს, რომ მათ გარკვეული, მათთვის დამახასიათებელი ფორმულები არ გააჩნიათ. ასეთები არიან დიდი რაოდენობით დაცული საფლავის წარწერები, რომლებიც ლექსის ფორმით არიან შესრულებული და თავისთავად, შინაარსობრივად განმადიდებელ და შესავედრებელ წარწერებთან

¹⁰² Larfeld, ... გვ. 455.

არიან ახლოს (მაგალითი, ქვემოთ). აქვეა მოსაყვანი ის ეპიგრაფები, რომლებიც თერმოპილეში დაღუპულთა შესახებ არის და რაც შემოგვინახა პეროლოგემ (VII, 228). ასეთი წარწერა რამდენიმეა, დედნები არ არის მოღწეული. რა თქმა უნდა, ლიგერატურის ისტორიის საგანია არქილოქეს წარწერები ძვ.წ. III ს-ის, ორ ბრტყელ ქვაზე შესრულებული და აღმოჩენილი 1944 წელს კუნძულ პაროსზე (სადაც ცხოვრობდა VII ს-ის ცნობილი იამბიკოსი არქილოქე). იგი შეიცავს არქილოქეს შესახებ ბიოგრაფიულ მონაცემებს, მისი 30 საღეჭსო სტრიქონს და 57 ერთმანეთთან დაკავშირებულ ლექსს, სადაც მუშათა გამოცხადებაზეა ლაპარაკი (საერთოდ, არქილოქეს 100 ფრაგმენტია ცნობილი).

ასევე ლიგერატურის სფეროს განეკუთვნება ატიკის ერთ-ერთი უძველესი ე.წ. დიპილონის წარწერა, შესრულებული ჭურჭელზე (VIII-VII სს.), დაქტილური ქვეგამეტრით (მარჯენიდან მარცხნივ):

Ἡὸς σὺν ὀρχεσίων παντὸν ἀταλότητα παίζει τότῳ δεκακλίῳ (Κάλλιπ) ἰς ἀβλα τὰμὰμὸβς ყველა მოცეკვავეზე მხიარულად. (მიეცეს) მას ეს თასი.

ასევე ლიგერატურა-მუსიკის სფეროს განეკუთვნებიან დელფოს პეანები (BCH, 17, 569 და შმდ.), რომლებიც საინტერესოა არიან თავისი სანოტო ნიშნებით.

ლიგერატურის საგანია ეპიგრაფიკული სახით მოღწეული წერილები, რომელთაც თავისი გარკვეული ფორმულები და სტილი აქვთ (განსხვავებით საფლავის ეპიგრაფიებისგან).

განიხილოთ კონკრეტული მასალა: ახ.წ. I-II სს-ის ეპიგრაფია ბოსფორიდან (KBH, გვ. 619):

Τειμόθεος Δάσειος, χαιρε.

Τειμόθεος ὁ πάτρας ἑσίος φῶς παῖς δὲ Δάσειος, τρις δεκάδας ἔτέων. τερματίσας ἔθινας.

Ἄ τάλαν, οἰκτεῖράω σε πολυκλαύστῳ ἐπὶ τύμῳ· ἄνῃ δὲ σὺν ἡρώων χῆρον ἔχοις φθίμενος.

(„გიმოთეოს დასემის ძე, მშვიდობით. გიმოთეოსი, სამშობლოს ღირსეული ვაჟაკი, დასემის შვილი, მენ მოკვდი [მას მერე, რაც] შეასრულე სამი ათეული წელი. უბედურო, ვწუხვარ შენ მრავალდაგირებულ საფლავთან. ახლა, (შენ) დაღუპულს ადგილი გაქვს გმირებთან ერთად“).

ეპიგრაფია შესრულებულია ელევკიური დისტიქით (I სტრიქონი ამ ლექსთწყობის გარეშეა).

იამბიკური ტრიმეტრით არის შესრულებული რომის ეპიგრაფია, სადაც 114-115 წლების ამბებია მოთხრობილი (რომის კეისარი გრაიანე

იბრძოდა პართელთა წინააღმდეგ და მოკავშირე ხალხები მას ჯარუბითაც ეხმარებოდნენ. ამ ეპიგრაფიის თანახმად ამ დამხმარეთა შორის ყოფილა იბერიელთა ჯარი იბერთა მეფის მითრიდატე III-ის ძმის, ახალგაზრდა ამაზასპოსის მეთაურობით. ბრძოლაში ნიზიბისის ახლოს დაღუპულა ამაზასპოსი). წარწერა რამდენჯერმეა გამოქვეყნებული და მასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში აზრიც ბევრჯერ გამოთქმულა. იგი ასე იკითხება:

‘Ο κλεινὸς Ἰνὸς βασιλέως Ἀμαζάσπος
ὁ Μιθριδάτου βασιλέως κασιγνητος,
ὃ γαῖα πατρις Κασπίας παρὰ κλήθρας
Ἰβηρ Ἰβηρος, ἐνθαδὶ τετάρχεται
Πόλιν παρ’ ἱρήν, ἦν ἔδεμε Νικάτωρ
ἐλαιόθηλον ἀμφὶ Μυθόνος νῆμα
θάνεν δ’ ὀπαδὸς Ἀυσόνων ἀγήτορι
μολῶν ἀνακτι Παρθικῆν ἐφ’ ὑσμίνην,
Πρὶν περ παλάξαι χεῖρα δῶϊφ λύθρῳ,
Ἰφθιμον αἰῖα χεῖρα δούρι καὶ τόξῳ
Καὶ φασγάνου κνώδοντι, πεζὸς ἰππεύς τε
ὁ δ’ αὐτὸς ἴσος παρθένασιν αἰδούϊας.¹⁰³

(„მეფის სახელოვანი ძე ამაზასპოსი, მითრიდატე მეფის ძმა, რომლის მშობლიური მიწაც არის კასპიის ბჰესთან, იბერი. იბერის ძე, აქ მარხია წმინდა ქალაქთან, რომელიც ააგო ნიკატორმა მიგლონის მეთისხილოვან მდინარესთან. გარდაიყვალა თანამგზავრი ავზონთა წინამძღოლი მეუფისა, მოსული პართელებთან საბრძოლველად, (გარდაიყვალა) უწინ ვიდრე გაისვრიდა ხელს, ვაი რომ ძლიერ ხელს, მგრის სისხლში შუბსა, მშვილდსა და მახვილის პირზე, (იყო) ქვეითიცა და მხედარიც, თვით – მორცხვი ქალწულების მსგავსი“).

ლიტერატურული ხასიათის წარწერებს განუუკუთვნებ წერილებს, რომლებიც ასევე გვხვდებიან წარწერათა სახით, მაგრამ საკმაოდ იშვიათად და ამჟამად ძირითადად ფრაგმენტულად.

ახ.წ. II ს-მდე წერილის მიმართეთაში სახელებს გარდა გვხვდება მგზა ჩაίρειν, სულერთია რომელი სოციალური ფენიდანაც არ უნდა იყვნენ გამგზავნი და აღრესაგი. ხოლო ახ.წ. II ს-დან, როდესაც წერილის გამგზავნი უფრო მაღალი მდგომარეობისაა, ვიდრე აღრესაგი, ეს ფორმულა რჩება, ხოლო თუ აღრესაგის მდგომარეობა აღემატება წერილის გამგზავნისას, მაშინ ჩნდება ბრდილობის აღსანიშნავად ჯერ აღრესაგის სახელი, მერე ჩაίρειν და შემდეგ გამგზავნის სახელი, ასევე

¹⁰³ G. Kaibel, *Inscriptiones graecae Italiae et Siciliae*, Berlin, 1890. № 1374.

ἐν τῇ ἐξοχῇ (თხოვნა) და ὑπομνήματα – შესახსენებელი (თანამდებობრივი განცხადება-სათხოვარი).

წერილს ერთვის აღრესაგის კარგად ყოფნის სურვილის გამომხატველი ფორმულები: εἰ ἔρρωσαι, εὖ ἂν ἔχοι, κἀγὼ δὲ ὑγιαῖνον, ან ამისივე ვარიანტი – εἰ ἔρρωσαι, καὺτὸς δ' ὑγιαῖνον (ყოჩაღად იყავი, მოგესალმები)..

ამავე დროს პირობის აღმნიშვნელი ფორმულებიც გვხვდება (ძვ.წ. IV ს-დან თვით ბიზანტიურ ხანაშიც კი) გამოხატული გამოთქმებით – εὐτῷχῃ და ἔρρωσο; (ბელნიერი იყავი, მოგესალმები). ახ.წ. I ს-დან ἔρρωσο-ს წილ არის ἔρρωσθαί σε εὐχομαι (ან βούλομαι). წერილს ერთვოდა თარიღიც. შეიძლებოდა ისიც აღნიშნულიყო, თუ წერილი საიდან იგზავნებოდა.

არ მოვიყვან ყველა იმ ფრაგმენტს, რომელიც დაკულია და მიჩნეულია, რომ წერილისეულია, ნიმუშისათვის განვიხილავ შემდეგს. O 257 (ძვ.წ. 109 წლის) – კვიპროსზე მოპოვებული წარწერა-წერილი: Βασίλευς Ἀντίοχος Βασίλει Πτολεμαίω τῷ καὶ Ἀλεξάνδρῳ τῷ ἀδελφῷ χαίρειν· εἰ ἔρρωσαι, εἴη ἂν ἄς βουλόμεθα· καὶ αὐτοῖς δὲ ὑγιαῖνομεν καὶ σοῦ ἐμνημονεύομεν φιλοστόργως... (ბოლო): ἔρρωσθε. L γ σ', Γορπιαίου κθ' („მეფე ანტიოქოსი მეფე პტოლემეაოსს და ალექსანდრეს, ძმას, მიესალმება. ხომ ყოჩაღად ხართ, იყავი, როგორც ჩვენ გვინდა, თვითონ ჯანმრთელად ვართ და შენ გიხსენებთ დიდი სიყვარულით... მშვიდობით! 103, გორპიაოსის(თვის) 29“.) (აქ არის მიმართვა გოლისა გოლთან).

ძვ.წ. 146-116 წ. წარწერა ფილედან O 319: Βασίλει Πτολεμαίω καὶ Βασιλίσσῃ Κλεοπάτρῃ τῇ ἀδελφῇ καὶ βασιλίσσῃ Κλεοπάτρῃ τῇ γυναικί, θεοῖς Εὐεργέταις, χαίρειν οἱ ἱερεῖς τῆς ἐν τῶν Ἀβάτῳ καὶ ἐν Φίλαις Ἰσιδος θεᾶς μεγίστης, εὐτυχεῖτε („მეფე პტოლემეაოსს, დედოფალ კლეოპატრას, დას და დედოფალ კლეოპატრას, ცოლს, კეთილისმოქმედ ღმერთებს, ესალმებიან აბაგოსისა და ფილეს უდიდესი დედის ისინის ქურუმები. ბელნიერები იყავით“. (აქ ჩანს ის, რომ ქურუმები თავს აღრესაგებზე დაბლა აყენებენ, შესაბამისად – ჯერ აღრესაგები იხსენებიან და მერე წერილის გამგზავნები).

რომაელი იმპერატორების წერილებს წინ ვრცელი გიგულაგურა უძღვით (მაგ., აღრიანეს წერილს, ათენი, 127 წ., IG, III' 31): Αὐτοκράτωρ Καίσαρ, θεοῦ Τραϊανῶν Παρθικοῦ σιός, θεοῦ Νέρουα სιωνός, Ἀδριανός Σεβαστός, ὑπατος τό... δημαρχικτῆς ἐξουσίας τό... ἀρχιερεῦς, πατήρ πατρίδος τῆς ἐξ Ἀρείου πάγου βουλῆ καὶ τῆς βουλῆ τῶν φ' (? χ) καὶ τῶν δῆμων τῶν Ἀθηναίων χαίρειν („თვითმპყრობელი კეისარი, ღვთაებრივი გრაიანე პართელის ძე, ღვთაებრივი ნერვას შვილიშვილი, აღრიანე სებასტოსი, კონსული..., გრიბუნის ხელისუფლებით აღ-

ჭურვილი... ქურუმთმთავარი, სამშობლოს მამა – არეოპაგის საბჭოს, 500-ის (?600-ის) საბჭოს და ათენელ ხალხს ესალმება“).

საინტერესოა ამ დროის წერილების დაბოლოება. მაგ., ანტონინუს პიუსის ერთ-ერთ წარწერაში (სმირნა, 147 წ. S 406) ვკითხულობთ: τὸ ψήφισμα ἐπέγραψεν (სახელი) ὁ κράτιστος ἀνθύπατος καὶ φίλος ἡμῶν, ἐρῶσθαι ὑμᾶς βύσσομαι. πρὸς ἔ καλανδῶν Ἀπριλίων ἀπὸ Λαρίου. τῆν ἐπιγραφὴν ποιήσαντος (სახელი) δωρεῶν ταμιεῦοντος (სახელი). („ეს დადგენილება დასწერა..., გამოჩენილმა პროკონსულმა და ჩვენმა მეგობარმა. გისურვებ თქვენ ყოჩაღად ყოფნას. აპრილის კალანდების 5-ის წინ, ლორიოსიდან. წარწერა გააკეთა... საჩუქარი განაგო...“).

საინტერესოა დაბოლოება კარაკალას წერილისა (S 416, ფილადელფია, ეგვიპტის ან ამანის): Ἐρῶσθαι Ἰουλιανὲν τιμωτάτῃ μοι καὶ φιλιτάτῃ. ἀνεγνώσθη ἐν τῷ θεάτρῳ ἕτους σμε', μὴνὸς Ἀπελλαίου ε' („კარგად იყავი, იულიანე, ჩემო უძვირფასესო და უსაყვარლესო. წაკითხულ იქნა თეატრში, 245 წელს, აპელაძოსის თვის 5 <რიცხვში>“).¹⁰⁴

